

1429.

4

Digitized by  
Sri Aurobindo Library

საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის  
გ.ჩუბინაშვილის სახელობის  
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ლიანა შალვას ასული ანთელავა

## ქართველ მხატვართა იღუსტრაციაში შესაირის საისტორიო ქრონიკაშისათვის

სპეციალობა 17.00.01 – ქართული ხელოვნების ისტორია


### ლ ი ს მ რ ტ ა ც ი ა

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის  
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
პროფესორი გ.ალიბეგაშვილი

თბილისი – 1994 წ.

469.2(47922)



- 1) ගුෂේ උස්සූග්‍රහණ, ජ්‍යෙෂ්ඨ
- 2) ගැටුන්දී, ගුෂේ
- 3) පුෂ්කර, මුදුව තැබූග්‍රහණ ප්‍රයෝගියානු

1129  
2

සුංස්කීර්ණ ප්‍රතිපාදන  
විශ්වාස ප්‍රතිපාදන  
කොළඹ ප්‍රාන්ත මධ්‍ය ප්‍රාන්ත

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი .....	1
<b>თავი I. ზურაბ ნიუარაძის დახატული შექსპირის სამყარო</b>	
§1 “პენრი VI” .....	14
§1 საისტორიო ქრონიკა “რიჩარდ II” .....	53
<b>თავი II. შექსპირის ორი საისტორიო ქრონიკის სიმბოლურ-მისტიკური წაკითხვა</b>	
§1 ლ. შენგელია-აბაშიძის “რიჩარდ III” .....	64
§2 ოლქისა თავაძის დასურათებული “მეფე ჯონი” .....	80
<b>თავი III. “სამეულის” შესრულებული ილუსტრაციები შექსპირის სამი ქრონიკისათვის</b>	
§1 “პენრი VIII” .....	91
§2 “პენრი V” .....	102
§3 “პენრი IV” .....	111
<b>დასკვნა.....</b>	<b>129</b>
<b>შენიშვნები .....</b>	<b>134</b>
<b>ლიტერატურა.....</b>	<b>136</b>
<b>ტაბულების სია.....</b>	<b>142</b>

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

უკვე დაუყურენახევარია, რაც საქართველოში ცნობილია უილიამ შექსპირის სახელი. მისი პიესა "რომეო და ჯულიეტა", დიმიტრი ყიფიანის მიერ თარგმნილი ფრანგულიდან, გამოქვეყნდა 1841 წელს. შექსპირის ნაწარმოების პირველი ქართული პროფესიული თარგმანი იღია ჭავჭავაძის სახელთანაა დაკავშირებული. 1873 წელს იგი ივანე მაჩაბელთან ერთად შეუდგა "შეფერის" თარგმნას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ იღიას დალოცვითაა შექმნილი შექსპირის ნაწარმოებების შესანიშნავი მაჩაბლისეული თარგმანები, რომლებმაც საშუალება მისცა ქართველ მკითხველს მშობლიურ ენაზე გაცნობოდა ინგლისელი დრამატურგის შემოქმედებას და ხელი შეუწყო მის დამკვიდრებას არა მხოლოდ თეატრში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც.

შექსპირის პოპულარობამ ბიძგი მისცა საქართველოში შექსპიროლოგის, როგორც მეცნიერების დამოუკიდებელი დარგის შექმნას და განვითარებას. ამ დარგის ფუძემდებელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ნიკო ყიასაშვილი. მისი საერთო რეზაქციით, შინასიტყვაობითა და შენიშვნებით მომზადდა ქართულ ენაზე უილიამ შექსპირის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა. იგი გათვალისწინებული იყო ხუთ წომად, რომელთაგან დღემდე მხოლოდ სამი ჭომი გამოიცა (I ტ. - 1983 წ., II ტ. - 1985 წ., III ტ. - 1987 წ.). ამ კრებულის გამოცემისათვის მხატვართა საკმაოდ დილმა ჯგუფმა მიიღო დაკვეთა. თითო პიესის დასურტებისათვის უნდა შექმნილიყო რვა ფურცლისაგან შემდგარი საილუსტრაციო სერია. სულ უნდა

შესრულებულიყო ნახატები 34 პიესის, 2 პოემისა და სონეტებისათვის. ეს არ იყო საქართველოში შექსპირის დასურათების პირველი ცდა. 1934 - 35 წწ. სერგო ქობულაძემ შეასრულა თითო ნახატი, ფრონტისპისი პიესებისათვის "რიჩარდ III", "ანტონიოს და კლეოპატრა", "მაკბეტი" და "მეფე ლირი". 1946 წელს მხატვარი კვლავ მიუბრუნდა შექსპირის და შექმნა ილუსტრაციების მთელი ციკლი ფრაგელისათვის "მეფე ლირი". ეს ილუსტრაციები ქართული წიგნის დასურათების ფვალ-საჩინო ნიმუშია.

შექსპირის თხზულებათა ქართულ ენაზე პირველი სრული ილუსტრირებული კრებულის გამოცემა მნიშვნელოვანი ბიძგი გახდა ქართველი მხატვრების შესაძლებლობათა გასამუღავნებლად შექსპირის ხილულ - პლასტიკურ ინტერპრეტაციაში. გამოცემისათვის შესრულებული ილუსტრაციები მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული წიგნის გრაფიკის განვითარების ისტორიაში, როგორც მწერლის ნაზრევის წაკითხვის, ასევე მხატვრული ფორმის ევოლუციის თვალსაზრისით.

შექსპირის თხზულებათა ილუსტრაციები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან ეს ერთადერთი უცხოელი ავტორია, რომელიც ასე სრულად აქვთ დასურათებული ქართველ მხატვრებს. მსგავსი გამოცემები ეძღვნება ისეთ ეროვნულ მწერლებს, როგორებიც არიან იაკობ ცურტაველი, შოთა რუსთაველი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა - ფშაველა. შექსპირის ილუსტრაციების საგანგებო შესწავლის გარეშე ქართული წიგნის გრაფიკის განვითარების სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი ამ საკითხის კვლევა. სამწუხაროდ, მან ნაკლებად მიიჰყორო ქართველი სპეციალისტების ყურადღება. გამონაკლისს წარმოადგენს მ. კარბელაშვილის სტატია "სერგო ქობულაძის ილუსტრაციები "მეფე ლირისათვის" [1] და ნ. ზალიშვილის მოხსენება, წაკითხული ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ IV საერთაშორისო სიმპოზიუმზე [2].

შექსპირის თხზულებათა კრებულისათვის სხვადასხვა მხატვართა მიერ შესრულებული ორმოცი გრაფიკული სერიიდან ნახევარზე მეტის ავტორები არიან მ. თავაძე, გ. ნიუარაძე, "სამეული" (ა. სლოვინსკი, მ. ქოჩაკიძე, ი. ჩიკვაიძე) და ლ. შენგელია - აბაშიძე. მათ მიერ დასურათებულია შექსპირის ოცდაერთი ნაწარ-

მოები, მათ შორის ათი საისტორიო ქრონიკა. სწორედ ეს ილუსტრაციებია შინა-  
მდებარე ნაშრომის საგანგებო კვლევის საგანი.

ნაშრომი ეფუძნება შექსპირის ობზულებათა სრული კრებულისათვის შესრუ-  
ლებული გრაფიკული სერიების ორიგინალების ანალიზს, ვინაიდან კრებულის გა-  
მოცემის დაბალი პოლიგრაფიული დონე ილუსტრაციების მხატვრული ღირებულების  
შესახებ მსჯელობის საშუალებას არ იძლევა.

ჭიდე ხნის განმავლობაში მიღებული იყო შექსპირის დრამატურგიის დაყოფა  
სამ უანრად: ტრაგედიებად, კომედიებად და ქრონიკებად ანუ ისტორიებად. ამგვარი  
მიღებობა შექსპირის მემკვიდრეობისადმი ეყრდნობოდა ჯერ კიდევ შექსპირის დროი-  
დან მომღინარე ტრადიციას. ცნობილია, რომ "ერთი პიესის პროლოგში, რომელიც  
იდგმებოდა ლონდონში 1695 წელს, სცენაზე გამოდიოდა სამი ალეგორიული ფიგურა:  
სასაცილო კომედია, პირქუში ტრაგედია და საზეიმო ისტორია დროშითა და დაფი-  
ზებით" [3].> დღევანდელი შექსპიროლოგია ამგვარ დაყოფას პირობითად მიიჩნევს,  
ვინაიდან ტრაგედიების და კომედიების მკაცრ უანრულ ფარგლებში დრამატურგიის  
მრავალმხრივი მემკვიდრეობის მოთავსება არ ხერხდება [4].

თანამედროვე შექსპიროლოგიაში ტრაგედიის უანრს ერთმნიშვნელოვნად მია-  
კუთვნებენ "რომეო და ჯულიეტას" და ე.წ. დიდ ტრაგედიებს: "ჰამლეტს", "ოთე-  
ლოს", "მეუე ლინს" და "მაკბეტს". ბოლო პერიოდის პიესებს ("ციმბელინი",  
"პერიკლე", "ზამთრის ზღაპარი" და "ქარიშხალი"), რომელთაც ე.წ. რომანტიკულ  
პერიოდს აკუთვნებენ, ზოგიერთი მკვლევარი ტრაგედიებად არ მიიჩნევს [5]. ძნელ-  
დება ამ პიესების ზუსტი გამიჯვნა ტრაგიკომედიებისაგანაც. მსგავსი მდგომარეობაა  
კომედიებშიც, რომელთაგან ზოგიერთი არღვევს კომედიის ფარგლებს და მათ უფრო  
ხშირად ტრაგიკომედიებს მიაკუთვნებენ.

ყოველივე ამან განაპირობა ჩვენი არჩევანის შეჩერება შექსპირის საისტორიო  
დრამებზე ანუ ქრონიკებზე, რომელთა ფარგლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში  
მკაფიოდაა განსაზღვრული. შექსპიროლოგები თითქმის ერთსულოვნად აღიარებენ,  
რომ დრამატურგის მიერ შექმნილია ათი ქრონიკა: ტრილოგია "პენრი VI", "რი-  
ჩარდ III", "მეუე ჯონი", "რიჩარდ II", "პენრი IV" (I და II ნაწილი), "პენრი V"

და "პერი VIII". >

ილუსტრაციების შესწავლისას გათვალისწინებულია ასახვის ორი ბაზისური კონცეფციის (ილუზორულისა და პირობით - სიბრტყობრივის) ცვალებალობისა და გრაფიკის სპეციფიკის ურთიერთმიმართება.

წიგნის ილუსტრაცია გრაფიკის, სახვითი ხელოვნების უძველესი დარგის ერთ - ერთი ნაირსახეობაა. გრაფიკა, რომელიც ზოგჯერ მოსამზადებელი, გამოყენებითი ხელოვნების ფუნქციებს აფარებს, ხელოვნების სავსებით დამოუკიდებელი დარგია, თავისი საკუთარი სახვითი ენით, სპეციფიკით და გამომსახველობის მხატვრული ხერხებით. ამასთან, იგი ზოგადად სახვითი ხელოვნების, კონკრეტულად კი მხატვრობის განუყოფელი ნაწილია, რომელთანაც მას საერთო ნიშნები აერთიანებს. ერთ - ერთი მათგანია ორგანზომილებიან სიბრტყეზე სამგანზომილებიანი სამყაროს ასახვის პირობა.

ადამიანის ვიზუალური წარმოდგენის სიბრტყეზე გაღმოცემა შეიძლება მხოლოდ პირობითად, სახვითი ხერხების მეშვეობით, ვინაიდან რეალური სამგანზომილებიანი სამყაროს მხედველობითი წარმოდგენის უშუალოდ ასახვა ორგანზომილებიან სიბრტყეზე შეუძლებელია. პირობითი ხერხებით შექმნილი გამოსახულება შეიძლება იყოს ბრტყელი ან სილრმობრივ-სივრცობრივი. როდესაც საგნის სიბრტყეზე პროექციისას იქმნება მესამე განზომილების ილუზია - ასახვის მეორედი ილუზორულია, ხოლო მაშინ როდესაც სიბრტყეზე მიღებული გამოსახულება მესამე განზომილების ილუზიის შექმნას არ ისახავს მიზნად (თუმცა იგი ყოველთვის იგულისხმება, ვინაიდან სამყარო სამგანზომილებიანია და ასეთივეა მასზე ვიზუალური წარმოდგენაც), პროექცია პირობითია (სიბრტყობრივ-დეკორაციული). ასახვის ილუზორული მეორედი ემყარება ადამიანის ვიზუალურ, პერცეფციულ გამოცდილებას სამყაროზე (ე.ი. გამომდინარეობს ადამიანის თვალთახედვიდან), ხოლო არაილუზორული მეორედი კი, ცოდნისეულ წარმოდგენას (ე.ი. ეყრდნობა არა იმას რასაც ხედავს ადამიანის თვალი, არამედ იმას, რაც იცის ადამიანმა ამა თუ იმ საგანის შესახებ). [6] ასახვის ამ ორი მეორედის გამიჯვნა და პრაქტიკულად "სუფთა" სახით არსებობა ძნელი წარმოსალგენია. სხვადასხვა ცივილიზაციებში ხდებოდა ასახვის სისტემების ელე-

მენტოა სხვადასხვაგვარი სინთეზი. ზოგან ერთი იყო მეტად გამოკვეთილი, სხვაგან - მეორე. ერთი მხრივ, ძველი ეგვიპტური მხატვრობა, ხოლო მეორე მხრივ, რენესანსის ხელოვნება ამ ორი ბაზისური კონცეფციის ყველაზე ნათელი შაგაღითებია. როდე-საც ამას ემატება რეალურად არსებული სამყაროს პროპორციული წყობის შენა-რჩუნება სურათზე (კვლავ პერცეფციულ გამოცდილებაზე დაყრდნობით), სურათი მეტად უკავშირდება მხატვრული რეალობის გარეთ არსებულ სამყაროს. მაგრამ, როდესაც სიბრტყობრივი პროექციის პირობებში მხატვარი არღვევს, ან სრულებით არ ემორჩილება რეალური სამყაროს პროპორციულ სისტემას, იზრდება მხატვრული რეალობის პირობითობა.

ევროპული ცივილიზაციის ისტორიაში ილუზორული ასახვის მეთოდს თავდაპი-რველად რომაულ ხელოვნებაში ვხვდებით. მოგვიანებით იგი გვიანანტიკური ილუ-ზიონიზმის სახით მკვიდრდება. ადრექტისტიანული ხელოვნება უარს ამბობს ასახვის ამ მეთოდზე. მისი მიზანია სამყაროსა და ადამიანის დემატერიალიზაცია და სპი-რიტუალიზმის გადმოცემა სახვითი ხატების მეშვეობით. იგი სხეულს სულიერის ვიზუალურ სიმბოლოდ მიიჩნევს. ამისათვის კი ასახვის პირობით-დეკორაციული მეთოდი უფრო ხელსაყრელია.

უკანასკნელ დრომდე ევროპულ მეცნიერებაში გავრცელებული აზრი იყო, რომ ასახვის ილუზორული მეთოდი ცივილიზაციის განვითარების უფრო მაღალი საფეხუ-რის გარენებელია. ითვლებოდა, რომ ეგვიპტელები, ძველი ბერძნები, ეფრუსკები, შუმერები, ასურელები და სხვ. უძველეს კულტურებში არ იყენებდნენ გამოსახვის ილუზორულ მეთოდს, ვინაიდან ერიდებოდნენ რაკურსში გამოსახვის ჭერიკურ სი-რთულეებს. XX ს-ის ევროპულ ხელოვნებაში მომხდარმა რაღიკალურმა ცვლი-ლებებმა ბევრი რამ შეცვალა ამ თვალსაზრისში. სავარაუდო გახდა, რომ ეგვი-პტელები თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე გამოსახავდნენ ადამიანის ფიგურას მხრებით ფასში და ფეხებით პროფილში. ამასთან, პროფილში გამოსახულ სახეზე თვალის ფრონტალური პროექცია უფრო გამომსახველად ესახებოდათ. ძველი მსოფლიოს ხელოვნებაში ასახვის პირობით პროექციასთან გრაფიკული ნახატი ბა-ტონობდა. ეგვიპტური მხატვრობა და ბერძნული კერამიკული ლარნაკების მოხატუ-

ლობა კონფურული, ხაზოვანი ნახატითაა შექმნილი, სადაც უერი აქტიურად არ მონაწილეობს. იგი მხოლოდ სილუეტის შევსების სამუშაო ფუნქციას ასრულებს.

ილუზიონიზმისაკენ შემობრუნება ხდება რენესანსის ეპოქაში. რენესანსმა გაა-ლრმავა და გაამდიდრა ილუზიონიზმი ახალი ხერხებით: გეომეტრიული, ცენტრალუ-რი, ჰაეროვანი პერსპექტივა, დიაგონალური პროექცია, თუ სხვა გამოსახვითი ხერ-ხები ამ ეპოქის მონაპოვარია. ილუზორული მეოთოდი სტორედ ამ პერიოდში აღწევს დასრულებული მხატვრული სტილის სახეს [6].

რენესანსი რაღიყალური ცვლილებების ხანაა. ამ ინდივიდუალიზმის გაღრმა-ვების ეპოქაში ხელოვნებაში დეზინტეგრაციული პროცესები მიმდინარეობს. მხა-ტვრობა გამოეყოფა არეალურას. ჩინდება დაზგური უერწერა, დამოუკიდებელ დარგად ყალიბდება გრაფიკა, ვლინდება პრინციპული განსხვავება უერწერასა და გრაფიკას შორის. მათი გამომსახველობითი ხერხები ემიჯნება ერთმანეთს. დაზგური უერწერა მიიღების სივრცობრივ- მოცულობითი ილუზის შექმნისაკენ, ამიჭომაც ცდილობს სიბრტყის "გაერობას" ყველა ხერხებით: შუქ-ჩილდილით, ფონალური გრაფიკებით და სხვ. სიბრტყის ნგრევას ხელს უწყობს ზეთის სალებავის უერწე-რული მონასმებიც და სურათის ავტონომიური ხასიათიც. ჩარჩოთი შემოფარგლული სურათის საზღვრებში მოქმედული სივრცე კონკრეტული, ხელშესახებია და კონკრე-ტული გარემოს ვიზუალურ ილუზიას ქმნის. ამისკენ მიისრაფიან მხატვრები გრა-ფიკაშიც. ეს პროცესი დაკავშირებულია მხატვრობის წინაშე მდგარი ამოცანის შეცვლასთან, რომლის მიზანიც გახდა სამყაროს ილუზორული სურათების დახატვა. ხაზი თავის გაბატონებულ მნიშვნელობას აღორძინების ხანაშიც ინარჩუნებს, მა-გრამ არა კონფურის, არამედ შტრიხის სახით, რომელიც ძერწავს მოცულობით ფორმას (მოცულობის ილუზიას ქმნის). ხაზის თავდაპირველი ფუნქცია, ფორმის საზღვრის მომხაზველი ნეიტრალური მნიშვნელობა მისი აქტიურობით, დამოუკიდე-ბელი ელერაფობით იცვლება. XVI ს-დან კი ნახაფში ხაზით (შტრიხით) ფორმის მოცულობის გადმოცემა ადგილს უომობს ლაქას და ჭონს. ეს ნიშნები კიდევ უფრო მძლავრდება XVII - XVIII სს-ში, როცა ნახაფის განვითარების ფენდენცია მიმა-რთულია ხაზიდან ლაქისა და ჭონისაკენ. ეს კი სამყაროს პლასტიკური ილუზის

გადმოცემისაკენ სშრაფუას გამოხატავს. მაგრამ გრაფიკა თავისი ბუნებით ეწინა-აღმდეგება სამყაროს ოპტიკური ილუზიის გადმოცემას, ვინაიდან მისი მეტყველების ძირითადი საშუალებაა ხაზი (ხაზი, რომელიც არ არსებობს ბუნებაში, ამიტომ მისი მეშვეობით შექმნილი ნახატი უკვე ამეღავნებს პირობითობას) და სიბრტყე, ანუ ფურცლის თეთრი ფონი (ორი ურთიერთგანმაპირობებელი ელემენტი). ამიტომაც ილუზორული მეოთოდის პირობებშიც გრაფიკა მაინც ინარჩუნებს პირობით ხასიათს. გრაფიკული სიბრტყე პირობითი, განყენებული და განუსაზღვრელია. იგი ზოგად-პირობითი სახეების შექმნის შესაძლებლობებს ქმნის, რის გამოც გრაფიკას მეტად ხელებით ხაჭოვანი მეტყველება. ილუზორული მეოთოდის ფარგლებშიც კი გრა-ფიკის თავისებურება განაპირობებს გრაფიკული გამოსახულების მერყეობას სი-ბრტყე-სივრცესა და სიბრტყე - მოცულობის შორის და აქედან გამომდინარე, მე-რყეობს საგნის პირობით ნაშანს, მის სახე - ხატსა და კონკრეტულ რეალურ სახეს შორის [7].

გრაფიკისათვის მეტად სპეციფიკურია სიბრტყის მნიშვნელობის აღზევება და არა გაქართყლება (შენილბვა). აქედან მისი "ანტილუზორული" ხასიათი და გრაფიკული ნახატის დეკორაციული ფუნქცია, რომელსაც იგი ილუზორულობის პირობებშიც კი ინარჩუნებს. გრაფიკის "ანტილუზორული" ბუნება ვლინდება ფერისადმი დამოკიდებულებაშიც. გრაფიკა მიმართავს ფერს, მაგრამ უარს ამბობს მის "სივრცობრივ ფუნქციაზე" (სივრცისა და მოცულობის ფუნქციას უკარგავს მას). გრაფიკა ოპერირებს ბრტყელი ფერადი ლაქებით და არა ფერწერული მო-ნასმებით.

ამდენად, გრაფიკის სამეტყველო ენა ნაკლებ მოსახერხებელია კონკრეტული სახვითი სურათების შექმნისათვის. სამაგიეროდ მისი პირობითი ბუნება ფართო, განზოგადებული აზრის გადმოცემის მეტ შესაძლებლობებს ფლობს, ასევე, ეპიკური თხრობის საშუალებას იძლევა. ილუზორულ გარემოში დრო გაჩერებულია, სურა-თზე ასახულია კონკრეტული გაყინული მომენტი. ზოგადი, განყენებული სივრცე კი დროში პირობითი განვითარების შესაძლებლობას ქმნის, ვინაიდან განუსაზღვრელ გარემოში შეუძლებელია კონკრეტული დროის ფიქსირება. > ასეთ განუსაზღვრელ

ვრცელდაში დროც განუსაზღვრელი ხდება. აქედან, ჩნდება დროის დინების (მი-მდინარეობის) გრძნობა. თუ ამას დავუმატებთ ერთლოულად რამდენიმე მომენტის ჩვენებას, სხვადასხვა დროს და ადგილას მომხდარი მოვლენების ერთ სიბრტყეზე (სურათზე) დახატვის შესაძლებლობას, რის საშუალებასაც იძლევა გრაფიკის პირობითი ბუნება, ყოველივე ეს ნათლად დაგვანახებს, რომ "დროის დინების" ჩვენება გრაფიკის სპეციფიკური უნარია. ამაზე მეტყველებს გრაფიკული ნაწარმო-ებების სერიულობაც [7].

ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდა გრაფიკისათვის დამახა-სიათებელი ძირითადი ნიშან-ოვისებების (მისი სპეციფიკის) განსაზღვრა: 1. ხაზი (თუმცა ილუზორული ასახვის პირობებში იგი სილუტისაკენ, ლაქა-ფონისაკენ მიიღოთ); 2. სიბრტყის დომინირება (ასახვის ილუზორული მეოთოდის პირობებშიც შენარჩუნებულია სიბრტყე, რაც გრაფიკის დეკორაციულ ბუნებას განსაზღვრავს); 3. შავ - თეთრის კონტრასტი (ან ბრტყელი ფერადი ლაქების ურთიერთობა სი-ბრტყესთან და ერთმანეთთან); 4. თხრობის "ეანრი". ამ თვისებების გამოყენების სპეციფიკური მეოთოდები შეაღგენს გრაფიკის თავისებურებას [7].

ევროპულ ხელოვნებაში ილუზორული მეოთოდი ბაჟონობს XIX ს-მდე. ამ საუ-კუნის მიწურულსა და XX ს-ის დამდეგს კი სახვით ხელოვნებაში მკვეთრი შემო-ბრუნება ხდება ასახვის სიბრტყობრივი მეოთოდისაკენ. ამან ძირეულად შეცვალა შემდეგინდელი ხელოვნების სახე. დაინგრა ილუზორული სისტემის მთლიანობა, შეიცვალა ხელოვნების არსიცა და მიზანიც. მხატვრები სამყაროს ილუზორული დახატვის ნაცვლად მის ზოგად პირობითი ხატების შექმნას ისახავენ მიზნად [8]. მხატვრული სინამდვილე დაშორდა მის გარეთ არსებულ ვიზუალურ რეალობას და სამყაროს უფრო მძაფრ მხატვრულ ხატად გადაიქცა. XX ს-ის ევროპულ ხელოვნე-ბაში ილუზორული სივრცისა და მოცულობის ნაცვლად აღზევდა სიბრტყის შე-გრძნება და პირობით - სიბრტყობრივი, დეკორაციული გადაწყვეტისაკენ სწრაფვა. > მხატვართა დამოკიდებულება ასახვის სისტემებისადმი დაკავშირებულია თავისუ-ფალ ფორმალურ ძიებებთან, ვინაიდან ორიგინალური მხატვრული ფორმის შექმნის შესაძლებლობა გადახლართულია ამ პერიოდში მომხდარ ძირეულ ცვლილებებთან.

უნდა აღინიშნოს, რომ სიბრტყეისაკენ სწრაფვის პროცესი არ უნდა იყოს გაგებული ცალმხრივად. იგი შექცევაზი პროცესია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიზანი დგას სახვითი ხელოვნების წინაშე: სამყაროს პირობითი მხატვრული ხატების შექმნა თუ სინამდვილის ილუზორული ასახვა. XX ს-ის ხელოვნებაში უარი თქვა ხუთი საუკუნის მანძილზე გაბატონებულ ასახვის სისტემაზე, ვინაიდან განვითარების ჟენდერცია მეტი პირობითობისა და განზოგადებისაკენ წარიმართა. ამისათვის კი, ასახვის პირობით - სიბრტყობრივი მეთოდი უფრო ხელსაყრელია. ამასთან იმის წარმოდგენა, რომ მოხდა ილუზორული მეთოდის სრული უარყოფა, შეცდომა იქნებოდა. უკან დაბრუნება (უკვე დაგროვილი ცოდნის უარყოფა) არაბუნებრივია. ეს პროცესი დიალექტიკურია და ორი მეთოდის ელემენტთა შერწყმა - შეთავსებით ხასიათდება, სიბრტყობრივი პირობითობის პრიმატით.

გრაფიკის სპეციურია და ასახვის სისტემების ურთიერთმიმდართების დაზგენა წინამდებარე ნაშრომში იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც ეს საკითხები წიგნის გრაფიკაზე, ანუ წიგნის ილუსტრაციაზე მსჯელობისას წამოიჭრება.

ტერმინი წიგნის ილუსტრაცია აღნიშნავს გრაფიკის დარგს, რომელის ამოცანაა ლიტერატურული ტექსტის თანხლება ვიზუალური გამოსახულებით, ტექსტის გადმოცემა ხილული მხატვრული სახით [9]. ტერმინი *illustratio* ლათინური წარმოშობისაა და ხილულ გამოსახვას, განათებას, აღწერას ნიშნავს. წიგნის ილუსტრაციის ისტორია ამ ტერმინის დალევანდელი მნიშვნელობით ნაბეჭდი წიგნის გაჩენასთან ერთად იწყება. ილუსტრაციის წარმოშობის ერთ-ერთი ძირითადი სტიმული, ალბათ, სიცუვეერი სახის წარმოსახვის აღამიანის ფსიქოლოგიური სურვილია. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში, როგორც მხატვართა, ასევე მწერალთა დამოკიდებულება ილუსტრირებული წიგნისაფინი სხვადასხვაგვარი იყო. ცვალებადია მკითხველთა დამოკიდებულებაც წიგნის დასურათებისაფინი. მაგრამ, წიგნის ილუსტრაციის ისტორია მისი წარმოშობიდან დასრულდებოდა სიცუვისა და გამოსახულების შეთანხმების მუდმივი სურვილით. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გამოვყოთ ორი საკითხი: <I. ლიტერატურული ნაწარმოები, მისი სიუკურული ქარგა უცილობლად განაპირობებს სურათის სიუჟეტს. მწერლის იდეა, მისი აზრობრივი ჩანაფიქრი ილუ-

სტრატეგიული ბიძგია. დაზგური სურათისაგან განსხვავებით წიგნის გრაფიკა სამყაროს ასახავს არა უშუალოდ, არამედ შუალობითად (ლიტერატურის მეშვეობით). მხატვარმა უნდა მოგვცეს მთერლის მიერ უკვე შექმნილი სახის ვიზუალური ასახვა, რომელიც მეორადია მხატვართან შედარებით. ამდენად, მნიშვნელოვანია მხატვრის მიმართება ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისაღმი. Ⅱ. წიგნს, როგორც მხატვრულ ორგანიზმს, საკუთარი სტრუქტურული ელემენტები გააჩნია. იგი შედგება სამი ძირითადი კომპონენტისაგან: ჰექსტი, მისი მხატვრული გაფორმება (შრიფტი, გარეკანი, ფორმულისპისი, საზედაო ასოების გაფორმება და ა.შ.) და ილუსტრაცია. მხატვრული მთლიანობისათვის საჭიროა ამ სამი ელემენტის ერთიან, შეკრულ სისტემად ჩამოყალიბება. ასეთ ერთიან როგორც მექანიზმში ილუსტრაცია, ბუნებრივია, უნდა "შეეგულს" სხვა ელემენტთა არსებობას, ანგარიში გაუშიოს მათ. წიგნის ილუსტრაციის დამოუკიდებლობა გარკვეულად შეზღუდულია, ვინაიდან წმინდა სახვითი ამოცანების გარდა, მას ფურცლის სიბრტყის სამყალის, წიგნის მოსართავის დეკორაციული ფუნქციაც აკისრია. >

ამდენად წიგნის გაფორმების დარგში მომუშავე მხატვარი უნდა ითვალისწინებდეს: I. ილუსტრაციის დამოკიდებულებას ნაწარმოების შინაარსთან და Ⅱ. ილუსტრაციის შეფარდებას წიგნის მხატვრულ მთლიანობასთან, დამოკიდებულებას ფურცელთან, კავშირს ნაბეჭდ გვერდთან.

სხვადასხვა სახის ილუსტრაციათა სიმრავლიდან მათი ჰექსტან დამოკიდებულების მიხედვით, ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვასთან მიმართებით შეიძლება ილუსტრაციების დაყოფა სამ ჯგუფად:

1) ილუსტრაციები, რომლებიც ძლიერად იქვემდებარებს ჰექსტს. ეს ფაქტიურად გრაფიკული სერიებია ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების თემებზე ან პოეტურ მოტივებზე. ასეთ შემოხვევაში წარმართავია არა მთერალი ან პოეტი (ისინი მხოლოდ სიუჟეტური ბიძგია) არამედ მხატვარი, ხოლო ჰექსტი გამოსახულების მხოლოდ კომენტარის წარმოადგენს.

2) ილუსტრაციები, სადაც გრაფიკა იკვებება არა ნაწარმოების პირდაპირი შინაარსით, არამედ მისი საერთო რიტმით, მისი დეკორაციული გაფორმებით და

არა თემატიკით. საქმე გვაქვს წიგნის სამკაულოთან. ხშირია შემთხვევები, როდესაც მხატვარი არ ითვალისწინებს ტექსტს და ზოგჯერ, იგი წინააღმდეგობაშია ნაწარმოების ძირითად იდეურ ჩანაფიქრთან.

3) სახელლობრ ილუსტრაციები, რომელებიც ამ ორ ჯგუფს შორის ჰგას. ის ანგარიშს უწევს ტექსტს და ითვალისწინებს წიგნის მხატვრულ მოლიდობას. წიგნის ილუსტრაციის მოელი ისფორის მანძილზე მუდმივად იცვლებოდა მისი შეფასების კრიტიკიუმები. შედარებით მყარია აზრი, რომ მხატვარი უნდა გადმოსცემდეს ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათს, სულს, განწყობილებას. მაგრამ ეს განსაზღვრებაც პირობითია და მხოლოდ მიახლოებითი, ვინაიდან ძლიერია მასში სუბიექტური, ინდივიდუალური შეფასების (ხელვის) მომენტი. ასევე მხოლოდ მიახლოებითია იმის განსაზღვრა, თუ როგორი უნდა იყოს ილუსტრაცია. ანრი მატისის აზრით, "გრერალს არ სჭირდება მხატვარი თავისი სათემელის განმარტებისათვის" [10]. როდესაც მხატვარი თავის მთავარ ამოცანად ისახავს დახატოს ის, რაც აღწერილია ტექსტში (გადმოსცეს სიუჟეტი), ილუსტრაცია ტექსტის გრაფიკულ დუბლირებას წარმოადგენს და უხსნის მკითხველს იმას, რაც მან არასათანალოდ გაიგო მწერლის სიჭყვებიდან [11]. ილუსტრაციის მთავარ ამოცანას არ შეადგენს ტექსტის ზუსტი გამეორება ან სიჭყვიერი სახეების ოპტიკურ სახეებად გადაქცევა. მისი ლირსება მით უფრო მაღალია, რაც უფრო გამომსახველია მასში გამოყენებული წმინდა სახვითი (გრაფიკული) მხატვრული საშუალებები და მათი მეშვეობითაა გადმოცემული ნაწარმოების განწყობილება, ა.ტმოსფერო, ხასიათი; ასახულია მხატვრის დამოკიდებულება მწერლის ნააზრევის, ნაწარმოების იდეის მიმართ.

მწერალთა საკრაოდ დიდი ნაწილი საერთოდ წინააღმდეგია თავისი წიგნების ილუსტრირებისა. ამ აზრს მრავალი მხატვარიც იზიარებს. მაგრამ აღამიანის სიჭყვიერი გადმოცემის ვიზუალურზე გადატანის ოდითგანვე თანდაყოლილი სურვილის დამაღასტურებელია წიგნის უძველესი წინაპრები - ეგვიპტური პაპირუსები, რომელთაც უკვე თან ახლავს გამოსახულება. ილუსტრირებულია ძველ ბერძენთა და რომაელთა ხელნაწერი ეტრატებიც. ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ევროპაში გაჩნდა წიგნები, რომლებიც ფორმით დაუვანდებოდნ. წიგნის წინამორბედად გვივლი-

ნება. ეს უფრო ხშირად რელიგიური, სასულიერო შინაარსის თხზულებებია, რო-  
მელთაც უკვე ახლავთ "ილუსტრაციები" მხატვრული მინიატურების სახით. სწორედ  
მინიატურები წარმოადგენს წიგნის ილუსტრაციის პირველშეყვაროს. განვითარების  
ადრეულ ეფაპზე ისინი წარმოადგენდნენ ჰექსტის ბრტყელ ორნამენტულ მოჩარჩო-  
ებას, ინიციალების, საზედაო ასოების გაფორმებას, არაბესკებს. ასე თანდათანობით  
იქნებოდა ჰექსტის ილუსტრირებული გაფორმება აბსტრაქტულ - სტილიზებული,  
ფერორაციული ფორმით. XIV ს-ის დამლევს და XV ს-ის დამდეგს ხელნაწერთა  
მინიატურებში პლასტიკურ-მოცულობითი ელემენტების მოძღვავება შეინიშნება,  
მაგრამ აღორძინების ხანის წიგნში ხელით გამოყვანილი ასოების ანუ ხელნაწერის  
(ე.გ. ჰექსტის) და ნახატის (ე.გ. ილუსტრაციის) სტილისტური ერთიანობა ბეჭდვის  
ფერნიკის მეშვეობით მიიღება. ასახვის ილუზორული მეოთხის დამკვიდრებასთან  
ერთად წონასწორობა ჰექსტისა და ილუსტრაციას შორის თანდათან ირყვევა, ვინა-  
იდან ნახატების პლასტიკური წონადობა არღვევს ფურცლის სიბრტყის მოღიანობას.  
XVIII ს-დან წიგნის ილუსტრაციის ახალი აღორძინება იწყება, ოღონდ სხვა მხა-  
ტვრული მეოთხის საუკუნეებზე. თუ ადრე ნახატი ემორჩილებოდა ჰექსტის, მის თან-  
მხლებს წარმოადგენდა, ახლა ილუსტრაციამ დამორჩილა წიგნის სტრუქტურა.  
ზოგიერთი ილუსტრაციები გამოიყურება როგორც დამოუკიდებელი გრაფიკული  
სერიები. იქნება შთაბეჭდილება, რომ არა წიგნია ილუსტრირებული, არამედ ჰექ-  
სტი დამატებაა ილუსტრაციებისათვის. ამ ეპოქაში ხშირად წიგნში ჩაბეჭდილი  
გრავიურების წარმატება განაპირობებს წიგნის წარმატებას და არა მისი შინა-  
არსი. XIX საუკუნეც წინააღმდეგობებითაა აღსავსე: სტილებისა და გემოვნებათა  
სწრაფი ცვლილება, ხშირად ერთმანეთის გამომრიცხველ მიმღინარეობათა ეკლე-  
ქტური შეუთავსებლობა, უკვე ცნობილი ხერხების გამეორება და წიგნის გაფორმე-  
ბის ახალი ესოეტიკური შინაარსით გამდიდრება.

XX ს-ში მომხდარი ძირეული ცვლილებები შეეხო ხელოვნების ყველა დარგს  
და მათ შორის წიგნის გრაფიკასაც. კონკრეტულ-თხრობითი, ილუსტრატორული,  
ხშირად მოსაწყენი სურათების ნაცვლად, მხატვართა მიზანი გახდა მწერლის ნა-  
აზრევის თემაზე პირობით-მხატვრული სახვითი ხატების შექმნა. ასახვის პირობითი

მეთოდი თანხმულება წიგნის გრაფიკის ერთ - ერთ უცილობელ პირობას, მის სიბრტყობრივ - დეკორაციულ ბუნებას. ეს მეთოდი მხატვარს მეტი თავისუფლების შესაძლებლობას უქმნის ტექსტორი ურთიერთობაშიც, ვინაიდან მეტი განზოგადების (მეტი პირობითობის) უნარი აქვს.

ძალზე მოკლედ, ასე შეიძლება სხვადასხვა ეპოქაში ხელოვნების წინაშე მღგარი აღოცანების, წიგნის გრაფიკის ევოლუციის, მისი მხატვრული ხერხებისა და ასახვის მეთოდთა ცვალებალობის ურთიერთმიმართების დახასიათება.

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების ზოგადი პროცესის წარმოდგენა ასახვის მეთოდისადმი მხატვართა დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა და ნაკლებად არის შესწავლილი. ჩვენი მიზანია ამ მოვლენისათვის თვალის გაღევნება და წიგნის გრაფიკის სპეციფიკისა და ასახვის სისტემათა ურთიერთმიმართების განსაზღვრა კონკრეტული მასალის, კერძოდ, შექსპირის საისტორიო ქრონიკებისათვის შესრულებული ილუსტრაციების მაგალითზე. წინამდებარე ნაშრომის მიზანია ზურაბ ნიუარაძის, ლორეტა შენგელია - აბაშიძის, ოლესია თავაძის, ოლეგ ქოჩიაკიძის, ალექსანდრე სლოვინსკის და იური ჩიკვაძის ილუსტრაციების მხატვრულ - სტილისტური ანალიზის საფუძველზე მათთვის დამახასიათებელი ნიშნების წარმოჩენა, როგორც მშერლის ნააზრევის წაკითხვის, ასევე მისი შესატყვისი მხატვრული გამოსახვის ფორმალურ საშუალებათა შერჩევის თვალსაზრისით და ამ ილუსტრაციების აღგილის განსაზღვრა.

## თ ა ვ ი I

### ზურაბ ნიკარაძის დახატული შექსპირის სამყარო

#### §1. პენტი VI

საქართველოს სახალხო მხატვარი ზურაბ ნიკარაძე XX ს-ის ქართველ მხატვართა საშუალო თაობის ე.წ. "ორმოცდაათიანელთა" წარმომადგენელია. ამ თაობის მოღვაწეობა საეჭაპოა ქართული ხელოვნების ისტორიაში. ძალზე დიდია მისი წვლილი ქართული ფერწერის განვითარების ისტორიაში. 50-იანი წლების მეორე ნახევარში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ მხატვრებს იმთავითვე აერთიანებდათ საერთო პლატფორმა, საერთო მსოფლმხელველობა. ძირითადად ეს გამუღავნდა ფორმალურ ძიებებში. კერძოდ, ეს იყო ახალი, სპეციფიკურად სახვითი სამეცყველო ენის ძიება. ამით ისინი მკვეთრად დაუპირისპირდნენ მათი შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებამდე ქართულ სახვით ხელოვნებაში არსებულ მღგომარეობას. ამ პროცესის უზველი ბიძგი იყო ფოტალიტარული რეჟიმის სახელმწიფოში მომხდარი სოციალურ - პოლიტიკური ცვლილებები: შედარებითი თავისუფლების პირველი ფალა. მიუხედავად ცვლილებებისა მხატვრებს ძალზე მძიმე წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდათ ამ გზაზე. თავის პროტესტს საზოგადოებრივი წყობის მიმართ ისინი სწორედ მხატვრული ფორმის მეშვეობით გამოხატავდნენ. >

ზურაბ ნიკარაძე ორიგინალური, მისეული მხატვრული ფორმის შემოქმედია, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობის და მაღალი პროფესიული კულტურის მქონე მხატვარია. ზ.ნიკარაძე ძირითადად ფერმწერია. დაზგური ფერწერა მისოვის ერთგვარ ლაბორატორიას წარმოადგენს, სადაც იგი აწარმოებს ახალი მხატვრული ფორმის ძიებებს. მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ილუზორული, აკადემიური ფორმისაგან განთავისუფლებისა და XX ს-ის ხელოვნების მხატვრული მეტყველებისაკენ სწრაფვა, ანუ, არსებული სინამდვილის ილუზორული სახვითი გაღმოცემის ნაცვლად ლეტოლვა მძაფრი გამომსახველობისაკენ; გამოსახული საგნის ყველაზე სახასიათოს, არსებითის გადმოცემა მასალის და მხატვრული ხერხების

(ხაზი, სიბრტყე, უერადი ლაქა) "გაშიშვლებით" და სამყაროს მხატვრული ხატების შექმნა. ჭ.ნიუარაძის ფორმალური ძიებები მიმართულია სუფთა უერის კონტრასტული შეფარდებების, სიბრტყობრივი დეკორაციული კომპოზიციის და მეტყვალი ლაკონიური ნახატის შექმნისაკენ. ეს ნიშნები მხატვრის შემოქმედებაში თანაარსებობს აკადემიურ ნახატთან (იგულისხმება ნახატი, რომელიც ეყრდნობა მოცულობით ფორმებსა და სწორ პროპორციებს) და უმრავლეს შემთხვევაში კლასიკური ხელოვნების ნორმებით აგებულ კომპოზიციასთან. მის შემოქმედებაში აღინიშნება ერთგვარი გაორება ამ ორ მხარეს შორის, ზოგიერთ ნამუშევრებში შეინიშნება ილუზორული და პირობითი პროექციის ელემენტების შეუთავსებლობა. საუკეთესო ნიმუშებში კი, ეს კომპონენტები ერთ მხატვრულ მთლიანობადა თავმოყრილი, რის შედეგადაც იქმნება ახალი მხატვრული ფორმა.

ჭ.ნიუარაძე ძირითადად დაზგური ფერწერის ოსტატია, მაგრამ იგი მოღვაწეობს წიგნის გრაფიკაშიც. თავის საუკეთესო ნამუშევრებში მხატვარი უფრო ხშირად აგნებს ლიტერატურული ნაწარმოების შესატყვის სახვით ენას, ხატოვნად გაღმოსცემს მის ხასიათს, არსს, განწყობილებას. ოთარ ჭილაძის რომანის "ყოველმან ჩემთან მპოვნელმან" ილუსტრაციები ლიტერატურული ნაწარმოების ხატოვანი "აკომპანემენტია". მხატვარმა შექმნა ილუსტრაციების ორი, სრულიად განსხვავებული ხასიათის, სერია იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამებისათვის" (პირველი - საიუბილეო, მეორე რუსულ ენაზე გამოცემული წიგნისათვის). მან დაასურათა ფრანსუა რაბლეს "გარგანტიუა და პანტაგრუელი", არისტოფანეს "ფრინველები", სარტრის "სიცუვები" (ამ ორი უკანასკნელისათვის შესრულებულია მხოლოდ ყველი). მის მიერ დასურათებულ წიგნებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საბავშვო წიგნი. ბავშვური სამყარო, გამოგონილი თუ პაროდიული, ახლოა ზურაბ ნიუარაძის შემოქმედებით ბუნებასთან. ლუის კეროლის ზღაპრისათვის "აღისა საოცარ ქვეყანაში" შესრულებულია მსუბუქი, მხიარული, ხატოვანი სურათები.

ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის აზრით წიგნის სამყაროს ზურაბ ნიუარაძის შემოქმედებაში ყველაზე ნაკლებ დასრულებული (ნაკლებად მთლიანი) სახე აქვს [12]. ამას ალბათ განაპირობებს ის, რომ ჭ.ნიუარაძის მიერ შესრულებული ნახა-

ფეხის სერიები დაზგური ხასიათისაა. ეს უფრო ხშირად არა ილუსტრაციებია ამ სიჟურნალის პირდაპირი გაგებით, არამედ დამოუკიდებელი სერიებია ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების მოტივებზე. ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისას მხატვარი ზოგჯერ ძალზე თავისუფალია, მისი ინტერპრეტაცია სუბიექტურია. ზოგიერთი ილუსტრაცია ძალზე ზოგადია, მშერლის ნააზრევი მხატვრული ხატების მეშვეობითაა გადმოცემული. ზოგჯერ კი მის ილუსტრაციებს ზერელუ ილუსტრატორული ხასიათი აქვს.

4. ნიუარაძისთვის ილუსტრაციებზე მუშაობისას მთავარია ფურცლის მხატვრული გამომსახველობა. ისევე როგორც დაზგურ ნამუშევრებზე მუშაობისას, მისთვის მნიშვნელოვანია სახვითი ამოცანები, ოღონდ განსხვავება ისაა, რომ ამ შემთხვევაში სურათის თემა არ არის მხატვრის მიერ არჩეული, არამედ მისი სიუხატური ბიძგი ლიტერატურული ნაწარმოებია.

5. ნიუარაძეს ილუსტრირებული აქვს შექსპირის ორი ნაწარმოები, ორივე საისტორიო ქრონიკა: ტრილოგია "პენრი VI" და "რიჩარდ II". ნახატების სერია დრამისათვის "პენრი VI" შეიქმნა 1977 წელს. "პენრი VI" სამნაზილიანი პიესაა. მისი სამივე ნაწილი დამოუკიდებელი ნაწარმოებია (თითოეული 5 მოქმედებიანი პიესაა). ყოველი ნაწილისათვის მხატვარს უნდა შეექმნა 8 ნახატი (გამომცემლობის მოთხოვნისამებრ). 6. ნიუარაძემ ტრილოგია წაიკითხა როგორც ერთიანი ეპოპეა და შექმნა 24 ნახატისაგან შემდგარი გრაფიკული სერია (ტუში, გუაში).

"პენრი VI" პიესა ქრონიკაა, რომელიც ისტორიული მოვლენების დრამატული ინსცენირებას წარმოადგენს. შექსპირი თავისი დროის ისტორიკოსთა შრომებზე დაყრდნობით ხატავს პენრი VI - ის ხანის რთულ პოლიტიკურ სიფუაციას. "უანრული თვალსაზრისით პიესა განუსაზღვრელია. მისთვის მოქმედების ეპიკური წყობაა დამახასიათებელი" [13]. შექსპირისთვის ამ პიესაში მთავარი იყო მოქმედება დაეცვირთა მოვლენებით, რომლებიც კალეიდოსკოპური მრავალფეროვნებით ცვლიან ერთმანეთს [14]. 6. ნიუარაძე შექსპირის კვალდაკვალ უშუალოდ, სპონფანურად ხატავს. პიესის დასურათებაზე მუშაობისას მხატვარი მასში აღმოცენებულ ემოციას, ინტუიტურ ალლოს ეყრდნობა და თავისი ემოციები თავისუფლად გადააქვს ფუ-

რცლებზე. იგი არ ცდილობს პიესას "გასაღები" მოუძრნოს, კონცეფციური გადა-  
შემოგვთავაზოს. ზ.ნიუარაძე ნაკლებ ყურადღებას აქცევს საილუსტრაციო  
მომენტის არჩევას. მართალია, მის მიერ დახატულ ზოგიერთ ფურცლებზე ნა-  
დარმოების საკვანძო მომენტებია ილუსტრირებული, ეს ბუნებრივია, მხატვარი  
მთერლის ჩანაფიქრის ადეკვატურია გადმოგვცემს პიესაში მიმღინარე მოვლენებს,  
მაგრამ ილუსტრაციების უმრავლესობა ზ.ნიუარაძის სუბიექტური ემოციითაა მონა-  
ბერი. ხშირია აქცენტების ინდივიდუალური გადაადგილებაც: მხატვარს იჭაცებს ის,  
რაც ნაკლებადაა გამოკვეთილი პიესაში და პირიქით. იგი ხშირად იმეორებს გასუ-  
ლი საუკუნეების შექსპირის ილუსრტატორთა მიერ არაერთხელ დახატულ სცენებს,  
ოღონდ შესრულებისას მათ სრულ ფრანსფორმაციას ახდენს და ამიჭომ ისინი ახალ  
მხატვრულ ელერაფობას იძენენ.

ზ.ნიუარაძის მიერ ფრილოგიისათვის შექმნილი გრაფიკული სერია შეიძლება  
დავყოთ ორ ჯგუფად: პორტრეტებად და ფიგურულ კომპოზიციებად. პიესის პერსო-  
ნაჟთა პორტრეტების დახატვით მხატვარი შექსპირის ხასიათების მოელ გალერეას  
წარმოგვიდგენს. ფიგურული კომპოზიციები კი მოქმედებით აღსავს ქრონიკის დრა-  
მატულ პერიოდებს გადმოგვცემს. ზიგჯერ შეწყვილებული ან ჯგუფური პორტრე-  
ტები ფესტივის შესატყვისი მომენტის კონკრეტულ სიფუაციასაც ასახავს და პირიქით,  
კონკრეტული სცენის ამსახველი ზოგიერთი სურათი იმდენად გამომსახველია, რომ  
პერსონაჟის ხასიათიც მკაფიოდაა გამოვლენილი. თავის მხრივ კი, ფიგურული კო-  
მპოზიციები ხასიათის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. ყოველ ჯგუფში  
საისტორიო ქრონიკებისათვის ზოგადად დამახასიათებელი რომელიმე წახნაგია  
წარმოჩენილი.

ზ.ნიუარაძის ილუსტრაციების სერიას ამ პიესისათვის ერთიანი სტილისტური  
მიზგომა არ ახასიათებს. თუმცა, მოლიანობაში, ეს რა თქმა უნდა ერთი მხატვრის  
ინდივიდუალური ხელწერაა, რომელშიც ერთიანი მხატვრული მეთოდი იყიდხება.  
ილუსტრაციებში სტილისტურად ერთიანი რამდენიმე ჯგუფი შეიძლება გამოვყოთ.  
შესრულების მანერით ყველაზე უფრო ერთგვაროვანია ნახატების ჯგუფი, რომელ-  
გადაც პიესის მოქმედ გმირთა პორტრეტებია გამოსახული. მათ შორისაა თავად

უილიამ შექსპირის პორტრეტიც. ჸ. ნიუარაძე პორტრეტის ოსტატია. მის მიერ შექმნილია თანამედროვეთა პორტრეტების მფელი გალერეა, რომელიც გამომსახველობით გამოირჩევა. უშუალოდ ცოცხალი ნაფურიდან დაწერილი პორტრეტებისაგან განსხვავებით იღუსტრაციებში მხატვრის მიერ შექმნილი პლასტიკური სახეები ლიტერატურული პირველწყაროს აღექვატური უნდა იყოს. ზ. ნიუარაძემ "პენრი VI"-ის გმირთა განზოგადოებული მხატვრული სახეები შექმნა. მის მიერ დახატულ პორტრეტებს არ გააჩნია კონკრეტული პორტრეტული ნიშნები. ეს შექსპირის პერსონაჟთა ზოგად პირობითი, თუმცა კონკრეტულად საცნობი მხატვრული სახეებია. მხატვრის ყურადღება გამახვილებულია მათი ხასიათის ერთი რომელიმე თვისების გამოვლენაზე. მაგალითად, შექსპირი - მეოცნებე პოეტი, ლირიკოსი; მეფე პენრი VI - უხერხემლო მონარქი, სუსტი ხასიათის პიროვნება; ლორდი ტოლბოტი - გმირი მეომარი, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი; რიჩარდ გლოსტერი (მომავალი რიჩარდ III) - ძალაუფლების მოყვარული გულზეიაღი ფეოდალი; დედოფალი მარგარეტი ყმაწვილქალობაში. მხატვარმა დაგვიხატა მარგარეტი ჯერ გათხოვებამდე (პიესის მსვლელობის განმავლობაში ეს ქალბატონი მრავალჯერ გარდაიქმნება და კარგავს იმ თვისებებს, როგორადაც იგი ფრილოგიის დასაწყისში წარმოგვიდგება). ზ. ნიუარაძის მიერ შექმნილი დედოფალი ახალგაზრდა ნაზი არსებაა, თუმცა ეს არ არის ამ გმირის დრამატურგიული სახის ზოგადი მახასიათებელი, განსხვავებით მეფის, ტოლბოტის და გლოსტერის პორტრეტებისაგან. ალსანიშნავია, რომ პერსონაჟთა ხასიათის თითქმის ერთ მნიშვნელობამდე დაყვანილი განზოგადება დრამატურგის მიერ არის ნაკარნახევი, რაღანაც შემოქმედების ამ აღრეულ ეტაპზე "ხასიათების გახსნის ოსტატობა, რომელიც ასე ნიშანდობლივია გვიანი შექსპირისათვის აქ ჯერ პრიმიტიულ სტადიაზეა". [13] ზ. ნიუარაძემ შექმნა პიესის პერსონაჟთა ზუსტი, გამომსახველი თუმცა უკიდურესად განზოგადოებული მხატვრული სახეები, რომელიც ეფუძნება მის ლიტერატურულ პირველსახეს.

პორტრეტები მკერდს ზემოთაა გამოსახული. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია სახეზე. ფონი ნეიტრალურია. ფიგურა ფრონტალურად არის გაშლილი (მაშინაც კი, როდესაც მხრები რაკურსშია გამოსახული) და მოლიანად ავსებს სასურათო არეს.

ნახაფები თითქმის აქრომატულია. შავი ფუშით შესრულებული ნახაფი მსუბუქადაა შეცერილი მკრთალი გამჯვირვალე ფერადი ლაქებით. პორტრეტების გადაწყვეტა ხაზოვან - სიბრტყობრივია (გამოწაკლისია შექსპირის პორტრეტი). ილუსტრაციების ამ ჯგუფში ასახვის სიბრტყობრივი მეთოდის ელემენტი აშკარად სჭარბობს, თუმცა სწორი პროპორციები და ილუზორული პროექციის ისეთი ელემენტები, როგორიცაა მხრების რაკურსში დახატვა (მართალია ძალის პირობითად) და ზოგან ფორმის მოცულობის ჩვენება აშკარად მიგვანიშნებს ასახვის ორივე პროექციის თანაარსებობაზე. >

შექსპირის თხზულებათა სრული კრებულის პირველი ფომი დრამატურგის პორტრეტით იწყება /ტაბ.1/. აქ შარმოღენილი შექსპირი ოდნავ წააგავს მის იკონოგრაფიკულ ფის. ინგლისელი დრამატურგის ჰრალდიცულად მკაცრი რეპრეზენტატიული გამოსახულებისაგან განსხვავებით, ზ.ნიუარაძის მიერ შექმნილი შექსპირის სახე საჭა და კეთილშობილია. სურათი თითქმის მონოქრომულია. ერთადერთი ქრომატული ფერია მოცისფრო იასამნისფერი. ამგვარი ფერადოვანი თავშეკავებულობა პორტრეტს კეთილშობილიერას სძენს. <ფერადი ლაქებით დაფარული და დაუფარავად დატოვებული თეორი ფურცლის ზეღაპირის ნაწილები, მათ შორის კი, ფერადოვანი გარდამავალი სიძლიერის ლაქა, ე.ი. ამ ლაქებით აღნიშნული ჩრდილი, სინათლე და ნახევარჩრდილი - ეს სამი კომპონენტია, რომელთა განაწილება სიბრტყეზე არა მხოლოდ ობიექტის გამოსახვის საშუალებას წარმოადგენს, არამედ აგრეთვე გასაზღვრავს კომპოზიციის რთულ რიტმულ წყობას. ერთი ფორმილან მეორეზე რბილი გადასვლები, ლაქებად "დაღვრილი" ჩრდილები პორტრეტირებულის გამომეტყველებას სითბოსა და სირბილეს სძენს. ზ.ნიუარაძის მიერ შექმნილ პორტრეტზე შექსპირი კეთილი მეზღაპრე და დიდი მეოცნებეა, სევდიანი და ჭკვიანი თვალებით და ოდნავ ირონიული ღიმილით. >ასეთად წარმოუდგენია მხატვარს შესანიშნავი მეტკვიდრეობის ავტორი, რომლის უფყუარი პორტრეტის, ბიოგრაფიისა და შემოქმედების ირგვლივ, დღესაც გრძელდება შექსპიროლოგთა გაცხოველებული კამათი.

< შექსპირის პორტრეტის შემდეგ კი, მკითხველის შინაშე შექსპირის გამოგონილი სამყარო იშლება; სიცოცხლესავით მდიდარი, უსასრულოდ ამოუწურავი, სიკეთითა

და ბოროტებით, მშვენიერებითა და სიმახინჯით აღსავსე. >

საისტორიო დრამა "პენრი VI" თუმცა მეფის სახელს ატარებს, მაგრამ იგი არ არის მისი მთავარი გმირი. პიესაში საერთოდ არ არის გმირი, რომელის ირგვლივაც აიგებოდა მთელი მოქმედება. მეუე პიესის მხოლოდ მესამე მოქმედებაში ჩნდება. "მეუე ამ პიესაში მეტისმეტად აბსურაქტული ხასიათია" [13]. "რბილი საწოლი-ვით სახეცვალებადი" [15] ამბობს შექსპირი თავისი გმირის შესახებ და სწორებ ამ სიტყვებს მოგვაგონებს %. ნიუარაძის მიერ შექმნილი პორტრეტი /ფაბ.2/. მის მიერ დახატული მეუე უსახოა, მეუურ დიდებულებაზე მხოლოდ გვირგვინი მიგვანიშნებს. მაგრამ თუ გულასმით დავაკვირდებით ამ განყენებულ სახეს, შესაძლოა მასში ზოგი დამახასიათებელი თვისებაც ამოვიკითხოთ: სისუსტე, უნებისყობა, ოდნავ სევდიანი სიბრიყვეც. ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშეა "გვირგინოსანი არარაობა" [13]. % ნიუარაძის დახატულ სურათზე შტრიხებსა და ხვეულებში იკარგება მთავარი: მეუის სახე. ხაზები თითქოს შთანთქავენ გამოსახულს. მკაფიო მონახაზი არ აქვს ფურიებს, ცხვირს, რომელის ბოლო სადღაც ხვეულებში იკარგება. წვერი შეუმჩნეველად გაღალის კისერში, თმა ბუნდოვნად მოხაზავს ყვირმალს. სახეზე მკაფიოდ იკითხება მხოლოდ თვალები, დანარჩენი კი, თითქოს წვერშია ალრეული. ბოლომდე გამოუკვეთავი, საერთოში "დაკარგული" მთავარი, განგებ "მოუშესრიგებელი", "ნივილირებული" ნახატი - ყოველივე ეს ხელს უწყობს თითქოს უსახო, სუსტი, უნებისყოფი მეუის ხასიათის გადმოცემას. ფუშითა და კალმით შესრულებული ნახატის ქვეშ, აქა-იქ ხშირად გამოსჭვივის მკრთალი ვარდისფერი, იასა-მნისფერი, ცისფერი მცირე ზომის ლაქები. სუსტი ფერალოვანი "ბუუტვაც" წაშლილი, უსახური გაბნეულობის შთაბეჭდილების შექმნას ემსახურება. ამგვარად, %. ნიუარაძე არაფერს უმატებს პიესაში დახატულ მეუეს. მხატვრის მიერ შექმნილი ვიზუალური ხატიც, ისეთივე ბოლომდე გამოუკვეთავი რჩება, როგორც შექსპირის მიერ დახატული პერსონაჟი.

პიესის პირველ ნაწილში სხვა გმირთა შორის აშკარად გამოირჩევა სახელ-განთქმული ლორდი ფოლბონტი. "ფოლბონტი უშიშარი რაინდია, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო. იგი გმირობას არ იშურვებს მისი სახელის განსაღილებლად.

ტოლბოტის ხასიათის თვისება თავისი განუყოფელობის შეგრძნება საკუთარი ხალ-  
ხისაგან ანათესავებს მას ძველი ეპიკური პოემების გმირებთან... ტოლბოტი ინ-  
ვილუალიზმისა და ეგოიზმის უარყოფის განსახიერებაა" [13].

ილუსტრაციაზე წარმოდგენილია მუზარადიანი მეომრის პროფილი /ჰაბ. 3/.  
აზეული ზარალი ფარავს შუბლს და ნაწილობრივ თვალს. სურათზე გადმოცე-  
მულია მეომრის ამაყი, ძლიერი ხასიათი. მჭკიცე ნებისყოფის ამსახველი მსხვილი  
ნიკაპი ბაზისუბრივი ჯავშნით არის დაფარული, ისევე როგორც კისერი და სამ მეოთ-  
ხელში შემობრუნებული მხრები. მკაფიოდაა გამოკვეთილი მეომრის დიდი, კეხიანი  
ცხვირი, ყვირმალები და პირის ვიწრო ზოლი. გამოსახულება გარშემოწერილია  
შავი ფუშის კონტურით. ფორმის შიდა დამანაწევრებელი შავი ხაზი, რომელსაც  
ნერვიული, მუქი ურთიერთგადამკვეთი შეტრიხები უფრო ინტენსიურს ხდის, განსა-  
კუთრებით ღრმად არის ჩაჭრილი ნიკაპთან, კეხიან ცხვირზე, ყვრიმალებქვეშ და  
მხრებზე. ამ ძლიერი, ენერგიული, მსხვილი კონტურითაა გადმოცემული ტოლბოტის  
ხასიათის თვისებები: ძლიერი ნებისყოფა და სიმჭკიცე. კონტურით ერთიანად შე-  
კრული და კომპაქტური გამოსახულება სიმკვრივის, მღგრალობის შთაბეჭდილებას  
ქმნის. ზ.ნიუარაძის მიერ დახატული ლორდი ტოლბოტი - ზოგადად მეომარია, მას  
არც ერთი კონკრეტული პორტრეტული ნიშანი არ გააჩნია. ეს არის მეომარი,  
რომლისთვისაც ომი მისი არსებაა. მას ძლიერი ხასიათი, ურყევი ნება და შეუძრე-  
კელი მამაცობა ახასიათებს. სწორედ ასეთია მისი ლიტერატურული პირველსახეც  
"ინგლისელთა სიამაყე ფრანგების რისხვა, გმირი ტოლბოტი". [13]

ეპოპეის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან ზ.ნიუარაძეს განსაკუთრებული ყუ-  
რადლება კიდევ ერთმა მიიღებული. ეს რიჩარდ გლოსტერია /ჰაბ. 4/. პიესის მთელი  
მსვლელობის მანძილზე, ის არც თუ ისე მნიშვნელოვანი პირია. იგი მხოლოდ მეორე  
ნაწილში ჩნდება. მართალია, ტრილოგიის ფინალში მაყურებლის წინაშე მთელი  
მისი შინაგანი სამყარო იხსნება. ზ.ნიუარაძეს მისი პორტრეტის შექმნისაკენ არა  
მხოლოდ იმან უბიძგა, რომ იგი მეუე პენტი VI-ის მკვდელია ამ პიესაში, არამედ  
უმეტესად იმან, რომ იგი მომავალი რიჩარდ მესამეა. ცნობილია, რომ სინამდვილეში  
რიჩარდი არ გამოიწეოდა განსაკუთრებული სისასტიკითა და ორპირობით, რომ

მისი ლტოლვა ფახტისაკენ და ამისათვის გამოყენებული საშუალებანი, საგანგებოდ არ განსხვავდებოდა იმ პერიოდის ინგლისის სხვა პოლიტიკოსთა ქცევისაგან. არც მხატვრები და არც ისტორიკოსები მას განსაკუთრებულად მახინჯ აღამიანად არ ხატავენ. ყველა ეს სულიერი თუ ფიზიკური თვისება რიჩარდს მის შესახებ არსებულმა ლეგენდამ მიაწერა, რომელიც ძირითადად ჭიულორების დინასტიის შემქმნელის პენრი VII მამებელ უამოალმწერთა მიერ იყო შეთხზული. მაგრამ მითი რიჩარდის შესახებ ისტორიულ სინამდვილეზე ძლიერი აღმოჩნდა. >რიჩარდ გლოსტერი მაინც კაცის მკვლელად და სისხლიან ჭირანად შემორჩია კაცობრიობის ცნობიერებას. [14] შექსპირმა თავისი პიესის გმირად არა ისტორიული, არამედ მითიური რიჩარდი გახადა. ჰ.ნიუარაძე შექსპირის პიესის გმირის პორტრეტს გვიხატავს. მხატვრისათვის უთუოდ ცნობილია ლონდონის ნაციონალურ გალერეაში დაცული რიჩარდ გლოსტერის ისტორიული პორტრეტი. მასზე გამოსახული ახალგაზრდა კაცი არც კუზიანია და არც მახინჯი. ჰ.ნიუარაძის მიერ შექმნილ სახეს არავითარი მსგავსება არ ახასიათებს ამ პორტრეტთან. მხატვარმა მისგან მხოლოდ ერთი დატალი ისესხა - ქუდი, მასზე დამაგრებული სამყაულით - ძვირფასი ქვებისაგან გაკეთებული ჯვრით. ეს მცირე დატალი მხოლოდ იმიტომ იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ მხოლოდ მისი მეშვეობითაა შესაძლებელი იმის დაღენა რომ ჰ.ნიუარაძის მიერ შექმნილ გრაფიკულ ფურცელზე გამოსახული დიდებული სწორედ რიჩარდ გლოსტერია. ამ სამყაულით მორთულ ქუდს რიჩარდ გლოსტერის დახატვისას სხვა მხატვრებიც გამოსახავენ, მაგ. ცნობილი ინგლისელი ილუსტრატორი სერ ჯონ ჯილბერტი. მხოლოდ ამ ერთადერთი დატალის მეშვეობითაა შესაძლებელი პორტრეტირებულის ვინაობის დაღენა, ყველა დანარჩენი ნიშნით ეს შეიძლება ფრილოგის რომელიმე სხვა ლორდის პორტრეტიც ყოფილიყო. პიესაში ჭარბად არიან შარმოდგენილი ძალაუფლებისათვის მებრძოლი თავგასული გულზებიალი ფეოდალები. სწორედ ასეთი ავისმზრახველი და ცბიერი ფეოდალის ზოგადი სახე შექმნა ჰ.ნიუარაძემ. ახლოს განლაგებული თვალები, მოკაკული, მოსრილი შარბების ხაზი და თვალის გუგების ზედა მარცხენა კუთხეში განლაგება, მოკლე ზედა ჭური და ძალოვანი ნიჟაპი. ვიწრო, პატარა პირის ჭრილი ორივე მხრიდან

რკალისებრ მოხაზული ნაოჭის ხაზით; თმა, რომლის მონახაზიც იმეორებს ნაოჭის ფორმას და კეხიანი ცხვირი, - ასეთი პორტრეტული ნიშნებით გვიხატავს მხატვარი რიჩარდ გლოსტერის უკეთურ სახეს.

< პორტრეტის კომპოზიციური აგება დინამიკურია, რიჩარდი თავით სურათის მარცხენა კიდისკენაა შემობრუნებული, მხრებს კი პორტონტალური მიმართულება აქვთ. მრგვალი (სახის ოვალი, თმის რკალები) და მართკუთხა (ქული, მკერდზე ჩასაცმლის ნაოჭის აღმინიშვნელი მონახაზი) პორტონტალურად განლაგებული ფორმების მონაცემება ერთგვარ "ცხოველზაფულ" ეფექტს ქმნის და გრაფიკული ენით პიროვნების ძალისა და ქმედითი ენერგიის გადმოცემას ემსახურება. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს შუქჩრდილებული. ფორმა მოდელირებულია არა მხოლოდ ლაქის მეშვეობით, არამედ ამაში შეფრინდიც და ხაზიც მონაწილეობს. ლაქისა და სუფთა ფურცლის ურთიერთობა განზრახ არათანაბარია. შუქჩრდილის ხშირი მონაცემება კონცენტრირებულია სახეზე. სურათის კიდისაკენ კი მათი მონაცემება შენელებულია, თითქოს უფრო "განზავებული", ამასთან ლაქათა ზომაა გაზრდილი. პორტრეტში ხაზი ქმედითი სახვითი ელემენტია. თუმცა კონტური არ არის მოლიანი, იგი აღაგალაგ წყლება და ჩრდილის ლაქებში იკარგება. გამოსახულება მკვეთრად არ გამოეყოფა ფონს. კალმით გავლებულ ჰუშის ხაზს ხშირად ფუნჯით გაკეთებული ფერადი ხაზი იმეორებს. ყოველივე ეს ამცირებს გამოსახულების სიმკვეთრეს და ერთგვარ "ბაროკალურ" დინამიკურობას აძლიერებს.> მომწვანო, მონაცრისფრო ფერით შესრულებულ, თითქმის აქრომატულ სურათზე პორტრეტირებულის მხარზე, გულზე და ქულზე დადებულ მკრთალი წითელი ლაქები ფერად აქცენტებად იკითხება, ამასთან, ფირანის პორტრეტში ისინი სისხლის ლაქების სიმბოლურ მნიშვნელობას იძენენ.

< შემდეგ ილუსტრაციაზე მხატვარს დახატული აქვს პატივმოყვარე და ძალაუფლების მოტირფიალე დედოფალი მარგარეტი ყმაწვილქალობაში /ტაბ.5/. იგი უგვირგვინოდაა გამოსახული, რაც მიანიშნებს, რომ იგი ჯერ არ არის ინგლისის დედოფალი. პიესაში, ამ ზროს, იგი ნაზ, ქალურ არსებადაა წარმოდგენილი. მისი ხასიათის სხვა თვისებები ჯერ არაა გამოვლენილი. პორტრეტის კომპოზიციური

აგების მკაცრი არქიტექტონიკა სიმშვილის შთაბეჭდილებას ქმნის. გამოსახულება მკაფიო სილუეტით მკვეთრად გამოეყოფა თავისუფლად დაწერილ ფონს, რომელზე-დაც თითქოს "დალვრილი" ტიპელი და რუხი ფერები გარდაისახება და ზიგზაგი-ბად შორს მიმავალ გზებს მოგვაგონებს. მკაცრი გეომეტრიული ფორმების სიზუსტით აწყობილი გამოსახულება უპირისპირდება ცხოველზაფულად შესრულებულ ფონს. მაგრამ ფურცელი მხატვრულად გაერთიანებულია, რაც უპირველესად კომპოზიციური აგებით ანუ ფორმებისა და ლაქების სიბრტყეზე მოწესრიგებული განაწილებითაა მიღწეული. ჭ. ნიუარაძის პორტრეტზე მარგარეტი ჯერ "გამოუმოლავნებელია", მისი სახე განზრახ ბუნდოვანია, ისევე როგორც ეს შექსპირთანაა პიესის პირველ ნაწილში. ამის მეტს პორტრეტი თითქმის არაფერს გვეუბნება დედოფლის შესახებ. >

პორტრეტების ეს ჯგუფი ერთგვაროვანი სტილისტური ნიშნებით ხასიათდება. ლაკონიური, თითქმის მონოქრომიული გრაფიკული ფურცლების შექმნაში გამოყენებულია სახვით საშუალებათა ვიწრო დიაპაზონი, მაგრამ მათი ოსტატური ვარირებით იქმნება შექსპირის პიესაში დახატულ გმირთა შესატყვისი გრაფიკული სახეები. >

ილუსტრაციების იმ ნაწილს, რომელზედაც ორ-ორი პერსონაჟია დახატული პირობითად შეიძლება შეზყვილებული პორტრეტი ვუწოდოთ. ამგვარ ფურცლებზე პერსონაჟთა ხასიათების და პიესის გმირების ურთიერთმიმართების გაღმოცემასთან ერთად მხატვარი პიესის კონკრეტულ მოქმედებას გვიხატავს. ზოგიერთ მათგანზე, დროში განვითარებული მოქმედების (რომელიც ზოგჯერ მოელი სურათის მანძილზე გრძელდება) ზოგადი შინაარსია გაღმოცემული, ან დახატულია გმირთა ურთიერთობის კრებითი სურათი. სერიაში ამგვარია ოთხი ილუსტრაცია: "მარგარეტი და პენრი VI", "ფოლბოჭი და ოვერნის გრაფის მეუღლე", "გლოსტერი და ბოლორჭი", "სიმპოვისი და მის ცოლი". ორი ფურცელი ("მარგარეტი და პენრი VI", და "სიმპოვისი და მის ცოლი") მეუღლეთა წარდგენითი პორტრეტებია, რომლებიც გმირთა ხასიათებს გვიხატავს. ორი დანარჩენი კი კონკრეტულ პირთა ურთიერთობისა და პიესაში გაბატონებული მძაფრი კონფლიქტური სიტუაციის განზოგადებული სურათებია. ასეთი ილუსტრაცია მხატვარს შესაძლებლობას აძლევს თავი აარიდოს და-

პირისპირების ამსახველი, მრავალი კონკრეტული ფაქტის დაწვრილებით დახატვას და პიესაში აღწერილი შუღლისა და დაძაბულობის საერთო აჭმოსფეროს განზოგა-  
ლებული ხასიათის სურათი შექმნას. >

"მარგარეტი და პენრი VI" - ამ ფურცელზე მეუე პენრისა და მომავალი დედო-  
ფლის პირველი შეხვედრაა დახატული /ტაბ.6/. მარგარეტი უგვირგვინოდაა წარ-  
მოდგენილი. მეუე პენრი მას ნიშნობის ბეჭედს უკეთებს ხელზე. ეს ილუსტრაცია  
მოქმედების კრებითი სახეა. საფრანგეთიდან საფოკის მიერ ჩამოყვანილი მარგარე-  
ტის წარდგენა მეუისა და სამეფო კარის წინაშე ერთდროულად ხდება. ეს პიესაში  
მოცელი სურათის მანძილზე გრძელდება. მხატვარმა კი ნეუე-დელფინული კარის დი-  
დებულთა თანხლების გარეშე დახატა და მათი მუხლისზემოთ წარმოდგენილი ფიგუ-  
რები სამეფო დარბაზის ნაცვლად, სფილიზებული მცენარეებით დაფარულ ფონზე  
გამოსახა. პიესაში ყურადღება გამახვილებულია ამ აქტით გამოწვეულ სახელმწი-  
ფო - ჰოლიჭიკურ სიჭუაციაზე. მხატვარმა კი აქცენტი გმირთა ურთიერთობის ლი-  
რიზმზე გადაიჭანა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფურცელი მხატვრულად ნაკლებ  
გამომსახველია. კომპოზიციას არ გააჩნია მკაფიო სახვითი სტრუქტურა, თუმცა  
მარგარეტის თავი ოსტატურადაა დახატული. მასში მოკრძალება, ლირიზმი იგრძნო-  
ბა, მაგრამ ამ დეტალმა ფურცელის სიბრტყეზე ზუსტად მიჩნეული კომპოზიციური  
ადგილი ვერ "ნახა", დაირღვა მოცელისა და დეტალის ურთიერთდამოკიდებულება,  
ამიჭომ დეტალის გამომსახველობის ძალაც შემცირდა. ეს ფურცელი სიღრმისეულად  
არაფრის მოქმედია პიესის შესახებ და ამის ძირითადი მიზეზი გრაფიკული ფურ-  
ცელის დაბალი მხატვრული ღირებულებაა. მას არც ჟესტთან აქვს ლრმა კავშირი.  
იგი "მოგონილი" ზერებულე, თხრობითი, ილუსტრაციული ხასიათისაა.

"ჰოლბოტი და ოვერნის გრაფის მეუღლე" კრებითი ხასიათის ილუსტრაციაა /ტაბ.7/. მხატვარმა იმგვარად დაგვიხატა ქალისა და მამაკაცის სახეები, რომ შე-  
ძლო გადმოეცა პიესაში მოცელი სურათის მანძილზე მიმღინარე მოქმედების ძირითადი  
სიუჟეტური არსი. მოვლენათა საერთო ჯაჭვიდან მხატვარმა ქალის და მამაკაცის  
ურთიერთსაპირისპიროდ მიმართული პროფილი "ამოილო". ყველაფერი დანარჩენი  
გამოსახულთა სხეულისა და თავის ნაწილების ჩათვლით სურათის ჩარჩოს მიღმა

დარჩია. ნახაფში არ არის არც ერთი დატალი, რომელიც გმირთა ვინაობაზე მიგვა-  
ნიშნებს, მაყურებელი კი იმთავითვე იცნობს გამოსახულ პერსონაჟებს. მხაფვრის ყუ-  
რადლება გამახვილებულია თეთრი ფურცლის სიბრტყეზე ერთმანეთის საპირისპიროდ  
მიმართულ შავი კონტურით მოხაზულ ორ პროფილზე, რომელიც ოთხივე მხრიდან  
მოჩარჩოებულია ფერადი ლაქებით დაფარულ ფონზე გამოსახული თმის კლაკნილე-  
ბით, თავსამკაულის ხვეულებითა და ჭანსაცმლის აღმნიშვნელი პარალელური ვერ-  
ტიკალური ხაზებით. ამგვარი გადაწყვეტა ერთის მხრივ კრავს კომპოზიციას, მეორეს  
მხრივ - მახვილს უსვამს მთავარს: სახეებს. ორ პროფილს შორის არსებული პაუზა -  
თეთრი ფურცელი - დაძაბულობის გრძნობას ბალებს. თეთრად დატოვებული ფურ-  
ცლის სიბრტყე კომპოზიციაში ისეთსავე მონაზილეობას იღებს, როგორც ხაზი. იგი  
სრულუფლებიანი სახვითი ელემენტია. მიუხედავად ცენტრული აგებისა, სურათის  
კომპოზიციური მოწესრიგება მოკლებულია სიმკაცრეს, იგი თავისუფალია. სურათის  
ცენტრი არ ემოხვევა ფურცლის ცენტრს, ქალის ფიგურა ფურცლის ორ მესამედს იკა-  
ვებს, კაცისა კი მხოლოდ ერთს. გრაფის მეუღლის ფიგურა ოდნავ დახრილია ჭოლ-  
ბოჭისაკენ, მისი სახის ნაკვთები (წაწვეტებული ცხვირის და ნიკაპის მიმართულება)  
და გამომეტყველება დაფარულ აგრესიას გადმოსცემს. ამ შთაბეჭდილებას გარკვე-  
ულად მისი ჩაცმულობის ინტენსიური წითელი ფერიც აძლიერებს. კაცის პროფილის  
მიმართულება მკაცრად ვერტიკალურია, თითქოს აღმართული კაბელია. ხელის ერთი  
მოსმით მოხაზული პროფილები გამომსახველია. ხაზი ცოცხალია და მეტყველი. ფუ-  
რცლის სითეთრისა და ხაზის რიცმული მონაცვლეობით იქმნება სურათის მხაფვრუ-  
ლი მოლიანობა. სურათის მხაფვრული მობილიზაცია ხაზთა განმეორებადი რიცმის  
მეშვეობით ხდება. ხაზების მღინარება ერთი ფორმიდან მეორეზე გადადის, საღლაც  
წყლება, შავი ხაზი ფერადით იცვლება, ერთი მეორეს ენაცვლება, ხვაულების და  
წრიულების ფორმას იღებს და კვლავ მეორდება. ნაჭიფი, დენადი ხაზი პროფილების  
მოხაზვისას მკაცრი და ლაკონიურია, ხოლო თმის, თავსამკაულისა და ჭანისამოსის  
ნახაფში თავისთავად დეკორაციულობას იძენს. ასე, რამდენიმე შეტრიბის ოსტატური  
მონახაზით შეიქმნა გამომსახველი ნახაფი, რომელზედაც ლაკონიურად და ზუსტად  
არის გადმოცემული პიესის ერთ-ერთი საინტერესო მომენტი.

ალსანიშვილია, რომ ზ. ნიუარაძის დახატული ფოლბოჭის ორ პორტრეტს შორის არ არის გარეგნული მსგავსება. ეს ერთგვარი "დაუღევობაც" შექსპირისას პგავს, დრამატურგი პიესაში ხშირად ერთი პირის ნათევაში მეორეს მიაწერს და სხვა ამგვარი დეტალები "ეშლება" ან ავიშყდება. როგორც ჩანს, დრამატურგის მსგავსად მხატვრისთვისაც სხვა ლოგიკაა მთავარი.

< ზ. ნიუარაძის მიერ დახატულ ფოლბოჭისა და ოვერნის გრაფის მეუღლის პორტრეტზე ქალისა და მამაკაცის ოდნავ შესამჩნევი (დაფარული) გრძნობაზე დამოკიდებულება გამოსჯვივის. ეს შახნაგი მხატვრის თავისუფალი ვარიაციაა. ამ ილუსტრაციის ხასიათის საფუძველია ზ. ნიუარაძისათვის დამახასიათებელი მსუბუქი, სახუმიარო განშეყობილება. შექსპირთან ამ სცენაში ერთმანეთს უპირისპირდება ქალის ლვარძლი, ცბიერება და მამაკაცის ურყევი ძალა. ზ. ნიუარაძის ილუსტრაცია ასახულია ეს დაპირისპირება, მაგრამ იგი განზავებულია (შერბილებულია) ქალისა და მამაკაცის გრძნობაზე ურთიერთობის ბერებით. ამდენად, კონფლიქტს ილუსტრაციაზე ერთგვარად თამაშის პირობითი ხასიათი აქვს. > ამ შთაბეჭდილების შექმნას ემსახურება ლაკონიური მხატვრული ფორმა: მეტყველი გამომსახველი ნახაფი და ოსტატურად აგებული კომპოზიცია. ამ სურათზე გაღმოცემულია არა კონკრეტულ გმირთა ურთიერთობა, არამედ შექმნილია პიესაში აღწერილი მოქმედების ზოგადი მხატვრული ხატი.

შემდეგ ილუსტრაციაზე დახატულია ძალაუფლებისათვის მებრძოლი ორი გულ-ზვიადი ფეოდალის სახე /ტაბ. 8/. ეს ორი დიდგვაროვანი - ხელმწიფის ბიძა ლორდ პროტექტორი პამური გლოსტერი და მეფის დიდი ბიძა ბოულტი, უინგესტერის ეპისკოპოსი (შემდგომში კარლინალი) მონარქი პიესის მანძილზე ერთმანეთს ძალაუფლებისათვის ექიშეპებიან. ეს ორი სამტროდ მიმართული თავი ზოგადად გვიხატავს ძალაუფლების მოყვარულ ფეოდალთა გაუთავებელ ქიშპობას და მტრობას. < გლოსტერის არწივისებრი თავი ჯიქურ მიმართულია ცბიერი, გაიძვერა კარლინალის ფრონტალურად გამოსახული ფერმკრთალი სახისაკენ. ქალალის თეთრ სიბრტყეზე აპლიკაციასავით "დაკრული" ორი თავი, რომელთაგან პროფილში მოცემული (გლოსტერის თავი) ფოტონეგატივს, ხოლო ფასში გამოსახული (ბოჭორტისა) - ნილაბს

მოგვაგონებს. ფიგურები თოხივე მხრიდან ჩამოჭრილია ჩარჩოთი. კომპოზიცია "ფრა-გმენტული" კაფის პრინციპზეა აგებული. გლოსტერის მუქი, თითქმის შავი ფეხილი სილუეტი განსაკუთრებით მკვეთრად იყითხება თეორი ფურცლის ფონზე. ძალზე პირობითად მოდელირებული და მეტყველი ნახატით გამოკვეთილი მუქი პროფილის სახასიათო მონახაზი მეტად შთამბეჭდავია. ბოუორტის ფერმკრთალი სახე შუქრილის ნერვიული მონაცელეობითაა მოდელირებული. პირის წყვეტილი მონახაზით შექმნილი გამომეტყველება ცოფმორეულ სიბრაზეს გამოხატავს. ხაზი, როგორც სახვითი ელემენტი, ამ ფურცელზე არ მონაწილეობს. გამომსახველია სილუეტი და ფერადი ლაქა. ზემოქმედებას ახდენს გლოსტერის ოსტატურად დახატული პროფილიც და ასევე ბოუორტის სახეც, რომლის გესლიანი გამომეტყველება ნაკვთების დეფორმაციისა და შუქრილის მეშვეობითაა დახატული. ძალზე ზოგადად მოჭ-ლირებული თავები თეორი ფურცლის ფონზეა გამოსახული. თუმცა თავებს შორის დატოვებული თეორი ფურცლის ნაწილი მცირე ზომისაა, მას როგორც "პაუზას" მიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მხატვრული გარღასახვის შეღეგად იგი "დაძაბულ სივრცეზ" იქცევა, რითაც ამძაფრებს ანტაგონიზმს ორ სამუროდ მიმართულ სახეს შორის და ამასთან, კომპოზიციას მხატვრულად ამონდანებს. ილუსტრაცია პიესაში აღწერილ აფრისუეროს გადმოგვცემს. იგი შუღლისა და გაუთავებელი ქიშპობის ზოგადი ხატია.

სიმპოქსი და მისი ცოლი სახასიათო პერსონაჟებია, რომლებიც პიესის მხოლოდ ერთ ეპიზოდში მონაწილეობენ. დრამის მრავალრიცხვან მოქმედ პირთა შორის მა-თი შერჩევა ალბათ განპირობებული იყო იმით, რომ მცერალმა ისინი მსუბუქი იოუმორითა და პაროდიული ირონიით დაახასიათა. მთელი სცენა, რომელშიც ისინი მონაწილეობენ (იგი პიესის II ნაწილის II აქტის პირველი სცენის ერთ ეპიზოდს იყავებს) ახალგაზრდა შექსპირისათვის უჩვეულო ოსტატობით გამოირჩევა. ვი-ნაიდან ზ. ნიუარაძე ცდილობს უარი თქვას ხალხმრავალი სცენების დახატვაზე, თანაც ამ სცენაში მონაწილე პერსონაჟთა უმრავლესობა მხატვრის ნებით უკვე მოხვდა პიესის გმირთა პორტრეტების რიგში, მხატვრის ჭრის ამ ორ სახეზე შეჩერდა /ფაბ. 9/.

ეს პორტრეტი ზემოთ განხილულთაგან განსხვავებულია. მსგავსია მხოლოდ კომპოზიციის "ფრაგმენტული" გადაწყვეტა. "მსხვილი პლანით" დახატული სახეები თითქმის მოლიანად ავსებენ სასურათო სიბრტყეს. სახეები მოვლენათა საერთო მღინარებიდან თითქოს შემთხვევით ამოღებული ნაწილის შთაბეჭდილებას ჰოვებენ. ზემოთ განხილულ პორტრეტთა გრაფიკული ხატოვანება ამ ილუსტრაციაზე ილუზორული თხრობითობით იცვლება. სიმპკონის სიმახინჯე, სულიერიცა და გარეგნულიც ფიზიონომური პორტრეტითა გადმოცემული, რომელსაც ჯილბერტის ილუსტრაციაზე დახატული ფიპის გავლენა ეჭყობა. თუმცა აქ იგი უფრო უფრინებულია: ჩაბიერინებული, გაუპარსავი, წითური სახე, უკრილო პირი, მოწური და ამავა დროს გაიძვერას გამომეცყველება გადმოგვცემს შექსპირის მიერ დახატული გმირის ხასიათის თვისებებს. რაკურსში დახატული თავი, მკერლის წინ დაწყობილი წვრილად, მოცულობითად დამუშავებული ხელები და ასევე მოცულობითად გადმოცემული მრგვალი სახის ფორმა აშკარად მიუთითებს ასახვის ილუზორულ მანერაზე. მხატვრული ფორმა წატურალისტურად არის გადმოცემული. (დაწვრილმანებული, "ალტერილობითი"), სიღრმობრივ - მოცულობითად გადაწყვეტილი, სიმპკონის სახის განათებული ნაწილი უუყა, ფაფუკი ფორმის შთაბეჭდილებას ჰოვებს. ჩრდილში მოქცეული თვალი და სახის მეორე ნახევარი კი ხისფია (ხისგან გამოთლილს ჰგავს). იგი ნეგატივის მსგავსადაა დამუშავებული, სტილიზებულია. ასევე ილუზორული ფორმის სტილიზაციითა დახატული ქალის სახეც, რომელიც მოლიანად ნიღაბს წააგავს. სიბრტყითი პროექციის გამოყენების ნაცვლად, ამ სურათზე, პირობითობის გასაძლიერებლად მხატვარი ფორმის სტილიზაციას მიმართავს. ილუსტრაციის მხატვრულ მოლიანობას არღვევს სიმპკონის მკერლის წინ დაწყობილი ხელები (პიპერეალიზმის სტილში დამუშავებული დაწვრილმანებული ფორმა, როცა ყოველი თითის კოჭი და სახსარია დახატული). ამას როგორც ჩანს, მხატვარი თავადაც გრძნობდა. ილუსტრაციის თავდაპირველ ვარიანტზე (რა სახითაც იგი შესულია შექსპირის კრებულში) დახატული ხელები მან მოგვიანებით "წაშალა" და სიმპკონის სხეულის აღგილზე დაუმოავრებელი მოლიანი მასა დაჭოვა, ამან გაამოლიანა სურათი და გააძლიერა პირობითობა.

ილუსტრაციების ამ ჯგუფში (შეზღუდული პორტრეტები) ნათლად გამოჩინდა ზ. ნიკარაძის მოელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ორი ურთიერთსაპირის-პირო ჰენდენცია. ერთი მხრივ, აკადემიური განსწავლულობა, ასახვის ილუზორული მეოთოდის ელემენტები: მოცულობითი ფორმა, რეალურად არსებული სამყაროს პრო-პორციული სისტემის შენარჩუნება, რაკურსებისა და პერსპექტივის გამოყენება და სხვა; მეორე მხრივ, სწრაფვა პირობითობისაკენ: სიბრტყის მძაფრი შეგრძნება, დაფორმაცია, მასალის "გაშიშვლება", მისი ფუნქციის ზრდა. ეს ხშირად ურთიერთგა-მომრიცხველი ამოცანებია. სწორედ მათი მორიგებისაკენ სწრაფვა ახასიათებს მხატვრის მოელ შემოქმედებას.

ამ ჯგუფში განხილული ოთხი სურათიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამის კომპოზიციური გადაწყვეტა ერთმანეთის მსგავსია: ილუსტრაციებს "მსხვილი პლა-ნით" მოწოდებული დაფალების ხასიათი აქვს. მოწესრიგებული ტექონიკური აგება რომ არა, ისინი სურათის გაღილებული დაფალის შთაბეჭდილებას დატოვებდნენ. კომპოზიციის ამგვარი გადაწყვეტა მხატვარს საშუალებას აძლევს გამოსახულებას ექსპრესიულ - ფრამატული ხასიათი შესძინოს. სწორედ ასეთ კომპოზიციურ აგებას ვხვდებით ზ. ნიკარაძის ადრეული პერიოდის პორტრეტებშიც. იქ, მხატვარი ამ ხერხს გამოსახულების გამძაფრებისათვის მიმართავდა. ფრაგმენტული "კადრირება" წიგნის გრაფიკაში საკმაოდ გავრცელებული ხერხია. მისი მეშვეობით ნივილირდება სურა-თის ავტონომიური, ჩაკატილი ხასიათი და იგი, თითიქოს, მოლიანი თხრობიდან ამო-ლებული ნაწილის შთაბეჭდილებას იძენს, რითიც უშუალო კავშირში იკითხება ფესტის თხრობასითან. სტილისტურად სამივე სურათი ერთმანეთისაგან მნიშვნე-ლოვნად განსხვავდება. "ფოლბოფი და ოვერნის გრაფის მეუღლე" სხვებზე მეტად გრაფიკულია. გამოსახვის მთავარი საშუალებაა ხაზი, თუმცა ხაზის ხმარების მანერაც უერთის აზროვნებას ამზღავნებს. ფუნჯით გაკეთებულ ფერად (ძირითა-დად შავი და წითელი, რაც ამძაფრებს გამოსახულების კონტრასტულ დაპირი-რებას ფურცლის თეთრ ზედაპირთან) ნახაფს, იმეორებს კალმით გაკეთებული ნა-ხაფი. სახის პროფილს ფუნჯით მოხაზული სუფთა ხაზი მოხატავს, ხოლო თმას, თავსამკაულის და ჩასაცმლის დაფალებზე კი კალმით შესრულებულ შტრიხს ფონად

აქვს ფერადი ლაქა (კვლავ წითელი, ყავისფერი ლოკალური ლაქების და თეთრი ფონის დაპირისპირება). ფუნჯისა და კალმის დუატში ფუნჯი ფომინირებს. თეთრი ხელშეუხებელი ფურცლის სითეთრესა და ლაქა - ხაზის დაპირისპირებას დიდი როლი ეკისრება. მხატვრული გამომსახველობისავის მნიშვნელოვანია ამ კონტრასტით სარგებლობის ნიუარაძისეული მანერა: ხელშეუხებელი თეთრი ფურცელი მხოლოდ პროფილებს შორისაა მოქცეული, ოდნავ შეფერილი, მკრთალი, გამჭვირვალე ლაქებია ფოლბოჭის სახეზე. მისი თმის ხვეულებში და ფანისამოსზე ლაქები უფრო ინტენსიური ხდება. გრაფის მეუღლის ფიგურა (ადგილებში გამჭვირვალე, თუმცა უფრო მეტერი) ლაქებითა და ასევე წითელი ფუნჯით გავლებული ხაზებით არის შესრულებული. ზ. ნიუარაძის ნახატში წითლისა და ყავისფრის კონტრასტი, მათი აულერება თეთრ ფონზე ცხოველხაფულია, მისი მკაცრად სიბრტყობრივი, ხაზოვანი ნახატი კი - "ფერწერული".>

გლოსფერისა და ბოფორტის პორტრეტში მხატვარი ასევე ხელშეუხებელს ჭოვებს თეთრი ფურცლის ზედაპირის ნაწილს, რომლის ფონზეც ორი სახე აპლიკიასავით იკითხება. ამ სურათზე მეტყველია სილუეტი და ფერადოვანი ლაქა. ხაზი სახვით ფუნქციას არ ატარებს. იგი ძირითადად შიდადამანაწევრებლად არის გამოყენებული. ამ ილუსტრაციაზე გრაფიკული ხაზი სილუეტითა და ლაქით იცვლება, ხოლო სიმპკოქსისა და მისი ცოლის პორტრეტზე კი მოცულობითი ფორმა ჩრდება. ამ უკანასკნელზე ხაზი თითქმის მთლიანად ადგილს უთმობს ლაქა - ფონის მეტყველებას.

პორტრეტების ზემოთ განხილულ ჯგუფს ერთგვარად უკავშირდება ის ილუსტრაციები, რომელთაც პირობითად შეიძლება ჯგუფური პორტრეტი ვუწოდოთ. ამგვარი ფურცელი ორია. ორივე ფურცელზე ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად მიმართული თავებია გამოსახული. ერთ ფურცელზე კონფლიქტი, დაპირისპირება ნათლადაა გადმოცემული, რითაც ის შეესატყვისება პიესის საერთო აქმოსფეროს /ჟაზ.10/ მარკაზ გამოსახული სახეები იმდენად მოკლებულია ყოველგვარ კონკრეტულ მახასიათებელს, რომ ნათლად არც მფრობის იდეას გადმოსცემენ და არც სხვა აზრის წაკითხვის შესაძლებლობას იძლევიან. ტუშით, ფუნჯითა და კალ-

მით შესრულებული ნახაფი მთლიანად ავსებს თეორი ფურცლის სიბრტყეს. დანად, მრგვლოვანი მკაფიო ხაზი ძირითადი სახვითი ელემენტია. პირშიშველი ყრმის დახა-  
ფვისას იგი განსაკუთრებით სუფთა და ლირიკულია, ასაკოვანი მამაკაცის გადმო-  
ცემისას კი ოდნავ მოუხეშავ ელიტერს იძენს – წვერისა და თმის გადმომცემ კლა-  
კნილებში და ხვეულებში იყარგება. ფურცელი თითქმის აქრომატულია, > სიბრტყე  
ალაგ-ალაგ დაფარულია სხვადასხვა ფერის ოქრის საღებავის გამჭვირვალე ლაქ-  
ბით. ოსტატური ცხოველზატული ნახაფი ლირიკულსა და პოეტურს ხდის ილუსტრა-  
ციას. ლაკონიური და გამომსახველი - იგი ერთგვარი ასკეტიზმის იერსაც იძენს.  
ჭალაზე  
 ფურცლის სიბრტყე ლამაზი და მოხდენილია. ნაჟიფი ნახაფის დეკორაციული  
 თავისთავალობა იმდენად ძლიერია და იმდენად მოკლებულია რამე კონკრეტულ  
 მახასიათებელს, რომ ამგვარი ნახაფით შექმნილი გამოსახულება პიესის შესახებ  
 ან არაფრის მოქმედია, ან, ყოველ შემთხვევაში, აუერხებს მხატვრის აზრის ამო-  
 კითხვას. ეს ფურცელი გამოიჩინა მთელს სერიაში შესრულების მანერითაც. იგი  
 ზ.ნიუარაძის მიერ იაკობ ცურტაველის "შუშანიკის ჭამების" რუსული გამოცემი-  
 საოთვის შექმნილ გრაფიკულ ციკლს უკავშირდება.

მეორე ილუსტრაციაზე /ფაბ.11/ პიესის კონკრეტული მომენტია დახატული:  
 საფოკი აჯანყებულთა ფუვეობაში. ფურცლის განზოგადებული გრაფიკული სახე  
 სცილდება ამ კონკრეტული მომენტის ფარგლებს. ფურცელი შუა საუკუნეების  
 ინგლისის მუდამ მოქიშებე ფეოდალთა ბრძოლის სიმბოლოდ წარმოგვიღება. ფეო-  
 დალთა კონფლიქტი კი შექსპირის საისტორიო დრამების თითქმის ყველა სურათშია.  
 მხოლოდ ერთი კონკრეტული დეტალი - თოკი (იგი ილუსტრაციის დიდი ყურადღებით  
 დათვალიერებისას შეიმჩნევა), რომლითაც შეკრულია საფოკი და მისი პოზა, რო-  
 მელიც ჯილბერტის ილუსტრაციაზე დახატული საფოკის ძალზე შორეულ გამოძა-  
 ხილს წარმოადგენს - გვახვედრებენ, თუ რომელი კონკრეტული კონფლიქტის სცენას  
 ხატავს მხატვარი. ეს მიუთითებს, რომ <საილუსტრაციო მომენტის არჩევანს ზ. ნიუა-  
 რაძე მცირე ყურადღებას უთმობს. მისი შერჩევისას იგი ხშირად სარგებლობს სხვა  
 მხატვართა გაკვალული გზით, თუმცა სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტას მი-  
 მართავს და ილუსტრაციების ციკლის საერთო ხასიათს, მისეულ ხელვას უმორჩი-

ლებს. მუქი და თეორი მკვეთრად დაპირისპირებული სიბრტყეებისა და ფერადი ლაქების განაწილებას კომპოზიციის ძირითადი მაორგანიზებელი ფუნქცია ეკისრება. პირობითი, ნეგატივისმაგვარი სახეების გამომსახველობა მიღლივა მეტყველი სახა-სიათო კონტურისა და ფონის კონტრასტით. კონფლიქტის, დაპირისპირების ჩვენება გრაფიკული ხერხებით ხორციელდება.

ამ ჯგუფთან ახლოს დგას ციკლის კიზევ სამი ფურცელი "იოანნა ღ'არკი", "მერჯერი ჯუდენი სულებს უხშობს" და "გლოსტერის მეულელა ცოდვებს ინანიებს". სამივე ფურცელის პირველწყაროს ჯილბერტის გრაფიკული ფურცელები ჭარმოადგენს, ე.ი. საილუსტრაციო არჩეული მომენტის იდეა ნასესხებია. თუმცა აქვე უნდა აღი-ნიშნოს, რომ ჯილბერტს, როგორც "გრაფიკული ოქმების" შექმნის დიდოსტატს, შეესპირის პიესები ისეთი დაწვრილებით სიზუსტით აქვს ილუსტრირებული, რომ ძნელია მის მერე ორიგინალური იყო საილუსტრაციო მომენტის არჩევაში. სამივე ილუსტრაცია სრულებით ფრანსუარმირი ხერხებითაა შესრულებული. ერთის მხრივ, ეს კვლავ პერსონაჟთა პორტრეტებია, თუმცა მათ მხოლოდ ძალზე პირობითად შეი-ძლება ასე ვუწოდოთ მარტო იმ მნიშვნელობით რომ სამივე ილუსტრაციაზე გმირ-თა სახეებია დახატული (ზოგან რამდენიმესი ერთად). ამასთან ეს ჰექსტის ამა თუ იმ კონკრეტული მომენტის ამსახველი ფურცელებია. სამივე შემთხვევაში ფიგუ-რები კონკრეტულ ვითარებაშია გადმოცემული განსხვავებით ზემოთ განხილული ზოგადი პორტრეტებისაგან. მთავარი გმირის გარდა აქ გამოსახულია კიზევ რამდე-ნიმე დამატებითი პერსონაჟი, დახატულია დეტალები და აქსესუარები, რაც აუცი-ლებელი პირობაა კონკრეტული მოქმედების გაღმოცემისათვის (თუმცა ყოველივე ეს მინიმუმია დაყვანილი). პერსონაჟები მხოლოდ ერთი კუთხით არიან გახსნილნი (ისიც ძალზე პირობითად): მათ სახეებზე აღბეჭვილია კონკრეტული სიტუაციით გამოწვეული განცდა (იოანნა ღ'არკთან - ველრება /ფაბ.12/, რასაც ძირითადად პოზა გადმოსცემს, გლოსტერის გრაფის მეულელის ტანჯვა, შიში და სიცარიელი /ფაბ.13/; მერჯერი ჯუდენის აზარტული გატაცება თავისი ბნელი საქმიანობით /ფაბ.14/). შესრულების მანერით სამივე ფურცელი სრულებით განსხვავებულია

ერთმანეთისაგან. "იოანნა დ'არკის გამოსახულება ფუნჯითა და კალმითაა შესრულებული. ხაზთან ერთად აქ გამომსახველია სილუუტი. ფერი მხოლოდ ფორმის შევსების ფუნქციას ატარებს. ფურცლის თეთრი სიბრტყე მნიშვნელოვნად მონაწილეობს სურათის გამომსახველობის შექმნაში. ილუსტრაციებში, სადაც მერჯერი ჯუდენი და გლოსტერის გრაფის მეუღლის მონანიებაა დახატული, თეთრი ფურცელი იყარგება, ფერს ქმედითი ფუნქცია ეკისრება. ფერით იქმნება გასიბრტყოვნებული ფორმა, რომელის მაღალ აღგილებში გამჭვირვალე, ლია ფონის საჭებავი იღნავ ფარავს ფურცლის სითეთრეს, ხოლო დაბალი (ღრმა) აღგილები გამუქების შეშვეობით იკვეთება. ლაქათა უფრო ხშირად სიბრტყობრივი ხასიათი არ ქმნის ფორმის მოცულობის გაღმოცემის შესაძლებლობას. ფიგურებით გადაჭედილი სასურათო სიბრტყე კი, თითქოს ხალიჩისებურად არის დაფარული გამოსახულებით. ილუსტრაციის სიბრტყობრივ დეკორაციული გადაწყვეტა კომპოზიციის "ფრაგმენტულ" კარიკებასთან ერთად სავსებით ეგუება წიგნის გრაფიკის სპეციფიკას. ილუსტრაცია, რომელზეაც მერჯერი ჯუდენის საქმიანობაა დახატული, უფრო ფერწერულია, ვიღრე "გლოსტერის მეუღლის მონანიება". იგი მეტად იხრება ფორმათა მოცულობის გამოსახვისაკენ, მაგრამ კომპოზიცია აქაც სიბრტყეზეა გაშლილი. პროპორციების დარღვევით (მყითხავის ხელი საგანგებოდაა წაგრძელებული), დეფორმაციით, რაკურსითა და სახის გროტესკული უტრიკებით იქმნება სურათის დრამატულ - ექსპრესიული გამომსახველობა, რასაც აძლიერებს უოლოსფერი, თეთრი და შავი ფერების დაძაბული, კონტრასტული უდერადობა.

ამით სრულდება ზურაბ ნიუარაძის მიერ შექსპირის ისტორიული დრამისათვის "პენრი VI" შექმნილი "პორტრეტების გალერეა", სადაც პიესის პერსონაჟები პორტრეტების, შეწყვილებული და ჯგუფური პორტრეტების სახით არიან წარმოდგენილნი. მხატვარი მეტ-ნაკლები გამომსახველობით და სიზუსტით ხსნის შექსპირის გმირთა ხასიათებს, ქმნის პიესის აქტორსფეროს შესატყვის მხატვრულ სახეებს.

ზ. ნიუარაძის შემოქმედებაში პორტრეტთან ერთად დიდ აღგილი ეომობა თავისუფალ კომპოზიციებსაც. "პენრი VI" - ს საილუიტრაციოდ შექმნილი სერიაც ძირითადად შედგება პორტრეტებსა და ფიგურული კომპოზიციებისაგან. ამდენად

ილუსტრაციები უანრული თვალსაზრისითაც ჭ. ნიუარაძის დაზგური მხატვრობითაა შეპირობებული. ილუსტრაციების ის ნაწილი, რომელიც ფიგურულ კომპოზიციებს წარმოადგენს, მოვლენებითა და მოქმედებით მდიდარი ქრონიკის დრამატულ ეპიზოდებს ასახავს. უმრავლეს შემთხვევაში აქ ჰყაუსტის კონკრეტული მომენტია დახატული.

< ფიგურული კომპოზიციები ხასიათის მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. ჩვენს მიერ განხილულ პირველ ჯგუფში გაერთიანებული სამი ილუსტრაცია ზოგადად ხასიათდება ამაღლებული კეთილშობილებით და დახვეწილი პოეტურობით. დახვეწილობა და კეთილშობილება ჭ. ნიუარაძის ფერწერულ ფილოთა უმრავლესობასაც ახასიათებს. მისი მხატვრული სახეები იდეალიზირებულია (პორტრეტებშიც კი), ეს თვისება მეტად ახლობელია მისი ესთეთიკური მოთხოვნილებებისათვის. > სწორედ მისთვის დამახასიათებელი ეს მხარეა განსაკუთრებით წინ წამოწეული შეესპირის პიესისათვის შექმნილ სამ ილუსტრაციაზე: "ტამპლის ბალში", "ნალირობა" და "მეუე ჰენრი VI ფის მცველებთან".

ვარდების ომის სახელმოდებით ცნობილი ომის დასაწყისის შესახებ ცნობები არც ერთ ისტორიულ ქრონიკაში არ მოიპოვება. შეესპირის პოეტურმა ფანტაზიაში ხორციელი გახადა ეს უცნობი ეპიზოდი, რომელიც მეცნიერებაში აბსტრაქციად რჩებოდა. პიესაში ეს სცენა (ნაწ. II, მოქ. II, სურ. IV) ორგანულადაა ჩატერილი თხრობის საერთო ქარგაში. მასში პიესის კონკრეტული გმირები მონაწილეობენ. ჭ. ნიუარაძის ილუსტრაციაზე წარმოდგენილი პერსონაჟები კი მოკლებული არიან ყოველგვარ კონკრეტულ ნიშნებს /ფაბ. 15/. ეს არაა გმირთა სახეები, გამოსახულებას უფრო პირობითი სიმბოლოს მნიშვნელობა აქვს. განყენებული უსახო ფიგურები განთავსებულია სიბრტყეზე. ვარდების ბუჩქის ორივე მხარეს ორი წყვილი ფიგურა, რომელიც მკაფიო, უწყვეტი კონტურითაა მოხაზული. ნაჭილი, დახვეწილი ნახატი ამაღლებულ, კეთილშობილ ფორმას ქმნის. ნათელი დაუნაწევრებელი ხაზით შექმნილი ნახატი, უკვე თავისთავად კეთილშობილია. აზიდული პროპორციები ფიგურებს მონუმენტურობას ანიჭებენ, რაც ხაზგასმულია იმითაც, რომ ისინი თითქოს ძლივს ეფევიან კაღრში (ფიგურები გადაჭრილია სურათის ჩარჩოთი). ფიგუ-

რათა რეპრეზენტატიული, წარდგენითი პოზები ნაფიცი და რაფინირებულია. კომპოზიციის სტრუქტურა კლასიკურ პრინციპზეა აგებული - გამოსახულებათა სიმეტრიული განლაგება განსაზღვრავს წყობის წონასწორობას. სასურათე არე ჯვარებინადაა დაყოფილი ოთხ ნაწილად. პორიზონტალურ დაყოფაში ქვედა ნახევარი ზედას აღემატება, რაც ზეაზიდულობას, სიმწყობრის შთაბეჭდილებას ქმნის. ფურცელზე შექმნილი ერთგვარი განმეორებადი რიტმი ერთმანეთისაგან პაუზით დაშორებული ორი აკორდის მსგავსია. კომპოზიციის ქვედა ნახევარში გაბატონებული ფერად ხაზთა ვერტიკალური წყობა ზედა ნაწილში რთულდება, შერეული ხდება და ბოლოს, სადაც ფიგურათა თავებია განლაგებული, დეკორაციული ხვაულებით გვირგვინდება. ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ ხაზთა და ფორმათა დეკორაციული განაწილება სიბრტყეზე. ჟენალი, მოხდენილი ხაზის გაზრდილი თავისთავალი დეკორაციული სილამაზე ესთეტიკურია. ფურცელი ოდნავ მანერული რაფინირებულობითაც ხასიათდება. >

ცისფერ ფონზე შავი, ზოგან თეთრათი, ოქრით ან ცისფერი ფერებით გაკეთებული ნახატი და ამას დართული ინტენსიური წითელი აქცენტები - ფერთა ეს ვიწრო დიაპაზონი დახვეწილ ფერაღოვან პარმონიას ქმნის. ერთი შეხედვით გრაფიკულ სურათზე მეღავნდება მხატვრის ფერწერული ხელვა: მიუხედვად სიბრტყობრივ-ხაზოვანი გადაწყვეტისა მხატვარი ფერით ხატავს ან ფერადი ხაზით "წერს".

ეს ფურცელი გრაფიკული ხატია, რომლის ზეგავლენით ჩვენს წარმოდგენაში იბაჟებიან იორკები და ლანკასტერები, წარმოგვიდგება ამ არისტოკრატთა დახვეწილი ამაყი სახეები. პირობითი და ლაკონური გადაწყვეტის გამო ეს სურათი სცდება პიესაში გათამაშებული კონკრეტული მოვლენის ფარგლებს და ვარშების ომის, ამ ისტორიული მოვლენის დემონსტრაციას წარმოადგენს. თუ შექსპირთან "ვარშების ომი" ამ "ჰერალდიკურმა მეტაფორამ მხატვრული ხორცშესხმა შეიძინა" [13], გ. რიგარაძის ილუსტრაცია ამ ისტორიული ეპიზოდის სახვით სიმბოლოს, მის გრაფიკულ მეტაფორას წარმოადგენს. >

ამ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ სურათი, რომელზედაც გვირგვინოსანი წყვილის ნაღირობაა გამოსახული (ნაწ. II, მოქ. II, სურ. I) /ფაგ. 16/. ამ ფურცელ-ზეც "ვარშების ომის" მსგავსად მოვლენის დემონსტრაციაა წარმოდგენილი. პიესაში

ნადირობა მოხდება სურათის მანძილზე გრძელდება. ეს სცენა მდიდარია სხვადასხვა მოქმედებით და ჩართული ეპიზოდებით. ზ.ნიკარაძემ დაგვიხატა ამ ხანგრძლივი, მოვლენებით მდიდარი სცენის კონკრეტული სურათი: მეფე - დელოფალი და ბაზიერები მიმინოებით ხელში. <მხატვარმა "შეაჩერა" წარმავალი მომენტი. ეს კადრში თითქოს შემთხვევით მოხვედრილი იმ სცენის ფრაგმენტია, რომელიც სურათის ჩარჩოს მიღმა "მიმღინარეობს". პროცესია მარცხნილან მარჯვნივ მიერართება და მას მეოთაურობს მეფე, რომელის ფიგურის ნაწილი ჩამოჭრილია სურათის მარჯვენა ჩარჩო, ხოლო მეორე მხრიდან კი მას დელოფალის ფიგურა ეფარება. დელოფალი ფარავს ასევე ბაზიერთა ფიგურებსაც. ეს ერთადერთი ფიგურაა, რომელსაც არაფერი არ ეფარება და იგი მოლიანადაა წარმოდგენილი. ამით დელოფალზე გაკეთებულია მახვილი და მისი მნიშვნელობაა ხაზგასმული. გვირგვინი და ხელზე დასმული მიმინოც დელოფალის ფიგურის გამოყოფასაც ემსახურება და ამავე ზროს, ეს კონკრეტული მანიშნებელი დეტალებია, რომელთა მეშვეობითაც განყენებული ფიგურები აზრობრივად საცნობი ხდება. ამავე დეტალების მეშვეობით ხდება მოქმედების ვითარების მინიშნებაც. სიბრტყეობრივი გადაწყვეტის გამო ფიგურები ერთმანეთს "ოვერლეპინგის" [16] (ზედამდებარების) მეშვეობით ფარავენ. სასურათო არე გადავსებულია ფიგურებით. > ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ვერტიკალურად წაგრძელებული ფიგურები გაფერდილა კალიში. ამგვარი აგება მოწუმენტურობას აწიჭებს სურათს. სიბრტყეზე განლაგებულ ფიგურათა გადაწყვეტა უფრო პლასტიკურია. ძალზე ზოგადად და პირობითად მოდელირებული ფორმა გასიბრტყოვნებულ მოწუმენტურ მასებს ქმნის, რომელიც უფრო მცირე ზომის ფორმებთან (ბაზიერების ფიგურები უფრო დანაწევრებული ფორმითაა შექმნილი) და დეკორატიულ - ორნამენტულ დეტალებთან (ხელები, თავები, მიმინოები) ერთად თითქოს თანაბრად ფარავენ სიბრტყეს. მკვეთრი შუქრილილით ზოგადად დამუშავებული გასიბრტყოვნებული მასების და შედარებით მცირე ზომის, უფრო ბრტყელი ფორმების მონაცემებია განსაზღვრავს კომპოზიციის რიტმულ წყობას (ხან თეორი ლაქებისა მუქ ფონზე და ხან პირიქით, ფერადი, მუქი ლაქებისა თეორ ფონზე). კომპოზიციური აგებით და ფორმის დამუშავებით შექმნილი მოწუმენტურობა, ფიგურათა წარდგენით, რე-

პრეზანტატულ გამოსახვასთან ერთად მნიშვნელოვანების, ლირსების არალებულ განცყობილებას ქმნის. ფიგურათა პორტონტალურად გაშლილი ფრიზისებული განლაგება ასოციაციას იწვევს კვატროჩენტოს მხატვრობის კომპოზიციურ წყობას-თან, განსაკუთრებით მოგვაგონებს პიერო ფერა ფრანჩესკას. მხატვარი ოსტატურად იყენებს ჭარსული საუკუნეებისა და თანამედროვე ხელოვნების მიღწევებს. სიბრჭყი-თი და მოცულობითი ფორმის მონაცემებით, ილუზორული და პირობითი პროექცი-ების გაერთიანებით იქმნება გრაფიკული ფურცლის მხატვრული გამომსახველობა. კონკრეტული საილუსტრაციო მომენტის გადაწყვეტა განზოგადებული გრაფიკული ფორმით გამომსახველობას ანიჭებს სურათს. მხატვარი კონკრეტული სცენის განზო-გადებას ფორმის მეშვეობით აღწევს. აქ კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს ზ.ნიუარაძის დამოკიდებულება სიურეტისაღმი, როგორც "საბაბისაღმი", მისოვის მნიშვნელოვანია ფორმალური ამოცანები, რომელთა გადაწყვეტითაც იგი ისწრაფვის სურათის მხა-ტვრული გამომსახველობისაკენ.

ფერადოვანი გადაწყვეტილ და ზოგი სხვა მხატვრული ნიშნებით "ნადირობის სცენის" მსგავსია ილუსტრაცია, რომელზედაც გამოსახულია გლოსტერის გრაფის მეუღლის მონანიება /ფაბ.14/. ეს ფურცელი ჩვენ პორტრეტებთან ერთად დავასა-ხელეთ. იგი ერთგვარად პორტრეტებსა და კომპოზიციებს შუა დგას თავისი გადა-წყვეტილ და მოგვაგონებს ზ.ნიუარაძის დაზგურ ნამუშევრებს. კერძოდ, იჭალიაში მოგზაურობის დროს შესრულებულ სერიას (თევზის ბაზარი, რომი და სხვ.). მსგა-ვისია კომპოზიციური აგებაც, მისი "ფრაგმენტული" კადრირება. ამგვარ კომპოზი-ციებში მხატვარი ჭარმავალის, მომენტალურის "გაჩერებას" ცდილობს, განუმეო-რებელის დაფიქსირებას ისახავს მიზნად. მაყურებელს კი, მოქმედების უშუალო თანამონაზილის შთაბეჭდილება ექმნება.

ხასიათით ამ ჯგუფს შეიძლება დაუუკავშიროთ კიდევ ერთი ილუსტრაცია, "მე-უ პენრი VI და ფიის მცველები" /ფაბ.17/. ამ ფურცელზედაც მოქმედების კონ-კრეტული მომენტია დახატული. ფიის ორი მცველი გაოცებით და ყურადღებით ათვალიერებს გადაცმულ მეფეს. ზ.ნიუარაძემ თითქმის მონადინად გაიმეორა XIX ს. ცნობილი ინგლისელი ილუსტრატორის სერ ჯონ ჯილბერტის ნახატი, თუმცა მისი

ფრანსუარმაცია მოახდინა. ჯილბერტის მშვიდი, თხრობითი ხასიათის აკადემიური ფრაძიცით შესრულებულმა კომპოზიციამ ზ.ნიუარაძესთან მეტი სიმძაფრე შეიძინა. შეიცვალა პოზები, გამომეტყველება, ყოველივე უფრო შეჩერებული მომენტის (უმაღლესი შემობრუნებული თავი, ნაჟყორცნი წარმავალი მხერა) ულერადობა შეიძინა. ფიგურები ზოგადადაა მოღელირებული. ერთიან მოსასხამში გახვეული მეურის ფიგურა და უკანა პლანზე გამოსახული ხეები - თითქოს მოლლინი ბლოკებია. გამოსახულებათა მასები უფრო მოცულობითია. ეს მოცულობა რელიეფის მსგავსია. ამგვარი მოღელირება ფიპიურია ზ. ნიუარაძისათვის. სურათი ილუზორული პროექცით გაკეთებული გამოსახულების ზღვარზეა, მაგრამ მაინც ილუზორული მეორების ფარგლებში რჩება, იმიტომ რომ მესამე განზომილების ილუზია აქ უაჩვალია. ამ ილუსტრაციაზე ეს გამაგრებულია ფიგურათა სამ მეოთხედში და რაკურსში გამოსახვით. კომპოზიციის აგებაში ქმედითია დიაგონალური მიმართულება, რაც სილრმის ილუზიას ქმნის. სამივე ფიგურა სამი მეოთხედითაა შემობრუნებული. წინა ფიგურის რაკურსი და თუნდაც განზოგადოებულად მოღელირებული ფიგურები მესამე განზომილების ილუზიაზე მიუთითებს. ამ ილუზიას აძლიერებს გარემოს მიმართულები (თუნდაც ძალზე ზოგადად და პირობითად) დეკორატული მცენარეები, რომლებიც ძალზე მცირედ, მაგრამ მაინც ერთგვარ "ბაქანს" ქმნიან, რომელზედაც ფიგურებია განლაგებული, ხეები კი მეორე პლანად იკითხება. მიუხედავად ამისა არც ეს სურათი არ სცილდება სიბრტყე - სივრცისა და სიბრტყე - მოცულობას შორის მერყეობის ფარგლებს. ნადირობის სცენის დახატვისას მხატვარმა ფონის გამოსახვაზე უარი თქვა და მთელი სასურათო სიბრტყე მხოლოდ ფიგურებით შეავსო. მეურისა და ჭყის მცველების დახატვისას კი ფიგურები მართალია პირობით, მაგრამ მაინც გარემოში განთავსდნენ. ამ სურათზე შესუსტებულია გამომსახველობის სიმძაფრე, რომელიც იქმნებოდა ილუსტრაციებზე, სადაც ფიგურები "მსხვილი პლანით" იყო წარმოდგენილი. სურათი ანტურავის სიჭარბით (სხვა ილუსტრაციებთან შედარებით) გამოირჩევა. კონკრეტულად გაღმოცემული გარემოს გარდა, სურათზე დახატული მეურეცა და ჭყის მცველებიც უფრო კონკრეტული პერსონაჟებია. ჭანისამოსის დატალები, ჭყის მცველთა იარაღი (ალებარდა), წიგნი და სხვა (ჭყის მცველთა

ჩაცმულობა დაუკონკრიტებელია, მაგრამ ზოგადად შუა საუკუნეების ევროპულ კოსტუმზე მიგვანიშნებს. ალებარდაც ამ ეპოქის აშკარა რეალიაა.) ყოველივე ეს სურათს თხრობით, ილუსტრაცირულ ხასიათს ანიჭებს. სურათში გამოყენებული ილუზორული სისტემის ელემენტები XVIII - XIX სს. ევროპული მხატვრობის (რომანტიზმი, კლასიკიზმი) რიგისაა. ამიტომ ილუზორული ელემენტი აქ უფრო ძლიერია ვიღრე იმ ილუსტრაციაზე, რომელზედაც გადმოცემულია მეფე - ფედოზულის ნადირობა, რომელშიაც ილუზორული მეთოდის ელემენტები კვატროჩენტოს რიგისა იყო. მეფესა და ჰუის მცველების შეხვედრა შექსპირის პიესის კოკნკრეტული მომენტის ილუსტრაციაა. იგი დრამაში მოთხოვნილი ამბის ვიზუალური აღწიარმოებაა. განსხვავებით ზემოთ განხილული ილუსტრაციებისაგან (ვარდების ომი და მეფე - ფედოზულის ნადირობა), რომელებიც პიესაში აღწერილი ამბების პლასტიკურ მეტაფორას ან მოვლენის ზოგად პლასტიკურ ხატს წარმოადგენს. ილუსტრაციაზე დახატული აფრისფერო უფრო ზლაპრულ - რომანტიკულია, იღუმალების რომანტიკულ ელემენტია გახვეული მეფეს გამოსახულებაც. გადაშლილი წიგნით ხელში იგი უფრო ბერს წააგავს, ვიღრე მეფეს. სამივე ფიგურა მოხდენილობით გამოირჩევა და ერთგვარი ლირიზმითაც კია გამსჭვალული. ჰუის გარემო კი ამას რაღაც ირეალურ ზლაპრულობას მატებს. ილუსტრაციაზე დახატული რომანტიკული აფრისფერო და გამოსახულთა კეთილშობილება არის ის მცირები, რის გამოც ეს უკანასკნელი გავაერთიანეთ ერთ ჯგუფში ზემოთ განხილულ ორ ფურცელთან.

ცნობილია, რომ შექსპირი არის ფორმატებს ამაღლებული, მანერული ენით, მაღალი ლექსით ასაუბრებდა. ამით იგი უკვე ლექსის წყობით განასხვავებდა მათ მდაბიოთაგან, რომელთაც დაბალი ლექსით ან პროზით ამეცნიელებდა (ცხადია, რომ საზოგადოების სხვადასხვა უენების დახასიათებისათვის დრამატურგი სხვა ხერხებსაც იყენებს). მხატვარი დრამატურგიული ფორმის შესაფერისად დიდგვაროვანთა სახეების შექმნისას მიმართავს მონუმენტურ ფორმას. დახვეწილი ხაზით შექმნილი ნახატი ამაღლებული განწყობილების რაფინირებულ ილუსტრაციებს ქმნის. ფიგურათა გრაფიოზული კეთილშობილება შექსპირის პოეტურ აფრისფეროს განასახიერებს. სწორედ ამ ნიშნით არის გაერთიანებული ერთ ჯგუფში ჩვენს მიერ

ზემოთ გარჩეული სამი ილუსტრაცია. დრამატურგის შესაფყვისად, მხატვარი გან-  
 სხვავებულად ხატავს უბრალო ხალხს, მღაბიოთ. ისინი მოუხეშავი, კუთხოვანი  
 ნახატით, განზრახ "გაუბრალოებული" დამდაბლებული სახით არიან შარმო-  
 დგენილნი. **მხატვარი** ამგვარი პლასტიკური ენით გადმოსცემს შექმნილის პოეტურ  
 ტყობას.

ხასიათის მიხედვითაა გაერთიანებული ერთ ჯგუფში სერიის მომღევნო სამი  
 ფურცელიც, საღაც უბრალო ხალხია დახატული. სამივე ფურცელი პაროლიულ-  
 ირონიული სარკაზმით ხასიათდება, რითაც **მხატვარმა** შექმნილის მსუბუქი იუმორი  
 და კომიკური ხედვა გაღმოსცა. ილუსტრაციების ეს ჯგუფი მთელ სერიაში გამო-  
 ირჩევა იმითაც, რომ სამივეზე ხალხმრავალი სცენებია დახატული. ორ ფურცელზე  
 ასახულია ბატალიური სცენები, უფრო სწორად, პიესაში აღწერილი ბატალიური  
 სცენების თითო ფრაგმენტი, რომელიც მხატვარმა თითქოს "შემთხვევით შეა-  
 ჩირა" თავისი მზერა. ასეთებია გლოსტერისა და უინჩესტერის მსახურთა შეტაკება  
 და მესაჭურჭლე ჰორნერის და პიტერის ორთაბრძოლა. ფურცელი /ფაბ. 18/, რო-  
 მელზედაც გლოსტერისა და უინჩესტერის მსახურთა შეტაკებაა გამოსახული გან-  
 სხვავდება ორი დანარჩენისაგან, როგორც კომპოზიციური გადაწყვეტით, ასევე ფი-  
 გურათა დამუშავებით. ფურცელზე დახატულია ნახერხით გატერილი მარიონეტული  
 ფიგურები, რომლებიც მოუხერხებელი მოძრაობით დარევიან ერთმანეთს. მათი კა-  
 რიკატურული სახეები და პოზები მუშტი-კრივის პაროლიას გადმოცემს. პირველ  
 შთაბეჭდილებას განსაზღვრავს ფურცელის სიბრტყეზე თითქოს მოუწესრიგებლად  
 განაწილებული ცისფერი და ყავისფერი ოქრის და შავი ლოკალური ლაქების მონა-  
 ცვლეობა. მაგრამ მხატვარი გამიზნულად იყენებს კომპოზიციის თითქოს "ქაოტურ"  
 ხასიათს და ამით მეტყველად გადმოსცემს ხელჩართული ბრძოლის შთაბეჭდილებას.  
 დაკვირვებისას აშკარად ჩანს, რომ კომპოზიცია აგებულია სრულიად გააზრებუ-  
 ლად, უპირველესად ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ფერთა ლაქების,  
 ფურცელის მუქი და ლია ფონის აღგილების რიფმული მონაცვლეობა. ამ ფურცელზე  
 დახატულია გლოსტერის ცისფერ და უინჩესტერის ყავისფერ მოსასხამებიან მსა-  
 ხურთა ჩხუბი, რომელიც მოჰყვა გლოსტერის მოწოდებას: "ეცით ცისფერნო ყავის-

"ფერგბს" (მოქ. I, სურ. 3). > ამ მომენტის სიზუსტეს მხატვარი ცისფერ ლაქათა სიჭარბით (ყავისფერთან შედარებით) გადმოსცემს.

შემდეგ იღუსტრაციაზე /ფაბ.19/ მესაჭურვლე პორნერისა და მისი შეგირდის პირერის ორთაბრძოლაა გადმოცემული. კერძოდ, დახატულია ის კონკრეტული მომენტი, როდესაც პირერი მოწინააღმდეგეს ძირს დაანარცხებს, თავში ჩაარტყამს სილით სავსე ფორმარას [17] (ნაზ. II, მოქ. II, სურათი 3). ზ.ნიუარაძემ ყურადღება გაამახვილა სცენის კომიზმზე. მიუხედავად იმისა, რომ ფინალი ფრაგიცულია (ადამიანის სიკვდილი მოჰყვება) შესპირი ამას სრულებითაც "არ ნალვლობს" და პირესაშიც მესაჭურვლე პორნერის სიკვდილი ხუმრობად, ფარსად, თამაშადაა წარმოადგენილი. ამის შესატყვისად ნიუარაძის მიერ შექმნილი იღუსტრაციაც კომიკურ-პაროდიულია. ეს, ქალაქელ მდაბიოთა ორთაბრძოლის ამსახველი კომპოზიცია იუმორისარევი ირონიითაა აღსავსე. > მხატვარმა ხასიათით და განწყობილებით შესპირის მიერ აღწერილი სცენის აღექვატური სურათი შექმნა.

ასევე პაროდიული იუმორითაა აღსავსე ფურცელი, რომელზედაც დახატულია ჯე კეიდი და აჯანყებულთა ჯგუფი /ფაბ.20/. ეს ფურცელი კრებითი ხასიათისაა. შესპირის მიერ დახატული ბნელი, გაუთლელი ბრბო და მისგან გამოსული ავან-ტიურისტი კეიდი საკმაოდ ირონიულად უღერს პირესაშიც. მდაბიოთა დახატვის შესპირისეულ ხერხს (ალაპარაკოს ისინი დაბალი ლექსით ან პროზით) ზ.ნიუარაძემ გრაფიკული ხერხი შეუსატყვისა. შავი ტუშით შესრულებული მოუხეშავი, ჭეხილი, კუთხოვანი ნახატი, რომელიც ხალიჩისებურად ფარავს სიბრტყეს, დაწვრილმანებული ფორმა, განზრახ ნაკლებად დიფერენცირებული მთავარი და მეორეხარისხოვანი, გამოსახულ პერსონაჟთა სიმრავლე, კომპოზიციური აგება (ქაოსის შთაბეჭდილების იღუზია) - ყოველივე ამით მიღწეულია მონუმენტური განზოგადებული ფორმის სა-ზინააღმდეგო ეფექტი, განზრახ გაუბრალოებული, გამარტივებული ფორმა. სახასიათო კარიკატურული ფიგურების მოძრაობები უხერხული და მოუქნელია - ყოველივე ეს სურათს სახუმარო - პაროდიულ სახეს ანიჭებს. ზ.ნიუარაძის მიერ მიგნებულია შესპირის იუმორინარევი ირონიით გაუდენოს სახუმარო სიტუაციების შესატყვისი საინტერესო ხილულ - პლასტიკური გადაწყვეტა.

მომდევნო ჯგუფში პირობითად გაერთიანებულია სურათები, რომელიც ყველაზე უფრო ღრამატულია მთელ სერიაში. ამ ციკლის ილუსტრაციების ფურცლებზე ჩვენ უკვე ვიხილეთ პიესაში აღწერილი საბრძოლო სიჭუაციების ამსახველი სხვა-დასხვაგვარი გრაფიკული ინტერპრეტაციები ( წყვილი და ჯგუფური პორტრეტებისა და მდაბიოთა ხელჩართული ბრძოლების სახით ). ამ ჯგუფში გაერთიანებულ ფურცლებზე კი არის ფოკურაცია შეტაკებებია გამოსახული.

ფრილოგის მესამე ნაწილში აღწერილია ვარდების ომის ქარცეცხლი. ღრამა-ტიპის, პირველ ორ ნაწილთან შედარებითაც კი, აქ კიდევ უფრო ზედაპირული ხასიათი აქვს. სიჭყვიერი პაექრობა, ხმლების ფრიალით იცვლება. დაუნდობელი ბრძოლების შედეგად "სისხლის ტბები" დგება. იორკები და ლანკასტერები თითქოს ერთმანეთს სისასტიკეში ეჯიბრებიან, რაც თავის კულმინაციას პიესის ორ ეპიზოდში აღწევს: ლეონფალი მარგარეტი დასცინის და შემდგომ კლავს რიჩარდ იორკს, ხოლო მისი შეიძლი კი შურს იძიებს პერი Ⅵ მკვლელობით [13]. სწორედ ეს ორი ეპიზოდი დაასურათა ჸ.ნიკარაძემ. ერთზე - ლეონფალი ქირლავს, ბოროტად დასცინის რიჩარდ იორკს ( ნაწ. III, მოქ., სურ. 4 ), მეორეზე - პერი Ⅵ მკვლელობის სცენაა დახატული ( მოქ. I, სურ. 4 ). ამ გრაფიკულ ფურცლებზე გადმოცემულია როგორც ფისტის იდეური ულერაზობა, ასევე მისი შინაგანი ემოციური წყობა. ორივე სურათი ერთნაირი სტილისტური გადაშეცვეტით ხასიათდება. ილუსტრაციებზე გამოსახული გრძნობათა ლელუა

პირობითია და

ფარსის, თამაშის

შთაბეჭდილებას ფოვებს. ამავე დროს, გათამაშებული ღრამატიზმი იმდენად მძა-ფრია და ზღვარგადასული, რომ გამოსახულება გროტესკულ განზოგადებას იძენს (გროტესკში ვგულისხმობ მხატვრულ - ესთეტიკურ სისტემას და არა უბრალოდ გადაჭარბებას). ბრტყელი, წითელი, მულერი, ლოკალური ლაქის ფონზე ტუშითა და თეთრათი გაკეთებული ნახატით, სულ რამდენიმე ოსტატური მონასტირაა შე-ქმნილი დედოფლის ფიგურა /ფაბ.21/. ორი - სამი შტრიხი, ნახატისა და ლაქის საგანგებო აცლენა და მაყურებლის თვალშინაა ცოფმორეული მარგარეტის ლვარ-ძლიანი ზეიმის სცენა. თვალნათლივ იხატება იორკის მიერ დახასიათებული დედო-ფალი: "ძუ მგელო და თვით ხვალ მგელზე უარესო!", "ო, ვეფხის გულო, ქალის

ფუავით გარემოსილო" [15], რომელიც აოცებს ყველას თავისი უკეთურობით. ლურჯი ლაქის ფონზე შავისა და თეთრი საღებავის მონაზილეობითაა შექმნილი იორკის ფიგურის ზოგადი მონახაზი. ჩვენს შინაშე წარმოსდგება ხაფანგში გაბმული მტაცებელი. მარგარეტის ფიგურა წითელ ლაქად აღიქმება. ქალის ნაცვლად თითქოს ეს წითელი ლაქა ღრიალებს, ხოლო იორკის ნაცვლად საშიშარი ნეგატიური ნილაბი ღრინავს. მაყურებელი ხედავს მათი შებმის გააფორებას. თეატრალური უესტების კუთხოვანი დინამიკა, დაღებულ პირთა ნაცვლად შავი ხვრელები, ყალბზე დამდგარი თმა - აი ის, რაც ნათლად ჩანს. მოქმედების სიმძაფრეს მხატვარი ფორმათა დეფორმაციით, მათი თამაში განზოგადოებით და ფერთა ლაქების კონტრასტული შეფარდებებით გაფორმება. მარგარეტის ფიგურა, რომელიც ბრჭყალი წითელი ლაქის სახით აღიქმება, მინიშნებულია მხოლოდ რამდენიმე ხაზით (გამოკვეთილად დეიტხება ფორსის მონახაზი, თეთრი დისპროპორციული ხელი და თავი). რთული და მრავალშრიულია სურათის კომპოზიციური ტიპის არქიტექტონიკა. უპირველესად ყველაზე ნათლად ჩანს გამონასწორების პრინციპზე მისი აგება. იორკის ფიგურა, ლურჯი ლაქის ფონზეა გამოსახული. იგი შავი ხაზითაა მოხატული, რომელიც ზოგიერთ აღგილებში შავ, ლოკალურ ლაქაში გადაიზრდება. იორკის ფიგურა მარგარეტის ფიგურასთან შედარებით უფრო დაწვრილებითაა დახატული, მაგრამ უფრო დიდი ზომისაა, მეტ სიბრტყეს იყავებს და მის გვერდზე დახატული კიდევ ერთი ფიგურითაა "დამძიმებული" (ეს უკანასკნელი მხოლოდ ოდნავაა მინიშნებული) - ყოველივე ამით მხატვარი ერთგვარად აქრობს დედოფლის ამსახველი წითელი ლაქის ულერაღობას (წითელი ფერი გრძელფალების დაპაზონის გამო მაყურებელთან უფრო ახლოს განლაგებული გვერდები, ვიზრე ლურჯი) და ამით ამონასწორებს კომპოზიციას. ქადაღლის სიბრტყისა და ინტენსიურ ფერთა ლაქების ცხოველხატული თამაში, ლია ფონზე მუქი ფონის გამოსახულების აულერება, თეთრი და შავი ხაზით შექმნილი ნახატის ურთიერთობა ერთმანეთთან, სიბრტყესთან და ბრტყელ კონტრასტულ მუღერ ფერად ლაქებთან ქმნის სურათის მძაფრ დრამატულ ექსპრესიას. ძალოვანი, შემჭევი, მკაფიო ნახატი, ნეგატიური და პოზიტიური ეფექტის მონაცვლეობა სურათს მეტ გამომსახველობას ანიჭებს. ზ. ნიუარაძე სურათის

ფორმალურ გადაწყვეტას შესანიშნავად უსაღაგებს შექსპირის პიესის კონკრეტული მომენტების ხასიათს. საშუალებად იყენებს პიესაში აღწერილ სისხლიან-ზრამატულ მოვლენებს და ორგანულად ახაშებს სიუჟეტსა და თავის მხატვრულ - ფორმალურ ინტერესებს. გამომსახველობის ძალით ეს ფურცელი შორდება პიესის ერთი სცენის კონკრეტული ამბის ფარგლებს და ხაჭოვანად გაღმოსცემს შექსპირის მიერ გა-ფარგლებულ ერთ-ერთ ზოგად აზრს - ძალაუფლებისათვის შებრძოლ ფეოდალთა მფაცებლობასა და სიშმაგეს.

ამ ილუსტრაციაზე ნათლად ჩანს არა მარტო ილუზორული ასახვის სისტემის ელემენტთა მინიმუმიამდე დაყვანა, არამედ "ილუზორულ სახვითობაზე" ანუ რეა-ლური სამყაროს კონკრეტულ - პლასტიკურ გამომსახველობაზე უარის თქმა. სურათ-ზე პირობითი პროექციით იქმნება პიესის კონკრეტული მომენტის ზოგადი მხატვრული სახე. გამოსახულება არ ბაძავს სინამდვილეს, არამედ უპირისპირდება მას დეფორ-მაციის, დისპროპორციის, მეშვეობით. დაუსრულებელი, მიმართულებელი ნახატით, პოზისა და უესტის საგანგებო უფრინებით, სტილიზაციით, ფერად ლაქათა კონ-ტრასტული დაპირისპირებითაა შექმნილი მხატვრული დამაჯერებლობა და უკიდუ-რესად დაძაბული, მძაფრი მხატვრული ხატი.

ზ.ნიუარაძისათვის ეს ფურცელი არ არის შემთხვევითი მიგნება და არც შინას-ტარ უკვე მიგნებული ფორმის გამოყენების დემონსტრაცია. იგი მრავალჯერადი ცდის, შემოქმედებითი ძიების ნაყოფია, რაზედაც მიუთითებს ამ სცენის ამსახველი არა ერთი ნახატი [18], მათზე თვალის გადავლება გვიჩვენებს რა გზა განვლო მხატვრის ჩანაფიქრმა, ვიღრე საბოლოოდ მიიღებდა იმ სახეს, რომელიც შემოქმედს დააკმაყოფილებდა. ალსანიშნავია, რომ უფრო აღრინდელი ვარიანტები ილუზორუ-ლი პროექციის ფარგლებშია გადაწყვეტილი. საგანგებოდ შეიძლება ერთ-ერთი მათგანის განხილვა. დედოფალ მარგარეტის ცოფმორეული, აფექტისაგან დაგრეხილი ფიგურა სურათის მარცხენა მხარესაა მოთავსებული. მისი სხეული რთულ რაკურს-შია გამოსახული. უცნაურად გაზნექილი, სამ მეოთხედში შემობრუნებული დედო-ფალი მიმართულია სურათის მარჯვნივ, სილმეში გამოსახული რიჩარდ გლოსტე-რისაკენ. ამ ორი ფიგურის განლაგება ერთგვარ სამოქმედო "ბაქანზე" და მათ

უკან დახატული ფიგურები აშკარად სიღრმის მანიშნებელია. სურათზე რამდენიმე პლანია გამოკვეთილი. გლოსტერის ფიგურაც რთულ პოზაშია გამოსახული, იგი არაბუნებრივადაა დაგრეხილი. ორივეს პროპორციები წაგრძელებულია. თხელი და დისპროპორციულად გაზრდილი სხეულები მოცულობითადაა მოჭელირებული. ფიგურები მანერულია და სტილიზებული. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ფურცელზეც შებმის, შეფაკების მომენტი საკმაოდ მძაფრადაა ასახული. ნაჩვენებია ორივე გმირის ხასიათი, მათი მტაცებლური, შმაგი ბუნება. შექსპირის პიესაში აღწერილი შეფაკების სცენას ამ ილუსტრაციაზე სავსებით კონკრეტული ხასიათი აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამან ოსტატი არ დაკმაყოფილა. ამ თემაზე შესრულებულია რამდენიმე ნახატი. ილუსტრაციაზე, რომელიც შევიდა შექსპირის კრებულში, დედოფლის ფიგურა იგივე აღგილზე დარჩა, მაგრამ სრულია შეიცვალა. წინა ილუსტრაციიდან შემორჩა მხოლოდ ზურგის მომხაზველი პლასტიკური ხაზი, რომელის მეშვეობით ფიგურამ იგივე მიმართულება შეინარჩუნა. ასევე, თითქმის უცვლელად გადმოვიდა დედოფლის თავის და ხელების მიმართულება. მაგრამ, ფიგურამ მთლიანად დაკარგა არა მხოლოდ მოცულობა, არამედ სხეულის მთლიანი გარშემოწერილობაც და ნახატს აცდენილი ბრტყელი წითელი ლაკონიური ლაქის ფონზე "განთავსდა". დედოფლის საკმაოდ კონკრეტული ფიგურა ამ ნახატში აბსტრაქტულობის ზღვარზე მისულ გამოსახულებად გადაიქცა. ამასთან, არა მარტო შეინარჩუნა ის მეტყველება, რომელიც გააჩნდა წინა სურათზე არამედ, კიდევ უფრო გამძაფრდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა სურათის დანარჩენი პერსონაჟიც. სივრცეში რთულ მოძრაობაში გამოსახული რიჩარდ გლოსტერის ფიგურა სიბრტყეზე გაიშალა, მანაც დაკარგა მოცულობა, დანარჩენი პერსონაჟების მოგვის მაგვარი თავებიც სიბრტყეზე განლაგონენ. რიჩარდი კონკრეტული პერსონაჟიდან გააფრთხებული "მხეცის" ხატოვან გამოსახულებად იქცა. ეს მისი სახის ნიღაბისმაგვარად გადაწყვეტამაც განაპირობა. დრამატიზმია ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, თუმცა დრამატიზმი აშკარად თეატრალიზირებულია. ილუზორულობის ფარგლებში ამგვარი გამოსახულება მანერულია, ხოლო სიბრტყობრივი მეთოდით შესრულებულ სურათზე აშკარად გროტესკული ცდერთაღობისაა. ამ ჯგუფში გაერთიანებულ ილუსტრა-

ციებს პირობითად შეიძლება "თეატრალურ - გროტესკული" ხასიათისა ვუწოდოთ. გადაწყვეტის თითქმის იგივე ნიშნებით ხასიათის ამ ჯგუფის შემზები ილუსტრაცია, რომელზედაც გამოსახულია ორი მფრული ჯარი და მათი წინამძღოლები დროებითი დაზავებისას /ფაზ.22/. ამგვარი სცენა პიესაში ორია. ერთი გაღმოსცემს იორკისა და შარლის, საფრანგეთის დოფინის მოლაპარაკებას და მეორე - იორკისა და ბეკინგემის მოლაპარაკების ამაო მცდელობას. ამ უკანასკნელის აღწერისას თეატრში არის ერთი რემარკა: "შემოღის იორკი დაუდაუებითა და დროშებით". სავარაუდოა, რომ ჭ. ნიუარაძის გრაფიკულ ფურცელზე დახატული დროშები, ამ რემარკის გამოძახილს წარმოადგენს. წინა ფურცელთან შედარებით ამ ილუსტრაციაზე უფრო "სტაბილური" ატმოსფერო ბაჟონობს (რასაც ძირითადად გამოსახულთა პოზები და ფერთა ლაქების ნაკლებ კონტრასტული დაპირისპირება განაპირობებს), თუმცა იგრძნობა უკიდურესი შინაგანი დარაბულობა, მხარეთა მზაღლური პრძოლის განახლებისათვის. მხატვარმა დაგვირაფა მომენტი, როდესაც ერთი ნაპერზე კი საკმარისია ყველაფრის ასაფერებლად. ყოველივე ეს კვლავ ძალის პირობითადაა "გათამაშებული" ფურცელზე და ასახვის სიბრტყობრივი პროექციით ხორციელდება.

მძაფრი და გამომსახველია ილუსტრაცია, რომელზედაც ჰენრი VI მკვლელობის სცენაა დახატული. მხატვარმა ამ ილუსტრაციისათვის არა ერთი გრაფიკული ფურცელი შექმნა, რაც გამომსახველობის ძიებასთან ერთად იმის მანიშნებელია, რომ მხატვარს იტაცებს პიესის ფრამატული სცენები. ყველა სურათი კომპოზიცია ერთმანეთის მსგავსია. ერთნაირია მეფისა და მისი მკვლელის ფიგურათა განლაგება, მათი პოზები. მეფე ჰენრის "აჩრდილისმაგვარ" ფიგურას (რაც შესაძლებელია სიმბოლურად იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მეფე ჰენრი VI ფაქტიურად უკვე მკვდრია როგორც მეფე) რიჩარდ გლოსტერი გაშმაგებით ასობს მახვილს.

შეესპირის თხზულებათა კრებულში შესულ ილუსტრაციაზე მოქმედება ვითარდება კონკრეტულ გარემოში /ფაზ.23/. არქიტექტურული დეტალები: თაღები და იატაკის ფილები ტაუერის დარბაზის პირველ ინტერიერს გვიხატავს. გლოსტერის ფიგურა გამოსახულია რაკურსში, ამის გამო ქმედითა მესამე განზომილების ილუზია.

დაწვრილებითაა გაღმოცემული სამოსის ზოგიერთი დეტალი. ყოველივე ამან მეტი თხრობითი კონკრეტულობა შესძინა ილუსტრაციას. თუმცა არქიტექტურული დეტალები ძალის სუსტადაა გამოკვეთილი, მკრთალია და ფონის მნიშვნელობა აქვს. ფიგურებიც უფრო სიბრტყეზეა განთავსებული. პირობითი და სიბრტყობრივია რიჩარდის კილურები და სახე. მეფის ფიგურა კი ნებაჭივის მაგვარადაა გადაწყვეტილი: დახატულია თეთრაობი და ოქრით, ასევე ოქრითა და თეთრაობი არის დაწერილი ფონიც, რის გამოც მეფის ფიგურა თითქმის შერწყმულია მასთან. ილუსტრაციაზე სიბრტყობრივი პროექციის ელემენტები უდაოდ დომინირებს. ეს ნიშნები კიდევ უფრო გაღრმავებულია იმ ნახატზე, რომელიც ჭ. ნიუარაძის ალბომშია შესული. მეტად გამომსახველი ფორმის ძეგბაში მხატვარი სრულებით ათავისფლებს სურათს დეტალებისაგან. ქრება გარემოს მიმანიშნებელი თაღელი, რიჩარდ გლოსტერის ფიგურამ დაკარგა ყოველგვარი მოცულობა, გაქრა ჩასაცმელიც. ილუსტრაციაზე თვალში საცემი გახდა მხოლოდ გაშიშვლებული მელერი, უერადი ლოკალური ლაქები და ხაზი. კონკრეტული სახვითი ფორმის პირობით ენაზე ტრანსფორმაცია განხორციელდა. ამასთან დრამატიული გამომსახველობის დიდი წილი კვლავ (როგორც ზემოთ განხილულ ესკიზი) რიჩარდ გლოსტერის დეფორმირებულ, დისპროპორციულ ფიგურაზე ხვდება, რომელიც თუმცა სრულიად გარდაისახება, მაგრამ მისი თეატრალური, უფრირებული რესტები გადაჭარბებულ სიმძაფრეს ინარჩუნებს. ამასთან დაძაბულობას ალრმავებს ლაკონიური, მელერი უერადი ლაქის ფონზე მოთავსებული ფორმას აცდენილი ნახატი, შავი, თეთრი და ინტენსიური უოლოსფერი ლაქების კონტრასტი. ილუსტრაციაზე გაღმოცემულია მევლელობის მძაფრი აზარტი, გროტესკული დრამატიზმი. საყურადღებოა ამ ილუსტრაციისათვის შექმნილი კიდევ ერთი ფურცელი /ტაბ. 24/. იგივე ნახატი განმეორებულია შავი ტუშით. ფურცელი აქრომატულია. შავით შესრულებული ნახატისა და თეთრი ქალალის სიბრტყის დაპირისპირებითაა გაღმოცემული სცენის დაძაბული, გროტესკული ხასიათი. აღსანიშნავია, რომ სამივე ფურცელი გამომსახველია. ილუსტრაციები იგივე "ძარღვზე" მოქმედებენ, რომელზედაც მათი ლიტერატურული პირველწყარო. შექსპირის მიერ აღწერილი სისხლიანი დრამის პირობითობა ჭ. ნიუარაძემაც გრაფიკული პირობითი ენით აამეტყველა.

ხასიათითა და მხატვრული გადაწყვეტით ამ ჯგუფს უკავშირდება კიბევ ერთი ფურცელი "მერჯერი ჯუდენი სულებს უხმობს" /ჟაბ.13/. კომპოზიციური აგებით იგი იმ ჯგუფთან დავასახელეთ, რომელიც პორტრეტებს მოჰყვებოდა. ფორმალური ნიშნებით კი ეს ილუსტრაცია ამ უკანსაკუნელ ჯგუფში განხილული ფურცლების მსგავსია. მძაფრი გამომსახველი ექსპრესია, უდერად კონტრასტულ ფერთა შეხამება, დეფორმაცია, დეტალების უფრინება, ნახატის და ფერაზი ლაქის აცლენით დახატული კულიანი დედაკაცის გროვესული ფიგურა გაღმოგვცემს შექმნილის მიერ აღწერილ სცენას.

პირობითად, მხოლოდ იმიტომ, რომ აქაც საბრძოლო შეტაკებაა დახატული, ამ ჯგუფს შეიძლება დავუკავშიროთ კიბევ ერთი ფურცელი, რომელზედაც შარლ დოფინის და იოანნა ქალწულის შეტაკებაა წარმოდგენილი /ჟაბ.25/. ამ ილუსტრაციაზე ასახულია პიესის დასაწყისი, მისი მეორე სცენა. იგი ჭავსჭის კონკრეტულ მომენტს აღწერს. სურათის სიუკეტის გაღმოცემა შეიძლება ერთი რემარკით: "იბრძვიან. ქალწული სჯობნის". დახატულია აბჯრებში გამოშეყობილი ორი მებრძოლი ფიგურა, ერთერთი მათგანი ქალია (რაც გრძელი თმით არის მინიშნებული). შინაარსის მიხედვით ამ ჯგუფში გაერთიანებული ეს ფურცელი დანარჩენებისაგან განსხვავებულია თავისი მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტით. ფიგურების მოღელინება მოცულობითია. კომპოზიცია დიაგონალურად არის აგებული. ფიგურების დახატვისას გამოყენებულია რაკურსი. დოფინი და იოანნა ქალწული ნეიტრალურ ფონზე არიან გამოსახულნი, მაგრამ ფიგურათა დიაგონალური განთავსება სილრმის ილუზიას გადმოსცემს. ეს ფორმალური ხერხები მოკლებულია გამომსახველობას, ფიგურები უფრო ნახერხის თოჯინებს წააგავს. ამის გამო ამ ფურცელს ზერებულე ილუსტრატორული ხასიათი აქვს.

როგორც დავინახეთ, ილუსტრაციების ამ ჯგუფის ფურცლებზე შეტაკებების, საბრძოლო შებრის სცენებია დახატული. პიესაში აღწერილი დრამატული ეპიზოდები საფუძვლად ეჭება სახვითი გადაწყვეტის დაძაბულ დინამიკას, ნახატის გროვესკულ უდერადობას, რაც შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე ზ.ნიუარაპის ფორმალურ მისტრაფებებს შეესაბამებოდა. პიესის დრამატული მოქმედებით აღსავსე სცენები

მხატვარს შესაძლებლობას აძლევს გამოიყენოს სიუჟეტი, როგორც თავისი ფორმა-  
 ლური მისწრაფებების ხელშემწყობი პირობა, ე.ი. სახეზეა მხატვრის პლასტიკური  
 ენისა და ლიტერატურული ნაწარმოების ხასიათის თანხველა.

ფორმათა ლაკონიზმითა და გამარტივებით მიღწეული გამომსახველობა და  
 დრამატული სიუჟეტი - ამ ნიშნებით ილუსტრაციების ამ ჯგუფს შეიძლება ექსპრე-  
 სიონისტული ვუწოდოთ, მით უმეტეს თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ "ფართო  
 გაგებით ექსპრესიონიზმი არის სჭილი, რომელიც გამომსახველობის გასამძაფრე-  
 ბლად განსაზღვრულად ამარტივებს ფორმას" [19].

როგორც დავინახეთ, ნახატების სერიის სტილისტური არაერთგვაროვნება ბევ-  
 რად არის განპირობებული ასახვის ორი განსხვავებული მეთოდის ელემენტთა თა-  
 ნაარსებობით. ზოგან უფრო ძლიერია ილუსტრული მეთოდის ელემენტები, ზოგან  
 კი პირობითი - სიბრტყობრივი პროექციის ელემენტები ჭარბობს. მხატვრული ფვალ-  
 საზრისით სრულყოფილია ის ფურცლები, საჭაც ეს ელემენტები ურთიერთშეობავ-  
 სებულია, ერთ მხატვრულ მოლიანობაზეა შერტყმული, თუნდაც ერთი რომელიმე  
 საწყისის დომინირებით. ნახატების სერიაში ძირითადად სამი სტილისტური ჯგუფის  
 გამოყოფა შეიძლება: I - ხაზოვანიბრტყობრივი, საჭაც მეტყველებს ხაზი (ფუნ-  
 ჯისა და კალმის თანაარსებობით შექმნილი ხაზი) და ხელშეუხებელი ფურცლის  
 თეთრი სიბრტყე. ამგვარ გრაფიკულ ნახატს ხშირად ერთვის ფერად ლაქათა მხა-  
 ტვრული კომპინაციები (თუმცა მათი გამომსახველობითი მნიშვნელობა მეორადია  
 ხაზთან შედარებით). ეს ლაქები, ზოგიერთ სურათებში ფერადოვნად ჩალახე შეკა-  
 ვებულია, რის შედეგადაც გრაფიკული ფურცლები თითქმის აქრომატულია, ზოგი-  
 ერთი სურათი კი ულერადი და ხალისიანია. ილუსტრაციების ამ ჯგუფში აშკარაა  
 სიბრტყობრივი გადაწყვეტის უპირატესობა. მხატვარი სახვითი ხერხების მცირე  
 დიაპაზონის იყენებს. ასახვის ორივე სისტემის ელემენტთა ოსტატური თანაფარდობით  
 ქმნის ლაკონურ და გამომსახველ სურათებს. II - ხაზი ალარ (ან თითქმის აღარ)  
 მონაზილეობს როგორც გამომსახველობის მთავარი ელემენტი, უფრო მეტყველებს  
 სილუეტი და ფერადი ლაქა-ტონი, თუმცა მისი მეშვეობით შექმნილი მოცულობა გა-  
 სიბრტყოვნებულია, კომპოზიცია კი ყოველთვის სიბრტყეზეა გაშლილი. ამ ჯგუფში

მხატვრული მთლიანობის მიღწევა ხდება ორი სისტემის ელემენტთა ურთიერთშე-  
თავსებით. III-ამ ჯგუფის სურათებში თითქოს მოცულობის ილუზია მძლავრობს,  
მაგრამ კომპოზიცია აქაც არასდროს არ იშლება სილრმეში.

საილუსტრაციო სერიის თითოეული ფურცელი დამოუკიდებელი მხატვრული  
ლირებულებისაა. ყოველი სურათის კომპოზიცია მხატვრულად დასრულებულია.  
%. ნიუარაძე ნახაჲებს საგანგებოდ არ უმორჩილებს შიგნის გვერდს. მხატვარს  
მეტად იჭაცებს ცალკეული ფურცლის გამომსახველობა. იგი ნაკლებად ზრუნავს  
სერიის სფილისტურ ერთიანობაზეც, რაშიც ნათლად ავლენს დაზგური მხატვრის  
მიღებომა-აზროვნებას. მაგრამ მიუხედავად დაზგური მხატვრობის ელემენტთა ერთ-  
გვარი სიფარბისა, %. ნიუარაძის ილუსტრაციების წარმოდგენა შიგნში სავსებით  
შესაძლებელია. ამას ხელს უწყობს ნახაჲების სიბრტყობრივ-დეკორაციული გადა-  
წყვეტა და კომპოზიციური აგების ხერხი ("ფრაგმენტული" კაზრინება).

%. ნიუარაძის ილუსტრაციების ხასიათი არა მხოლოდ ამ პიესიდან მიღებული  
შთაბეჭდილებით, არამედ მხატვრის სუბიექტურ პრიზმაში გატარებული შექსპირის  
მოელი შემოქმედების ზეგავლენითაა ნასაზრდოები. %. ნიუარაძემ ფერად ილუსტრა-  
ციებში აამეტყველა ინგლისელი დრამატურგის მღიდარი და მრავალფეროვანი სა-  
მყარო: ეს ხან მეფე-დიდებულთა პორტრეტებია, ხან შეწყვილებული პორტრეტების  
სახით დახატული "სიჭყვიერი პაექრობის" სცენები; ზოგჯერ მღაბიოთა ხელჩარ-  
თული ბრძოლების კომიტური სარკაზმით გაულენთილი სურათებია; ზოგჯერ კი,  
არისტოკრატთა რაფინირებული, ამაღლებული გამოსახულებანი ან ფეოდალთა  
გააფრთხებული ჭიდოლის ამსახველი თეატრალურ - გროტესკული ფურცლები. მხატ-  
ვრის ნებამ მოქმედებითა და მოვლენებით მღიდარი პიესების მღინარებიდან ფუნჯის  
ძალით ამოიღო და "შეაჩერა" ცალკეული ეპიზოდები. "ახლო ხელით" წარმოდგე-  
ნილი ფიგურები მოვლენათა საერთო ჯაჭვიდან თითქოს შემთხვევით ამოკრეფილი  
დატალების შთაბეჭდილებას ფოვებენ, რომელთა მიღმა იგრძნობა "კაზრს გარეთ"  
დარჩენილის არსებობა. ნახაჲების ხილვისას ისეთი გრძნობა გეუფლება, რომ ამ  
გადიდებული "ფრაგმენტებით" (მოზაიკის მსგავსად) შეიძლება შექსპირის დრამის  
მთლიანი სურათის "აწყობა". პიესის ამგვარი პლასტიკურ - ვიზუალური ხატი ასო-

ციაციას ბაჭებს შექსპირისეულ მხატვრულ გადაწყვეტასთან. მის პიესებშიც მოქმედების მხოლოდ ნაწილი თამაშება სცენაზე, მაყურებლის თვალშინ, ხოლო დანარჩენი თითქოს სცენის მიღმა კულისებში მიმღინარეობს, მაყურებელი კი ამ ამბების შესახებ რომელიმე პერსონაჟის მონაყოლით იგებს [20].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნიუარაძე ფერსტისაღმი ერთგვარ დაუჭერობასაც ამეღავნებს, რაც იმაზე შეტყველებს, რომ ნაწარმოების დასურაობისას მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია ნაწარმოების სიუზატური ქარგა და უფრო მნიშვნელოვანია სურაობის სახვითი შეტყველება. მიუხედავად ამისა, ძალზე საინტერესოა მხატვრის მიერ ნაწარმოების გახსნის ხერხი. ტრილოგიის დასურაობისას გ. ნიუარაძის მიერ გამოყენებული სიუზატის მოცემის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა პიესა ერთდროულად რამდენიმე კუთხით იყოს წარმოჩენილი. ილუსტრაციებში ტრილოგია ქიშპობისა და მფრობის დრამატული მოვლენებით აღსავსე სისხლიან ეპოქეადაა წარმოდგენილი, რაც არა მარტო ამ პიესის, არამედ საერთოდ შექსპირის აღრეული საისტორიო ქრონიკების ხასიათს შეესაჭყვისება [21]. ილუსტრაციებში, ისევე როგორც შექსპირთან, ტრაგიკული სიცუაციები თანაარსებობს კომიზმთან, ხუმრობასთან, ფარსთან. დრამატიზმით აღსავსე უურცლების გვერდით არსებობს პაროდიული ირონიით, იუმორით გარღემილი ფურცლები. ზურაბ ნიუარაძეს წიგნის გრაფიკაში გაღმოაევს დაზგური მხატვრობის არა მარტო ფორმალური ნიშნები, არამედ ზოგადად მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ესთეტიზმი, მსუბუქი ირონია, ხუმრობა, დრამატიზმი (რომელსაც უფრო ფარსის, თამაშის ელუერი დაჰკრავს). ილუსტრაციებში მან წარმოაჩინა შექსპირის საისტორიო ქრონიკების ის წახნაგები, რომლებიც უფრო ახლობელი იყო მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის, მისი მხატვრულ-ფორმალური მისწრაფებებისათვის და იმპროულად თანხვდებოდა დრამატურგიული ნაწარმოების ხასიათს. ამის შედეგად მიღებული იქნა ფორმა-შინაარსით თანაზომიერი, მხატვრულად მოლიანი სურაობი შექსპირის საისტორიო ქრონიკების თემაზე. მხატვრისა და დრამატურგის შეთანხმებულ თანაარსებობაზე მეტყველებს პიესაში აღწერილი მოვლენების ამსახველი გრაფიკული ფურცლები.

## §2. საისტორიო ქრონიკა "რიჩარდ II"

70-იანი წლების მიწურულს და 80-იანი წლების დასაწყისში ჭ. ნიუარაძის შემოქმედებაში შეიმჩნევა ახალი ფენდენციები, იწყება თითქოს უფრო "მშვიდი" პერიოდი. დაძული ფერადოვანი კონტრასტები რბილება, ფერწერა ფონა-ლური ხდება, სუსტილება სწრაფვა დაძული მძაფრი სახეების შექმნისაკენ. მის ფილოებზე უფრო მჭვრეფელობითი განწყობილება სუფეს. ეს ფენდენციები ბუნებრივია, მოიცავს მისი შემოქმედების ყველა სფეროს. ამიტომ 1982 წელს შესრულებული ილუსტრაციები საისტორიო ქრონიკისათვის "რიჩარდ II" მნიშვნელოვნად განსხვავდება ხუთი წლით ადრე "პერი Ⅵ"-სათვის შექმნილი ილუსტრაციებისაგან.

აღსანიშნავია, რომ უფრო მოწიფული შექსპირის მიერ დაწერილი "რიჩარდ II" "სტილისტურად განუსაზღვრელი "პერი Ⅵ"-საგან განსხვავებით კომპოზიციურად უფრო ორგანიზებულია" [22]. აქ დრამატურგი გამოპყოფს ცენტრალურ გრინს, რომლის ირგვლივაც აგებს მოქმედებას. შესაძლოა დრამატურგიული წარმოების სტილისტური მოლიანობაც ქვეცნობიერ ზემოქმედებას ახდენს მხატვრის გადაწყვეტაზე. ჭ. ნიუარაძე პიესისათვის "რიჩარდ II" ქმნის სტილისტურად მოლიან საილუსტრაციო სერიას. პიესის წაკითხვაში იგი კვლავ თავისუფალია. მხატვარი სპონტანურად ხატავს იმას, რაც დაიღება მის წარმოდგენაში. ხატავს იმას, რაც დაამახსოვრდა, რამაც აღირა მისი ფანტაზია, შთაბეჭდილება მოახლინა მასზე. თითქმის ყველა ფურცელი ტექსტის კონკრეტული მომენტის ილუსტრაციას წარმოადგენს. სერიაში არ არის პორტრეტი ე.ი. პიესის გრინთა ხასიათები ავტორის ყურალებას არ იპყრობს. ამ გრაფიკულ სერიაში გაძლიერებულია თხრობითი ელემენტი. ილუსტრაციებზე გამოსახული მოქმედების პროცესი უფრო დაკონკრეტებულია (წინაციკლთან შედარებით). ამას, ძირითადად, ფიგურათა კონკრეტული შინაარსის მატარებელ სახასიათო პოზებთან და უესტებთან ერთად, გარემოს აღმნიშვნელი არქიტექტურული ან სხვა ფორმების სიმრავლე განაპირობებს. ზოგიერთ ფურცელებზე

მეორება ის მომენტები, რომელიც არაერთხელ არის ილუსტრირებული შექსპირის ცნობილ ილუსტრატორთა მიერ (ძირითადად XIX ს-ის ევროპელი მხატვრების ნამუშევრები).

პიესის მთავარი გმირია მეფე რიჩარდ II. შექსპირის ეს პერსონაჟი საკმაოდ რთული ხასიათის პიროვნებაა. "იგი ეშმაკია და ცბიერი, როდესაც განსჯის ბელინგბრუკა და ნორფოლკს", "ხან კი უხეში და შეურიგებელი, მაგალითად მომავაზავი ჯონ გონტის სარეცელობან". მეფის პიროვნება და მისი გარეგნობაც შექსპირის სათანადო ბრწყინვალებით აქვს აღმინდეთ [22]. ჰ.ნიუარაძემ მონარქის დახასიათებას ოთხი ილუსტრაცია დაუმო, ოთხივე პიესის საკუთანო მომენტი ასახა. პირველ ფურცელზე პიესის დასაწყისია დახატული: მეფე არჩევს ნორფოლკისა და ბელინგბრუკის დავას. მომდევნო ფურცელზე მომავაზავი ჯონ გონტი ამხელს და კიცხავს მონარქს. შემდეგ ილუსტრაციაზე დახატულია უკვე დამზობილი მონარქი, რომელიც სარკეში იყურება. და ბოლოს, პიესის ფინალური სცენა: მეფე რიჩარდ II-ს მკვლელობა. ამრიგად, ილუსტრაციებში მეფე საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი, თუმცა ერთმნიშვნელოვნად. ჰ.ნიუარაძის მიერ დახატული რიჩარდ II გაურკვეველი ირონიულ - გროტესკული პერსონაჟია, რომელიც მხოლოდ სამეფო გვირგვინით გამოირჩევა. მას არ ახასიათებს მეფური დიდებულება, ძნელი ამოსაკითხია მასზე რამე სხვა სახასიათო ნიშნები ან თვისებები. ილუსტრაციაზე დახატული მეფე თითქმის კარიკატურული ფიგურაა. ზოგიერთ ფურცელზე მისი სქესიც კი გაურკვეველია. ჰ.ნიუარაძემ მეფის ერთმნიშვნელოვანი დახასიათება მოგვცა. წინ წამოსწია პიესის სილრმეში დაფარული მისი ხასიათის თითქოს ნაკლებ-გამოკვეთილი მხარე: არაკაცური თვისებები, უნდათობა. თავისთავში შეყვარებულ უნდილ, კაპრიზულ რიჩარდ II - ს შექსპირის თანამედროვენი ხშირად დედოფალ ელისაბეტს აღარებდნენ. თავად დედოფალმა "იურისტ ლამბარდოსთან საუბარში ბრძანა: განა თქვენ არ იცით, რომ რიჩარდ II - ეს მე ვარ?" [23]. პიესაში შეფარულად არსებული ეს მხარე მხატვარმა გამოამზეურა და რიჩარდი თითქმის დედაკაცად წარმოგვიდგინა. ილუსტრაციები გამსჭვალულია მსუბუქი ირონიითა და კარიკატურული გროტესკით.

ილუსტრაცია, სადაც მეფის შინაშე ბეჭინგბრუკი ბრალს სდებს ნორუოლკს გლოსტერის მთავრის სიკვდილში (მოქ. I. სურ. 1), ირონიულ - პაროლიული ხასიათისაა /ჟაბ.26/. მხატვარი თითქოს ხუმრობს, მსუბუქი ირონიით გვიხატავს პიესაში აღწერილი კონფლიქტის ჩასახვის მომენტს. მეფისა და დიდებულთა სახეები გროვესკული, თითქმის კარიკატურული ხაიათისაა. მეორე ილუსტრაციაზე /ჟაბ.27/ დახატული რიჩარდ II სარკის შინ (მოქ. IV, სურ. 1) ნაკლებ პაროლიულია, თუმცა ასევე გროვესკული. პიესაში აღწერილი ეს სცენა აღსავსეა ტრაგიზმით. შეესპირთან მეფის ლრმა სულიერი განცდები რიტორიკული პოეტური ფორმითაა გადმოცემული. ჸ.ნიუარაძის ილუსტრაციაზე მსახური ბიჭის სახე სევდას, წუხილს გაღმოსცემს, მაგრამ მეფის ფიგურა კვლავ გროვესკულია. მხატვარი გაოგნებულ, დაბნეულ გვირგვინოსანს გვიხატავს, აღამიანს, რომელიც მხოლოდ ახლა მოეგო გონის და იგი შეზარა მის მიერ "აღმოჩენილმა", დანახულმა. მონარქმა სარკეში თავისი ჩვეული ანარეკლის ნაცვლად თითქოს მისოდის უცწობი, გაუგებარი გამოსახულება იხილა. ამ ილუსტრაციისთვის არსებობს კიდევ ერთი ვარიანტი, სადაც სიღრმეში განლაგებული მრავალფიგურიანი კომპოზიციაა დახატული. მაგრამ ის ფურცელი, სადაც ფიგურების რაოდენობა მინიმუმისა დაყვანილი, უფრო მისაღები აღმოჩნდა (ის შევიდა შეესპირის თხზულებათა კრებულში), ვინაიდან კომპოზიციური აგებითაც და სტილისტურადაც იგი უფრო ორგანულია ამ სერიისათვის. ფურცელი, რომელზედაც გამოსახულია მეფე რიჩარდ II, მომაკვდავი ბიძის, ჯონ გონტის სარეცელთან (აქტი II, სურ. 1), მხატვრულად უფრო გამომსახველია, ვიდრე შინა ორი /ჟაბ.28/. ინგლისელმა ილუსტრატორმა ჯილბერტიმ ამ სცენის ამსახველი ნახატით შეამკო პიესის სასათაურო ვინიეტი, უთუოდ იმიტომ, რომ მასში ხედავდა პიესის დედააზრის ძირითად აქცენტს. ამ სცენაში მომაკვდავი გონტი სასტიკად კიცხავს მეფეს ქვეყნის ცუდად მართვისათვის. ჸ. ნიუარაძის შექმნილ გრაფიკულ ფურცელზე დახატულია მშარე სიმართლის მოქმედი დაუცხრომელი მოხუცი და განრისხებული, გაოგნებული მონარქი. გამომსახველი კონფურით მოხაზული გონტის ფიგურა რაკურსშია გამოსახული. განსაკუთრებით მეტყველია მისი უესტი და პროფილი. დაღებული პირიდან თითქოს ისმის მომაკვდავის უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად ამოსული მხილება..

ზ.ნიუარაძის ილუსტრაციაზე ეს სცენა ისევე მძაფრადაა დახატული, როგორც შექ-  
სპირთან. დეფორმაციით (დისპროპორციულად გაზრდილი დეფალები), რაკურსით,  
დიაგონალური კომპოზიციით, სილრმე - სიბრტყის ურთიერთობით, ერთ მხატვრულ  
მოლიანობაში მოქცევითაა შექმნილი სურათის სახვითი მეზყველება.

ილუსტრაცია, რომელზედაც მეფე რიჩარდ II-ს მკვლელობაა დახატული /ჭაბ.29/, განსხვავდება სერიის სხვა ფურცლებისაგან, კომპოზიციური აგებით და  
ემოციური რღვერადობით. მაყურებლის მზერას თალის სილრმეში გათამაშებული  
ბატალიური სცენა წარმოუდგება. მეფე რიჩარდი მახვილს ასობს თავის წინ მდგომ  
მსახურს და იმავლროულად თავად განიგმირება სერ პირს ექვონის მახვილით.  
ცუდად განათებული ინტერიერი, "ხელოვნური განათება" ისევე, როგორც არქი-  
თექტურა (პომიერებული ციხის დილეგის კამარისებრი გადახურვა სურათის სილრმეში  
განლაგებული ბოძით) პირქუშ აჭმოსფეროს ქმნის. სერიის სხვა ილუსტრაციებისა-  
გან ეს ფურცელი გამოირჩევა მრავალფეროვანი, სილრმეში გაშლილი კომპოზიციით.  
სილრმის შესაქმნელადაა მიმართული ისეთი მხატვრული ხერხები, როგორიცაა სუ-  
რათზე რამდენიმე პლანის წარმოდგენა (დავარდნილი მსახურის ფიგურა, შემდეგ  
წონასწორობა დაკარგული მეორე მსახური, შემდეგ მისგან დიაგონალურად სილ-  
რმეში და მარცხნივ ერთმანეთის მიყოლებით განთავსებული რიჩარდის და მის უკან  
ასევე დიაგონალურად მდგომი ექსტრის ფიგურა) და თალების ლიობების გამოსახვა  
წინა თალი სურათის ჩარჩოს მოყვება, მას თითქოს შევყავართ სურათის სილრმეში,  
ხოლო უკანა პლანზე დახატული ორი სიმეტრიული თაღი კი ფიგურების უკან სივ-  
რცის ჩვენების შესაძლებლობას ქმნის. ინტერიერში მოთავსებული მოცულობითი  
ფიგურები რაკურსში, რთულ მოძრაობაშია გამოსახული. კომპოზიცია ოსტატურადაა  
აგებული, იგი კლასიკური ხელოვნების გაწონასწორობის პრინციპს ემყარება.  
ურთიერთგადამკვეთრი თაღები, დიაგონალურად მიმართული ხაზები, ფიგურათა რთუ-  
ლი მოძრაობები, ექსპრესიის, მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის. ილუსტრული  
სახვითი ხერხებით მხატვარმა დაგვიხატა კონკრეტული სიჭუაცია, სადაც იგრძნობა  
ასახული მოქმედების დრამატიზმი. სერიისათვის დამახასიათებელი ირონიული გრო-  
ფესის ნაცვლად ეს ფურცელი თხრობითი, ალტერილობითი ხასიათისაა. ფიგურათა

პოზები და უესტები მშვიდია და ზომიერი. თუ გავიხსენებთ 1977 წელს შესრულებულ პენრი VI-ს მკვლელობის სცენას, სადაც დრამატიზმი, "თეატრალური გროფესიი" უკიდურესად მძაფრი იყო, აშკარა გახდება, რომ ილუსტრაციაში მხატვარს გაღმოაქვს ის მხატვრულ - ფორმალური ამოცანები, რომელიც იგი გაჰატებულია თავისი შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე. 1970-იანი წლების ბოლოს დასურათებული "პენრი VI" ასახავს მხატვრის სწრაფვას მძაფრი გამომსახველობისადმი, რაც დამახასიათებელია იმ პერიოდის პორტრეტებისა და სხვა დაზიგურ ნამუშევრებისთვისაც. 1980-ნი წლები კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უფრო მშვიდია და "მჭვრეფელობითი". მხატვარი თითქოს უკვე მიგნებულ ხერხებს აჯერებს. ცდილობს შეასავსოს სხვადასხვა (ზოგჯერ შეუთავსებელი) მხატვრული სახვითი ელემენტები, ასახვის სხვადასხვა მეოთხები და ასე მიაღწიოს მთლიანობას, ფორმის გამომსახველობას. > ეს ნიშნები ვლინდება მის მიერ ამ წლებში შესრულებულ ილუსტრაციებშიც.

მხატვრის ყურადღება არათანაბარია პიესის ძირითადი სიუჟეტური ხაზები-სადმი. ზ.ნიუარაძის ილუსტრაციებში ასახვა ვერ ჰპოვა პიესის მეორე მთავარმა გმირმა ბელინგბრუქმა (პირველი ლანკასტერი ინგლისის ფახტზე, მომავალი მეზე პენრი IV). ამ პერსონაჟთანაა დაკავშირებული დრამის მეორე მთავარი სიუჟეტური ხაზი, რომელიც გადახლართულია რიჩარდ II-ის ამბავთან. ეს მხატვრის ერთგვარად დაუდევარი დამოკიდებულებაა ფესტივალისადმი. მით უმეტეს, რომ ილუსტრაციების ციკლის ორი ფურცელი ეთმობა პიესის გახსნისათვის, თუნდაც მისი თხრობისათვის სრულიად უმნიშვნელო პერსონაჟებს.

ერთ ფურცელზე დახატული პერსონაჟი გაურკვეველია /ტაბ.30/. ჩემის აზრით, იგი პიესის არც ერთ გმირს არ შეესაჭყვისება. თავისი ხასიათით იგი ძალზე ჰგავს ფოლსტაფს (ეს ცნობილი სახასიათო გმირია და გამორჩეული შექსპირული ხასიათი), მაგრამ ფოლსტაფი ამ პიესაში არ მონატილეობს. იგი მომდევნო საისტორიო ქრონიკების "პენრი IV" ორივე ნაწილის ერთ-ერთი ცენტრალური გმირია. ეს ილუსტრაცია ძალზე ცოცხალი და მეტყველია. თავისი გადაწყვეტით და ხასიათით იგი ახლოს დგას ზ.ნიუარაძის მიერ შექმნილ ილუსტრაციებთან რაბლეს "გარგანტუა და პანტაგრუელისათვის".

ასევე გაუგებარია ილუსტრაცია, სადაც დახატულია დედოფალი შერილის კითხვისას /ტაბ.31/. ტექსტში არ არის აღმოჩენილი მომენტი, სადაც დედოფალი რაიმე შერილს იღებდეს. მხოლოდ ერთ სცენაში (III მოქ-ის დასაწყისში) იორკი გაკვრით აუშენებს ბელინგბრუკს: "ჩემი მხლებელი დედოფალთან გავაგზავნე კიდეც და გავატანე სიყვარულის თქვენის შერილი". [15] სულ ეს არის და ეს. პიესაში შერილის შესახებ საუბარი აღარ გრძელდება. ეს ფაქტი სიმპტომატურია და აშკარად ლაპარაკობს მხატვრის ნაკლებ ყურადღებაზე ტექსტისაღმი. მას იტაცებს თემის პლასტიკური ხორციელება. ამ ილუსტრაციისათვის მის მიერ სამი ნახატია შექმნილი, რაც იმაზე მიგვითოთებს, რომ იგი გატაცებულია ფურცლის გამომსახულობის ძიებით.

დედოფალი ზ.ნიუარაძეს კიდევ ერთ ფურცელზე პყავს დახატული /ტაბ.32/. ეს არის ლენგლის ბაზში გათამაშებული სცენა, როდესაც საფარში დამალული დედოფალი მებალეთა საუბრიდან შემოთხვევით გაიგებს თავისი მეუღლის, რიჩარდ II-ის დამხობის ამჩავს (მოქ. III, სურ. 4). პიესაში ეს სცენა დიდაქტიკური ხასიათისაა. შექმნირს იგი იმისთვის შემოაქვს მოქმედების საერთო ქარგაში, რომ თავისი თეზისი სახელმწიფოებრიობისა და მეფის დანიშნულების შესახებ მეტი დამაჯერებლობით გაუშალოს მაყურებელს. ზ.ნიუარაძე ამ სცენის მხოლოდ გარეგნულ მხარეს შარმოგვიდგენს. სურათზე მწვანეში "გაბნეული" ფიგურები ცხოველხატულ ლაქებად გამოიყოფან. აქ დახატულ მებალეთა სქესი გაურკვეველია (პიესაში მებალე კაცია), მაგრამ ეს ჭორაობით გართული ფიგურები მძაფრად სახასიათოა. მეტყველი სილუეტით მოხაზუ ლი ფიგურები ხატოვანია და გამომსახველი. მშვენიერი, ნაზი და ლირიკულია საფარიდან გამომზირალი დედოფლისა და მისი მოახლის შეშინებული, დამფრთხალი სახეები. ფიგურები ხელვის სხვადასხვა შერტილიდანაა დახატული. გრაფიკული ფურცლის მხატვრული ფორმა მდიდარია. ეს ფურცელი მომენტალური განწყობილებითაა გამსჭვალული. მშვენიერ, ცოცხალ, "იმპრესიონისტული" ფურცელზე შექმნირის ნაჭიფი პოეზიის სურნელება შეიგრძნობა.>

ამ სერიის უკანასკნელი ფურცელი განზოგადების ძალით გამოირჩევა /ტაბ.33/. მასზე გამოსახულია მეფის ბიძა - იორკის მთავარი. ილუსტრაცია პიესის თხრობის

ქარგის მიღმა დგას, იგი ასოციაციურია. მასზე ასახული მომენტი პიესაში აღწერილი არ არის. მხატვარმა შარმოგვიღინა მეომრის ძლიერი ფიგურა, რომლის პოზაცია მოელი სახე საბრძოლო მოწოდებას გადმოსცემს. მისი მოწოდება კეთილშობილია. ფიგურა გამოსახულია "სივრცით ფონზე", რომელსაც თითქოს ბრძოლის აღმური ასდის. ამ სურათზე ჭ. ნიუარაძემ შეძლო გადმოეცა პიესაში აღწერილი იორკის ხასიათის ყველა ფვისება: კეთილშობილება, ერთგულება, ლრობიერება, სიკეთე, მოწყალება, ამავე ზროს ხნოვანება და ერთგვარი დალლაც. ყველა ეს ფვისება, რომელიც პიესის მსვლელობისას თანდათან იხსნება, ერთადაა შერწყმული ჭ. ნიუარაძის მიერ დახატულ ზოგად სახეში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ჭ. ნიუარაძის იორკი აშკარად ამაღლებულია თავის ლიტერატურულ პროფონდიზე, იგი კეთილშობილებისა და გმირობის განზოგადებულ ხატად შარმოგვიღინება. ილუსტრაციების მოელი სერიისათვის დამახასიათებელი ირონიული გროტესკი აქ ამაღლებული პეროდიკო იცვლება. თავისი საბრძოლო შემართებით ეს ფურცელი შეიძლება შექსპირის საისტორიო ქრონიკების ზოგად სახელ შარმოვიდგინოთ. მკაფიო, ძალოვანი, პლასტიკური და გამომსახველი ნახატი, მეტყველი სილუეტი, რთულ მოძრაობაში, რაკურსში მოცემული გამოსახულება, უფრინებული უესტი და მეტყველი, სახასიათო პროფილი, ასევე რაკურსში მოცემული სხეულის დეტალები, ზოგადად მოღელირებული ფორმა, სიბრტყე - სივრცისა და სიბრტყე - მოცულობის ურთიერთქმედება და მასალის ფრანსუარმაცია, მუქი გამოსახულების აუდერება ნათელ ფონზე - ძირითადად ასახვის ამ საშუალებათა გამოყენებითა შექმნილი ილუსტრაციის მხატვრული გამომსახველობა. მხატვარმა იორკის გამოსახულებით ოთხი ერთნაირი ფურცელი შექმნა და ეს სიმპორმატურია. ჭ. ნიუარაძე უკვე მიგნებულ კომპოზიციაში ეძებს ქალალდის ფორმაციისა და ფიგურის ურთიერთმიმართებას, ცვლის უესტს, დეტალის ზომას, ხელვის კუთხეს. მხატვრის სამუშაო სამზარეულოში ჩახელვა შესაძლებლობას გვაძლევს კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ ჭ. ნიუარაძისთვის ილუსტრაციაში, ისევე როგორც დაზგურ ნამუშევარში, მთავარია სურაობის სახვითი მეტყველება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, "რიჩარდ II"-ის საილუსტრაციოდ შექმნილი ნახატების სერია სტილისტური მთლიანობით ხასიათდება. მრავალფიგურიან კომპოზიციებს

მხატვარი აქაც თავს არიდებს. სურათზე უფრო ხშირად ორი - სამი პერსონაჟია გამოსახული. ფიგურები მსხვილი პლანითაა დახატული წელს ზემოთ და თავისუფლადაა მოქცეული კადრში. ამგვარი გადაწყვეტა სწორედ პერსონაჟებზე ამახვილებს ყურადღებას. ილუსტრაციაზე დახატული პიესის კონკრეტული მომენტი გმირთა კონკრეტულ მოქმედებაში გადმოცემით ხორციელდება. ფიგურები მოცულობითა, რელიეფისმაგვარი, "გასიბრჭყოვნებული" ფორმა მოდელირებულია დაბალ ადგილებში მუქი (შავი) "ჩრდილის" მეშვეობით. მოდელირება "ფრესკული ფიპისაა". ფიგურები მკაფიო კონტურით გამოეყოფა ფონს. ფორმა ხშირად დანაწევრებულია, უფრო მცირე მოცულობითი ფორმით და შიდა დამარაწევრებელი ხაზით. ტუშით და კალმით შექმნილი ნახატი ქმედითი სახვითი ელემენტია, მასზე გაკეთებული დატვირთვა თითქოს "ამსუბუქებს", ამცირებს ფორმის ილუზორულობას. ფერს ( სალებავი გუაში ) დაქვემდებარებული როლი აკისრია, პირობითი დეკორაციული ფუნქცია ენიჭება (ფორმის შეფერადება, ფერადი აქცენტების განაწილება), იგი ახალისებს აქრომატულ ფურცლებს და ნახატოან ერთად ხელს უწყობს სიბრჭყისა და სილრმე-მოცულობის შეთანხმებას. ასევე ილუზორული და პირობითი პროექციის ელემენტის წონასწორობაზეა დამყარებული ამ სერიის ილუსტრაციების კომპოზიციური სტრუქტურაც. (გამონაკლისია რიგიარდ II-ის მკვდელობა, რომელიც მოლიანად ილუზორულია). კომპოზიცია ხშირად დიაგონალურადაა აგებული. თუმცა ამგვარი დიაგონალური მიმართულება სილრმისაკენ სწრაფვაზე მეტად ექსპრესიის, მოძრაობის შთაბეჭდილებას ქმნის. მხატვარი შეგნებულად ზღუდავს კომპოზიციის სილრმეში გაშლის შესაძლებლობას, არ ქმნის პლანებს, არ იყენებს პერსპექტივას და ფიგურები თუმცა დიაგონალურად, ერთმანეთის უკან (უფრო "ოვერლეპინგს" ხმარობს, ვინაიდან ფიგურებს შორის არ არის სივრცე), მაგრამ მაინც სიბრჭყის არიან განთავსებულნი. იმ ილუსტრაციებში, საღაც შეთანხმება ორ ელემენტს შორის (სილრმე - სიბრჭყის) მიღწეულია, მხატვრული ფორმა მდგდარია. ამ სერიის ყოველ ფურცელზე მხატვრის წინაშე დასმული ძირითადი მხატვრული ამოცანა ამ ორი ტენდენციის მორიგებაა, მხატვრულ მოლიანობაში მოქცევა და მოლიანად საილუსტრაციო სერიის მხატვრული გაერთიანებაა.

შესპირის პიესები იმდენად მღვდელობრივია აზრობრივად, რომ ისინი არ დაიყვანება ერთ რომელიმე გაბატონებულ იდეაზე. ღრმაფურგის ნააზრევის საილუსტრაციოდ მხატვარი იძულებულია თავისი ჩანაფიქრის შესაფუვისი ერთ - ერთი მხარე წამო-შიოს შინ და დანარჩენი მას დაუკვემდებაროს. პირობითი გადაწყვეტა შედარებით აფართოვებს მხატვრის შესაძლებლობათა არეს. მას უფრო ზოგადი აზრის გადმო-ცემის შესაძლებლობა ეძლევა. ილუსტრაციების სერიაში პიესისათვის "რიჩარდ II" ჰ.ნიუარაძე გროტესკს მიმართავს, როგორც განზოგადების საფურველს. ამასთან გროტესკი მხატვარს ილუზიონული ფორმის "მოსაწყენი" ოხრობითობისაგან დაღწე-ვაშიც ხელს უშესებს და იმავლროულად ილუსტრაციებს პირობით უღერალობასაც სძენს. გროტესკი ჸ.ნიუარაძესთან სურათის სახვით ქარგაში ჩართული მხატვრული მეტყველების ფორმაა. იგი ხორციელება დისპროპორციის, დეფორმაციის, რთული მოძრაობებისა და რაკურსების მეშვეობით. ასე იქმნება განზრახ დამახინჯებული, კარიკატურული, ხშირად გაურკვეველი სქესის დალრეჯილი ფიზიონომიები. რეა-ლურისა და ფანტასტიკურის, დამაჯერებელისა და მიუღებელის, ჭრგიკულისა და კომიკურის, მშვენიერისა და უგვანოს უცნაური და თავისებურად ახირებული კონ-ტრასტული შეფარდებებით, ფორმათა მკვეთრი ალრევით იქმნება ჸ.ნიუარაძის გრო-ტესკული სამყარო, რომელის ზუსტად, ზედმიწევრით გაგება და ახსნა შეუძლებე-ლია. რეალურისა და ფანტასტიკურის თანაარსებობით განზოგადებული სახეების შექმნა [27] შესპირისათვისაც დამახასიათებელი მხატვრული ხერხია. ჸ.ნიუარაძემ შემოქმედებითი ალლოთი, შესაძლოა ქვეცნობიერადაც, გამოიყენა განზოგადების იგივე ფორმა. მკვლევართა აზრით შესპირონაც ხშირად ვხვდებით "მოუხეშავ გროტესკულ კომიზმს". [24] ამდენად ილუსტრაციების ციკლი შესპირის საისტორიო ფრამინალგენს (გამონაკლისია ილუსტრაცია იორკის გამოსახულებით), შესაფვარმა გროტესკის მეშვეობით განზოგადებული მეტყველება შესძინა. გროტესკი ამ შემ-თხვევაში ფორმა - შინაარსის გამაერთიანებლადაც გვევლინება და საისტორიო სერი-ის საერთო ხასიათით, უღერალობით შესპირის შემოქმედების ერთ - ერთ წახნაგსაც ეხმიანება.

როგორც დავინახეთ, ზ.ნიკარაძეს ნაკლებად აინტერესებს ფესტივალური ქარგა, მისი თხრობა, მაგრამ მის ნახატებში გაღმოცემულია საისტორიო ძრამების აფეროსფერო, ილუსტრაციები გამსჭვალულია შექსპირის ქრონიკების განწყობილებით. მხატვარი ქმნის გმირთა სახეებს და პიესის მოქმედების ამსახველ მხატვრულ ხატებს, სადაც გამომსახველობა იქმნება სპეციალურად სახვითი, გრაფიკული მეტყველებით. ამგვარი ხატოვანი მეტყველება XX საუკუნის ხელოვნების მონაპოვარია. ამ საუკუნის დასაწყისში შეიცვალა ხელოვნების წინაშე მდგარი ამოცანა. მისი მიზანი გახდა არა სინამდვილის ასახვა, არამედ სამყაროს პირობითი მხატვრული ხატების შექმნა, რაც ფორმალური თვალსაზრისით ასახვის ილუზორული მეოთხეს სიბრტყობრივ-პირობითი სისტემის ელემენტთა გამოყენება (მათი პრიმატი) აძლევს ზ.ნიკარაძეს პირობითი, განზოგადობული, ხატოვანი მეტყველების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ნახატების სერიები დაზგური მხატვრის, ფერმწერის ესთეტიკას ამეღავნებენ, მათი წიგნის ილუსტრაციად წარმოდგენა შესაძლებელია სწორედ ასახვის სიბრტყობრივ-პირობითი სისტემის ელემენტთა სიჭარების გამო. ამას ხელს უწყობს ზ.ნიკარაძისათვის დამახასიათებელი ზეკორაციულობის შეგრძნება და კომპოზიციების აგების "ფრაგმენტული" კატლინების პრინციპი. მაგრამ ვინაიდან ეს მხატვარი საგანგებოდ არ ითვალისწინებს ილუსტრაციის სპეციალურას, მისი ნახატები განსაკუთრებულ მიღებობას მოითხოვს წიგნის შექმნის დროს. წიგნის გრაფიკის ისტორიაში მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება, როდესაც ილუსტრაცია იმორჩილებს წიგნის სხვა კომპონენტებს. ასეთია მთელი ეპოქა წიგნის გრაფიკაში, კერძოდ მე-18 საუკუნის ევროპული გრავიური, რომელმაც გარკვეული დროის მანძილზე დაიმორჩილა წიგნის სხვა კომპონენტები. ასეთი მიღებობის ცნობილი მაგალითია მარკ შაგალის ილუსტრაციები გოგოლის პოემისათვის "მკვდარი სულები". შაგალის შექმნილი სურათების სერიას კრიტიკოსები ლიტერატურული ნაწარმოების კონგრენიალურად მიიჩნევენ. ალსანდრავა, რომ მხატვარმა მხოლოდ დაასურათა გოგოლის პოემა, ხოლო ყველა დანარჩენ პრობლემაზე გამომცემლებმა იზრუნეს. მწერლის და მხატვრის "მორიგება" მოლი-

ანად შიგნის შემქმნელებმა იკისრეს და შესანიშნავად გაართვეს კიბევაც თავი ამ მეტად რთულ და დელიკუატურ საქმეს. (შიგნი დაიბეჭდა პარიზში 1948 წელს, ვოლარის გამომცემლობაში).

გ. ნიუარაძის ილუსტრაციები შექსპირთან უშუალო ურთიერთობის შეღება. მხატვარი ოსტატური ცხოველხატული ნახატების მეშვეობით თავისუფლად ურთიერთობს შექსპირის სამყაროსთან. იგი ხუმრობს, თამაშობს, თითქოს მსუბუქად ეკიდება თავის რთულ და პასუხისაგებ საქმეს. ხუმრობა და მსუბუქი ირონია გ. ნიუარაძის არტისტული ბუნების არსია და შექსპირის დასურათებაზე მუშაობის დროსაც მხატვარი თავს უფლებას აძლევს იცინოს, იხუმროს "შექსპირთან ერთად", გაიცინოს XX საუკუნისათვის დამახასიათებელი ექსპრესიული ფორმით.

## თ ა ვ ი II

შექსპირის ორი საისტორიო ქრონიკის სიმბოლური - მისაფიცური წაკითხვა.

### შ1. ლორეტა შენგელია - აბაშიძის "რიჩარდ III"

**ლ. შენგელია - აბაშიძე** სამოღვაწეო ასპარეზზე სამოციანი წლების მეორე ნახევარში გამოვიდა. ეს ქართული გრაფიკის აღმავლობის პერიოდია. "ორმოცდაათიანელების" მოღვაწეობა, უფრო ძლიერად დაზიგური ფერწერის პრობლემებს შეეხო.

გრაფიკაში კი რაღიალური ცვლილებები სწორედ სამოციან წლებში მომდლავრდა.

**ლ. შენგელია - აბაშიძე** ერთ - ერთი იმათთაგანია, რომელთაც უხდებოდათ ახალი ფორმების, ახალი გრაფიკული სახვითი მეტყველების ძიება და დამკვიდრება. ხელოვნების განვითარების ფენდენცია მიმართული იყო განზოგადებისაკენ და გადაწყვეტის მეტი პირობითობისაკენ. ახალი მხატვრული ფორმის ძიებისას მხატვართა წინაშე დადგა ასახვის მეორებულების საკითხიც. ესჭამპის ფენიკა მეტად უბიძგებს სიბრტყობრიობისაკენ. ამიტომ წიგნის გრაფიკაში მომუშავე მხატვართა სწრაფვა სიბრტყობრივ - დეკორაციული ასახვის მეორებულების ხშირად არაცნობიერადაც ვლინდებოდა, რასაც ბევრად გარაპირობებდა ფენიკის სპეციფიკა. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ზოგადი ფენდენციები ნათლად გამოვლინდა

**ლ. შენგელია - აბაშიძის შემოქმედებაშიც.**

**ლორეტა შენგელია - აბაშიძე** მოაზროვნე შემოქმედია. მას ახასიათებს მოუსვენარი მარიებელი ბუნება, კეთილსინდისიერება საქმეში და "ახალი აღმოჩენების" სურვილი, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა მის გაჭაცებაში ესჭამპის ფენიკით. იგი ძირითადად დაზიგური გრაფიკის დარგში მუშაობს, თუმცა ცდის თავის ძალებს ფერწერაში, საერთოდ მას ინტერესების ძალზე ფართო სპექტრი გააჩნია. მას სამართლიანად ასახელებენ ქართული წიგნის ერთ - ერთ საუკეთესო ილუსტრატორად.

შექსპირმა **ლ. შენგელია - აბაშიძის** ყურადღება შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მიღიზდა. მისი საღიპლომო ნაშუშევარია შექსპირის "რიჩარდ III"-ისათვის შესრულებული ილუსტრაციები (1966 წ.). **ლ. შენგელია - აბაშიძე** დიდი პასუხისმგე-

ბლობით მოეკიდა საქმეს. გაკვალული გზით სიარულს მან თავისი ინდივიდუალური სახისა და ფორმის ძეგბა არჩინა. პიესაზე მუშაობის დაწყების შინ, ახალგაზრდა მხატვარმა დიდი მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა: შეუდგა თეატრალური კოსტუ-  
მის შესწავლას, თუმცა მუშაობის პროცესში მან ამ ცოდნის ფართო დემონსტრაცია-  
ზე უარი თქვა, ნახატის მეტი განზოგადებისა და სურათის პირობითობისაკენ სტრაფ-  
ვის გამო. მაგარმ სერიას მაინც შემორჩია პომპეზური თეატრალური კაბები, რაც  
ისტორიული ეპოქის სტილის შეგრძნებით გამოირჩევა. სერია შესრულებულია "ას-  
ფალტის" ტექნიკით. შავი საღებავით დაფარულ ლითოგრაფიულ ქვაზე შესრულე-  
ბული (ამოკაზრული) ნახატი ანაბეჭდზე იძლევა შავ ფონზე თეთრი ხაზით შექმნილ  
გამოსახულებას. ამ ტექნიკას სუფთა სახის ლითოგრაფიისაგან განსხვავებით აქვს  
შავსა და თეთრს შორის შუალებური ფონალობის "ნაცრისფერის" გაღმოცემის შესა-  
ძლებლობა. ამ ნახევარტონის არსებობა ამღიღრებს ტექნიკის დიაპაზონს.

მხატვარი თავისი სერიის ფურცლებზე მოგვითხრობს შექსპირის დრამას, გაღ-  
მოგვცემს მის ძირითად სიუჟეტურ ხაზებს. შექსპიროლოგთა აზრით, "ცენტრალური  
პერსონაჟის პრიმატი პიესას ერთგვარად "მონოლიტატულს" ხდის". [25] სტორედ  
ეს ძირითადი ლერძი იკითხება ნახატების სერიაში. რვა გრაფიკული ფურცლებან  
რიჩარდი ექვსზეა გამოსახული. ლ. შენგელია - აბაშიძემაც საისტორიო ქრონიკა გა-  
დაწყვიტა როგორც "მონოლიტამა", სადაც გათამაშებულია ფატალური ბეჭდისტერით  
გაპირობებული უკეთური კაცის ტრაგედია. მხატვარი თანაუგრძნობს თავის გმირს.  
იგი მას აღამიანური სიბოროტის მუტანტად კი არ წარმოგვიდგენს, არამედ მისტი-  
კური ბეჭდისტერის მსხვერპლად გვიხატავს. ილუსტრაციების ამ სერიაში ბეჭდისტერა  
ყოვლისმომცველია, მაგრამ მხატვრისათვის მნიშვნელოვანი კონკრეტული გმირის  
ბეჭდისტერაა. დაბალებისას, ზედის მიერ დაწყევლილი მახნჯი, კომპლექსიანი  
აღამიანი მხატვრის შებრალებას იმსახურებს. ილუსტრაციების ფურცლებზე წარ-  
მოდგენილი ავკაცი მრავალსახაა. მხატვარმა იგი რთულ, არაერთმნიშვნელოვან  
პიროვნებად დაგვიხატა, შინ წამოსწია მისი ენერგიულობა და მიზანისტრაფუა-  
ლ. შენგელია - აბაშიძის მიერ შექმნილი გრაფიკული სახეები ზუსტად გაღმოსცემენ  
შექსპირის გმირის რთული ხასიათის წახნაგებს.

< ილუსტრაციებში აღტერნაციების სახით გამოკვეთილია "უფლისწულთა თემა" - სიცმინდე და მშვენიერება, რომელიც რიჩარდის მფაცებლურ მიზნებს ეწირება. მხატვარი რელიეფურად გადმოსცემს ამ ორ დრამატულ ხაზს, მათ შეპირისპირებას. ალსანიშნავია, რომ სერიაში უგულვებელყოფილია ქრონიკის ზოგიერთი სიურატური ხაზი: დახატული არ არის ტახტისათვის ბრძოლის სისხლიანი დრამა. მხატვრის ყურადღების მიღმა დარჩა პიესის პოლიტიკური მიზანისწრაფუაც. ილუსტრაციებში გადმოცემული არ არის არც მონუმენტური ტრაგიკული პათოსი და არც ფსიქოლოგიური დრამა.

ლ. შენგელია - აბაშიძემ ილუსტრაციების სერიაში პიესის სიმბოლურ - მისციკური ხასიათი წარმოაჩინა, რაც რიცხვი სამის გამოყენებითაა გადმოცემული. გასჭევს რა მთელ სერიას იგი სიმბოლურ ელერაფობას იძენს. >

ნახატების სერია ძირითადად თხრობითი ხასიათისაა. ციკლის ოთხ ილუსტრაციაზე პიესის მოქმედების კონკრეტული მომენტებია დახატული. პირველი ფურცელი რიჩარდის გამოსახულებით პიესის დასაწყისის დემონსტრაცია (მოქ. I, სურ. 1); მომღევნოა ლეილ ანნას შეცდენის სცენა (მოქ. I, სურ. 2), შემდეგ დაფიქტური მარგარეტის წყევლა (მოქ. I, სურ. 39) და ბოლოს დედოფლიალთა გოდება (მოქ. IV, სურ. 4). დანარჩენი ორი ილუსტრაცია კრებითი ხასიათისაა, სადაც პიესის თხრობის ძირითადი სიურატური ხაზიდან გამომდინარე ზოგადი აზრია გადმოცემული. ერთი ფურცელი ასოციაციური ხასიათისაა და მხატვრის სუბიექტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს შექსპირის თემაზე. სერიას იგი საერთო ემოციური ელერაფობით უკავშირდება (სიმბოლურ - მისციკური განწყობილებით). საილუსტრაციო სერიას კვლავ რიჩარდ III-ს გამოსახულება ასრულებს: ყველას მიერ მიჰოვებული, მარტოდ - მარტო დარჩენილი ავკაცი უკანასკნელი ბრძოლისთვის ემზადება. > ეს დასკვნითი ფურცელიც ზოგადი აზრის მატარებელია.

პიესის დასაწყისში რიჩარდ გლოსტერი მონოლოგში პირდაპირ აცნობს მაყურებელს თავის ავ ზრახვებს. ამას ასახავს სერიის პირველი ფურცელი /ფაბ. 34/. ორმაგი ჩარჩოთი შემოვლებულ ფურცელზე გამოსახული რიჩარდის ფიგურა სასურათო სიბრტყის ქვედა მარცხენა მეოთხედს იკავებს. ზედა ნაწილში დახატული

სამი დაშინა წვერით მისკერძაა მიმართული. მხატვარმა დაგვიხატა მოელ სამყაროში განმარტოებული, ფიზიკური სიმახინჯით გამორჩეული კაცის სახე, რომელის ერთად-ერთი მიზანი ხელისუფლებისაკენ სწრაფვაა. მაყურებლის <თვალშინაა ბოროტი, ენერგიული აღამიანი, რომელიც ყველაფრისოვის მზადაა გვირგვინისათვის ბრძო-ლაში. მხატვარი ყურადღებას ამახვილებს რიჩარდის სახეზე, ხელზე და გვირგვინ-ზე, რითაც გადმოსცემს გრირის მფაცებლურ ზრახვებს. >

შემდეგ ილუსტრაციაზე გადმოცემულია ლეჭი ანნას შეცდენის სცენა /ფაზ.35/. მთავარი მოქმედი გრირები განთავსებულია სურათის ქვედა მარჯვენა ნაწილში. ლეჭი ანნა და მის წინაშე მუხლმოყრილი რიჩარდ გლოსტერი მეუე ჰენრის კუბოს-თან არიან გამოსახულნი. სინაზითა და სევდითაა აღბეჭდილი მგლოვიარე ქალის სახე. შემცევი მიზანსწრაფვა, შეუპოვრობა იკითხება რიჩარდის მახინჯ სახეში. დიდი თეთრი ლაქების მეშვეობით მხატვარი ყურადღებას ამახვილებს ლეჭი ანნაზე, რიჩარდზე და კუბოზე, რითაც ხაზს უსვამს მთავარ "საფეხულს". დანარჩენ ფიგუ-რებს კი, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. თუმცა, აღსანიშნავია რომ ალე-ბარლებით მათი გამოსახვა შეესაფუვისება შეესპირისეულ რემარკას: "სცენაზე არიან დიდებულები ალებარლებით". მათ განლაგებაში იგრძნობა ახალგაზრდა შემოქმედის მიღრეკილება სიბრტყის რიტმული და დეკორაციული ორგანიზაციისა-კენ (თეთრი სიბრტყეების აქცენტები, მეორეხარისხოვანი ფიგურების დეკორაციული გადაწყვეტა და რიტმული განლაგება), გრაფიკული სახვითი შეფუველებისაკენ სწრაფვა.

შემდეგ ილუსტრაციაზე დედოფალი მარგარეტი წყევლის რიჩარდს და მასთან ერთად დედოფალ ელისაბერს /ფაზ.36/. აქ გამოსახული რიჩარდი "ახალი სა-ხით" წარმოსდგება. პირველ ფურცელზე ფიზიკურად ნაკლული მარტოკაცი, თუმცა აშკარად უკეთური, შებრალებას იწვევს. ლეჭი ანნასთან რიჩარდი მიზანსწრაფუ-ლი, ძლიერი წების მამაკაცია. ამ ფურცელზე კი, ეს ნამდვილი ეშმაა, აფოფრილი და გაავებული, მისთვის არასასურველის მოსმენით მეტად გაღიზიანებული. რი-ჩარდისა და დედოფლის ფიგურებს მხატვარი ერთ დიაგონალზე აგებს, ერთმანეთის მოშორებით. წინა პლანზე სურათის ქვედა მარცხენა მეოთხედში განლაგებულია

რიჩარდი, ხოლო ზედა მარჯვენა კუთხეში - დელოფალი. ეს ფურცელი გააზრებულია როგორც სცენაზე გათამაშებული მოქმედების იღუსტრაცია. დელოფალი მარგარეტი კიბით ამაღლებულ ბაქანზე დგას, თითქოს უკანა კულისებიდან გამოსული. იგი წყევლის რიჩარდ გლოსტერს და მასთან ერთად დელოფალ ელისაბეთს და მის დაახლოვებულ პირებს: რივერს, ჰასტინგსა და ორსეჭს. რიჩარდის გაავებული და დელოფალ ელიზაბეთის შეტუხებული სახეები გვაუწყებს, რომ გაბოროტებული დელოფალური წყევლა შემზარავია. მოქმედება თითქოს სცენაზე თამაშება. ამ შთაბეჭდილების შექმნას განაპირობებს ისეთი თეატრალური აფრიბულები, როგორიცაა წინა სასცენო მოედანი, კიბე, ბაქანი, ბოძები. ფიგურების მღებარეობა - განაწილება, მათი ფრონტალური, წარდგენითი პოზები, უსტები და კოსტუმები (თეატრალური პოპეზურობით და ეპოქალური ნიშნებით აღბეჭდილი) თეატრის აფრისფეროს განწყობილებას ქმნის. იმისათვის, რომ სურათი სასცენო მოქმედებად წარმოიდგინო, ბუნებრივია, საჭიროა სივრცის იღუზის დახატვა. ლ. შენგელია - აბაშიძის კომპოზიციაც გააზრებულია იღუზორულად. "შუალედური", გარდამავალი ფონის "ნაცრისფერის" მეშვეობითაა შექმნილი წინა პლანი, რომელიც ფიგურების "სილრმეში" განთავსების შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, რომ იღუზორული სისტემის სახვითი ხერხები ქმედითი არ არის სიბრტყის ორგანიზაციაში ანუ კომპოზიციის აგებაში. კომპოზიცია ფიგურების (საგნების) განაწილებით გულისხმობს სივრცის იღუზიას, მაგრამ მაინც სიბრტყობრივი რჩება, ვინაიდან ძირითადი სახვითი ელემენტი არის სიბრტყე და ხაზი. სასურათო სიბრტყის მხატვრული ორგანიზაცია კი, იღუზორული სისტემის ხერხების შეშვეობით ხორციელდება. ამდენად, თავს იჩენს იღუზორული ფორმის გრაფიკული სტილიზაცია. ამასთან აღსანიშნავია, რომ რიჩარდისა და დელოფალ მარგარეტის სახეები გამომსახველი გრაფიკული სახვითი ხერხებითაა შექმნილი. დელოფალის მძაფრი პროფილი და დეფორმირებული ხელის მფენები შავ ფონზე თეორი ლაქებითაა ამეტყველებული. რამდენიმე რკალისა და ხაზის მეშვეობით, ორი - სამი შტრიხით ხატავს მხატვარი გამზარებული ქალის, გაბოროტებული დელოფალის, ფურიად, ნემეზიდას განსახიერებად ქცეულ სახეს.

რიჩარდის ისტორიის თხრობის პარალელურად იღუსტრაციებში გამოკვეთილია "უფლისწულთა თემა". გამოსახულ პერსონაჟთაგან რიჩარდის მერე ისინი ყველა-ზე ხშირად ჩნდებიან გრაფიკული ციკლის ფურცლებზე. უდანაშაულო ბავშვების მკვლელობის ეპიზოდი შემაძრწუნებელია თავისი ულმობლობით. შექსპირის არც ერთი იღუსტრაჟორი უყურადღებოდ არ ფოვებს მას. სხვადასხვა მხატვართა მიერ ამ ეპიზოდის თემაზე მრავალი ჭილოა შექმნილი. უფრო ხშირად იღუსტრირებულია უფლისწულთა მკვლელობის სცენა. ლ. შენგელია - აბაშიძემ უარი თქვა ამ სისხლიანი ეპიზოდის გამოსახვაზე. მაგრამ ამ თემას მან სამი ფურცელი უძლვნა. ორ მათგანზე ბავშვები რიჩარდთან და პიესის სხვა პერსონაჟებთან ერთად არიან გამოსახულინი. ამ ფურცლებზე მხატვარმა პიესის სიურეტური ხაზის შესატყვისი ზოგადი აზრი გადმოსცა. ეს იღუსტრაციები კრებითი ხასიათისაა და მხატვრის თავისუფალ სუბიექტურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

პირველი ფურცელი /ჭაბ. 37/, საღაც უფლისწულებია დახატული, გადმოსცემს იმ მომინენტს, როდესაც მეუე ეფუარდ IV ჯერ ცოცხალია. იგი გამოსახულია ტახ-ტიკე, სამეუო გვირგვინით. აქვეა მისი მეუღლე დელოფალი ელისაბეთი და უფლის-წულები: ეფუარდი, უელსის პრინცი და რიჩარდი, მთავარი იორკისა. აქვეა მათი ბიძაც რიჩარდ გლოსტერი, რომელის მფაცებლურ მიზნებსაც შეეწირება მშვენიერ უფლისწულთა სიცოცხლე. ამ ფურცელზე დახატული რიჩარდი გმირის კიდევ ერთი მხატვრული სახეა. იგი გამოსახულია ოზნავ მანერულ პოზაში, ღრმად ჩაფიქრებული სიცარიელეში მიმართული მზერით. აქ დახატული გლოსტერის აშკარად ოდიოზური ფიგურა მოკლებული არაა ერთგვარ დემონურ დიდებულებას. >

ამ ფურცელზე გამოსახულება მოლიანად შავ სიბრტყით ფონზეა განთავსებული. იღუზორული სიღრმის გადმოსაცემად წინა ფურცლებზე გამოყენებული სახვითი ელემენტები აქ არ მონაწილეობს. გამოსახულება მოლიანად სიბრტყობრივ-ხაზოვანია. ხაზთა რიტმი და სიბრტყეზე განთავსებული ნახატის დეკორაციული ქსოვილი გამომსახველია.

მეორე კრებითი ხასიათის იღუსტრაციაზეც /ჭაბ. 38/ გადმოცემულია მოქმედების განვითარების გარკვეულ ეპიზოდი: ეფუარდ IV - ს სიკვდილიდან ვიღრე უფლის-

წულთა მკვდელობაშიც. ამაზე მიგვითითებს ფახტიზე მჯღომი ელისაბეთი, რომელის პოზა სასოწარკვეთილებას გადმოსცემს. ილუსტრაციაზე მხატვარმა ძირითადი სიურეატური ხაზების შეპირისპირება გადმოსცა: გლოსფერის სისხლიან ავ ზრახვებს მსხვერპლად შეწირული სიწმინდე და უმანკოება. ფურცელზე დახატული ორი უფლისტულის სახე ბავშვური სისხეთაკითა და მშვენიერებითაა გამორჩეული. რიჩარდს კი ამ ილუსტრაციაზე ლ. შენგელია - აბაშიძემ პიჭონის გამომეტყველება მიანიჭა, რომელიც გაყინული, უძრავად უცერის თავის მომავალ მსხვერპლს. აქ დახატული რიჩარდის მზერა ერთდროულად ორი ობიექტისკენაა მიმართული - გვირგვინისა და უფლისტულებისაკენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ასუალტის" ტექნიკის უპირატესობა ჩვეულებრივ ლითოგრაფიაზე შავსა და თეთრს შორის გარდამავალი შუალედური ტონალობის მიღების შესაძლებლობაა. ამ შესაძლებლობას მხატვარი სხვადასხვაგვარად იყენებს: ხან, ფორმის რბილი მოღელირების და ქსოვილის, ან ზრის ტექსტურის გადმოსაცემად, ხან კი, სიღრმისა და მოცულობის გადმოსაცემად (მაგ. სურათის ქვეღანახევარში ამ ნაცრისფერით დახატულია "იაჟაკი"). ამ ფურცელზე ფიგურები სხვა-ლსხვა მეორედით არის დახატული. კერძოდ, I. გამოსახულება იქმნება ხაზით; II. გამოსახულება შრო სიბრტყით ფონზე თეთრი ლაქით იქმნება. (ასეა დახატული სახეები, ხელის მჭევნები, ფანისამოსის ცალკეული დეტალები, თავსამკაულები და ზოგიერთი სხვა საგანი); III. ფიგურა დახატულია შუალედური "ნაცრისფერის" მეშვეობით. (ზოგჯერ ერთი ფიგურის დახატვისას რამდენიმე მეორედია გამოყენებული. მაგ. დედოფლი ელისაბეთის უკან მდგომი ქალის ფიგურის ქვეღა ფანი ბრტყელი შავი ლაქაა, ხოლო ზეღა ნაწილი რბილადაა მოღელირებული.). <პირველი ორი ხაზოვან - სიბრტყობრივი პროექციის სახვითი საშუალებაა, ხოლო უკანასკნელი კი ილუზორული პროექციისათვისაა უფრო ხელსაყრელი. ამ ილუსტრაციაზე სახვის სამივე ხერხია გამოყენებული, რის შედეგად ფურცელი სხვადასხვა პროექციის და ხერხების ერთგვარ "კოლაჟს" წარმოადგენს. ასე განსხვავებულად შესრულებული სხვადასხვა საგნები განლაგებულია შავ სიბრტყით ფონზე, რომელიც აერთიანებს მათ. ამის შედეგად იქმნება ფურცლის ერთიანი დაკორაციული ქსოვილი. ამ ილუ-

სფრაციაზე ჩანასახის სახით ჩანს ის, რაც შემდგომში დამახასიათებელი გახდება ას. შენგელიააბაშიძის ნამუშევრებისათვის: ფიგურის (გამოსახულების) როლის შემცირება და ნახატის, ხაზის თავისთავაღობის გაზრდა. ფურცლის დეკორაციულ სამკაულად გააზრებული ნახატი, ხაზთა და თეთრ სიბრტყეთა ურთიერთობა შავ სიბრტყით ფონთან მეტი მოწესრიგებისაკენ ისწრაფის.

"უფლისწულთა" თემას მიეძღვნა სერიის კიდევ ერთი ფურცლი /ფაბ. 39/, რომელიც ტესტს კონკრეტულად არ უკავშირდება. მასზე გამოსახული სამი ყმა-ზვილის ფიგურა უფლისწულებთან ასოციაციითაა მონაბერი. ეს შეესპირის ქრისტიანული სუბიექტური ინტერპრეტაცია, თუმცა სერიას იგი საერთო ემოციური ულერაღობით უკავშირდება. აქ დახატულია სამი ჭაბუკი შუა საუკუნეების ციხე-კოშკის ტინ. უზარმაზარი ჩრდილი, რომელიც ჭაბუკთა ფიგურების მისტიკურ ანარეკულს წარმოადგენს, ფურცლის ზედა მარჯვენა მეოთხედს იკავებს. ეს სამი კეთილშობილი და მშვენიერი ყმაზვილი შეიძლება ზღაპრულ უფლისწულებადაც წარმოვიდგინოთ და რაიმე საკრალური საიდუმლოების მატარებელ რაინდებადაც, თუმცა, ფურცელზე გამეფებული ზღაპრულ - რომანტიკული განწყობილება პიესაში გამოკვეთილი არ არის. ეს ფურცელი ილუსტრაციების სერიას შესრულების მანერით და ერთგვარი მისტიკური განწყობილებით უკავშირდება. გრაფიკულ ციკლში აშკარადაა გამოკვეთილი რიჩარდ III - ის სახელთან დაკავშირებული რიცხვი: სამი სხივია გამოსახული რიჩარდის ფიგურასთან ერთად სერიის პირველ ფურცელზე; ალებარდით შეიარაღებული სამი ფიგურაა ღეღი ანნას შეცდენის სცენაში; სამი "უფლისწულია" დახატული ციხე-კოშკის ფონზე; სამთავიანია რიჩარდის სამეფო ტახტი და სამი უზარმაზარი ავისმომასწავებელი ჩრდილი აღგას მის ფიგურას სერიის ფინალურ ფურცელზე. ამ რიცხვს პიესაში გამოკვეთილი მისტიკური მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ "ფაფალურობის შეგრძნება, პიესის მოქმედებაში დამსჯელი ნერეზილას შემოჭრა, მძაფრად შეიგრძნობა" [25]. ამ განწყობილების გაღმოცემას მხატვარი ცდილობს რიცხვი "სამის" მეშვეობით, რაც ილუსტრაციებში სიმბოლურ ულერაღობას იძენს და აძლიერებს მოელი სერიის სიმბოლურ-დეკორაციულ მთლიანობას.

იღუსტრაციების შემდეგ უურცელზე დახატულია სამი ყოფილი დელოფალი: ლე-  
ლოფალი მარგარეტი, დელოფალი ელისაბეთი და ლელა - დელოფალი, რჩჩარდ III - ის  
ლელა, იორკის პერცოგის მეუღლე /ჭაბ.40/. მისტიკური ციფრი "სამი" ამ იღუ-  
სტრაციაზეც ფიგურირებს, თუმცა ამჯერად აქ ტესტის კონკრეტული მომენტია  
ასახული. სამი ბედურული ქალის, ქვრივ - ოხრად გადაქცეულ პატივაყრილ დელოფა-  
ლთა გოლებას შექსპირი თავის პიესაში თითქმის მოელ სურათს უმობს (მოქ. IV,  
სურ. 4). ლ.შენგელია - აბაშიძემ დელოფალებზე დატრიალებული უბედურება სიმ-  
ბოლურად მათ თავებზე დამხობილი მძიმე ბოძით გაღმოსცა. დელოფალთა სამოსი,  
რომლის ქვეშ სხეული მხოლოდ იგულისხმება, თეთრი გრაფიკული ხაზითაა მონი-  
შნული. ეს დენალი ვერტიკალური ხაზები ავსებენ თითქმის მოელ სასურათო არეს.  
მათი მოხურილი დეკორაციული ულერაფობა, მწყობრი რიტმი, თითქოს დელოფალთა  
რაფინირებული ყოფის, არისტოკრატული დახვეწილობის აღმნიშვნელია. დელოფალ-  
თა სახეები და ხელის მჭევნები თეთრი ლოკალური სიბრტყეებითაა გაღმოცემული.  
ისინი სურათის ზედა კიდესთან ერთგვარ "უწესრიგობას" ქმნიან. მათი ფორმების  
რთული მრავალგვარობა, თეთრი მრავალწახნაგოვანი "სხეულების" კონტრასტი  
შავ ფონთან და დეფორმაცია ერთგვარი მოძრაობის (შესაძლოა, გარკვეულად ექ-  
სპრესიისაც) შთაბეჭდილებას ბადებს. სახეებისა და ხელების ასეთი დახატვით  
მხატვარი გაღმოსცემს დელოფალთა თავზარდამცემ სასოწარკვეთილებას. ხაზთა  
მწყობრი დინება სურათის ზედა რეგისტრში "ქაოსით" იცვლება და შემდეგ "უხ-  
შად" წყლება მძიმე ბოძის ფაზოლით. ბოძი - ულმობელი ბედისწერაა, დელოფა-  
ლის თავს დატეხილი უბედურება. > გოლებენ დელოფალური მისი სიმძიმისაგან.  
ეს "დელოფალთა გოლების" გრაფიკული მეტაფორაა. < მხატვარმა პიესის სცენა ვი-  
ზუალური სურათის მეშვეობით კი არ მოგვითხრო, არამედ იგივე ემოციური ძალის  
სახვითი მეტაფორა შექმნა და შექსპირის კონკრეტულ სცენას ზოგადი ულერაფობა  
შესძინა. იღუსტრაციაზე კვლავ მისტიკური ატმოსფერო სუფეს. სამი დელოფალის  
გოლება კი ისევ ფატალურ "სამს" ეხმიანება.

იღუსტრაციების უკანასკნელ ფურცელზე ისევ მხოლოდ რჩჩარდ მესამეა და-  
ხატული /ჭაბ.41/. ამ ფურცელზე ლ.შენგელია - აბაშიძემ შექსპირის გმირისათ-

ვის დამახასიათებელი "მაკიაველური" ოვალებები ზამოსტია შინ. აქ დახატული რიჩარდ III მელასაც გავს და ლომსაც, ერთდროულად მხეციცაა და აღამიანიც. რიჩარდი რომელსაც ხაფუნგში მომზუდებული მჭაცებელი ცხოველის იერი აქვს პროფილით ენერგიულადაა მიბრუნებული ფურცლის შავი სიბრტყისაკენ, სადაც მას თითქოს უხილავი მოვერი ებულება. ფიგურა ლიაგონალურადაა გადახრილი უკან, ამგვარი წონასწორობა დარღვეული ფიგურა მოძრაობის, ექსპრესიის განცდას ჩადებს, (რადგან ბუნებრივია სწრაფვა წონასწორობის აღდგენისაკენ). ასე გაღმოსცემს მხატვარი რიჩარდ III მზადყოფნას უკანასკნელი ნახტომისათვის. პიესაში რიჩარდის სცენაზე ყოფნის უკანასკნელი ეპიზოდია მისი რიჩმონდთან ბრძოლა, პიესა კი რიჩმონდის მონოლოგით მთავრდება. ლ. შენგელია - აბაშიძის ილუსტრაციების სერიის უკანასკნელ ფურცელზე კი რიჩარდი კვლავ მარტოა დახატული. რიჩარდ III - ის ირგვლივ სიცარიელეა, იგი ყველასაგან მიტოვებულია, იგი მარტოა დაუნდობელი ბეჭისწერის პირისპირ (სამი უზარვაზარი ჩრდილი, რომელიც თავს ადგას რიჩარდს, სიმბოლურად, ბეჭის ფატალურობაზე მიგვანიშნებს) და იგი უკანასკნელი ბრძოლისათვის მზადაა. ამით აგვირგვინებს მხატვარი თავისი ილუსტრაციების სერიას და ასრულებს თავისი გმირის ისტორიის თხრობას.

ლ. შენგელია - აბაშიძემ ნახატების სერია საისტორიო დრამისათვის "რიჩარდ III" გაიაზრა შიგნითან უშუალო კავშირში. მხატვარმა საგანგებოდ ისე ააგო თითოეული ფურცლის კომპოზიცია, რომ შიგნისაგან მოწყვეტილ მათ დაუსრულებელი სახე აქვთ, მათი მხატვრული მეტყველება გაუგებარია. ყოველ ნახატს მოკიცებ აქვს დაზენილი გახსნილი შიგნის რომელ მხარეს უნდა იყოს ჩართული, ვინაიდან მხატვრულად მომდინარეობის კომპოზიციას იგი მხოლოდ მოპირდაპირე ნაბეჭდ გვერდთან ერთდექმინის. შიგნის სფერიული მხატვრის მიერ ისე მკაფიოდ არის გაფვალისშინებული, რომ ილუსტრაციები შიგნში სწორად განაწილების შემთხვევაში უფრო გამომსახული უნდა ყოფილიყო (სამწუხაროდ შექმნილის თხზულებათა სრულ კრებულში ეს მომენტი გამომცემლების მიერ გაფვალისშინებული არ არის: ფურცლები კონტაქტის ჩამონიშვნის გარეშე, ერთმანეთის მიყოლებით). სერიის აქრომატული ფურცლები ჰარმონიულად ერთვის შავით თეორზე ნაბეჭდ ფურცელს და ერთიან მხატვრულ

მთლიანობას ქმნის. მხატვარი შესანიშნავად გრძნობს წიგნის გრაფიკის სფეციფიკას. ილუსტრაციებს კომპოზიციური აგებით წიგნის მთლიან მხატვრულ ორგანიზმს უკავშირებს და თავად ნახაფი გააზრებული აქვს ფურცლის "სამყაულად". მხატვრისათვის მნიშვნელოვანია ფურცლის სიბრტყის საერთო სილამაზე, მისი გამომსახველობა. ამ სერიაში თავს იჩინს ხაზის დეკორაციული მეტყველება (გამსაკუთრებით ილუსტრაციაზე "დედოფლალთა გოფება") და გამომსახველია სიბრტყეზე თეორი მოხდენილი ხაზის ულერალობა.

ეს თვისებები თავის განვითარებას პოვებს და კიდევ უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სახეს მიიღებს მხატვრის შემძეგლობინდელ ნამუშევრებში. ამ აღრეულ ეტაპზე კი ლ. შენგელია - აბაშიძის შემოქმედებაში ძლიერია აკადემიური სწავლების კვალი, რომელიც ილუზორული მხატვრობის საფუძვლებს ეყრდნობოდა. ამ სერიაში ახალგაზრდა მხატვარი ერთგვარად გაორებულია. ერთი მხრივ, ილუზორული მეოთხის ელემენტების მონაწილეობა კომპოზიციის აგებაში, რიგ შემთხვევაში ფიგურათა გადაწყვეტაში და ფორმის მოდელირებაშიც კი, რასაც ხელს უწყობს "ასუალჭის" ჰექნია; ასევე გატაცება თეატრლური კოსტუმით, ინტერესი პოზებისა და უსაფრის მიმართ (რაც ერთგვარი "თეატრალურობის" განწყობილებას ბაჟებს). მეორე მხრივ, მხატვრის სწრაფუა პირობითობისა და განზოგადებისაკენ, ამისთვის კი ასახვის პირობითი მეოთხი უფრო ხელსაყრელია. ასევე აშკარაა გრაფიკის ხელვა ანუ ხაზისა და სიბრტყის გამომსახველი მეტყველებისაკენ სწრაფუა.

ლ. შენგელია - აბაშიძის შემოქმედებითი სიმიჯის ხანაში შექმნილი ნამუშევრები გამოიწევა გრაფიკული ფურცლის საერთო დეკორაციული მშვენიერებით. მის სურათზე "მთელი" იმორჩილებს გმირს, მხატვარი ქმნის არა გმირის სახეს, არამედ ზოგად გრაფიკულ ხატს, სადაც გამომსახველია ხაზი, სიბრტყე და მათი ურთიერთობით შექმნილი კომპოზიციები. ფიგურა (გამოსახულება) თითქოს ნიველირდება, შეერწყმება "მთელს", როგორც მისი ერთი შემაღენელი ნაწილი. ლიტერატურული ნაწარმოების შესატყვის განწყობილებას ან ხასიათს ფურცლის საერთო მეტყველება გადმოსცემს. "რიჩარდ III"-ის ზოგიერთ ფურცლებზე უკვე ჩასახული ეს ნიშან - თვისება თავის ჩამოყალიბებულ სახეს "შუშანიკის წამების" დასურათებაში

პოვებს (1976 წელი). ნაწარმოების შაკითხვის თვალსაზრისით აქ სიახლე არ აღნიშნება. სერია თხრობითი ხასიათისაა, თუმცა არის განზოგადებული აზრის მქონე, კრებითი ხასიათის ფურცლები. საგულისხმოა მხატვრული მიღების ევოლუცია. "რიჩარდ III - ის" ილუსტრაციების სერიაში გამოკვეთილია გმირი, მხატვარი ქმნის მის მხატვრულ სახეს. შუშანიკი კი, ცურტაველის თხზულების მთავარი გმირი, ლ. შენგელია - აბაშიძის ილუსტრაციებში ხაზგასმით გამორჩეული არ არის, იგი არაფრით არ გამსხვავდება დანარჩენი "ჩვეულებრივი" პერსონაჟისაგან. თხზულების ხასიათს ფურცლის საერთო ულერალობა გადმოსცემს. მასზე შექმნილი განშეყობილებით არის გაფრიცემული აგიოგრაფიული თხზულების ეპიკურ - მონუმენტური ხასიათი. მეტყველია დეკორაციულ ხაზთა თავისთავაზი ულერალობა, მათ მიერ შექმნილი რიტმი, კეთილხმოვანება. ეს სწორედ ის ჭრილობისა, რომელიც გამოიკვეთა "რიჩარდ III - ის" საილუსტრაციო სერიაში.

მოგვიანებით, ლ. შენგელია - აბაშიძე კვლავ უბრუნდება შექსპირს. იგი ქმნის გრაფიკულ ციკლს ტრაგედიისათვის "ოფელო". "რიჩარდ III - ის" ილუსტრაციების სიმბოლურ - მისტიკური განშეყობილება აქ ყოვლისმომცველი ხდება. პიესის თემათა მრავალგვარობიდან მხატვარი ირჩევს ერთს - ეჭვიანობის თემას, რომელიც ყოვლისშემძლე ბეჭისწერითაა გაპირობებული. ყოველი ფურცელი განგების ფატალური შეგრძნებითაა გამსჭვალული. <ბეჭისწერა - საილუსტრაციო სერიის "მთავარი პერსონაჟი", რომელიც იჯუმალად მონაწილეობს სერიის ყველა ფურცელზე ავბეჭითი ფრინველის, ავი თვალის, ბოროტის სახით და მთელ ციკლს სიმბოლურ - მისტიკურ განშეყობილებას სძენს.

ხაზით გაფაცება, რომელიც თავს იჩინს უკვე "რიჩარდ III - ის" ილუსტრაციებში და "შუშანიკის შამების" ნახატებში თავის შემღებობით განვითარებას პოვებს, ქმედითია ამ სერიაშიც. მაგრამ შინა სერიებში დენალი, უფრო თავისუფალი ხაზი, აქ შეკრულ "აბსტრაქტულ" კომპინაციებს ქმნის. მხატვრულ მეტყველებას იძენს ფორმა - ხაზის კომპინაცია. ფუგურები გეომეტრიული სხეულებისაგან აგებულ პლასტიკურ კონსტრუქციებს ემსგავსებიან. >არაბესკების, რკალების, შრეების, შრფეების, მცენარეული ორნამენტის მსგავსი გამოსახულება შავმანის მაგვარად

არის "დაცებული" თეორი ქაღალდის სიბრტყეზე. დეკორაციულ ფორმათა ეს მრავალგვარობა მოწესრიგებულია გააზრებულ ჭავჭავაძის კომპოზიციებში. მათი კლასიკური, ხშირად სიმეტრიული ცენტრული გააზრება ჰარმონიის, ხოლო ასიმეტრიული კი დისპარმონიის, რღვევის განწყობილებას გადმოსცემს. ყოველი კომპოზიცია შეკრულია და მხატვრულად დასრულებული, მოლიანი. ამრიგად, ნახატებს უფრო დაზგური ხასიათი აქვთ. "რიჩარდ III"-ისაგან განსხვავებით ამ ილუსტრაციებს არ აქვს უშუალო კავშირში წიგნთან. ისინი დამოუკიდებელი გრაფიკულ სერიალა ჩაიტანებული და უფრო შეესპირის "ოფელოს" რემინისცენციას წარმოადგენს, ავილი დასწურავებას.

ლ. შენგელია - აბაშიძემ შეესპირის კიდევ ორი პიესა დაასურათა, ამჯერად უკვე გამომცემულობა "ხელოვნებას" დაკვეთით. 1984-85 წლებში შეიქმნა ილუსტრაციები დრამისათვის "იულიუს კეისარი" და 1988 წელს პიესისათვის "ანტონიოს და კლეოპატრა". შეიცვალა მხატვრის მიღებობა ნაწარმოების წაკითხვისადმი. თხრობითი ილუსტრაციების ნაცვლად, ჭავჭავაძის თავისუფალი ემოციური დამოკიდებულება ჩრდილობა. მხატვარმა დაასურათა ის, რაც პიესის წაკითხვის დროს ყველაზე ნათლად დაიღესა მის სულსა და გონიერაში. ზოგჯერ ეს პიესის საკვანძო მომენტების ჩანახატებია, ზოგჯერ კი, მხატვარს თავისუფალი თემები იქაცებს, მისი ნახატი სტრიქონებს მიღება წაიკითხული აზრის გამომზეურებაა. ზოგიერთი ნახატი პიესის ამა თუ იმ ეპიზოდიდან მიღებულ შთაბეჭდილებას გადმოსცემს. საილუსტრაციო მომენტის არჩევანი არ არის საგანგებოდ გააზრებული. მხატვარი არავითარ წინასწარ მიზანს არ ისახავს. ილუსტრაციები ხშირად ასოციაციური ხასიათისაა. მოლიანად ამ ორი პიესის საილუსტრაციო სერიები ნაწარმოების თავისუფალ ზოგად ხატოვან ემოციურ "აკომპანიმენტს" წარმოადგენს. თუმცა, ბეჭის-წერის გარღუვალობის შეგრძნება ორივე პიესის ილუსტრაციებსაც რეურენივით გასჭევს. "იულიუს კეისარის" ილუსტრაციებში ლ. შენგელია - აბაშიძის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ხაზთა მეტყველება აღგილს უფროს ფერწერულ ლაქათა, ფერად შეხამებათა უღერალობას. "ანტონიოს და კლეოპატრას" ილუსტრაციებში კი, ხაზი კვლავ იბრუნებს თავის გაბატონებულ ფუნქციას. სახეზეა მხატვრის

გაფაცება თავსამჭვრევი ტექნიკით და ხაზით მეტყველებისაკენ სწრაფვა. ამ პიე-სის იღუსტრაციები სწორებ ხაზის გამომსახველობით ერთგვარად ეხმიანებიან "რი-ჩარდ III"-ისათვის შექმნილ გრაფიკულ ფურცლებს. "რიჩარდ III" შესრულებულია ლითოგრაფიით, ხოლო "ანტონიოს და კლეოპატრა" კი რთული შერეული ტექნიკით, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოსახულება მუქ ფონზე თეთრი ხაზითაა შექმნილი. ლ. შენგელია - აბაშიძესთან ხაზი არა მხოლოდ გამოსახვის საშუალებაა, მისთვის ეს მეტყველების ფორმაა, ძირითადი "ნერვია", რომელს მეშვეობითაც იგი გაღმო-სცემს თავის სათემელს. "რიჩარდ III" - ის ნახატებში ძირითადად, ჯერ კიდევ მო-ტაფის ხელი იგრძნობა. "შუშანიკის წამებაში" ხაზის გამომსახველობას სერიის ფერადოვან კეთილგმოვანებასთან ერთად ძირითადი ფუნქცია ენიჭება. მისი თავის-თავალი დეკორაციული სინაჟივე ქმნის ფურცლის მთლიანი ქსოვილის მშვენიერებას. "ოფელოში" ხაზი უფრო "კონსტრუქციულია", თუმცა ასევე ქმედითი და მნიშვნე-ლოვანი სახვითი ელემენტია და აქაც არ არის მოკლებული დეკორაციულობას. "ანტონიოს და კლეოპატრაში" კი ხაზი თავისუფალია. განსაკუთრებით აღსანიშნა-ვია ამ სერიაში ნახატის საოცარი მოქნილობა. სიბრტყისა და პლასტიკური ნახატის პარმონია ზოგიერთ ფურცელზე ანრი მატისის ნახატს მოგვაგონებს.

ლ. შენგელია - აბაშიძის დაოსტატება ვლინდება მის დამოკიდებულებაში ასა-ხვის მეოთხიდისადმიც. თუ "რიჩარდ III"-ში გაორება 'ასახვის იღუზორულ ელემენტსა და პირობითი პროექციის ტენდენციებს შორის უდაოდ ეკლექტიზმს ბაზებზა, "ოფე-ლოში" მხატვარი მთლიანად თავისუფლდება იღუზორული მეოთხის ზეზოლისაგან. პირობითი გამოსახულება განთავსებულია სიბრტყეზე, თუმცა მხატვარი, ბუნებრი-ვია, იყენებს იღუზორული მხატვრობის ელემენტებსაც (მაგ. რაკურსს). ამასთან სენსუალობისაგან სრულებით თავისუფალი ფიგურები, დეფორმირებული გეომეტრი-ული ფორმები აშკარად მეტყველებს პირობითი პროექციის პრიმატზე. "იულიუს კეისრისათვის" შესრულებულ იღუსტრაციებში ასახვის სხვადასახვა მეოთხის ელე-მენტების შერწყმის მცდელობა ხელოვნურობის ნიშნებს ატარებს. "ანტონიოს და კლეოპატრაში" კი, მხატვარი ლალად, თავისუფლად იყენებს სხვადასხვა სისტემათა ელემენტებს. სრულიად ბრტყელი ლაქის ფონზე ფიგურები პლასტიკური ხაზითაა

მოხაზული. მხატვარი მიმართავს რაკურსს, რაც შესამე განზომილებაზე მიგვანიშნებს. ფიგურათა დიაგონალური მიმართულების გამო იგი არ იშლება სიბრტყეზე, არამედ გააზრებულია როგორც სივრცობრივი. ილუზორული სახვითი ხერხებისა და სიბრტყობრივი პროექციის ელემენტებს მხატვარი თავისი გამომსახველობითი არსენალის გასამღიდრებლად იყენებს. იგი გააზრებულად მიმართავს ურთიერთსაპირისპირო ელემენტებს, მათ კონტრასტს. ასახვის ორივე სისტემის ელემენტებით ქმნის ახალ მხატვრულ ფორმას, პირობით და მეტად გამომსახველს. ევოლუციას განიცდის არა მხოლოდ მხატვრული ფორმა, არამედ მხატვრის მიღებობა ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვისადმიც. იგი უფრო თავისუფალი ხდება, მხატვარი შეტად მიყვება თავის სუბიექტურ გულისფერას და ნაკლებად ემორჩილება მშერალს. ამდენად, სწრაფვა მეტი პირობითობისა და განზოგადებისაკენ დაკავშირებულია ასახვის პირობითი მეთოდის ელემენტთა მომრბლავრებასთან და ილუზორული ასახვის ელემენტთა შესუსტებასთან. <sup>26</sup>

ლ. შენგელია - აბაშიძე შექსპირის ილუსტრაციებზე ოცი წლის მანძილზე მუშაობდა, მათში ნათლად ასახა მხატვრის ევოლუცია. შეიცვალა მხატვრის დამოკიდებულება ასახვის მეთოდისადმი და ნაწარმოების წაკითხვისადმი. ასევე სახეცვლილება განიცადა ილუსტრაციების წიგნთან დამოკიდებულებამაც. ნათლად გამოჩენდა, რომ ეს სამი კომპონენტი ურთიერთგანმაპირობებელია და მიუთულებს მხატვრის სწრაფვაზე მეტი თავისუფლების, პირობითობის და განზოგადოებისაკენ.

ლ. შენგელია - აბაშიძის ილუსტრირებული შექსპირის ოთხივე პიესა ფრაგელიაა, მაგრამ მხატვარს არ აინტერესებს დრამატურგის მიერ აღწერილი ლრმა ადამიანური ემოციები, დილი ვწერათა ლელვა. იგი ყოველივეს აღიქვამს როგორც გარდუვალი ბეჭისწერის უცილობელ შეღეგს და ამ განწყობილებით გაუდენთილ ნახატებს ქმნის. ბეჭისწერის აბსოლუტურობის აღიარება, მისი გარდუვალობის განცდა სიმბოლიზმის მონაპოვარია. ნაფურალისტებთან საბეჭისწერო მნიშვნელობა ენიჭებოდა გარემოს. ნაფურალიზმის ეს საკრალური მისტიკა სიმბოლისტებმა გააცხადეს და გარემოს ცნება ბეჭისწერის ცნებით შეცვალეს. [26] ამის შემდეგ იგი

აბსოლუტური გახდა ამ მიმღინარეობის შეაფვართათვის. ლ. შენგელია - აბაშიძის შემოქმედებითი მეოთოდი გარდა "მოდერნისათვის" საცნაური სიმბოლიზმის პოეტიკისა, რაფინირებულობის, მისციციზმის და ფანტაზიისადმი მიღრეკილებისა გულისხმობს ნაფიც, მოხდენილ, დახვეწილ ნახაფს, რომელიც ლვარჭინილი დენაზი პლასტიკური ხაზების დეკორაციული რიფმით იქმნება. ამ ერთიან დეკორაციულ რიფმს და სურათის ხაჭოვან - სიმბოლურ ჩანაფიქრს ემორჩილება ყველა სახვითი ელემენტი. ამდენად ამ შეაფვრის ნამუშევრები XIX ს-ის სიმბოლისტების შემოქმედებას არა მხოლოდ ბეჭისწერის მისციკური შეგრძნებით ეხმიანება, არამედ შეაფვრული სტილისტიკითაც. თავისი ესთეტიკით ლ. შენგელია - აბაშიძის "რიჩარდ III - ის" ლიონგრაფიული სერია ძალზე ახლოსაა ცნობილი ინგლისელი შეაფვრის ობრი ბერდსლეის ვარიაციებთან ჰამლეტის თემაზე.

## §2. ოლესია თავაძის დასურათებული "მეცნი ჯონი".

ოლესია თავაძემ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა 1970 წელს. იგი თავდაპირველად ფერშერის ფაკულტეტზე სწავლობდა, ხოლო შემდგომ თეატრალური მხატვრობის განყოფილებაზე, ფარნაოზე ლაპიაშვილის კლასში. 1960 - 70-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ მხატვრებს "ორმოცდაათიანელებისაგან" განსხვავებით არ აერთიანებოთ მკაფიოდ გამოვლენილი მხატვრული - ფორმალური ნიშნები, საერთო მიზნები და მისწრაფებანი. ამ მხატვართა ინტერესები ფორმალური ძიებების მიმართულების თვალსაზრისით დაესახესულია. მათ შემოქმედებაში იგრძნობა ერთგვარი ინერცია, რომელიც ზოგჯერ "ორმოცდაათიანელთა" ალიარებული ლილერების მიგნებული ფორმის გადამუშავება. ზოგი მათგანის შემოქმედება კვლავ ილუზორული ფორმით საზრდოობს (რომელიც სახეცვლილებას განიცდის და საგრძნობლად განსხვავდება 1930 - 40 - იანი წლების ფორმისაგან); ხშირია სტილიზაცია, დასავლური მოდერნისტული მიმღინარეობებით გაფაცება, ზოგჯერ ზედაპირული გამეორებაც. ამავე დროს, მათ შორის არიან მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალობის მხატვრებიც. ამდენად, ამ თაობის მხატვართა შემოქმედება რაიმე ერთიან მხატვრული - ფორმალურ საფუძველს არ ეყრდნობა. თუმცა ეს ფორმალური მრავალგვარობა, დაესახესულობა ერთიან სულიერ საფუძველზე დგას, მათი შემოქმედება ერთიანი იდეებით საზრდოობს, საერთო მსოფლშეგრძნებით იკვებება: იდეალების არქონა, უიმედობა, ნიპილიზმი, რასაც "უძრაობის ხანის" მანკიერი საზოგადოებრივი გარემო აპირობებდა. მოუწყობელი სოციალური სისტემა, რომელიდანაც არავთარი გამოსავალი არ ჩანს, არ იგრძნობა არავითარი მოსალოდნელი ცვლილებები, რეალობიდან "გაქცევის" სურვილს ბაჟებს. როგორც შემოქმედისათვის ყველაფერი მიუღებელია, იგი თავშესაფარს თავის გამოგონილ სამყაროში ეძებს, ზურგს აქცევს არსებულ სინამდვილეს და მის საპირისპიროდ გამოსავალს მშვენიერში, ესთეტურში პოულობს. პესიმიზმით ნასაზრდოები გამრაფრებული სულიერება, ერთგვარად თვითმიმზნაც

ქცეული სილამაზე, "ესოფებიში" - ეს არის ის ზოგადი საფუძველი, რომელიც აერთიანებს 1960 - 70 - იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულ მხატვრებს. → ამავე დროს, ეს წლები ერთგვარი მოსამზადებელი ხანაა ახალი ძლიერი შემოქმედებითი ფალლისათვის, "ოთხმოციანელთა" გამოსვლისათვის, რომელთა მოღვაწეობის დასაწყისი ფოტოებითარული სახელმწიფოს სრული რგოვის უკანასკნელ სტადიას დაემთხვა.

1970 - იან წლებში მოღვაწეობა დაიწყო არა ერთმა საინტერესო შემოქმედმა, რომელთა შორისაა ო. თავაძეც. იგი თავისებური ოდნავ ჩატარდა, ავტონომიური სულიერი სამყაროს მქონე შემოქმედია. ეს სამყარო მისთვის საკრალურია და ფაქტი. მხატვარი ცდილობს მისი შეუხებლობის შენარჩუნებას. ის, რაც მისი სულის სილრმეში ხდება საიმედოდაა დაცული უცხო თვალისაგან. მაგრამ მაყურებლისათვის გახსნილია მისი შემოქმედება. ეს უფრო ხშირად ბავშთა სამყაროა. მხატვარს დასურათებული აქვს მარშაკის, ჰაუფის, მიხალკოვის კრებულები, სულხან - საბარობელინის იგავარაკები (საბავშვო გამოცემა), ქართული, რუსული, მსოფლიო ხალხთა ზღაპრები (როგორც კრებულები, ასევე ერთი ზღაპრის ცალკე შიგნად გამოცემები) და ა.შ. ო. თავაძე წარმატებით მოღვაწეობს თეატრშიც. თბილისის მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში მან ბევრი სპექტაკლი გააფორმა, რომელთა შორის უთუოდ აღსანიშნავია მოღიერის "სკაპენის ოინები", გოგოლის "ქორწინება", გრიბოედოვის "ვაი ჭკუისაგან", ა. ტოლსტოის "ოქროს გასაღები", სხვა-დასხვა ზღაპრები. ო. თავაძე შესანიშნავი თოჯინების ავტორიცაა. მისი თოჯინები ხიბლავს ფართადით, გემოვნებით და ხშირად ზუსტად მიგნებული მხატვრული სახით (მაგალითად, თოჯინა, რომელიც მხატვრის დედის რემინისცენციითაა შექმნილი). ყველაფერი, რასაც აკეთებს მხატვარი, გამსჭვალულია ფაქტი პოეზიით, სულიერებით. იგი არ ხელავს ყოფითს, ბანალურს. საგნებშიც, ნივთებშიც და თავის ხელოვნებაშიც მის ყურადღებას მხოლოდ ლამაზი იზიდავს. იგი თითქოს ზღაპრებისა და თოჯინების ბავშვურ სამყაროში ცხოვრობს. ეს შეგნებული ზურგის შეაცვა გარემო სინამდვილისადმი, ალბათ პროფესიია, მისთვის მიუღებელი ყოფის და არ-სებული საზოგადოებრივი კლიმატისადმი.

ო.თავაძეს არა აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული ფორმალური ამოცანები, მკვეთრად გამოვლენილი მიზნები. მისოცის მთავარია თავისი განცდის, თავისი ემოციის გადატანა ტილოზე და ამის შესაფყვისი მხატვრული მეტყველების გამოძებნა. ლიტერატურული წარმოების დასურაოებისას იგი ცდილობს შექმნას თავის წახატებში ის აჭოსფერო, ის განწყობილება, რასაც მასში წარმოები აღძრავს, იგი თავისი სუბიექტური აღქმით ხელმძღვანელობს.

შექსპირის პირველი პიესა, რომელიც ო.თავაძემ დაასურათა იყო კომედია "ამაო გარჯა სიყვარულისა" (1980 წ.). საილუსტრაციო სერია მხატვარმა გამომცემლობა "ხელოვნების" დაკვეთით შეასრულა. ეს პიესა შექსპირის ყველაზე აღრეული კომედია. მასში ბევრია ისეთი რეალიები, ოხუნჯობანი და სიჭყვათა თარიში, რაც ჩვენი დროის მკითხველისათვის გაუგებარია. ამის გამო ძირითადი სიუჟეტური ხაზი მკაფიოდ არაა გამოკვეთილი. პიესაში ბევრია ახალგაზრდა დრამატურგის მანერისათვის დამახასიათებელი გარითმული სტრიქონები, ჰექსტი აჭრელებულია უცხო სიჭყვებით, ფლეს გაუგებარი მნიშვნელობების მითითებით. ყოველივე ამის გამო მხატვარმა უარი თქვა სიუჟეტის ილუსტრაციებზე და ყურადღება შექსპირის პოეზიაზე გადაიტანა. საილუსტრაციო სერია სათამაშო კალიგრაფიულ მოგვაგონებს. ფურცელი შემცულია ფერადი მინის ნამსხვრევებისაგან შეღენილი კრისტალებით, რომელთა ფორმა მრავალგვარია: ეს ხან ფერადი ბროლის მრავალკუთხედია, ხან სამკუთხედი, ხან კი პირამიდა. აქ გაბატონებული ფერადოვანი გამა ზოგან ციდია: ბროლისა და ფინულის სამყაროს წარმოადგენს, ზოგჯერ კი თბილი და მაუორული. ამასთან ყოველი ფურცელი გართობს და გახალისებს. ხალისიანია სერიის ყოველი ფურცელის "აუცილებელი ატრიბუტი" ისრით ხელმომარჯვებული ამური, რომელიც მზადაა განგმიროს შეყვარებულთა გულები /ტაბ.42/.

ორი ტლის შემდეგ, 1982 წელს, ო.თავაძემ შეასრულა ილუსტრაციები შექსპირის კილევ ერთი კომედიისათვის "ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება". აქ მხატვარი თავის სამყაროშია. პიესაში აღწერილი ფერისული სანახაობა მას თავის გამოგონილ ზღაპრულ სამყაროში გადააქვს. პიესის ფერადი ილუსტრაციები კეთილი და ლამაზია. ეს მხატვრის წარმოადგენაში დაბადებული ხილვაა, რომელიც

წარმოიშვა ინგლისელი დრამატურგის მემკვიდრეობასთან ურთიერთობით. იგი პიესის ხალისიან ვიზუალურ თანმხელებს წარმოადგენს. >

ნახაფების სერიას შეესპირის საისტორიო დრამისათვის "შეუე ჯონი", ო.თავაძე 1981 წელს ასრულებს (კვლავ გამომცემლობის დაკვეთით). პიესას "ცხოვრება და სიკვდილი შეუე ჯონისა" განსაკუთრებული, საკრაოდ იზოლირებული აღგილი უძი-რავს უ. შეესპირის საისტორიო ქრონიკებს შორის. მასში აღწერილია XIV ს-ის ინ-გლისის ისტორიული პერიოდი. შეესპიროლოგები მას პრობლემატიკით და სტი-ლისტური ნიშნებით დრამატურგის შემოქმედების აღრეულ პერიოდს მიაკუთვნებენ. შეესპირის ამ საისტორიო ქრონიკაში სიუჟეტური ხაზი მყაფიოდ იყიდება, მოქმე-დება ვითარდება დინამიკურად. მხატვარმა თავის გრაფიკულ სერიაში პიესის ძი-რითალი სიუჟეტური ხაზები გაღმოსცა. ამას სულ ორი ფურცელი დაეთმო. ერთზე გამოსახულია ტახტის მაძიებელი ბიძისა და მისი მსხვერპლის, გვირგვინის კანო-ნიერი მემკვიდრის უფლისტულ ართურის ამბავი. მეორეზე კი შვილზე მგლოვიარე დელის გლოვის ზარია ლახატული. ქალზე შეკუმშულად და ლაკონიურად ერთ ფურ-ცელზე იჭების კონცენტრაცია სიმბოლიზმის ესთეტიკაზე მიგვანიშნებს. სიმბოლიზ-მისათვის კი ბეჭისტერის ცნება აბსოლუტურია, იგი მიზეზთა მიზეზია. ო.თავაძის შეესპირის საილუსტრაციო სერიაში გაბატატონებულია განგების მისტიკური აფრი-სფერო. ბეჭისტერის მისტიკური შეგრძნება სიურრეალისტური ზმანების ბურანშია გახვეული.

ბეჭი დემონური ფიგურის სახით დაქრის და ავტელობით ემუქრება მშვენიერ უფლისტულს /ჭაბ.43/. ფატალური განგების სიმბოლო თითქოს ქარით აფაცებულ მოურიალებულ მოსასხამშია გახვეული. მისი ყოვლისშემძლე ნება ამოძრავებს მარ-ჯვენას, რომელიც ტახტის მემკვიდრეს გვირგვინის წარმევას უქადის. მხატვარი გვირგვინის ნაცვლად უბრალო რკალს გვიხატავს, რითაც ამქვეყნიურ დიდებას ფუჭად, არარაობად წარმოგვიდგენს. თაღები და შლეიფიან კაბებში გამოშუობილ დიდებულთა ფიგურებიც წუთისოფლის ამაოებას და ბეჭის წინაშე ამა სოფლის "დიდთა" და "მცირეთა" თანასწორობას მოგვაგონებს. ამ ფურცელის "მოავარი გმირია" უფლისტული ართური. >მასზე გაკეთებულია კომპოზიციური მახვილი. ბავ-

შვი ფურცელის ქვედა რეგისტრის ცენტრშია დახატული. მის თვალებთან თავს იყრის სურათის სამ ნაწილად, სამ არათანაბარ მართულებელად დამყოფი ხაზები. სურათის ქვედა მარჯვენა კუთხეში დახატულია ჯვარელინად დაწყობილი ხელები მაქ- მანებიანი მანერებით. ეს "სუფთა ხელების", ბავშვური სიტმინდის სიმბოლოა. ბავშვის სახე კეთილშობილი და უცოდველია. ამ ნახატში მხატვარი ფასეულობათა მიმართ მისეულ დამოკიდებულებას გვთავაზობს: ამაოა ყოველივე ამა ქვეყნისა, არარაობაა ტახტი, გვირგვინი, სასახლე... ტრაგედია ისაა, რომ მშვენიერი, წმინდა არსება ულმობელი განგების მსხვერპლია. სავსებით ნათელია, რომ ამ ფურცელს საფუძვლად სიმბოლიზმის მსოფლმხელველობა უდევს. აჩასთან მხატვარი მიმართავს ისეთ ხერხებს, როგორიცაა სურათის ნაწილებად დაყოფა, ასევე სხეულის ნაწილებად გახლებია (ხელები ართურის სხეულისაგან დამოუკიდებლადაა დახატული; გვირგვინის მომტაცებელი მარჯვენა არ არის დაკავშირებული დემონურ ფიგურას- თან, ისევე როგორც თვითონ ამ ფიგურის სახე და ფეხები ერთმანეთს მხოლოდ მო- სასხამებით უკავშირდება და სხვ.), ეს ხერხი მხატვარს სიურრეალისტურ ხილვაში გახვეული მისტიკური ატმოსფეროს შექმნაში ეხმარება.>

მეორე ფურცელი ართურის დედას - კონსტანტას ეთმობა /ჭაბ.44/. მხატვრის ყურადღება მიიპყრო კონსტანტას მიერ ართურის დატირების პაოეტიკით გამორ- ჩიეულმა სცენამ. ენერგიულ და "ვნებიან ქალთა შეესპირულ გალერეაში, კონ- სტანტას ლრამატული სახე შნიშვნელოვან აღგილს იყავებს". იგი შვილისთვის მებრძოლი და ტანჯული დედის კონკრეტული ცოცხალი სახეა" [26] ო.თავაძის დახატული კონსტანტა კი თითქოს თავალაა ბეჭისწერის სიმბოლო, ტანჯვამ იგი ავ სულს დაამგვანა. მხატვარმა ტანჯვისაგან გაგიუებული დედის სახე შექმნა. ფურცლის ერთი კუთხიდან მეორემდე დიაგონალურადაა გაჭიმული უსხეულო სამოსი, რომელიც თითქოს ქარს მიაქვს. ეს კონსტანტას ფიგურაა. გარკვევით, მკაფიოდ გამოხატულია მხოლოდ მისი ზეცისაკენ მიმართული ხელის მჭევნები და პროფილი. თვალებზე აფარებული ნიღაბი სიმბოლურად თვალის დაბნელებას, გონების ამღვრევას გადმოსცემს. ქალის კაბა თითქოს ბოათი მთავრდება (სურათის ქვედა მარცხენა კუთხეში), სინამდვილეში კი ეს კატა, რომელიც მხატვარმა ფიგურის-

გან გაგიზებული დელის ჭურიძან აცდენის სიმბოლოდ წარმოგვიღინა. არსებობს თქმულება, რომ გაგიზებულ ადამიანებს ყველაგან კაფის გადიდებულლი თვალები ელანდებათ. უკანა პლანზე, სურათის ზედა მარცხენა ნაშილში, შორს იხატება ართურის ლანდი და ნალვლიანი პეიზაჟი მოჩანს: სასაფლაო, საფლავთა ჯვრები, სევდიანი კვიპაროსებით, მგლოვიარე ქალებითა და ავის მომასწავებელი ყვავებით. ეს კონსტანტინე სულიერი მღვიმელების სიმბოლოა. როგორც ვხედავთ, ეს ფურცელიც სიმბოლური მისტიკითაა გამსჭვალული.

საილუსტრაციო ციკლის სხვა ნახატები პიესის სიუჟეტთან უშუალო კავშირში არაა. ამ სერიის შემდეგი ფურცელი ართურისა და კონსტანტინე ასოციაციითაა მონაბერი /ტაბ.45/. აქ დახატულია მაყურებლისაკენ ზურგშექცეული ქალის ფიგურა. მას, ასევე ზურგით მაყურებლისაკენ, ხელგადახვეული მოპყავს პატარა ბავშვი. ქალი მას თავისკენ იზიდავს, თითქოს სურს თავისი სხეულით დაიფაროს. ისინი "არაფრისკენ" არიან მიმართულნი, მათ შინ სიცარიელეა. ულმობელ დროში დაუცველად დარჩენილი ქალისა და ბავშვის სახეები სევდასა და ტკივილს იწვევს. ყვავ-ყორნები სიმბოლურად მიგვანიშნებს გამოუვალობაზე, განწირულობაზე. სურათზე მისტიკური ატმოსფერო ბატონობს.

ილუსტრაციების შემდეგ ფურცელზე სავარძელები მისვენებული მონარქია დახატული /ტაბ.46/. იგი უგვირგვინოდაა წარმოდგენილი (ესეც სიმბოლურია: იგი ხომ ფახტის უკანონოდ მიმოტაცებელია). ფახტი სამეფოა, რასაც მღილრული ჩუქურ-ომით მორთულ საზურგები ინგლისის სამეფო დერბის პერალიტიკური ნიშნები (ლომი და მარტორქა) ადასტურებს. მეფე ჯონმა, როგორც ჩანს, არ მიიპყრო ო.თავაძის ყურადღება, მიუხედავად იმისა, რომ შექსპირისათვის საისფორიო დრამაში მონარქის სახის გამოკვეთა ყოველთვის მინშვნელოვანია. ამ მხრივ მისი მეფე ჯონიც არ არის გამონაკლისი. ილუსტრაციებში კი ამ პერსონაჟის როლი უმნიშვნელოა: მისი ავიცა და კარგიც გარდუვალი ბეჭისწერითაა შეპირობებული. მხატვარმა იგი მარტოდ-მარტო მიტოვებული, მიძინებული წარმოგვიღგინა. ეს არის სუსტი, მელანქოლიური, რაფინირებული დიდგვაროვანი. სურათის უკანა პლანზე გამოსახულია მეფისაკენ ზურგშექცეული მცირე ზომის ფიგურები, რომელთაგან გამოირჩევა ერთი, როგორც

დიდი ზომით, ასევე ჩატარებული გულშე ჩამოკიდებული ჯვრით და განსაკუთრებით მონარქისაკენ მიმართული დისპერსორიულად გაზრდილი ხელის უსტით. ეს ფიგურა პიტერ პომიურეფილის ასოციაციითაა შექმნილი. ეს მისანია, რომელმაც ჯონის დაცემა იწინასწარმეტყველა. ფურცელი კვლავ მისფიციზმის შეგრძნებითაა გაფლენილი: სიცარიელე, ამაობა, მელანქოლია... რაფინირებული ესთეტიციზმი.

აღსანიშნავია, რომ ილუსტრაციების სერია საისტორიო ქრონიკისათვის ო.თა-ვაძემ გაიაზრა სპეციულურად წიგნისათვის. ყოველი ფურცელის კომპოზიცია აგებულია ისე, რომ მას კონკრეტული აღგილი აქვს მიჩნეული წიგნში. განსაზღვრულია რომელ შხარეს უნდა ჰქონდეს ნახატს ნაბეჭდი გვერდი, იმისათვის რომ შედგეს მხატვრული მოლიანობა. ნახატების წიგნისათვის დამორჩილება მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. < პირის თავაძისეული წაკითხვაც ილუსტრაციების ფენსისთვის დამორჩილებაზე მეტყველებს. მისი ასოციაციური ხასიათის ნახატები, სიმბოლურ-სიურრეალისტური როტული კოდით შენილბული სურათები ტექსტისაგან მოწყვეტით არა მხოლოდ მხატვრულად დაუსრულებულია, არამედ აზრობრივათაც ძნელად წასაკითხი. ამრიგად, გრაფიკული სერია მხატვარმა შეასრულა შექსპირის პირის მხატვრული გაფორმებისათვის.

საილუსტრაციო სერიის ოთხი დანარჩენი ფურცელი მოლიანად მოსართავადაა გააზრებული, ასეთებია: შექსპირის პორტრეტი, გადაწყვეტილი როგორც თავფურცელი ანუ ფრონტისპისი, ოთხი ვინიეტი (თავსართი და ბოლოსართი) და ბატალიური სცენა, რომელზედაც საისტორიო ქრონიკისათვის დამახასიერებელი საბრძოლო აფრისფეროა გადმოცემული. < აქ დახატული / ფაბ. 47 / ყალბზე შემდგარ ცხენზე ამხელრებული ჯავშანასხმული მებრძოლი შეიძლება პირის ნებისმიერი პერსონაჟი იყოს: გზირი, შიკრიკი, რაინდი. იგია "ვინმე" და "არავინ". თითქოს "არაფრიდან" ამოზრდილი დიაგონალურად მიმართული შუბების სიმრავლე პირობითად ჯარს, ხალხის სიმრავლეს განასახიერებს. მხელრის არამდგრადი მდგომარეობა (ყალბზე შემდგარ ცხენზე ამხელრება), შუბების დიაგონალური მიმართულება, და გამოსახულების ფურცელზე კომპოზიციური განაწილება მოუსვენრობის, შუოთის განწყობილებას კმინის. ამით მხატვარი პირობითად გადმოსცემს ბრძოლის ექსპრესიას.

გამოსახულება სასურათო სიბრტყის მხოლოდ ერთ ნახევარს იყავებს, მეორე ნახევარი კი თითქმის თეორიად დატოვებული ფურცელია. სურათის ამგვარი კომპოზიციური აგება ნათლად თხოულობს ნაბეჭდი ფურცელის მისგან მარცხნივ მოთავსებას, კომპოზიციის გასაწონასწორებლად. აშკარაა ამ ფურცელის მჯიდრო კავშირი შიგნის ნაბეჭდ გვერდობა. თავისი მხატვრული გადაწყვეტილი იგი შიგნის მოსართავად, ფურცელის დეკორაციულ ელემენტადაა გამიზნული. მცენარეული მოტივი, რომელითაც შემკულია ფურცელი, ერთდროულად აზრობრივ დატვირთვასაც აფარებს. ეს ნარშავია - ძალაუფლების დაცემის სიმბოლო. >ამ ფურცელზეც კვლავ სიმბოლურ-მისტიკური განწყობილება სუჟევს. შიში, სევდა მელანქოლია, შუოფიანობა - ამ განწყობილებითაა გამსჭვალული სერიის თითოეული ფურცელი.

საილუსტრაციო სერიის ორ ფურცელზე მხატვარმა დეკორაციული ვინიეტები შარმოგვიღინა. ამ ფურცელებზედაც ქმედითია სიმბოლოთა მეტყველება. კვლავ მეორება ნარშავის, ძალაუფლების დაცემის სიმბოლოდ მიჩნეული მცენარის სტილიზებული მოტივი. სანოლები, გვირგვინი, ჯვარი, მუზარადი - "არაფერში" განლაგებული ამ საგნების დეკორაციული პოეტიკა და მათ შორის დამყარებული "ახალი კავშირი" სიმბოლური ულერადობისაა /ტაბ.48/. ვინიეტები დეკორაციის, დახვეწილი ესოეტიზმით გამოირჩევა. ფურცელის შინა პლანზე შიდარჯობილი ხმლების მდიდრულად მოვარაყებული ტარები სადლესასწაულო ბაბ-თებითაა მორთული /ტაბ.49/. აქვეა თავის ქალა - ამქვეყნიური ამაოების აღმნიშვნელი ტრადიციული სიმბოლო. ყველაფერი კვლავ მცენარეული მოტივითაა შემკული. შორს ციხე-კოშკი მოჩანს, ზღაპრულად მიმზიდველი და ზღაპრული იღუმალებით მოცული. ამ მშვენიერ დეკორაციულ სამკაულებში ნათლადაა გამულავნებული "მოფერნის" ესოეტიკა. ამგვარი თავსართებითა და ბოლოსართებით ჭარბადაა შემკული XIX ს-ის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის ფერწებელური გამოცემები. მათ შორის ისეთები, როგორიცაა ნაიჭისეული "Pictorial Edition of Shekspeare's Works".

საილუსტრაციო სერიის ერთი ფურცელი მხატვარმა შექსპირის გამოსახულებას დაუთმო, რაც გამომცემლობის მოთხოვნა იყო /ტაბ.50/. ო.თავაძემ ეს ფურცელიც

გადაწყვიტა როგორც დეკორაციული ვინიეტი. დრამატურგის პორტრეტი ჭრალიცულია, დამახასიათებელი ვარცხნილობით ნახევრად მეღლოტ თავზე. შექსპირის სახე ფურცლის ზედა ჩარცხენა მეოთხედს იყავებს. იგი "რაფიის" ჰიპის საყელოზეა "დალგმული". საყელო უფრო ორნამენტად აღიქმება. სტილიზებული მცენარეული მოჭივი დეკორაციული სამკაულია, ხოლო ყვავ-ყორნები კი, საისტორიო ქრონიკებში აღწერილი სისტლიანი, დაუნდობელი დროის ავბედობის სიმბოლოები. მხატვრული მოთლიანობის მისაღწევად წიგნში განაწილებისას ნაბეჭდი გვერდი მისგან მარცხნივ უნდა განთავსდეს.

საისტორიო ქრონიკების სხვა ილუსტრატორთაგან განსხვავებით ო. თავაძის ილუსტრაციები სპეციალურად წიგნის გრაფიკის პირობითობით გამოირჩევა და სრულებით დამოუკიდებელია ნაწარმოების (პიესის) სასცენო პირობითობისაგან. იგი არ საზრდოობს პიესის სასცენო ხორცშესხმით, მისი დრამატურგიული ბურებით მისთვის მნიშვნელოვანია საისტორიო სერიის კავშირი წიგნთან და არა თეატრთან.

სპეციალურად წიგნისეულია ო. თავაძის ილუსტრაციები შესრულების შანერითაც. ნახატი თავისებურია და კაპრიზული. მხატვარი არ ხმარობს ხაზს, არ მეტყველებს სილუურები. ფურცელს ობობას ქსელივითაა "მოღებული" ნატიური ნახატი, რომელიც ხან სიურიფანა, გამჭვირვალეა და შეუმჩნევლად გადადის ხელუნდებელი ფურცლის სითეთრეში, ხან კი "იკუმშება", სიშავემდე მუქდება. თუმცა მაქსიმალურად შავი აღგილები თითქმის არც არის, ხოლო მაქსიმალური "სიმუქე" ფურცელზე აქცენტებადაა განაწილებული. მკაფიო და სუფთა ნახატი ფურცლის ერთიან ლამაზ ქსოვილს შეაღენს. მიმზიდველია ფურცლის სითეთრესა და ორნამენტულ აქცენტებად გაბრულ სიშავეს შორის კონტრასტით სარგებლობის თავაძისეული მანერა. ყოველივე ამის მეშვეობითაა "შეკრული" ფურცელი და ნახატი არ "ინგრევა". ნახატის რაფიინირებულობას ხელს უწყობს მისი შესრულების ორიგინალური "ტექნიკაც", რომელსაც მხატვარი ოსტატურად ფლობს და რომელიც მის ფუნქციაზე მეტყველებს: სერია შესრულებულია პასტის ბურთულიანი საწერი კალმით. მხატვარი ნახატის მანერის ცვლილებით გადმოსცემს საგანთა განსხვავებულ ტექსტურას, მათ ხასიათს. "ობობის ქსელის" საღა ქსოვილი (მწყობრი პა-

რაღულური შეტრიბუტისაგან შემდგარი) ზოგჯერ გამჭვირვალე მაქმანად იქცევა და მისი ლვარქნილი ფორმებით იხატება სხვადასხვა დაფალები: რჩილბეჭვიანი ბაბ-ბურა კატა, მაქმანებიანი მანერები, თმის მოსართავი, აბჯრის ფერორი, ფახტის საზურგის ჩიუპურომა, მცენარეული მოტივი და სხვა. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხატვის მანერის შეცვლით იცვლება საგნის ხასიათი, იქმნება ახალი ფაქტურა. ყოველივე ეს შეადგენს რთულ, ჭირვეულ, იკლიკანტურ მოხატულობას, რომელიც ფურცლის მშვენიერ სამკაულს წარმოადგენს.

ო. თავაძესთან გამოსახვის ძირითადი საშუალებაა ნახატის შესრულების მანერა, რაც განაპირობებს თავალ გამოსახულების ერთგვარად მეორად, თითქოს მეორეხარისხოვან ხასიათს. პერსონაჟის მიმართ მისი ყურადღება უფრო სუსტია, ვიღრე სხვა მხატვრებთან. ო. თავაძეს არ აინტერესებს გმირი. მის მიერ დახატული აღამიანები, ისევე როგორც საგნები უფრო პირობითი სიმბოლოებია, რომელიც მოვლენებს განასახიერებენ. ამდენად, საგანთა გადმოცემის ფორმა, სიბრტყე-სივრცითი გადაწყვეტა, საგანთა განაწილების კომპოზიციური გააზრება მხატვრისათვის ნაკლებ მნიშვნელოვანია. ო. თავაძე იყენებს ილუსტრაციულ მეთოდს, მხატვრული ფორმა ილუსტრაციული სისტემის მეთოდებს ეყრდნობა, თუმცა იგი სქემატური და სტილიზებულია. სქემატური გამოსახულება სიბრტყის ფერორაციული სამკაულის სახეს ილებს. ო. თავაძე ნაკლებად ზრუნავს მხატვრულ ხერხებზე, არ ისახავს რაიმე კონკრეტულ სახვით-ფორმალურ ამოცანებს. ილუსტრაციები გააზრებულია როგორც წიგნის მოლიანი მხატვრული ორგანიზმის ერთ-ერთი ელემენტი, ფურცლის მოსართავი და წიგნის სამკაული, ან მისი ერთგვარი ფერორაციული დანართი. — ესთეტიკის, ფერორატივიზმი, ფაქტიზი რაფინირებულობა და წმინდა სახვითი მხატვრულ-ფორმალური ამოცანების სივიზოვე განაპირობებს ამ საილუსტრაციო სერიის მხოლოდ მორთულობით ხასიათს.

ილუსტრაციების ამგვარი გადაწყვეტა "მოდერნის" ესთეტიკაზე მიგვანიშნებს. ამასთან საილუსტრაციო სერიისათვის დამახასიათებელი მისტიკიზმი, ერთგვარი მელანქოლია, ესთეტიზმი სიმბოლიზმის რემინისცენციაზე მეფიზოლებს, მისთვის დამახასიათებელი პოეტიკით, სტილისტიკით და მსოფლმხედველობით.

ო.თავაძისა და ლ.შენგელია-აბაშიძის მიერ შექსპირის საისტორიო ღრამებისათვის შექმნილი საილუსტრაციო სერიები ერთმანეთისაგან განსხვავებულია მხატვრულ-ფორმალური გადაწყვეტით, მაგრამ მსგავსია ამ ორი მხატვრის დამოკიდებულება ილუსტრაციის სპეციფიკისადმი და ლიტერატურული ნაწარმოების გახსნისაღმი: ორივემ შექსპირის საისტორიო ღრამის სიმბოლურ-მისტიკური წაკითხვა შემოგვთავაზა. შექსპირისათვის ბეჭდისწერის მისტიკური შეგრძნება უცხო არ არის. მის ზოგიერთ ტრაგედიებში ("მაკბეტი") და ე.წ. რომანტიკული პერიოდის ღრამებში აშკარაა ბეჭდისწერის ფაქტალური მონაწილეობა, მაგრამ საისტორიო ღრამების ამგვარი წაკითხვა მხატვართა სუბიექტური ინტერპრეტაციაა.

უმცესობით, ნიპილიზმით შობილი მელანქოლია და შუოთიანობა ბეჭდისწერის მისტიკური გარეუვალობის შეგრძნებითაა შეპირობებული. ამ განცდებითაა ნასაზრდოები 60-იან და 70-იან წლებში სამოლვაზე ასპარეზზე გამოსულ შემოქმედთა უმრავლესობის ნამუშევრები. ამ თაობის ზოგიერთი მხატვრის შემოქმედებაში სულიერება, სენტიმენტალიზმი, სილამაზისაკენ სწრაფვა ერთგვარად თვითმიზნურ ხასიათსაც კი იძენს. პესიმიზმითა და ესოეტიზმით არის აღბეჭდილი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მხატვართა ნამუშევრები, რაც უფროდ გარემო სინამდვილით უკმაყოფილების შეფეხია. მოუწყობელი სოციალურ-პოლიტიკური ყოფა შემოქმედში რეალური სამყაროსაღმი ზურგის შექცევის სურვილს ბაჟებს. სწორედ მიუღებელი რეალობის საპირისპიროდ პესიმიზმითა და ნიპილიზმით გამსჭვალული სულიერება განაპირობებს 1960 - იან - 70 - იან წლებში საქართველოში სიმბოლიზმის ესოეტიკის რემინისცენციას.

### თ ა ვ ი III

"სამეულის" შესრულებული ილუსტრაციები შექმნილის სამი ქრონიკისათვის

#### §1. პერიод VIII

ოლეგ ქოჩიაკიძე, ალექსანდრე სლოვინსკი და იური ჩიკვაძე 1957 წელს საქართველოს ახალგაზრდობის I ფესტივალის ლაურეატები გახდნენ. ამავე წელს ისინი მონაწილეობას იღებენ მოსკოვში გამართულ ახალგაზრდობის და სტუდენტების მსოფლიო ფესტივალში. აქედან მოყოლებული ისინი გაერთიანდნენ შემოქმედებით კოლექტივში, რომელიც ცნობილია "სამეულის" სახელით. იმ ხანაში ახალგაზრდები თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტები იყვნენ, რომელიც მათ 1959 წელს დაამთავრეს.

არაერთხთლ აღინიშნა, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევარი ქვეყანაში მნიშვნელოვანი ძვრების ხანა იყო, რამაც თავისი ასახვა პოვა ხელოვნების ყველა დარგში. ცვლილებები აღინიშნება აგრეთვე თეატრალურ ხელოვნებაში და კერძოდ, სცენოგრაფიაშიც. "თეატრი თავისუფლებოდა წინამორბედ პერიოდში სცენაზე დაფუძნებული ნატურალისტური ცრუ პომპეზური ტერზენციებისაგან და თანდათან იბრუნებდა თავის ჭეშმარიტ პირობით-რეალისტურ ბუნებას" [28]. "იშენება წმინდა თეატრალური ხერხების ძიება, როგორც რეაქცია დეკორაციებში ნატურალისტური სიზუსტით გადმოცემული ინტერიერებისა და პეიზაჟური კუთხეების მოსაზიდენი განმეორების მიმართ." [29]

ქართულ თეატრალურ მხატვრობაში 60-იან წლებში კონსტრუქტივიზმისკენ სწრაფად განაპირობა არქიტექტორთა მოწვევა სპექტაკლების გასაფორმებლად. მათ შორის იყო "სამეულიც", რომელიც 1964 წლიდან ძირითადად სცენოგრაფიის დარგში მოღვაწეობს. როგორც ჩანს, მათი მოსვლა თეატრში შემთხვევითი არ ყოფილა. ისინი შეესისხლხორცნენ თეატრს და თავისი შემოქმედება უმთავრესად სცენოგრაფიას მიუძღვნეს. თეატრის თემა თავს იჩენს მათ დაზგურ ნამუშევრებშიც. ხოლო მათ მიერ შექმნილი დეკორაციები კოლორიტის ფაქტით განცდითა და თეა-

ფრალური პირობითობის მახვილი შეგრძნებით გამოირჩევა. ამ თვესებამ ხელი შეუწყო მათ დამკვიდრებას თეატრალური მხატვრობის სარჩევლზე.

1976 წლიდან "სამეული" კოშე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარია. "სამეული" სწორედ იმათგანი იყო, ვინც თავის დროზე ახალი სიცოცხლე შეთაბერა ქართული თეატრის მხატვრობას. მათ იმთავითვე გაამზღავნეს სიახლის გრძნობა, დრამატურგიული ნაწარმოების არსში ჩატვირთვისა და მისი თეატრალურად ამეტყველების უნარი, ეპოქის სტილის ცოდნა და გაგება. და სულ თავიდანვე მათი ხელოვნება სპეციფიკურად თეატრალური იყო - არა სინამდვილის იმიტაცია, არამედ თეატრის პირობით ენაზე ლაკონურად და მახვილად გამოსახვა ნაწარმოების იდეასა, ხასიათისა, სტილისა. "სამეულის" სცენოგრაფია ყოველთვის იყო და არის სპექტაკლის ორგანული ნაწილი, როგორიც უნდა იყოს ნამდვილი თეატრალური მხატვრობა. იგი არა მარტო "გარემოს" ქმნის სცენაზე, არამედ განწყობილებასაც, აფრისფეროს, "ჰაერს". იგი წარმოდგენის აქტიური ემოციური კომპონენტია". [30]

უილიამ შექსპირის სამყაროსთან "სამეულის" თანაზიარება ჯერ კიდევ 1964 წელს შედგა. მათ შეასრულეს ესკიზები "შექსპირის სალამოსთვის", რომელც კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე უნდა განხორციელებულიყო (რეჟისორი ა. ჩხეიძეშვილი). 1974 წელს მათ გააფორმეს შექსპირის ტრაგედია "რომეო და ჯულიეტა" რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე (რეჟისორი გ. ქავთარაძე). 1983 წელს, კვლავ მარჯანიშვილის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე განახორციელეს "ოტელოს" სცენოგრაფია (რეჟისორი თ. ჩხეიძე), სადაც "აქტიურად ძუნცი დეკორაციით, "ცივი" კოლორიტის კოსტუმებით და მძაფრი განათებით განზოგადებული ხასიათის, ტრაგიზმით აღსავსე სიტუაციები იქმნება". [28]. "სამეული" თავის დეკორაციებში ისტორიის განზოგადებული მხატვრული სახის შექმნისაკენ, იქნება ეს დადგმის დეტალები თუ სპექტაკლის საერთო გადაწყვეტა. მათ მიერ მიგნებული ზოგადი მხატვრული ხატი ზოგჯერ მეტაფორულია, ზოგჯერ კი სიმბოლური, მაგრამ ყოველთვის განზოგადებული და დრამატული ნაწარმოების შესატყვის ზუსტ და მკაფიო სცენურ აფრისფეროს ქმნის. >

მნიშვნელოვანია ამ მხატვართა წვლილი ქართული წიგნის გაფორმების საქმეშიც. მათ მიერ შექმნილი ილუსტრაციები გამოირჩევა ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსის გახსნისათვის მოძებნილი საინტერესო კუთხით; საბავშვო წიგნებში უღერადი კოლორიტით ისინი ფესტის ხალისიან ვიზუალურ აკომპანიმენტს ქმნიან.

შექმნირის ოხზულებათა სრული კრებულისათვის მათ შექმნეს ილუსტრაციები ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათის ათი ნაწარმოებისათვის. კერძოდ, დასურათეს ორი კომედია: "აურჩაური არაფრის გამო" (1976 წ.) და "მეთორმეტე ლაშე" (1970 წ.); ტრაგედიები: "რომეო და ჯულიეტა" (1976 წ.) და "კორიოლანოსი" (1981 წ.). შექმნეს ილუსტრაციები სონეჟებისათვის (1978 წ.) და პოემისათვის "ლუკრეცია" (1977 წ.). "სამეულის" დასურათებულია შექმნირის სამი საილუსტრაციო ქრონიკა: "ჰერო VIII" (1977 წ.), "ჰერო V" (1981 წ.) და "ჰერო IV" - I და II ნაწილი (1984 წ.) ე.ი. შესრულებულია ოთხი საილუსტრაციო სერია.

"სამეულის" მიერ არჩეული მიღებომა შექმნირის სხვადასხვა ნაწარმოების დასურათებისას ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კომედიების ილუსტრირებისას მხატვარი თხრობით მიღებომას ირჩევს. ფერადოვანი გადაწყვეტით ისინი ხალისიანი მეღერი ფერებით გამოირჩევიან. "მეთორმეტე ლაშის" ილუსტრაციები გამსჭვალულია საღლესასწაულო განწყობილებით. უღერადი ხალისიანი ფერადოვანი შეხამებებით შესრულებული, პოპერზური ფანისამოსით შემოსილი მანერულ პოზებში გამოსახული ფიგურები გრაფიკული ხერხებით შესრულებულ არქიტექტურულ ფონზეა განთავსებული. საერთო ფერიული განწყობილებითაა გამსჭვალული ილუსტრაციები კომედიისათვის "აურჩაური არაფრის გამო". სერიის ყოველ ფურცელზე თითქოს სასცენო მოქმედებაა გამოსახული. ფიგურები თეატრალურ თოჯინებს წააგავს, რომელთა დანიშნულება მოქმედების დემონსტრაციაა, მაყურებლის წინაშე თავისი როლის წარმოდგენა-გათამაშებაა. მეღერი ფერებით შესრულებული ესკიზები ფესტის ხალისიანი აკომპანემენტია.

<sup>4</sup> ტრაგედიის ილუსტრაციები უმთავრესად აქრომატული ან შეკავებული პირქუში ფერადოვანი გადაწყვეტით განსახვავლებიან კომედიისათვის შესრულებული გრაფი-

კულტურისა და სპორტის მინისტრის ნაწარმოების ფონალობას შეესატყვი-  
სებიან. "კორიოლანისის" დასურათებისას მხატვარი ცდილობს შარმოაჩინოს შექ-  
სპირის პიესის მონუმენტური პათოსი, ზუსტად მოძებნილი პირობითი დეფალების  
მეშვეობით ზოგადად გადმოსცეს ნაწარმოების დრამატული აქტორის. "რომეო და  
ჯულიეტას" ილუსტრაციებიც ზოგად-პირობითი ხასიათისაა. სურათებში, რომელიც  
გამსჭვალულია ლირიკული განტყობილებით, განზოგადებული მეტაფორული  
ხატებითაა გადმოცემული ნაწარმოების დრამატული მომენტები. სურათები გვიქ-  
მინან შექსპირის ტრაგეზის შესატყვის განტყობილებას. საილუსტრაციო სერია  
სიმბოლურ-ხატოვანი გადაწყვეტით ხასიათდება.

სონეტებისთვის "სამეულმა" ლირიზმითა და სევდით გამსჭვალული პოეტურ-  
მეტაფორული მხატვრული სახეები შექმნა. გრაფიკული ფურცლები აქრომატულია.  
მათზე გამოსახული საგნები და მათ შორის დამყარებული პირობითი კავშირები  
მხატვრულ ხატებად გარდაისახება და მხატვრულ სინამდვილეში განსაკუთრებულ  
მნიშვნელობას, ახალ ულერაფობას იძენენ. მთელი სერია შექსპირის პოეზიის ნატივი  
სურნელითაა გაუდენთილი.

პოემისათვის "ლუკრეცია" შექმნილი ნახატები სიუჟეტის თხრობას მიჰყვებიან.  
პოემაში, რომელშიც ეპიკური სატყისი მშირია, ფაბულა სუსტადაა განვითარებული,  
შექსპირი ლირიკული პოეზიის სინატივით ახერხებს აღამიანთა ფაქტი განცდების  
გადმოცემას. სონეტების მსგავსად, ნახატების ამ სერიაშიც მხატვარი თეატრალური  
პირობითობის ნაცვლად (რომელიც ასე ძლიერად მონაწილეობს დრამატული ნა-  
წარმოების დასურათებაში) შინ შამოსწევს, შმინჭა გრაფიკული ხერხებით შექმნილ  
პირობითობას, სერია ფერსტის მოსართავად, მის თანმხლებადაა გააზრებული.

"სამეულის" მიერ შესრულებულ გრაფიკულ სერიებში შიგნის ილუსტრაციის  
შესაძლებლობათა ფართო დიაპაზონია ნაჩვენები, როგორც ლიტერატურული ნა-  
წარმოების გახსნის და გრაფიკულ ენაზე მისი ამეცყველების, ასევე მისი ხასიათისა  
და განტყობილების გადმოცემის თვალსაზრისით.

"სამეულმა" 1977 წელს შექმნა გრაფიკული ციკლი შექსპირის გვიანი პერიოდის  
დრამისათვის "ჰერი VIII". ხასიათით იგი განსხვავდება სხვა საისტორიო ქრონი-

კებისაგან: აქ არ არის ომი, ეს სამეულო კარის დრამაა, კარის პოლიტიკის ქრონიკა.> შექსპიროლოგთა აზრით ეს პიესა მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვნად ჩა-  
მოუვარდება შექსპირის მიერ ამ უანრში შექმნილ სხვა ნიმუშებს. [31].

"სამეულმა" პიესა მოქმედ გმირთა პორტრეტებით წარმოადგინა, რომლებიც  
ზუსტი პიროვნული ნიშნებით ხასიათდებიან და ამასთან, ეს განზოგადებული,  
პირობითი ხატებია. მათი სოციალური მახასიათებლები თუ პიროვნული ნიშნები  
სიმბოლურ-მეტაფორულადაა გაფორმებული. პერსონაჟთა კონკრეტული სახასიათო  
ნიშნის გაფორმებაში მხატვარს ეხმარება ისიც, რომ პიესის გმირთა უმრავლესობა  
ისტორიული პიროვნებაა. ცნობებს მათ შესახებ მხატვრისათვის ავსებს სახვითი  
ხელოვნების არსებული ნიმუშები. თითოეულ სურათზე დახატულია პიესის გმირის  
მხოლილ თავი, უფრო ზუსტად კი სახე, ვინაიდან თავსამკაულსა და მხარ-კისერს  
ემნის სხვადასხვა საგნების პირობითი შენაერთი. ასეთია პიესის ილუსტრაციების  
პირველ ფურცელზე თავად შექსპირის პორტრეტიც /ჭაბ.51/. სამ მეოთხედში გა-  
მოსახული სახე მკაფიო კონტურით გამოეყოფა სასურათო სიბრტყეს. შავი ზრის  
მასით "მოჩარჩებული" სახე პირობითად "დგას" გრაფიკულად მოხაზულ საყელო-  
ზე. ამგვარად გაფორმებული თავი თეორად დაფორმებული ფურცლის რკალშია მო-  
თავსებული. ამ რკალს თავის მხრივ მოხაზავს წვრილი შავი გრაფიკული ხუჭუ-  
ჭებისაგან შემღებარი "კუნძულები", რომლებიც დეკორაციულად ავსებს ფურცლის  
სიბრტყეს. სურათის ქვედა ნაწილში დეკორაციულ ბაბთაზე შექსპირის სახელის  
ლათინური წარწერა, დაბალების და გარდაცვალების თარიღებია გამოკვეთილი  
შავი ასოებით.>"სამეულმა" შექსპირის პორტრეტისათვის გამოიყენა ფრაზიცული  
გამოსახულება, რომელიც დრამატურგის თხზულებათა პირველ გამოცემას (1623 წ.)  
ქონდა დართული.

საისტორიო დრამის პერსონაჟთაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა მეული  
პენრი მერვეს სახეა /ჭაბ.52/. შექსპირთან იგი მაკიაველის მიერ აღწერილი სა-  
ხელმწიფო მოლვაშის ფიპია: ერთდროულად მელაცია და ლომიც. პენრი მერვა  
დესპოტია, რომელსაც გამუდმებით ესაჭიროება ინფრიგებისა და შეთქმულებების  
ატმოსფერო [31]. პიესაში პენრი მერვეს სხვა ადამიანური თვისებებიც არის აღ-

წერილი. მაგრამ მხატვარმა თავის პორტრეტზე მეუე ჭირანი დაგვიხატა. სავსე და განიერი პირისახე, პატარა ცხვირი, ვიზრო მოკუმული პირი, ფიჭი, თითქმის კუთხოვანი ნიკაპი და მოკლედ შეკრებილი ხვეული წვერი, უარობოდ გახელილი თვალები, ერთდროულად ეშმაკური, ცბიერი და მბრძანებლური გამომეტყველებით - ამ გარეგნული ნიშნების დახატვისას "სამეულმა" ისარგებლა პოლბერნის მიერ შექმნილი ჰერიტაჟი VIII - ს პორტრეტით. ამგვარი ზუსტი, კონკრეტული გარეგნული ნიშნებით შექმნილი გამოსახულება შეთავსებულია პირობით-სიმბოლურ ელემენტებთან. სახეს გრაფიკულად მოხაზული ქული ამკობს, რომელის ზემოთაც მკაფრი, შავი ლათინური შრიფტითაა გაკეთებული წარწერა "ჰერიტაჟი VIII", რომელსაც ზემოდან რჩებოდ დეკორაციული ბაბთისმაგვარი სარტყელი აჩარჩოებს. ჰერიტაჟის სახე ფურცლის ცენტრალურ აღგილს იკავებს. იგი უკისროდაა დახატული და თეთრი ფურცლის ფონზე, თითქოს "არაფერში" გამოკიდებულის შთაბეჭდილებას უნდა ფოვებდეს, მაგრამ ამას ხელს არ უშებობს ფურცლის კომპოზიციური გადაწყვეტა. თავი თითქოს დასვენებულია რაღაც საყრდენზე, რომელსაც ქმნის შუა საუკუნეების რაინდის საბრძოლო აღმურვილობაში გამოსახული ორი ფიგურა. მათ დაბლა დაშვებულ ხელებში ხუთქიმიანი ჰერბი უფრავო. ეს აგუცი გრაფიკულადაა გამოსახული ტუშით შესრულებული შავი ხაზით. მკაფიოდ მოხაზული ეს ფიგურები, ხმლებით ხელში, ერთიანი იეროგლიფის მაგვარ ჯგუფს ქმნის, რომელიც ქვემოდან კრავს კომპოზიციას. ამ პირობით გამოსახულებასთან და დეკორაციულ ხვეულებთან ერთად იქმნება კომპოზიციის მთლიანობა. კონკრეტული პორტრეტული ნიშნებისა და სიმბოლურ-პირობითი, სიბრტყობრივი ელემენტების შეერთებითაა მიღებული "სამეულთან" მეუე ჰერიტაჟი VIII - ს ლაკონიური და ერთდროულად პირობით განყენებული მხატვრული სახე, რომელიც პირის თავფურცლად, ფრონტიპისადაც შეიძლება წარმოვიდგინოთ და სპექტაკლის აუიშადაც. >

დელფინი ეკატერინე არაგონელი, ღრმად მორწმუნე კათოლიკე ესპანელი პრინცესა პირისაში ერთ-ერთი ცენტრალური ჰერსონავია. კეთილშობილება, სულიერი სიმტკიცე და ლმობიერება ღირსეულ დელფინალს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ დალატობს. "დელფინი დელფინი", - მიმართავს ეკატერინეს მეუე ჰერიტაჟი VIII,

აღურთოვანებული მისი მჩრდანებლური მორჩილებით, საონოებითა და სიმჭიდროთ, მას შემდეგაც კი, რაც იგი დიდებაა ყორილი დედოფალია და უარყოფილია როგორც მეუღლე. ამაყი, ჟურნალი, გულმოწყალე, მშვიდი და თვინიერია შექსპირის დრამაში დახატული დედოფალი ეკატერინე. ამაყი და დიდებულია "სამეუღლის" მიერ შექმნილი დედოფალის სახეც /ტაბ.53/. ყელმოლერებული დედოფალი სამ მეოთხედშია შეტრუნებული. მაღალი, ორქიმიანი ქული, რომლიდანაც მანდილია დაშვებული ხაზს უსვამს მის დიაგონალურ მიმართულებას. საწინააღმდეგო, ქვედა მარცხენა კუთხისკენაა მიმართული ქალის კისერი. ქუდის ტაზვეტებული ქიმების ფორმა გულური სარკმლების ფორმით მეორება. დედოფალ ეკატერინეს გამოსახულებას თან ერთვის პირობითი გრაფიკული ხერხებით გამოსახული ანტურავი, რომელიც სასახლის დარბაზის ასოციაციას ქმნის. > ვერტიკალური და პორტონტალური ხაზებით შექმნილი კიბეების, დეკორაციული ხვეულების და ქვემოთ გაკეთებული გრაფიკული ტარტინის განლაგება მკაცრ ტესრიგს ემყარება.

< სუჟოთა, ბავშვივით უცოდველი, სპეციალი და საონო, ამასთან მომაჯალოებლად მშვენიერია შექსპირის მიერ დახატული ჰერლი მერვეს მეორე მეუღლე - ანნა ბულენი. მხატვრის მიერ შექმნილ პორტრეტზეც იგი ბავშვურად გულუბრყვილო, სუჟოთა და მშვენიერია /ტაბ.54/. ამის ტარმოდგენას სახის ნაჟიფი, უცოდველ გამომეტყველებასთან ერთად თავად ფურცლის კომპოზიური ტყობაც ეხმარება. გულური ფაძრის ინტერიერის ასოციაციას ქმნის შეკრული კარია, რომელსაც საწინააღმდეგო მხრიდან აწონასწორებს ქალის თავსამკაულის მომრგვალებული დეკორაციული ფორმა, მისი სიმრგვალე მეორება თავზე გაკეთებული ნახევარწრიული ხაზებით, ქვემოდან სახის მომრგვალებული ოვალის მომხაზველ კონტურს იმეორებს კისრის სამკაული, რომელსაც ნახევარწრიული ფორმა აქვს და შემდეგ იმავე რიტმის ექვემდებარება ნახევარწრიულად განლაგებული ანნა ბულენის სახელის გრაფიკული ტარტინი. ქალის დეკორაციულ სამკაულს ტარმოადგენს ჯვარცმის გამოსახულება. იგი ერთის მხრივ თავსაბურავის ორგანულ ნაწილად აღიქმება და ამავე ზროს ანნა ბულენის მოწამეობის სიმბოლური მანიშნებელია (ჰერლი VIII-მ ეჭვი შეიტანა თავისი ახალგაზრდა მეუღლის ერთგულებაში და სიკვდილით დასაჯა იგი). >

შექსპირის ქრონიკაში წარმოდგენილი კარდინალი ვულსი გამჭვირიახი გონების მქონე პიროვნებაა, რომელმაც გაიძვერობითა და ანგარიშიანი ყაირაობით მიაღ-  
მია ხელისუფლების სათავეებს. მისი პატივმოყვარეობა ისევე უსაზღვროა, როგორც  
მისი სიხარბე და გაუმაძლრობა. "სამეულის" მიერ კარდინალი პროფილშია დახა-  
ტული / ფაბ. 55/. მკაფიო კონფურით მოხაზული პროფილი, კონკრეტული პორტრე-  
ტული ნიშნებით პიესაში აღწერილი პერსონაჟის თვისებებს გვიხატავს. კათოლიკე  
კარდინალი გუთური ეკლესიის ინტერიერის ფონზეა გამოსახული.

მძალურად სახასიათოა კენტერბერიელი ეპისკოპოსის - კრამერის პორტრეტი  
/ ფაბ. 56/. ორად გაყოფილი ნიკაპი, ხორცსავსე ცხვირი, თხელი ჭურჩი, ფართო  
პირი, დაკუნთული, ყვრიმალებიანი სახე და განსაკუთრებით ძლიერი, თითქოს  
ანთებული თვალები - ნათლად გვიხატავს ამ ერეთიკოსი ეპისკოპოსის ხასიათს. კრამერის დახატვისას მხატვარი ანტურაუს მინიმუმამდე ამცირებს, რაც სისაძავეს  
და სიმკაცრეს ანიჭებს მის გამოსახულებას. ერეთიკოსი ეპისკოპოსის შესაფერის  
სიმბოლოდ "სამეული" იწჩევს ინგლისური საცხოვრებელი სახლის ფასაძს.

პერცოგები სუფოლეკი და ნორფოლკი ინგლისის უძველეს არის ფოკურატიულ გვარ-  
თა წარმომადგენლებისა. ისინი პიესაში ტახტთან ახლოს მდგომი პირებია. შექსპირი  
მათ კეთილშობილებას, თავდაჭერილობას და პატიოსნებას აღნიშნავს. ძალაუფლების  
მოყვარული პერცოგები მხნე, გამბეჭავი და მამაცნი არიან. ეს თვისებები შექსპირის  
ქრონიკებში აღწერილ ფეოდალთა უმრავლესობას ახასიათებს. სხვაგვარად მათი ხა-  
სიახები პიესაში სკემეტურია და გამოუკვეთავი. "სამეულის" ილუსტრაციებში სუფ-  
ფოლეკის პერცოგი ძლიერი მოხუცი მეომრის სახითაა წარმოდგენილი / ფაბ. 57/. ეს  
თეორიული, ცისფეროვალება სანდომიანი და კეთილშობილი ლორდია. სახასიათოა  
ნორფოლკის პერცოგის პორტრეტი / ფაბ. 58/. წაგრძელებული სახის ოვალი, წვეტი-  
ნი ნიკაპი, თხელი კეხიანი ცხვირი, წვრილი, ეშმაკური თვალები და მკაცრად მოკუ-  
მული ხაზივით ვიზრო ჭურჩი - ამგვარი ნაკვთები პატივმოყვარე და ძლიერი ნების  
პიროვნებას ხატავს. მსხვილ ფეოდალთა სოციალური მდგომარეობა სიმბოლურადაა  
მინიშნებული: სუფოლეკთან - მისი ფანისამოსის საყელო ერთდროულად ციხე-დარ-  
ბაზის კედლებიც არის; ნორფოლკის ქუდს კი ციხე - კოშკის გამოსახულება აგვირ-  
გვინებს.

საინტერესოა და ორიგინალურია "სამეცნიერო" მიერ შექსპირის ფრამისათვის შესრულებული გრაფიკული სერია. მას მხოლოდ ძალზე პირობითად შეიძლება ცუშოლოთ პიესის მოქმედ გმირთა პორტრეტების გაღერეა. მხატვარმა საისტორიო ქრონიკის პერსონაჟთა მხარვრული სახეები შარმოადგინა, რომელებშიც მოცემულია პიესის გმირთა პიროვნული და სოციალური დახასიათება. ნახატების სერიაში შექმნილია შუა საუკუნეების ფეოდალური ინგლისის ზოგადი ხატი. ყოველივე ეს სიმბოლურ-მეტაფორული ხერხებითაა გადმოცემული. ეს საილუსტრაციო სერია გადაწყვეტილია, როგორც შექსპირის პიესის ვიზუალური აკომპანენტი. მხატვარს ილუსტრაციები ფურცლის მოსართავად აქვს ჩაფიქრებული. თუმცა ყოველ პორტრეტს გარკვეული "ავტონომია" გააჩნია, რაც ძირითადად შეკრულ, მოწესრიგებულ კომპოზიციებში ვლინდება (ეს ტექსტში ჩართული ილუსტრაციებია). უმთავრესად სამ მეოთხედში ან პროფილში დახატული თავები თავისი მიმართულებით აშკარად გვკარნახობს ტექსტის რომელ მხარეს იქნება შიგნში მათი განლაგება მეტად მოსახერხებელი მხატვრული სრულყოფისათვის.

მხატვარი საგანგებოდ იცავს სიბრტყის მნიშვნელობას, რაც ვლინდება როგორც სიბრტყობრივ-ხაზოვანი სახვითი ხერხების გამოყენებაში, ასევე სიბრტყის დეკორაციულ გაფორმებაში (შარტერების და დეკორაციული ხუჭუჭების სახით). სურათზე ყველაზე ძლიერი მახვილები გამოსახულთა სახეებია. ისინი აქცენტირებულია ფერით (სახეები შესრულებულია ოქრის ფერთა სხვადასხვა ფონებით. საღებავი გუაში), მაშინ როცა ყოველივე დანარჩენი სურათზე აქრომატულია (ტუში და თეთრა). სახეები ფორმის მოდელირებითაც გამორჩეულია გრაფიკულად გადაწყვეტილი ანტურიაუისაგან. ისინი მოდელირებულია ფერადი მონასმებით (ფერადი "სიბრტყეებით") შუა საუკუნეების ფრესკების ყაიდაზე. მიუხედავად არაფონალური მოდელირებისა, სახეები მოცულობითია. ასეთია მხოლოდ სახე-ნილაბი და არა მოლინად თავი. სურათი ამგვარად დახატული სახისა და პირობითად გამოსახული აფრიბუტების მხატვრულად მოლინან შენაერთს შარმოადგენს. ანტურიაუი სიბრტყობრივ-ხაზოვანი გრაფიკული ნახატითაა გადმოცემული. ასეთია ტანისამოსის ძალზე ძუნწად შარმოდგენილი დეტალები, შარტერები, დეკორაციული ხვეულები (რომელ-

თაც მხოლოდ სიბრტყის შევსების დეკორაციული ფუნქცია აკისრია. ამგვარი გრაფიკული წახატი ხაზს უსვამს ფურცლის სიბრტყის მნიშვნელობას.

ტანსაცმლისა და თავსამკაულების დეტალებს უფრო ხშირად პირობით - სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ზოგიერთი საყელო ციხე-სიმაგრის კოშკები-ანი კედებიდა (სუფოლები), ზოგი კი გუთური ეკლესის ფასაღი (კარტინალი ვულსი), თავსამკაული სასახლეა (ნორფოლები) ან იკონოსტასი (დედოფალი ელისაბეტი), სასახლის თაძეები (ანია ბულენი) და ა.შ. ყოველივე ეს გარკვეული შინაარსის, პიესის გმირთა სოციალური მდგრმარეობის მანიშნებელია, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათი ორიენტაციის მაჩვენებელიც (ინგლისური სახლის ფასაღი ანგლიკანელ ეპისკოპოს კრამერთან). ანია ბულენის თავსამკაულზე ჯვარცმის გამოსახვა მისი ტრაგიკული ბეჭის სიმბოლური ნიშანია. ყოველი პორტრეტი პიესის თითოეული პერსონაჟის ზუსტი და ლაკონიური მხატვრული ხატია. მხატვარი არა მხოლოდ ახასიათებს მოქმედ გმირებს, არამედ გვიჩვენებს მათ როლს შექსპირის ქრონიკაში, ზოგჯერ კი მიგვანიშნებს მათ აღგილს ინგლისის ისტორიაში. ამასთან ამერიკებს ეპოქის ისტორიული რეალიების ცოდნას და სტილის მახვილ შეგრძნებას. ეს ნაოლად ავლენს თეატრის მხატვართა ხელვა - აზროვნებას. სწორედ სიმბოლურ - მეტაფორული მეტყველება უნებლიერ მოგვაგონებს "სამეულის" თეატრალურ ნამუშევრებს. მოქმედ გმირთა სახეების განთავსება პირობით - დეკორაციულ გარემოში, სპეციფიკური, ლაკონიური სიზუსტე და ამავე ფრის მახვილი დამახასიათებლობა, ატრიბუტების გამოყენების მანერა - ყოველივე ეს თეატრალურ პირობითობაზე მიგვანიშნებს. ილუსტრაციების სერია "სამეულის" თეატრალურ კოსტუმებში გამოყენებულ ხერხსაც გვახსენებს, როდესაც მხატვარი ტანისამოსზე მიკრული რამე სიმბოლური დეტალით პერსონაჟის ლაკონიურ დახასიათებას იძლევა და მათ მიერ შესრულებულ თეატრალურ აუიშებსაც.

სახის მოცულობითი (ილუზორული) და ანტურაუის პირობით - გრაფიკული (თუმცა ანტურაუს მხატვარი გრაფიკული წახატი ქმნის, მისი დახატვისას ხშირად იყენებს ილუზორული სისტემის ელემენტებს) გამოსახვით შექმნილი დაპირისპირება ოსტატურად არის განეიფრალებული კონფურის მეშვეობით, იგი სურათში გამოყენებული ორი სტილისტური სისტემის ძირითადი შემკვრელ - დამაკავშირებელი რგოლია

და ერთდღოულად ამ ორ სისტემას შორის გავლებული ზღვარიც, რომელიც ამახვილებს მათ დაპირისპირებას. სწორედ კონფურია მნიშვნელოვანი სახვითი ფუნქციის მატარებელი. იგი მხატვრის მიერ შერჩეულ სახვით არსენალში ერთ-ერთი ქმედითი ელემენტია. სახეების მომხაზავი შავი ხაზი ზოგიერთ სურათზე იმდენად სქელება, რომ შავ ლოკალურ ლაქებად იქცევა, რომელიც თმის მასას აღნიშნავენ. ეს ხაზი სახეთა უფრო მკაფიოდ გამოყოფას, ნაწილობრივ მათ იზოლაციას და ამით ანტურა-უთან დაპირისპირების გაძლიერებას ემსახურება. ამავე ზროს, ეს სქელი ხაზი ხშირად მოხველი სურათის ჰექტონიკურ კარკასს შარმოადგენს და კომპოზიციის შემკვრე-ლაფაც გვევლინება. ამ ხაზის, თუ მისი გამსხვილების შედეგად შექმნილი "სიშავე-ების" ფუნქცია ერთდღოულად შეკავშირებაც არის (როდესაც იგი სურათის ჰექტო-ნიკურ კარკასს შეადგენს) და დაპირისპირებაც (როდესაც მას სახეების შესრულების სტილისტურ სისტემასა და ანტურაუის შესრულების პირობით-გრაფიკულ გამოსახუ-ლებას შორის "გამყოფის" მნიშვნელობა ეკისრება). ამ სერიაში ორი სტილისტური სისტემა ერთმანეთს "კონტრაპუნქტული" ულერალობით ეხარება და ამის შედეგად იქმნება მხატვრული მოლდანობა. ამ შედეგში ქმედითია სწორედ ხაზის ფუნქცია. ხაზისა, რომელიც პორტრეტირებულის ხასიათის გაღმოცემის შესაფუვისად ხან ნერ-ვული და კლაკნილია (ნორფოლკონან და კრამერთან), ზოგჯერ მოუხეშავი, კუთხო-ვანი (მეუე პენრისთან), ხან მკაფიო, მშვიდი, ნათელი (დედოფალ ელისაბედთან), ხან კი დენადი და ბრგლოვანი (ანნა ბულენთან).

ამრიგად, ილუსტრაციების მხატვრული ანალიზის შედეგად მათში სამი საწყისი გამოივეთა. პირველი - აგების შრინდა სახვითი ლოგიკა, კომპოზიციის გააზრება-განაწილება, ხაზის ფუნქციური მნიშვნელობა და სხვ.; მეორე - შიგნის გრაფიკის სპეციფიკის გათვალისწინება, სიბრტყისაღმი დამოკიდებულება; მესამე - პირობითი ხატების მეშვეობით აზროვნება ანუ აზრობრივი სტილიზაციის ელემენტთა მხატ-ვრული გამოყენება, რაც თავისი ბუნებით თეატრალური სპეციფიკითაა ნასა-ზრდოები. აღსანიშნავია სამივე ამ საწყისის მხატვრულ-ორგანული მოლდანობა. მხატვრული ხერხების ამ ერთიანობითაა შექმნილი შექსპირის ქრონიკის ხილულ-პლასტიკური ხატი.

## შ2. პერიод V

საისტორიო ქრონიკა "პერიод V" "სამეულმა" 1981 წელს დაასურათა. "პერიод IV"-ს ორივე ნაწილთან ერთად ეს პიესა შეადგენს ე.წ. ლანკასტერულ ჰრი-ლოგიას [23]. შექსპირის საისტორიო დრამების უმრავლესობისაგან განსხვავებით აյ ასახულია არა ფეოდალთა ბრძოლა ძალაუფლებისათვის, არამედ აღმიერილია კონფლიქტი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც ასტლიანი ომის სახელშო-დებითაა ცნობილი. >ამ ომში ინგლისმა პერიод V-ს მეფობის დროს უდიდეს გამარ-ჯვებას მიაღწია აუენკურთან ბრძოლაში. ეს ისტორიული ეპიზოდი შეადგენს შექ-სპირის პიესის სიუჟეტურ საფუძველს. სწორედ ომის პატეთიკა დაედო საფუძვლად ამ ფრამისათვის "სამეულის" მიერ შექმნილ საილუსტრაციო სერიას. სამეულ კარის დრამა "პერიод VIII" "სამეულმა" პიესის გმირთა პორტრეტებით შარმოგვიდგინა და პერსონაჟთა დახასიათება სიმბოლურ-მეტაფორული ხერხებით გადმოსცა. "პერი-დი V"-სათვის შესრულებულ ილუსტრაციებში კი მხატვრისათვის მთავარი იყო გაღმოვცა ომის უინი, საომარი განშეყობილება, რისთვისაც მხატვარმა მონუმენტური გადაწყვეტა ირჩია, გროტესკური მიმართა და ყოველივეს ფარსის, თამაშის მნიშვნე-ლობა შესძინა.

ნახატებში მთავარი ყურადღება ეომობა ფიგურებს. ამასთან პიესაში მონაწი-ლე პერსონაჟთაგან მხატვარი გამოხატავს მხოლოდ მამაკაცებს. ისინი უმთავრესად საბრძოლო აღჭურვილობაში არიან დახატულნი. ფიგურები დიდი ზომისაა, მრა-ვალუიგურიანი კომპოზიციები და ბატალიური სცენები სერიაში არ არის და უფრო ხშირად მოცემულია ნეიტრალური ფონი, ყოველგვარი დეტალების გარეშე (გამო-ნაკლისს შეადგენს სამი ფურცელი). ცასფერ-ნაცრისფერ-ლურჯი ფერებით (სალე-ბავი აკვარელი და გუაში) შექმნილი ცივი გამა ხელს უწყობს მხატვარს იარაღისა და აბჯარ-აბგარის ანუ ლითონის ფაქტურის გაღმოცემაში. ამდენად, ნახატების ფერადოვანი გადაწყვეტაც ომის თემის, საომარი განშეყობილების გაღმოცემას ემსა-ხურება. ფიგურათა "უზურმაზურ" ზომებს აპირობებს მათი მოღალანი, განზოგადო-

ებული მასები და მათი ფურცლის სიბრტყესთან შეფარდება, ასევე დარღვეული პროპორციები. ფიგურათა უფრინებული და არაბუნებრივი უესტებით, ძელორმაციით (დისპროპორციულად დიდი კიდურები), სახეთა ხშირად კარიკატურული, ზოგჯერ კი სრულებით "შაშლილი", ნიველირებული გადმოცემით მხატვარი გვაგრძნობინებს, რომ ყოველივე ეს მხოლოდ მხატვრული პირობითობაა, "თამაშია".

მეუე ჰენრი V შეესპირის ქრონიკის ცენტრალური გმირია. ღრამატურგი გვიხა-ტავს იდეალური მონარქის სახეს, რომლის მძლავრი ხელისუფლება ქვეყნის გაერთი-ანების იდეულ საყრდენად ესახება. "სამეული" თავის სერიაში მეუე ჰენრის ოთხ ფურცელს უომობს. ისინი უმთავრესად განზოგადოებული ხასიათისაა (სამი მათ-განი). თუმცა ყოველ მათგანზე პიესის კონკრეტული ეპიზოდია დახატული. ასეთია ნახატების სერიის პირველი ფურცელი. იგი მოელი პიესის ზოგად აზრს მოიცავს და ამავე ლროს პირველი მოქმედების შინაარსს გადმოგვცემს.

ქრონიკის პირველ მოქმედებაში ინგლისის მეუე ჰენრი V კენტერბერიელ ეპის-კოპოსთან საუბარში არცევეს თავის უფლებათა კანონიერებას საფრანგეთის ფახ-ჭიდე. პრელატი უდასტურებს მას პრეტენზიების კანონიერებას. ამის შემდეგ მონარქი გადაწყვეტს საფრანგეთში გალაშერებას საფრანგეთის გვირგვინის მოსაპოვებლად. სწორედ ეს ამბავია ზოგადად "მოთხრობილი" სერიის პირველ ფურცელზე / ფაბ. 59 / ჰენრი V მხატვარმა დაგვიხატა ფასში, ნეიტრალურ ფონზე, სხვა ფიგურებთან შე-დარებით საგანგებოდ "აღზევებული" თავისი ზომით და პოზით. ეს ფიგურა სასუ-რათო არის თითქმის ორ მესამედს იკავებს. მეფის ქანდაკების მსგავსი სახე მკაცრია და შეუვალი, სხეული მყარი და უძრავი. იგი მონუმენტური ბლოკია, რომლის მოლი-ანობას არღვევს დისპროპორციულად გაზრდილი ზედა მარცხენა კუთხისაკენ დია-გონალურად მომართული ხელი, რომელშიც მას გვირგვინი უჭირავს. ეს სურათის აზრობრივი ცენტრია. იგი პიესაში ჰენრის მიერ შარმოფერებული სიჟუვების: "ასე იცოდეთ აღარ მინდა ინგლისის ფახტი, თუ ამ ბრძოლაში საფრანგეთის მეუეც არ გავხდი" [15] (მოქ. II, სურ. 2) განსახიერებაა. მხატვარი გვირგვინზე ამახვილებს მაყურებლის ყურადღებას. მონარქის ხელის დაგონალური მიმართულება უხეშად არღვევს უმთავრესად ვერტიკალურად მიმართული ბლოკისმაგვარი ფიგურების

მთლიანობას. ამას დინამიზმი შეაქვს საერთო მონუმენტური სტატიკური წარმოსახვი-თობით შეემნიღა სტაბილურობაში და ამის მეშვეობითაა გადმოცემული პენრი V-ს მიზანს წრაფუა და გვირგვინის მოპოვებისათვის საბრძოლო მზადყოფნა. მხატვარი ლაკონიურად გადმოსცემს ერთ უურცელზე მოვლი ქრონიკის ძირითად სიუხუჭურ ხასი: პენრი V-ს ბრძოლას საფრანგეთის ფახტის მოსაპოვებლად. სურათზე დახა-ტული კიდევ ორი პერსონაჟი აკონკრეტებს მოქმედების ფროს: საფრანგეთის ფახტ-ზე თავისი პრეტენზიას, თავის უფლებათა კანონიერებას მეუე პენრი კენტერბერიელ მთავარებისკოპოსთან არკვევს პიესის პირველ მოქმედებაში. ამ დროს სცენაზე მეუი-სა და პრელატის გარდა სხვა ფიფებულნიც იმყოფებიან. მხატვარი მოქმედ პირთა რიცხვს სამამლე ამცირებს. მეუისა და მღვდელმთავრის ფიგურები თითქმის მთლია-ნად ფარავენ მესამე ფიგურას, რომელის მხოლოდ სახის ნაწილი მოჩანს. მონარქთან შედარებით ეპისკოპოსის ფიგურა მომცრო ზომისაა, თუმცა ისიც საკმაოდ მონუმენ-ტურია. კათოლიკური ეკლესიის პრელატის კაბით შემოსილი სხეული ერთიანი კომ-პაქტური ბლოკია. სახის გამომსახველი პროფილი და სხეულის მთლიანი მკაფიო, მეტყველი სილუეტი ამ პერსონაჟის საკმაოდ ზუსტ, თუმცა ძალზე ზოგად დახასია-თებას იძლევა. ნეიტრალურ ფონზე განთავსებული დიდი ზომის ფიგურების გარდა, რომლებიც თითქმის მთლიანად ავსებენ სიბრტყეს, სურათზე არაფერი დახატული არ არის. მხატვარი უარს ამბობს ყოველგვარ დეტალებზე (სურათზე გამოსახული ერთადერთი დეტალი არის გვირგვინის დასაღები ბალიში, რომელიც ეპისკოპოსის უჯირავს - ეს აზრის გადმოცემისათვის აუცილებელი აფრიბუტი). ამგვარი გადა-ტყვეტა აძლიერებს მონუმენტურობას და ფიგურებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

შემდეგი ფურცელი, რომელზედაც მეუე პენრი V დახატული პატარა, კონკრე-ტული ეპიზოდის ილუსტრაციაა. საფრანგეთის ელჩი მეუეს ძლვნად ჩოგბურთის ჩურთებს მიართმევს. ამას შეესპირთან ქარაგმული მნიშვნელობა აქვს, მხატვარ-მა კი იგი პირდაპირ დაასურათა. მაყურებლისკენ ზურგით მდგარი მონარქის წინ მუხლმოყრილი ელჩი აწვდის მეუეს ჩოგბურთის ბურთებს. მხატვარმა კვლავ შეა-ცირა ამ სცენაში მონაწილე პერსონაჟთა რიცხვი (ორი), რათა მაყურებლის ყუ-

რაღუება მთავარზე გაემახვიდებინა. დეფორმაცია კვლავ აზრობრივი მახვილის გასაძლიერებლადაა გამოყენებული: ელჩის ხელის მფევნები დისპლოპორციულად არის გაზრდილი ბურთების გამოსაჩენად. მეცის ჯავშანასხმულ ფიგურაში იგრძნობა აგრესია, რაც გადმოცემულია მიმართულებით (სამ მეოთხედში შებრუნებული ფიგურა დიაგონალურადაა მიმართული საფრანგეთის დესპანისაკენ) და პოზით: დახა-ტულია ქმედებისათვის მზადყოფნა. ასე გამოხატა მხატვარმა მეცის მუქარა ძალის გამოყენებით უპასუხოს საფრანგეთის დოფინის ხუმრობას.

კიდევ ერთი ილუსტაცია "მოგვითხრობს" ქრონიკის მთავარი გმირის მეცე პენრი V - ის შესახებ / ფაბ. 60 /. ეს უზარმაზარი ფანტასმაგორიული ფიგურაა, თავიდან ფეხებამდე რკინის ჯავშანასხმული. არაბუნებრივია მისი ჩაცმულობა (მოსასხამ-შემოხვეული აბჯარ-აბგარი), პოზა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს მუზარალში გარფობილი ხელთათმანი (ეს დეტალი პირის სიურეალური თხრობის კონკრეტულ ეპიზოდზე მიგვანიშნებს), გაზვიადებულია ფიგურის მასშტაბი. ეს ფიგურა ზებუნებ-რივი ძალის შთაბეჭდილებას ქმნის. ამგვარი გროტესკული გადაწყვეტილ მხატვარს პირსაში დახატული იდეალური მონარქის ისეთი თვისებების გაღმოცემა სურა, როგორიცაა სიძლიერე, შეუპოვრობა, გამჭრიახობა. მაგრამ, ყოველივეს ფარსის, გროტესკის ხასიათი აქვს. მეცის ფიგურის უკან გამოსახული ციხის ზოგადი სილუეტი და მკრთალი ამომავალი მზის დისკო ტექსტში აღწერილ კონკრეტულ მომენტზე შეტყვალებს: მოქმედება ხდება გარიერაუზე, აუენკურის ბრძოლის შინ, მეცე მორის მხედრობას აოვალიერებს. ამ უურცელზე ნათლად გამოჩენდა "სამეულის" უნარი სავსებით კონკრეტული მომენტის დასურათებისას მას განზოგადოებული ხასიათი მიანიჭოს;

პირსაში იდეალური გმირი სრულყოფილი მონარქი პენრი V ერთლიოულად დიდც არის და ძლიერიც, მოწყალე და სამართლიანი, გამცემიც და მწყალობელი. ასეთად გვევლინება მეცე საილუსტრაციო სერიის მომღევნო ფურცელზე / ფაბ. 61 /. მწყა-ლობელი მეცე მის შინაშე მუხლმოყრილ ჯარისკაცს ფულს უბოძებს. მეცის ფიგურა კვლავ ფილი ზომისაა, იგი შთამბეჭდავია. ფიგურა სასურათო სიბრტყის ნახევარზე მეტს იკავებს. აბჯარასხმული და ამავე ზროს მუზარალის ნაცვლად გვირგვინა-

დგმული ფიგურა, მისი დაფორმირებული, ღისპროპორციულად გაზრდილი ცალკეული შეფასები, არარეალურ, ფანტასტიკურ შეთაბეჭდილებას ჰოვებს. ამავე დროს ფიგურა იმდენად გროვესკულია, რომ უდავოა ფარსის, თამაშის განწყობილება. >მხატვარი ერთ ფურცელზე კვლავ ახერხებს მეფის ზოგად დახასიათებასაც და ამავე დროს, ფესტის კონკრეტული მომენტის დახატვას: დასურათებულია პიესის ის ეპიზოდი, როდესაც პერი აუენკურთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ასაჩუქრებს ჯარისკაც უძლიამს. ამით თავდება პიესის მეოთხე მოქმედება და პერი V-ს საორი გრინობის ისტორიაც.

პიესის ძირითად სიუჟეტურ ხასის უკავშირდება კიდევ ერთი დასურათებული კონკრეტული ეპიზოდი - ინგლისის მეფის ელჩები საფრანგეთის მეფეს საგვარეულო ხის ნახაზს წარმოუდგენენ, რომელიც ადასტურებს პერი V-ს კანონიერ უფლებებს საფრანგეთის ფახტზე. "სილრმეში" მოჩანს ფახტზე მჯდომი გვირგვინოსანი, საფრანგეთის მეფე შარლ VI და ორი მსხვილი მამაკაცის მაყურებლისკენ თითქმის ზურგ-შექცეული ფიგურა, ეს ინგლისის ელჩებია. <პიესაში ეს ხალხმრავალი სცენაა რომელშიც მრავლად მონაწილეობენ დიდებულები და მეფის ამაღლა. მხატვარი მონაწილეობა რიცხვს ჩვეულებისამებრ საგრძნობლად ამცირებს (სამ ფიგურაზე შეტი სერიის არც ერთ სურათზე დახატული არ არის) და სცენის ერთ-ერთ მონაწილეს კვლავ აბჯარ-აბგრით აღჭურვილს გვიჩატავს. თუმცა ამ სცენაში საბრძოლო მოქმედება არ არის ასახული, იგი თავისი მხატვრული გადაწყვეტით და ფერადოვანი გამითაც იღუსტრაციების საერთო ხასიათს შეესაფერდა: ქრონიკის საორი განწყობილებას გადმოსცემს და ამავე დროს, ერთგვარი ფარსის, გათამაშების ხასიათს ატარებს.

შექსპირის საისტორიო დრამებში, ისევე როგორც მთელ მის შემოქმედებაში, არისტოკრატია გვერდზე უბრალო ხალხის, საზოგადოების დაბალი უენების წარმოაღენებლთა არაჩვეულებრივად მახვილი და სახასიათო სახეებია წარმოდგენილი. ისევე როგორც ცხოვრბაში, ისტორიას არა მხოლოდ გვიგვინოსანი და დიდებული ქმნიან, არამედ ხალხიც. შექსპირის სამყაროც მღიღარია უბრალო ადამიანთა უჩვეულო, თავისებური, მრავალფეროვანი ხასიათებით და მათი მონაწი-

ლეობით შექმნილი გონიერამახვილი სცენებით, რომელის უმრავლეს შემთხვევაში საოცარი, ხალისიანი იუმორით არის გაუდენობილი. მხატვარი დრამატურგის კვალიაკვალ უფროადშებოდ არ ფოვებს ნაწარმოების ამ მხარეს. შეესპილობი "ლანკასტერულ ჰრილოგიაში" ფოლსტაფურ თემაზე მოიხსენებენ გარკვეული ხასიათის პერსონაჟთა მიერ შექმნილ კომიკურ სიტუაციებს. თუმცა თავად ფოლსტაფი, ეს სეილი ბებერი რაინდი, საისტორიო ქრონიკაში "პენრი V" გამოყვანილი არ არის, აյ მისი მეგობრები მონაწილეობენ: ბარლილი, პისტოლი, წაიმი, ცწობილი ფუნდუკის დიასახლისი მისის კუიკლი და სხვები. სწორედ ამ პერსონაჟთა მონაწილეობით გათამაშებული ერთერთი სცენაა დასურათებული ილუსტრაციების სერიის მომღევნო ფურცელზე /ჭაბ. 62/. საგულისხმოა, რომ "სამეული" ამ სცენასაც სერიის გადაწყვეტის ჩანაფიქრს უქვემდებარებს. იგი აქაც გვიხატავს მომენტს, როდესაც წაიმი და პისტოლი ხმლებზე იჭაცებენ ხელს, მათი დავის მიზეზი კი ქალბატონი კუიკლი სურათზე დახატული არ არის. ეს სახუმარო სცენა მხატვარმა საბრძოლო შეფაკებად წარმოგვიზგინა და სურათიც საბრძოლო "პათოსითაა" გამსჯვალული. თუმცა ფიგურები კიდევ უფრო გროტესკულია, სახეები განზირახ დამდაბლებული, რაც მათ კარიკატურულ მიშვნელობას ანიჭებს.

კიდევ უფრო ძლიერდება გროტესკი სერიის მომღევნო ფურცელზე /ჭაბ. 63/. აյ იგი შარების კარიკატურულ ელერაზობას აღწევს. სურათის "სილრმილან" პირდაპირ მაყურებლისაკენ მოპერიან გააფრთებული ჯარისკაცები საიერიშო კიბეებით ხელში. დალებული პირებით, დაჭურებილი თვალებით შეფევაზე გადასული მეომრების სახე-ნილაბი სიშმაგეს გადმოცემს. ჯარისკაცები მეურის საბრძოლო მოწოდებას ასრულებენ: "ჩამოაფარეთ მრისხანების ნილაბი სახეს, თვალებს მიეცით მრისხანება თავზარდამცემი" [15]. ჯარისკაცთა დახატვა საიერიშო კიბეებით ჰექსტში მინიშნებულ რემარკას შეესაბამება ("შემოდიან ... ჯარისკაცები საიერიშო კიბეებით"). ეს კონკრეტული მომენტი მხატვარმა საილუსტრაციო სერიის მთავარ იდეას დაუმორჩილა: კვლავ გააფრთებული ბრძოლის ქარცეცხლი დაგვიხატა და ისევ ფარსის, თამაშის კარიკატურული ელერაზობა მიანიჭა.

შექსპირის აზრით, სახელმწიფოს ერთიანობის იდეა უმაღლესია და მისი მოწინა-  
ალმძეგენი უნდა დაისაჯონ. სერიის მომდევნო ფურცელი სწორედ ამ აზრის, საის-  
ტორიო ქრონიკის ამ ზოგადი იდეას ხორციშესხმა, უფრო სწორად, მისი მხატვრული  
მეტაფორა. სურათზე ტარმოდგენილია თოკით შეკრული სამი ფიგურისაგან შემ-  
ლგარი კომპაქტური ჯგუფი. ფიგურები იპერსონიფიცირებულია, განყენებული. მხატ-  
ვალს მათ შესახებ სხვა არაფერი აინტერესებს, გარდა ერთისა: ისინი მოღალატენი  
არიან. მათკენ მიმართული მახვილები შეურისგების მზადყოფნას გამოხატავს. ეს  
ფურცელი კვლავ "სამეულის" განზოგადოებული სახეებით მეტყველების უნარს  
გვიჩვენებს. რასაც არ უნდა აკეთებდეს მხატვარი, ეს სერიის საერთო გადაწევება  
იქნება თუ კონკრეტული პატარა ეპიზოდის დასურათება, ყველაფერში ვლინდება  
ზოგადი აზრის პირობითად გადმოცემის სურვილი. საომარი აჭმოსფერო რამდენიმე  
დაფალის (აბჯრისა და შუბების) ლაკონიური ჩინიშნებითაა შექმნილი. ეს ილუს-  
ტრაცია საომარი ეპოპეის დამგიკურ დასასრულად ტარმოგვიღება.

მხატვარის ქრონიკის დასასურათებლად შესრულებულ რვა ილუსტრაციაში ხუთმოქმედებიანი პიესის მხოლოდ ოთხ მოქმედებაში აღწერილი მოვლენები ასახა. ვინაიდან სწორედ მეოთხე მოქმედებაში ასრულებს შექსპირი პერი Ⅴ-ს საომარი გმირობის ისტორიის თხრობას. მეხუთე მოქმედებაში ინგლის - საფრანგეთის ზავისა და მშვიდობიანი დამოუკრების ამბებია მოთხოვილი, რამაც "სამეულის" სურათების ციკლში თავისი ასახვა ვერ პოვა, რადგანაც მხატვრის ინტერესები ამ შემთხვევაში მხოლოდ საბრძოლო ისტორიის თხრობით შემოიფარგლება. საბრძოლო განტყობილება ის საფუძველია, რომელიც ილუსტრაციების სერიას ერთიან მიზან-მიმართებას აძლევს. ომის პათოსს მხატვარი გროტესკულ ხასიათს სძენს. ნათელია, რომ ყოველივე ფარსია, "თამაში". პირობითია ფიგურათა "გრანდიოზული" ზომები. ისინი ზოგადადაა დამუშავებული. მათი გადაწყვეტა მონუმენტურია. მონუმენტურობას მხატვარი აღწევს ფიგურათა მასშტაბური შეფარდებითაც ფურცლის ფორმატთან (ისინი ხშირად გაჭედილია კაფეში და მოლიდანად ავსებს სასურათო არეს), დაფალებზე თითქმის მოლიდანად უარის თქმით და ფიგურათა პროპორციებით. ყოველივე ეს მათ გრანდიოზულობის ილუზიის შექმნას უწყობს ხელს. სხე-

ულთა დეფორმაციაც (ფისპონპორციულად გაზრდილი ცალკეული დაფარულები: კი-ლურები, ხელის მოვნები, ფეხის ფერულები და სხვ.) მხატვარს ფარსის, თამაშის შთაბეჭდილების შექმნას ეხმარება. ამასთან სწორებ დეფორმაციას იყენებს მხატვარი აზრობრივი მახვილების გადმოსაცემადაც. მონუმენტური, დეფორმირებული ფიგურები ხშირად რთულ რაკურსშია წარმოდგენილი. ასევე ხშირია მათი დიაგონალური მიმართულება. ამგავრად, ილუსტრაციებზე "გათამაშებული" ომის დრამატიზმი, ფარსი მოკლებული არ არის გარკვეულ ექსპრესიას, რასაც მხატვარი სწორებ დეფორმაციის, რაკურსისა და დიაგონალური მიმართულების გამოყენებით გადმოსცემს.

სერიაში გამოყენებული მხატვრული ხერხები მოთავარი აზრის გადმოცემას ემსახურება. ამასთან, მხატვარი არ მიმართავს ფორმის წმინდა სახვითი მეტყველების ახალ საშუალებათა ძიებას, არამედ იყენებს უკვე არსებულს. მისი ფორმა სქემატურ - ილუზორულია და გარკვეულწილად სტილიზებული. ამდენად, მისი აზრობრივი ჩანაფიქრი ერთიანი მხატვრულ-სტილისტური გადაწყვეტით ხორციელდება. ფორმის სქემატიზაციის პირობებში ხორციელდება რაკურსში გამოსახული ფიგურების (ისინი განზოგადოებული, მაგარამ მოცულობითი მასებითაა მოღელირებული) განთავსება ქაღალდის სიბრტყეზე ისე, რომ არ ირღვეოდეს წიგნის გრაფიკის სპეციფიკური ხასიათი, ანუ ფურცლის სიბრტყის მნიშვნელობა. ილუსტრაციის სპეციფიკას ითვალისწინებს ყოველი ფურცლის კომპოზიციური გადაწყვეტაც. თუმცა თითოეულ სურათს გარკვეული ავტონომიურობა გააჩნია, უმრავლეს შემთხვევაში იგი გამონასწორებულია წიგნის წაბეჭდი გვერდის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი მასებით მოცულობითად დამუშავებული ფიგურები, რომელიც მკაფიო სილუეტებით გამოიყოფან ღია ფონიდან (ფიგურებს ხშირ შემთხვევაში დაყვება მუქი ჩრდილი, რომელიც შუამავლის გარდა-მავალ ფუნქციას ატარებს ღია ფონიდან მუქი ჩრდილი, რომელიც შემთხვევაში რაკურსშია გამოსახული). ილუზორული წყობის ელემენტი იმდენად სქემატურია და გარკვეულად სტილიზებული, რომ მთლიანობაში არ არღვევს სიბრტყობრი-ობის ფარგლებს.

< "სამეულის" შექმნილ საილუსტრაციო სერიაში აშკარაა თეატრის მხატვართა ხელვა - აზროვნება. მათ ნახაჲებში ყურადღება ძირითადად აზრობრივ-ინჟინერულ მეცნიერებაზეა გამახვილებული და შედარებით შესუსტებულია სახვი-თი ხერხების გამომსახველობა. პიესის ზოგადი გააზრება, დეფალებს მოკლებული, დაუწერილმანებელი "მთლიანობა" არა იმდენად სახვითი ფორმისა, რამდენადაც აზრობრივი ჩანაფიქრისა. შესაძლოა, სწორედ ამითაა შეპირობებული ის, რომ "სამეულის" ილუსტრაციებში გროტესკი ხასიათით ბალაგანის თეატრს უურო ეხ-მიანება, > ვიღრე სახვითი ხელოვნებისათვის სპეციფიკურ კომიკურ-კარიკატურულ შარქს.

"სამეულში" "პერი V" - ის ილუსტრაციებში გაღმოსცა დრამის დედააზრი: სახელმწიფოს ერთიანობის იდეის მხარდაჭერა და დაგვიხატა იდეალური მონარქის სახე; მისი ყურადღების მილმა არ დარჩია "ფოლსტაფის" თემაც. ამასთან შემოგვთა-ვაზა საისტორიო ქრონიკის ზოგად-კონცეპტუალური გააზრება, მისეული წაკითხვა. მან პიესა საომარ ეპოპეად წარმოადგინა და ამ ჩანაფიქრს სრულად დაუქვემდება-რა პიესის დანარჩენი წახნაგები.

შესაძლოა პიესის გადაწყვეტა (იგულისხმება მისი ერთგვარი გაშარება, სა-ხეთა გროტესკული დამდაბლება) ზოგიერთი მკითხველისათვის მიულებელი იყოს და შეუსაბამოც კი, თუ გავითვალისწინებოთ ამაღლებული საგმირო პათოსის ტრალ-ციების სტერეოტიპს. მაგრამ თუ თავად შექსპირს ჩავულრმავდებით, უდაო გახდება, რომ ამაღლებული პერიკული პათოსიდან ვიღრე დამდაბლებულ გროტესკულ კარიკატურამდე - "ამოხსნათა" ეს ფართო სპექტრი სათავეს თავად შექსპირის დრამატურგიაში იდებს. სხვა საქმეა, თუ რამდენად გაღმოსცემს (რამდენად შესა-ფივისება) მხატვრის მიერ გამოყენებული ფორმა შექსპირის პიესის ხასიათს, მის სტილისტიკას.

### §3. პენრი IV

1984 წელს "სამეული" ასურათებს ლანკასტერული ტრილოგიის კიდევ ერთ ქრონიკას "პენრი IV"-ს. ამ დრამის ორივე ნაწილი საისტორიო ქრონიკის უანრის აღიარებული შეღევრია. პიესის როგორც პირველი, ისე მეორე ნაწილი "დასრულებული დრამატული ნაწარმოებია, მაგრამ მათ შორის ორგანული კავშირია. ზოგი-ერთი მკვლევარის აზრით "პენრი IV" ერთიანი ათ მოქმედებიანი პიესაა" [23]. ზ.ნიუარაძისაგან განსხვავებით, რომელმაც ტრილოგია "პენრი VI" დაასურათა როგორც ერთი მთლიანი პიესა, "სამეულმა" "პენრი IV"-ის ორივე ნაწილისათვის შეასრულა ორი დამოუკიდებელი გრაფიკული სერია. თუმცა, აქვე ნდა აღინიშნოს, ურომ ნახატების ორივე სერიაში ერთმანეთის მსგავსი ჩანაფიქრია განზორციელებული.

<საისტორიო ქრონიკის პირველი ნაწილი მხატვარმა საგმირო-რაინდული საგა-დასავლო ისტორიის სახით წარმოგვიდგინა. პიესის ამგვარი წაკითხვა დრამატურ-გიული ნაწარმოებითაა ნაკარნახევი. შექსპირის სხვა საისტორიო ქრონიკებისაგან განსხვავებით "პენრი IV"-ში აღწერილი ბრძოლის მიზანი - სახელმწიფოში წეს-რიგის აღღენა და ფეოდალთა მოთოკვა - თავისთავად კეთილშობილია. ამასთან, აქ შექსპირის მიერ ნაჩვენებია დირსეულ მოწინააღმდეგეთა ურთიერთობა. პიესაში დახატულ მოქიშე ფეოდალთა ორივე მხარე დირსეულია. აჯანყებულნი დამარცხე-ბის შემდეგაც ისეთსავე სიმპათიებს იმსახურებენ, როგორც გამარჯვებულნი. პიე-სის ფეირი შეიძლება გამოდგეს უფლისწულის სიჭყვები: "... გმირობას, თუნდ მჰქის ჩაჭერილს, მუდამ ეკუთვნის პატივი და თაყვანისცემა" [15]. მთელი დრამა სათნოებისა და კეთილშობილების რაინდული გრძნობების დემონსტრაციაა. სწო-რედ ამ რაინდული საგმირო განშეყობილების ზეგავლენითაა შექმნილი ამ ქრონიკის საილუსტრაციო სერია.

ნახატები ევროპული შუა საუკუნეების საგმირო-რაინდული სათავგადასავლო თემულებებისა თუ ლეგენდების სამყაროს მოგვაგონებს. აქ დახატული ახალგაზ-

რღა, ლამაზი, მხნე ადამიანები კი, რომელიცაც ირეალური ზღაპრული ქვეყნიდან მოსული კეთილშობილი გმირებია.

უჩივეულო, თავისებურ, სურათებად იშლება პიესის მოქმედება. მხატვარმა ნახაფებს მათი ჩვეულებრივ ითხეულხელში მოთავსების ნაცვლად, ხუთკუთხა პერალ-ლიკური ნიშნის (ლერპის) ფორმა მიაწიჭა. ერთიანი კომპაქტური გამოსახულება თეორი ფურცლის სამკაულად აღიქმება, რომლის შიგნითაც შეესპირის ქრონიკაში აღწერილი განსაკუთრებული სამყარო იხსნება.

"სამეულის" ნახაფებში აისახა პიესის ყველა ძირითადი სიუჟეტური ხაზი: სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებისათვის მიმდინარე ბრძოლების რაინდული კეთილშობილება, ლალაფის, შეფემულების და მისი დამარცხების ამბავი, უფლის-წულ პარის ისტორია, "მოვარის შუქის რაინდთა" თავგადასავალი და ფოლსტაფის თემა, მისთვის დამახასიათებელი ხალისიანი იუმორით, მეფისა და უფლისწულის ურთიერთობა, მეამბოხე ფეოდალის პენრი პერსის სახე. >

ქრონიკის ფურცლებზე ასახულია ბრძოლა მონარქის ხელისუფლებასა და დაუმორჩილებელ ფეოდალების შორის. ამ საომარი კონფლიქტის ჩასახვა მხატვარმა სერიის პირველ ფურცელზე დაგვიხატა / ფაბ. 64]. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიესის კონკრეტული მოქმედების ილუსტრაციაა (მოქ. I, სურ. 3), მხატვრის მიერ იგი თავისუფლადაა გადატყვეფილი. პიესაში აღწერილი კონკრეტული ადგილის - ლონდონის სასახლის ნაცვლად, მხატვარმა ფიგურები პირობითი არქიტექტურული მოტივის ფონზე განალიანი ტრედ შეკრულ კომპაქტურ აგუზად. ცენტრში მეფე პენრი IV-ა, რომლის ორივე მხარეს მისი მომხრე დიდებულებია (მხატვარი მათ პრივილეგირებულობას გადმოსცემს მათი უფლებით თავდახურულნი იდგნენ მეფის ტინაშე) დახატული. დიდებულების ტინ მაყურებლისკენ ზურგშექცევით დგანან ქუდმოხდილი მეამბოხე ფეოდალები: ცენტრში - პოტსპერი, პენრი პერსი თავისი მომხრეებით. კომპოზიცია შეკრულია და მკაფრად ცენტრული. სურათის თითქმის იმეტობულ "წეს-სრიგს" არღვევს პერსის (შუაში განთავსებული ფიგურის) აწეული ხელი, რომელიც რიტმულ სიმტკობრეში ერთგვარ ექსპრესიულ მახვილადაც გვევლინება > ამ უესტს შინაარსობრივი დატვირთვა ენიჭება, იგი პოტსპერის პროფესის გამოხატავს.

ფოლსტაფის სახე დრამატურგის შესანიშნავი ქრისტებაა და ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი შეესპირული ხასიათი.<sup><</sup>"სამეული" ფოლსტაფის თემას დრამის პირველ წარიღვები ცალკე არ გამოყოფს. იგი გადახლართულია უფლისწულის თემასთან, მის უზნეო გართობებთან. მოხუცი რაინდი სერ ჯონ ფოლსტაფი პარის დროსტარების უცილობელი თანამგზავრია. მხატვარი ამ თემას ორ ილუსტრაციას უზმობს. ერთზე დახატულია მათი რიგითი ოინბაზობა /ტაბ.65/, როდესაც მეგობრები "შმინდა წიკოლასის ბიჭებაზ" შარმოულებიან მაყურებელს: პრინცი და პოინზი გაამასხარავებენ, შეაშინებენ და გაძარცავენ ბებერ ფოლსტაფის. ილუსტრაციაზე დახატულია ფოლსტაფი, რომელიც თავეულემოგლეჯილი გარჩის, მას ხმლებითა და ქისით ხელში მოსდევენ პოინზი და უფლისწული. მოქმედების აღგილი აქაც პირობითადაა მინიშნებული თეატრის უკანა დეკორაციის მსგავსად შენობებისა და მცენარეების სახით (პიესაში მოქმედება ხდება შარაგზაზე, გეზდეილის მახლობლად). ორი ფიგურის განთავსება სურათის მარცხენა მხარეს მეტად ამძიმებს, მაგრამ ფიგურათა ამგვარი გაუშონასწორებული განლაგება კომპოზიციის დიაგონალურ მიმართულებასთან და რაკურსის გამოყენებასთან ერთად მხატვარს დინამიზის მოძრაობის შოთარებულების შექმნაში ეხმარება.<sup>></sup> შონასწორობის აღმგენისათვის შიგნის ნაბეჭდი გვერდი ამ ილუსტრაციის მარჯვივ უნდა განლაგდეს. კომპოზიციის გააზრება ისე, რომ მან ნაბეჭდ გვერდთან ერთად უნდა შეადგინოს მხატვრული მთლიანობა ხაზს უსვამს ილუსტრაციის სპეციფიკას.<sup><</sup> მეორე სურათზე ასახულია უფლისწულის, პოინზის და ფოლსტაფის დროსტარება ფუნდუკი "ფახის თავი", ამ ფუნდუკის დიასახლისთან ერთად /ტაბ.66/. ოთხი ფიგურისაგან შემდგარი ეს კომპაქტური ჯგუფი კვლავ სტილიზებული არქიტექტურული მოჭივის ფონზეა დახატული, რომელიც თეატრის უკანა დეკორაციის მსგავსია. შენობები შუა საუკუნეების ევროპულ ფუნდუკებს მოგვაგონებს. ახალგაზრდები მოლხენითა და გატაცებით უსმენენ სერ ჯონ ფოლსტაფის ფყუილებს. ზემოთ განხილულ ორივე სცენაში, პერსონაჟთა გაცილებით მეტი რაოდენობა მონაწილეობს. მხატვარი მათ რიცხვს საგრძნობლად ამცირებს>და მხოლოდ მთავარ გმირებს გვიხატავს.

ანალოგიურ ხერხს მიმართავს "სამეული" სერიის მომღევონ ეპიზოდის დასურა-  
თების დროსაც. სურათზე დახატულია მეუე პენრი მეოთხისა და უფლისწულის შე-  
ხვედრა / ჭაბ. 67/. პიესაში ეს სცენა სასახლეში ხდება (მოქ. II, სურ. 2) და მასში  
პრინცი ჯონ ლანკასტერი და სხვა დიდებულებიც მონაწილეობენ. მხატვარმა მხო-  
ლოდ მამა-შვილი დაგვიხატა სასახლის ფონზე. ის ქვევით უზომოდ შეტუხებული,  
დამძიმებული მონარქისა და მამის შინაშე შემცირარი, დაბნეული უელსის პრინცის  
დახატვით "სამეულმა" ერთ სურათზე გადმოგვცა პიესის მთელი მოქმედების მან-  
ძილზე დახატული მამა-შვილის ურთიერთობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხატვარი ყურადღების გარეშე არ ჰოვებს პიესის  
ისეთი გამორჩეული გმირის სახეს, როგორიცაა პენრი პერსი, პოტსპერად წოდებუ-  
ლი. იგი მეამბოხე ფეოდალთა ლიდერია. ჩვენ უკვე შევხვდით მას სერიის პირველ  
ფურცელზე, სადაც დახატულია კონფლიქტის დასაწყისი მეუე პენრი მეოთხესა და  
პოტსპერს შორის. ამ პერსონაჟს "სამეული" კიდევ ორ ფურცელს უთმობს. "უკანა  
დეკორაციის" ფონზე, რომელიც ამჯერად ფეოდალური ინგლისის კოშკებიან ციხე-  
სიმაგრეს წარმოადგენს, დახატულია ახალგაზრდა ქალის და მამაკაცის ფიგურე-  
ბი - პოტსპერი და ლელი პერსი / ჭაბ. 68/. ორივე ფიგურა კეთილშობილია. მათი  
პოზები და უესტები აღვილად საცნობს ხდის პიესის კონკრეტულ მომენტს (მოქ. II,  
სურ. 3): მეუდლეს სურს პარის განზრახვის გაგება, მაგრამ საწადელს ვერ აღწევს.  
სერიის მომღევონ ფურცელი, ამ გმირის მონაწილეობით, პიესის კულმინაციური მო-  
მენტია / ჭაბ. 69/. მხატვარი ორი მამაკაცის საბძოლო პაექტობას გვიხატავს: ეს  
უფლისწული პარისა და პენრი პერსის ორთაბრძოლაა. მოქმედებამ კიდევ უფრო  
პირობით "სამყაროში" გადაინაცვლა. გაერთიანდება წარმოდგენილი  
მოქმედების აღგილის მანიშნებელი არქიტექტურული ფონი. ორი აბჯარასხმული  
მეომრის საბრძოლო შეტმის მომენტი მხატვარმა მოქნეული ხმლებითა და აღმართუ-  
ლი მახვილებით გადმოსცა. ფარების, ხმლების, შუბებისა, მახვილების, ალმების  
"მიმოფანტვით", "უწესრიგოდ" დახვავებული საომარი აფრიბულიკით, განზრახ  
"ქაოფური" კომპოზიციის დახატვით, მხატვარმა პირობითად გადმოსცა ბრძოლის  
ქარცეცხლი.

სერიის მომზევნო ილუსტრაციაზე ექსპრესიული "ქაოსი" მოწესრიგებული რიტმით იცვლება /ფაბ.70/. სურათზე დახატულია საღაშქოდ გამზადებული, ცხენზე ამხეფრებული, აბჯარასხმული მეუე პერი IV, ლაშქრის საოთავოში, უფლისტულებთან ერთად. მიჯრით მიწყობილი ფარების, შუბების, ჯარისკაცა მუზარადინი თავების, აღმართული აღმების, საბრძოლო ეჭლების და კარვების მწყობრი სიმრავლე, საომრად გამზადებული ჯარის საბრძოლო მზად-ყოფნას გაფრიგვებას. მკაცრი გრაფიკული რიტმი ლაშქრის მწყობრ რიგებს განასახიერებს. ეს ზოგადი შინაარსის მქონე ილუსტრაცია პირობითად გრაფიკული მეტყველების მეშვეობით სახიერად წარმოგვიღენს მეუე პერი მეოთხის მიერ წარმოებულ სამხეფრო ლაშქრობას. > აღსანიშნავია, რომ ეს სურათი გარკვეულად ჯილბერტის ილუსტრაციითაა შთაგონებული, თუმცა ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნადაა ტრანსფორმირებული, ძირითადად სქემატური გრაფიკული სტილიზაციის სახით.

სერიის ბოლო ფურცელი პიესის ფინალური სცენის ილუსტრაცია /ფაბ.71/. მინარქისა და უფლისტულის წინაშე მუხლმოღრეკილნი არიან მეამბოხე ფეოდალები: ვერნონი და ვუსტერი. აჯანყებულ ფეოდალთა დამარცხებით შექსპირი სახელმწიფოს ერთიანობის აუცილებლობისა და გარღუვალობის იღეას გამოხატავს. "სამეულის" მიერ დასურათებული პიესის ფინალი ამ კონკრეტული ეპიზოდის ამსახველია. მკაცრი და ლაკონიურია მხატვრის მიერ გამოყენებული ხერხები. მოხსნილია მოქმედების აღგილის აღმიშვნელი ფონი. ჯარი მუზარადინი თავების, მახვილების, შუბების, ლომშებისა და აღმების სიმრავლით არის გადმოცემული. კვლავ ვხვდებით კომპოზიციის დიაგონალურ მიმართულებას, რითაც მკაცრადაა მითითებული ილუსტრაციის წიგნში განთავსების აღგილი.

როგორც დავინახეთ, მხატვარი ძირითადად პიესის კონკრეტულ მომენტებს ასურათებს, მაგრამ მათი უმრავლესობა განზოგადებული მნიშვნელობისაა და ზოგად აზრს გამოხატავს ან პიესაში მიმღინარე მოვლენათა ზოგად-პირობით მხატვრულ ხატებს ქმნის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხი, რომელსაც მიმართავს მხატვარი გამოსახულების უჩვეულო ფორმაში მოქცევა. ფიგურები და ანტურაები ქმნიან კომ-

პაქტურ ერთიანობას, რომელსაც პერალდიკური წიშნის ფორმა აქვს. სურათის ჩვეულებრივ ოთხკუთხა ფორმატში მოთავსების ნაცვლად, მისოვის ურთეულო ფორმის მინიჭება მხატვარს წიგნის გრაფიკის მორთულობითი სპეციფიკის გამოვლენაშიც ეხმარება. ასეთი გამოსახულება მეტადაა გამიჯნული რეალობისაგან და ფურცლის ფერორაციულ მოსართავად წარმოსაგება.

ფარისებრი ან ლერბისმაგვარი ფორმა შუა საუკუნეების ეპოქის სიმბოლიკაა. ამის გარდა ისტორიული ეპოქა მინიშნებულია არქიტექტურით, ფანასცმლისა და საპრძოლო აღჭურვილობის დეტალებით, რომელთა მეშვეობით იხატება ევროპული გარემო (დეტალები ზედმიწევრით სიზუსტით არ ხასიათება). "სამეულის" მიერ ამ სერიაში დახატული ყველა პერსონაჟი ლამაზი, კეობლშობილი გმირი რაინდია. მათი სახეები პირობითია და განყენებული. ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს რაღაც განსაკუთრებული, ირეალური აქმოსფეროს შექმნას. ისტორიული რეალიების მინიშნებით, განყენებული პერსონაჟები მხატვარს ირეალური აბსტრაქტული აქმოსფეროდან უყრი კონკრეტულ ისტორიულ ეპოქაში "გადმოყავს" და ზღაპრის გრირების ნაცვლად ისინი უყრი ძველი ევროპული ეპოსის ლეგენდარულ რაინდებად წარმოგვიდგებიან.

წიგნის გრაფიკის სპეციფიკას სურათების კომპოზიციური გადაწყვეტაც და მათი შესრულების მანერაც ავლენს. აღამიანთა ფიგურები თითქმის მოლიანად ავსებენ სასურათო არეს. ფურცლის ზედა რეგისტრი ეთმობა არქიტექტურის სქემატურ გამოსახულებას ან საპრძოლო იარაღს (იმ სურათებში საღაც არ არის არქიტექტურული ფონი), რაც ფიგურებთან ერთად ქმნის ერთიან კომპაქტურ ჯგუფს, რომელიც პერალდიკურ ფორმას შეადგენს და ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშეა მოთავსებული თეთრი ფურცლის სიბრტყეზე. გამოსახულების ფორმათა მონახაზი ქმნის პერალდიკური წიშნის საზღვარსაც, მის გვერდებს. ფიგურები თავის პოზებით მიჰვებიან (იმეორებენ) წიშნის გვერდების ფორმას, ჩაწერილნი არიან ამ ფორმაში, ანუ, ამ ფარისებრ ფორმას თავად ფიგურები (თავისი პოზებით და განთავსებით) და არქიტექტურა ქმნიან. ამგვარი გამოსახულება ფურცლის მოსართავად, მის სამკაულად წარმოგვიდგება.

გამოსახვის ძირითადი საშუალებაა შავი ფუშის ხაზით შესრულებული წახა-  
 ტი. ხაზი მოხაზავს ფიგურათა სილუეტებს, ქმნის არქიტექტურას, ფანსამოსის  
 ფოტოებს. იგი ერთნაირი სიძლიერისაა ფორმათა სილუეტერბის მოხაზვისა და  
 შიდა დანაწევრების დროსაც (დრაპირების ნაოჭების, ფანსაცმლის ნაკეცების და  
 სხვა უმნიშვნელო მრავალგვარი ფოტოების მოხაზვისას). მთავარი და მეორეხა-  
 რისხოვანი საგრძების, ან მათი ფოტოების ერთნაირი გაღმოცემა წახატს ორნამენ-  
 ტულ-დეკორაციულ ხასიათს სძენს. ხაზის კლაკნილი, ნერვული ხასიათი ამას კიდევ  
 უფრო აძლიერებს. თანაბარი სიძლიერის ხაზი ვიზუალის ან მინანქრის ფიხარის  
 ფიპისაა, იგი "გისოსის" მსგავს კარკასს ქმნის, რომელიც მყარად კრავს მთელ წა-  
 ხატს, მთელ კომპოზიციას. ამგვარი გრაფიკულ-ხაზოვანი წახატით შექმნილ სუ-  
 რათზე გამოირ ჩევა განსხვავებული ხერხით შესრულებული აღამიანთა სახეები.  
 ისინი მოღელინებულია ძირითადად ბრჭყელი ფერადი მონასმების მეშვეობით,  
 დაბალი აღგილების გამუქებით, პირობითად რომ ვოქვათ, ფრესკის ყაიდაზე. ამ-  
 გვარად გაღაწყვეტილი სახე-ნილაბი მკვეთრად გამოიყოფა საერთო ხაზოვანი წა-  
 ხატიდან, რაც მათზე ყურადღების გამახვილებას ემსახურება. ფერს ამ სერიაში  
 მინიშვნელოვანი სახვითი ფუნქცია არ ეკისრება. წახატი მხოლოდ შეფერადებულია  
 სხვადასხვა ფერით, რომელიც საგანთა ფორმის საზღვრებს მიახლოებით მიყვება,  
 ხშირად არღვევს, ან არ ავსებს მის ფარგლებს. მას ფურცლის ფერადოვანი გახა-  
 ლისების ფუნქცია ენიჭება.

კომპოზიციებში უმეტეს შემოხვევაში ღიაგონალური აგება ჭარბობს, სურათები  
 იშვიათად არის გამონასწორებული (გამონაკლისია სერიის პირველი ფურცელი).  
 ამით, უმეტეს შემოხვევაში, ზუსტადაა მინიშვნებული წიგნში განლაგებისას რომელ  
 მხარეს უნდა ერთვოდეს მათ წარეჭიდი გვერდი. გარდა ამისა, ღიაგონალური მი-  
 მართულება ექსპრესიის წყაროც არის, მას მხატვარი მოძრაობის გაღმოსაცემად  
 მიმართავს. სქემატური გამოსახულებით შექმნილ სტილიზებულ სურათებში ეს შე-  
 იძლება განვსაზღვროთ, როგორც საერთო დეკორაციულ გადაწყვეტაში რაღაც  
 ექსპრესიული მახვილების განაწილება. გარდა ღიაგონალური აგებისა ამგვარ  
 ექსპრესიულ აქცენტებს ქმნის აფრიალებული მოსასხამები, აქნეული ხმლები, მა-

ხვილები და ფიგურათა უსტები. ყოველი ამით ირდვევა სურათის საერთო ორ-  
 ნამენტული რიტმი და იქმნება გარკვეული "მოძრაობა", რაც მხატვარს მოქმედებს  
 შინაარსის გადმოცემაშიც ეხმარება.

"სამეულის" ილუსტრაციებში აშკარად შეიგრძნობა თამაშის, "ბალაგანის"  
 ელემენტები. ამაზე მეტყველებს სურათების გაღაწიუვაზა. ფიგურები და არქიტექ-  
 ტურა ზარმოლებისა ისე, თითქოს მოქმედება თეატრის უკანა დეკორაციის ფონზე  
 თამაშდება. თავად ეს "უკანა დეკორაცია" კი მოქმედებს აღგილისა და ფრის  
 შესატყვისად იცვლება. ეს ხან სასახლის თაღებია, ხან ფეოდალთა ციხე-კოშკი,  
 ხან შუა საუკუნეების ფუნდუკის ან საბრძოლო კარვების სტილიზებული გამოსა-  
 ხულება, რომელიც პიესის მოქმედების აღგილს აკონკრეტებს. მიუხედავად წიგნის  
 გრაფიკის სპეციფიკის წინ ზარმონისა სამეული ამ სერიაშიც ნათლად ამჟღავნებს  
 თეატრალურ მხატვართა ხელვა-აზროვნებას. სწორედ ამ ორმაგი პირობითობის  
 (ერთი - წმინდა გრაფიკული, ხოლო მეორე - თეატრალური) გამოა უჩვეულო და  
 თავისებური ჰერიტენტერი IV-ს პირველი ნაწილის საილუსტრაციო სერია, რომელიც შუა  
 საუკუნეების ევროპული საგრძოლო-რაინდული ეპოსის განწყობილებითაა გამსჭვა-  
 ლული. და შესაძლოა, კაროლინგების ხელოვნების ძალზე შორეულ გამოძახილსაც  
 ირეკლამს და გმირი როლანდის სათავგადასავლო ისტორიასაც.

\* \* \*

"ჰერიტენტერი IV"-ის მეორე ნაწილისათვის შესრულებული სურათების სერია, როგორც  
 უკვე აღვნიშნეთ, სტილისტურად განსხვავდება პირველი ნაწილის ილუსტრაციები-  
 საგან. შეცვლილია პიესის შხატვრული ხელვის კუთხეც. კეთილშობილ, არალლებულ  
 გმირთა ისტორიას ყოფით სცენებით მოთხრობილი ამბავი ცვლის. პირველი ნაწი-  
 ლის რაინდულ-ზღაპრული განწყობილება უანრული ხასიათის სცენებით იცვლება.  
 თუ პიესის მდაბილ გმირთა გამოსახულებანი პირველი ნაწილში ისეთივე კეთილშო-  
 ბილია, როგორც არისტოკრატთა სახეები, მეორე ნაწილში უფლისწული ჰარი და  
 სხვა არისტოკრატები (პოინტი, ნორთამბერლენდი და სხვები) დიდად არ განსხვავ-

დებიან "ფოლსტაფური" ოემის მონაწილე პერსონაუებისაგან. სერ ჯონ ფოლსტაფის სახეც დამდაბლებულია და კარგავს რა რაინდულ კეთილშობილებას, აյ თავისი სახასიათო, მეტყველი გარეგნობის გამო, ოდნავ კარიყატურულ უღერადობასაც კი იძენს. >დამახასიათებელია ისიც, რომ მხატვარი რვა სურათიდან ოთხს ფოლსტაფურ თემას უომობს. მხატვარი ამ სერიაში უფრო ფართოდ წარმოგვიდგენს მდაბიოთა სახეებს. მეფე-უფლისწულს მხოლოდ ერთი სურათი ეომობა და ერთიც - შეფეხულ ფეოდალებს. სერის კიდევ ორი ფურცელი კი შექსპირის პორტრეტსა და ჭორის ალეგორიულ ფიგურას აქვს დამობილი. ამდენად, უკვე საილუსტრაციოდ არჩეული სიურეალიც აშკარად მეტყველებს, რომ მხატვარი ამ სერის შექმნისას მხატვრულ სახეთა დამდაბლების ჰერცენციას იჩინს. ყოფილი განწყობილების შექმნას გარკვეულად ხელს უწყობს უანრული დეტალების მოქარებაც, მაშინ როდესაც წინა სერიებში "სამეული" თითქმის მოლიანად უარს ამბობს დეტალების დახატვაზე.

მიუხედავად განსხვავებული წაკითხვისა, "პერი IV"-ს მორე ნაწილის დასურათებაშიც, მხატვარს წინა სერიის მსგავსი ჩანაფიქრი აქვს განხორციელებული. სურათები კვლავ პირობით გარემოშია მოთავსებული, ოდონდ პირველი სერიის პერალიკური ნიშანი აქ კარტუშით იცვლება. >

სერიის პირველ ფურცელზე გამოსახულია "ჭორის" ალეგორიული ფიგურა /ჭაბ.72/. იგი საისტორიო დრამის მეორე ნაწილის პროლოგს წარმოადგენს. მხატვარმა ხორცი შეასხა რემარკას: "შემოდის ენებით მოხატული ჭორი". თეატრალური ავანსცენისმაგვარ მოელანზე დახატულ, ფეხის ცერზე შემდგარ მოცეკვავე ფიგურას ცალ ხელში საყვირი, მეორეში კი ენაგაღმოგდებული თეატრალური ნიღაბი უჭირავს. მისი სამოსიც სხვადასხვა ფერის ენებითაა მორთული. ფიგურის ზურგს უკან მაყურებელთა დარბაზია დახატული, რომელიც შექსპირის თეატრის "გლობუსის" ინტერიერის მსგავსია. ამ ალეგორიული პერსონაუის მხატვრის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა მეტყველია. ჭორი მნახველს უხმობს და სპექტაკლის დასწულის ამცნობს, ამასთან მოაგონებს, რომ ეს წარმოდგენა მხოლოდ თამაშია. თეატრის აქტირიბუტიკას - ავანსცენა, მაყურებელთა დარბაზი, მოცეკვავე ფიგურა, საყვირი, ნიღაბი, "რამპის შუქი" და სხვ. - მაყურებელი თეატრალური სამყაროს გარემოში

გადაპყვავს. ეს ფურცელი თეატრალური აფიშის ხასიათს აფარებს. მაგრამ საის-ტორიო დრამის "პენრი IV"-ს მეორე ნაწილი სწორებ ამ კონკრეტული ფიგურის, ჭორის (პროლოგი) გამოსვლით იწყება. ამით კვლავ სახეზეა "სამეულისათვის" და-მახასიათებელი თვისება: კონკრეტული სცენისათვის განზოგადებული ულერალობის მინიჭება, ზოგადი აზრის გაღმიოცემა. სურათში ჩამს ამ მხატვრისათვის ღამიხასი-ათებელი კიდევ ერთი ნიშანი: ერთდროულად ორმაგი პირობითობის შექმნა გრაფი-კულისა და თეატრალურის. სწორებ გრაფიკულ პირობითობას, ილუსტრაციის სპე-ციფიკის წარმოჩინებას ემსახურება მოჩარჩოების საგანგებო ფორმა - კარტუში. გრაგნილის ფორმას მოჰყვება მასზე გრაფიკული ნახატით გამოსახული "უკანა პლანი" - მაყურებელთა დარბაზი, ხოლო თავად ფიგურა ჩახატული არ არის ამ ილუზორულ გრაგნილში. გრაფიკულად დახატული "ფონისაგან" განსხვავებით იგი მოცულობითია და ფერითაა მოღელირებული. გრაფიკული ნახატი გრაგნილის ფორ-მას იმეორებს, მის შინ დახატული ფიგურები კი სხვა სტილისტური ხერხებითაა შესრულებული. უკანა პლანის შინ გათამაშებული მოქმედება თეატრის აქმოსუ-როს, თაეტრალური განწყობილების შექმნას ემსახურება. ამდენად "სამეული" კვლავ ერთგულია თავისი ხერხის: შექმნილი დასურათებისას იგი ნათლად ავლენს თეატრალურ პირობითობას და ერთდროულად მკაფიოდ ითვალისწინებს წიგნის გაფორმების სპეციფიკასაც. როგორც ვხედავთ, "პენრი IV-ს დასურათებისას, მიუ-ხედავად პირველი და მეორე ნაწილებისადმი განსხვავებული მიღებობისა და სხვა-დასხვა სტილისტური გადაწყვეტისა, ილუსტრაციების ორივე სერიაში ერთმანეთის მსგავსი მიღებობა განხორციელებული.

ამ სერიაში მხატვარი ერთ ფურცელს დრამატურგის გამოსახულებას უომობს /ჭაბ. 73/. ჩვენს მიერ უკვე არაერთხელ განხილული შექმნირის პორტრეტებისაგან განსხვავებით, აქ დახატული შექმნირი მთელი ტანითაა წარმოდგენილი. "ჭორის" ფიგურის მსგავსად, ისიც ავანსცენაზეა აღმართული, ზურგით მაყურებელთა დარ-ბაზისაკენ. გრაფიკულად დახატული დარბაზი ისევ იმეორებს გრაგნილის ფორმას და შექმნირის ფიგურა, რომელიც ჩატერილი არ არის კარტუშის საერთო გრაფი-კულ მონახაზში, მის შინ, მის ფონზეა დახატული. დრამატურგი თვითონ წარსდგება

მაყურებლის შინაშე შიგნით ხელში. მისი ფიგურა ფრაზიციულია: ჩასაცემელი და გარეგნობა შეესაბამება მის იკონოგრაფიულ ფის. "სამეულის" მიერ დახატული შექსპირი სევდიანი მეოცნებელი ლირიკოსი პოეტია. > !

საისტორიო ქრონიკის მეორე ნაწილში მხატვარი ყურადღებას აღარ ამახვილებს ააჯანყებულ ფეოდალთა თემაზე. იგი მას მხოლოდ ერთ ილუსტრაციას უთმობს /ფაზ.74/. სურათის ცენტრში გრაგნილით ხელში დახატულია იორკის მთავარეპისკოპოსი დალონებული, მჭმუნვარე სახით. მის გვერდით მყოფ მამაკაცთა სახეებ-ზეც შეშფოთება იყითხება. ესენი მოუბრეი და ჰასტინგზია. დახატულია პიესის კონკრეტული მომენტი: მთავარეპისკოპოსი ნორთამბერლენდის ტერიტორიაზე შეიტყობს, რომ მან ვერ შესძლო ჯარის შეკრება აჯანყებულთა დასახმარებლად. ეს მძიმე და ფრაგიცული ცნობაა. პერსონაჟთა სახის გამომეტყველებით მხატვერი გადმოსცემს სიცუაციის სიმრიჩეს. პიესის მიხედვით მოქმედება გოლფრის ფყეში მიმდინარეობს. სურათზე კი ფიგურები ინტერიერში არიან განლაგებულნი, რასაც უკანა პლანზე დახატული სარკმლის ვიზუალის მონახაზი და შეანდალი გადმოსცემს. ფურცლის გაღაშებული კვლავაც შინა ორისას გავს: უკანა პლანზე გრაფიკული ნახატით შესრულებული ფანჯარა კარტუშის ფორმას მიყვება, ხოლო მის შინ განთავსებული ფიგურები კარტუშის ფორმაში ჩაწერილი არ არის.

"პერი IV"-ს მეორე ნაწილში შექსპირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრინც ჰარისა და მეფე პერის ურთიერთობას. დაძაბულობა მამასა და შვილს შორის მძაფრად ვლინდება მეოთხე მოქმედების მეოთხე სურაფში. აქ ალ-ტერილ ეპიზოდში პრინცმა რომელსაც მძინარე მამა უკვე გარდაცვლილი ეგონა გვირგვინი აიღო. ამ დროს გამოლვიძებული მონარქი სასტიკად კილავს ვაჟს, რასაც შემდგომ მამა-შვილის მორიგება და მეფის პოლიტიკური გაკვეთილი მოსდევს. პიესის ეს სცენა დასურათებული აქვს მე-19 საუკუნის შექსპირის ბევრ ილუსტრაციონს (რ. სმორკი, ჯ. ბოილელი, ჯ. ჯილბერტი და სხვ.). "სამეულიც" ასურა-თებს ქრონიკის ამ კონკრეტულ კულმინაციურ ეპიზოდს /ფაზ.75/. მშობლიარე, მიძინებულ მეფეს თავს აღგას უფლისშული გულში ჩაკრული გვირგვინით და მშუქარე სახით დასცერის მამას.

უფლისწულის თემა პიესის მეორე ნაწილშიც მჯიდროდ არის დაკავშირებული ფოლსტაფის თემასთან. მათი თავაშვებული ღროსტარება ისტერის ფუნდუში "ფახის თავი" ქრონიკის ამ ნაწილშიც გრძელდება. მხატვარი ასურათებს სცენას (მოქ. II, სურ. IV), სადაც პრინცის რიგითი ოინბაზობაა მოთხოვილი /ფაბ. 76/. პიესის მიხედვით ამ სცენაში პერსონაჟთა გაცილებით უფრო დიდი რაოდენობა მონაწილეობს ვიზრე ეს მხატვარმა ასახა. "სამეულშა" სურათზე მხოლოდ ოთხი მთავარი გმირი დაჭოვა. პრინცი და მისი განუყრელი მეგობარი პოინტი მსახურებაზე გადაცმულწი ჩუმალ უფალთვალებენ ფოლსტაფისა და დოლ ტერშიჭის ალერსს. პიესაში ეს კომიზიტობა და იუმორით აღსავსე სურათია. ილუსტრაციაზე ფოლსტაფის და დოლ ტერშიჭის ფი ფიგურები ხაზოვანი ნახატით გრაფიკულადაა გამოსახული. ფუნდუშის ინტერიერის აღმნიშვნელ ყოფით დეტალებთან (მაგიდა, სკამი, ჭუჭრჭელი) ერთად ისინი სურათის უკანა პლანზეა განთავსებული. ეს გამოსახულება მიჰყვება გრაგნილის ფორმას და თითქოს უკანა ბეკორაციას ან უკანა პლანის შარმოაღენს, რომელის ფონზეც თამაშება მოქმედება. პრინცისა და პოინტის ფიგურები შინა პლანზეა. სურათის ეს ნაწილიც ყოფით დეტალებით არის შემკული: კასრი, შანდალი, ჭიქები და სხვ. და ამ ილუსტრაციას უანრულ-ყოფით ხასიათს ანიჭებს. შინა პლანის ფიგურები და საგნები მოცულობითი და ფერადია. პიესის პირველი ნაწილისაგან განსხვავებით, სადაც ყველა პერსონაჟი რაინდი იყო, ამ ნაწილში უფლისწულისა და სხვა არის ფოკურატორი ფიგურები არ განსხვავდებან მდაბიოთაგან. მეუკე, უფლისწულიც და სხვა ღიღებულებიც ჩვეულებრივი უბრალო ადამიანებია. სახეობა ამგვარი გაუბრალოება ძირითადად განაპირობებს იმას, რომ პიესის პირველი ნაწილის საგმირო რაინდული განწყობილება, მეორე ნაწილში ყოფითი, ბანალური აფრისფერობი იცვლება. >

ქრონიკის პირველ ნაწილში უფლისწულის და ფოლსტაფის თემები გადაჯაჭვულია, მეორე ნაწილში კი ბეტერი რაინდის და პრინც პარის გზები თანადათანობით შორდება ერთმანეთს. ფოლსტაფური თემა უფლისწულისაგან დამოუკიდებლად ვითარდება. მხატვარიც ფოლსტაფის თემას ცალკე გამოჰყოფს და მას ამ სერიაში სამ ილუსტრაციას უთმობს. ერთ მათგანზე კონკრეტული მომენტია დახატული:

ისფრიბის ფუნდუკის დიასახლისი მისის კუიკლი მსაჯულთურუცესონ ფოლსტაუს ვალების გადაუზღებობაზე უჩივის და აპატიმრებინებს / ჭაბ. 77/. პიესაში ამ სცენის უშუალო მონაწილე პერსონაეთა რიცხვს მხატვარი ჩვეულებისამებრ ამცირებს. შექსპირის მახვილი კალამბურებითა და მსუბუქი იუმორით გამსჭვალული ცოცხალი სურათი "სამეულთან" ვიზუალურ - ილუსტრატორული მნიშვნელობისაა. ალსანიშვილია, რომ მისის კუიკლი მხატვარს პიესის პირველი ნაწილის ილუსტრაციებშიც ჰყავს დახატული. იქ იგი მომხიბვლელი ახალგაზრდა მანდილოსანია, რომელიც არაფრით არ განსხვავდება ისეთი არისტოკრატი ქალბატონისაგან, როგორიცაა ლეფი პერსი. აქ გამოსახული მისის კუიკლი კი, აშკარად უბრალო ხალხის წარმომაზევენელია - წინისაურიანი, ხარშიშესული ქალი მოუხეშავი ფორმებითა და კუთხოვანი, მოუქნელი უსტებით. წინა სერიისაგან განსხვავებულია ფოლსტაუიც. მისი სახსიათო გარეგნობა იგივეა, მაგრამ მხატვრული სახე განზრახ დამდაბლებულია. პირველი ნაწილის ილუსტრაციებში სქელი, თალღითი რაინდი მაინც კეთილი მისი, მეორე ნაწილის ილუსტრაციებში იმავე პერსონაების მოკლე, შსქელი კისერი, მოკლე კილურები, სქელი პირისახე და უზარმაზარი ლიპი კარიკატურულია. ამაღლებული კეთილშობილებით არც მსაჯულთურუცესის სახე გამოიწევა, მიუხედავად მღიღრული სამოსისავეს სცენა თამაშება "გრაგოლის" უკანა პლანზე დახატული სამზარეულო ჭურჭლის (ქოთნები, ქვაბები, ბოთლები) ფონზე, რაც სურათს ყოფით ხასიათს ანიჭებს.

ხალხის დაბალი ფენების ცხოვრების ამსახველი ეპიზოდებიდან მხატვარშა საილუსტრაციოდ შეარჩია კილევ ერთი სცენა - რეკრუტების შერჩევა / ჭაბ. 73/. მხატვარი ამ ეპიზოდის თავისუფალ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. ზედმიწევნითი სიზუსტით იგი არც ამბავს გაღმოსცემს და არც პერსონაეთა ურთიერთობას, ისევე როგორც ანგარიშს არ უწევს მონაწილეთა რაოდენობას ან მათ ვინაობას. იგი ქმნის სურათს, რომელზედაც გაღმოცემულია ამ სცენის შესატყვისი განწყობილება. თითქმის კარიკატურული ფიპაუი, უბრალო აღამიანთა მოუხეშავი, გაუთლები მიხვრა-მოხვრა, კუთხოვანი ფორმები, სასაცილოდ დარღვეული პროპორციები, დაბნეული, უაზრო სახე-ნილბები და ყოფითი დეტალების სიჭარბე ამ სურათს უანრულ -

ყოფილი სცენის ხასიათს ანიჭებს. "სამეულის" ნახატებში შესანიშნავადაა გადმო-  
ცემული "ფოლსტაფური" სცენების ჭრელი საყოფაცხოვრებო ფონი. — !

უფლისწულისა და ფოლსტაფის ურთიერთობის დასასრულს მოულოდნელი ნოტი  
შეაქვს "ჰენრი IV"-ს ფინალში. სიცოცხლის ჭრიალი სქელი რაინდი მირბის თა-  
ვის შეგობართან, რათა მას მეუებ კურთხევა მიულოცოს, მეუე, ჰენრი V კი უარს  
ამბობს მისი ახალგაზრდული ოინბაზობების მუდმივ თანამგზავრზე. ასეა შექსპირ-  
თან. სამეულმა კი ფოლსტაფი სერიის უკანასკნელ ფურცელზე გათოკილი წარმო-  
გვიღებინა /ჰაბ. 79/. შეკრული ფოლსტაფის დახატვით მხატვარმა უფლისწულის  
თავაშვებული ახალგაზრდული თავისუფლების შებოჭვა გამოხატა. მეუეს აღარ  
აქვს იმის უფლება, რაც უფლისწულს ჰქონდა, იგი პასუხისმგებელია ხალხისა და  
ინგლისის წინაშე. ფოლსტაფის განდევნით მეუე უარს ამბობს თავის თავისუფლე-  
ბაზეც. თავისუფლება შებოჭილია... ლრამატურგის ეს აზრი მხატვარმა სიმბოლუ-  
რად გამოხატა, სიცოცხლის ჭრიალი გმირის, სქელი, ბებერი სერ ჯონ ფოლსტაფის  
გაკოჭვით. ამ სურათზე გრაგნილის ფორმებს იმეორებს არა მხოლოდ არქიტექტუ-  
რული პეიზაჟი, არამედ ფოლსტაფის მცველთა ფიგურებიც. ეს სამი შეიარაღებული  
ჯარისკაციც ხაზობრივადაა დახატული და ჩატერილია გრაფიკულ "ფონში". წინა  
პლანზე დახატული ფოლსტაფის ფიგურა მოცულობითა და ფერწერული. ამ ფურ-  
ცელის გადაწყვეტა "ჭორისა" და შექსპირის მსგავსია. შესრულების მანერის გარდა  
დაპირისპირება ფონისა და ფიგურას შორის იმითაც მძაფრდება, რომ წინა და უკანა  
პლანი ხელვის სხვადასხვა წერტილებიდან (უკანა გრაფიკული პლანი ქვემოდან ზე-  
მოთ) არის წარმოდგენილი. ფოლსტაფის მაყურებელი თითქოს ზევიდან დასცერის.  
მოკლე კილურებიანი, უკისრო, თითქმის ოთხკუთხა ფიგურა ასეთ რაკურსში კიდევ  
უფრო დაბალი და სქელი ჩანს. ამით მხატვარი თითქმის კარიკატურულს ხდის  
ფოლსტაფის სახასიათო გარეგნობას. ასეთი სევდანარევი იუმორით ასრულებს მხატ-  
ვარი შექსპირის საისტორიო ქრონიკის დასურათებას.

ამ სერიაში კვლავ ვხვდებით "სამეულისათვის" დამახასიათებელ სიუჟეტის  
გადმოცემის მეთოდს, მხატვარი მიზნად ისახავს უყურადღებოდ არ დატოვოს ძირი-  
თალი სიუჟეტური ხაზები. იგი მათ უთმობს სამი კონკრეტული მომენტის ამსახველ

და ხუთი განზოგადობული ხასიათის ნახატს, რომელთაგან ორი კრებითია. ამ ნახატებში სცენის საერთო განწყობილებაა გადმოცემული ("რეკრუტების შერჩევა" და "მეამბოხე ფეოდალები"), ერთი სიმბოლურად გადმოსცემს პიესაში შექმნილის მიერ გატარებულ აზრს (შეკრული ფოლსტაფი), ერთი - ჭორის ალეგორიული ფიგურაა და ერთიც - შექმნილის პორტრეტია. >

პიესის პირველი ნაწილის ილუსტრაციებისაგან განსხვავებით მეორე ნაწილის დასურათება ნაკლებ მოლიანია პიესის მაკითხვის თვალსაზრისით. მკაფიოდ გარკვეული არაა ორი ნახატის ხასიათი ("მეფე-უფლისწული" და "მეამბოხე ფეოდალები"). ორ ფურცელს თეატრალურ სამყაროში გადავყავართ (შექმნილის გამოსახულება და ჭორის ალეგორიული ფიგურა). სერიის ოთხი ილუსტრაციის ხასიათი კი ნათლადაა გამოვლენილი. ეს ყოფით-ეანრული სცენებია. მიუხედავად ზემოთ თქმულისა, ზოგადად მართებულია იმის აღნიშვნა, რომ წინა სერიის საგმირო-რაინდული განწყობილება აქ უანრულ-ყოფითი სურათებით შეიცვალა. >

საისტორიო ქრონიკის პირველ და მეორე ნაწილისათვის შესრულებული ილუსტრაციები ერთმონებისაგან განსხვავდებიან შესრულების მანერითაც. წინა სერიაში მთავარი სახვითი ხერხი იყო გრაფიკულ ხაზოვანი ნახატისა და ფერადი "სიბრტყე-ებით", "ფრესკულ ყაიდაზე" მოდელირებული სახე-ნილბების ურთიერთობა. მეორე ნაწილში კი - გრაფიკულად, თითქოს კარტუშთან ერთადაა დახატული უკანა პლანისა და წინა პლანზე ფერით მოდელირებული ფიგურების ურთიერთობა. მოერე ნაწილის ნახატებში ფერი მეტ სახვით დაფირთვას ატარებს. ფორმა ფერითაა მოდელირებული. მკაფიო, შეკავებული, ჭონალური ფერადოვნება ფერად ლაქათა თარიშს ემყარება. "ინგლისური წილის" მხატვრულ მახვილებაზ გამოყენება სურათებს კეთილხმოვნებას ანიჭებს. >

"ჰენრი IV"-ს ორივე ნაწილში აღმოჩენილი ამბავი მხატვარმა თავისებური სურათებით მოგვითხრო. უჩვეულოა უპირველესად გამოსახულების უცნაურ ფორმაში მოქმედა. ამით "სამეულმა" ხაზი გაუსვა წიგნის გრაფიკის სპეციფიკას და ნახატების დეკორაციულ ხასიათს. თეატრის უკანა დეკორაციის მსგავსად გადაწყვეტილ ფონზე "გათამაშებული" მოქმედების დახატვით კი, თეატრალური პირობითობა

გაამახვილა, რაც ნაწარმოების ფრამატური გიული საწყისს შეესაბამება. მსგავსი ჩანაფიქრის ფარგლებში მოძებნილი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული გადაწყვეტა, მხატვრის მღიდარ ფანტაზიაზე მეტყველებს.

< "სამეულის" ილუსტრაციებში მნიშვნელოვშანია პერსონაჟის ფიგურა, რომელიც გარკვეულ მოქმედებას გამოხატავს. ფიგურები გადაწყვეტილია პირობითად, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, სერმატური ფორმით. მათი განყენებული სახეები მოკლებულია ყოველგვარ მახასიათებელს. მხატვარი არ ცდილობს გმირთა ხასიათის გახსნას, არ გაფრისცემს განცდებსა და ემოციებს, არამედ პერსონაჟთა სახეებს ზოგად უძველებარებს პიესის წაკითხვას, საერთო გააზრებას (მაგალითად, "პენრი IV"-ს პირველ ნაწილში ყველა პერსონაჟი კეთილშობილი გმირი - რაინდია; მეორე ნაწილის ყოფილი გადაწყვეტა აქარწყლებს განსხვავებას მღაბიოსა და არისტოკრატს შორის. პერსონაჟთა სახეები დამდაბლებულია; "პენრი V"-ში ყველა შეორინია);> მხატვარი ყველა კომპონენტს (მათ შორის პერსონაჟთა სახეებსაც) "მოარგებს" საერთო ჩანაფიქრს, უმორჩილებებს იმ კუთხეს, რომლილანაც მან განზრახა პიესის გახსნა.

< "სამეულის" ყველა საილუსტრაციო სერიაში ერთნაირია ზოგადი პრინციპი. მხატვრები წინასწარ იაზრებენ პიესის წაკითხვის კუთხეს და შემდგომ ამ კონცეფციას უმორჩილებენ ნახატების მხატვრულ გადაწყვეტას. ამდენად, "სამეულის" ილუსტრაციები აზრობრივ კონცეპტუალურია. უცვლელი ზოგადი პრინციპის, ზოგადი იდეას ფარგლებში კი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია მისი განხორციელების, მისი მხატვრული რეალიზაციის ხერხები. >

ქრონიკების წაკითხვის კუთხე, ერმანეთისაგან ყოველთვის განსხვავებულია. "სამეულის" ილუსტრაციებს გამოარჩევს ნაწარმოების წაკითხვის, მისი გახსნისათვის მიგნებული საინტერესო აზრობრივი გასაღები. < ეს ხან მოქმედ გმირთა ხატოვან-მეტაფორული სახეებია, ხან საგმირო-რაინდული სათავგადასავლო ისტორიაა ან გმირული საბრძოლო ეპოპეა, ხან კი უანრულ-ყოფითი სცენებით მოთხოვის ამბავი. მხატვარი ცდილობს, როგორც პიესის საერთო გადაწყვეტაში, ისე ყოველ ცალკეულ ფურცელზე განზოგადოებული სახის, ზოგადი და ლაკონიური ხატის შექ-

მნას. მეტაფორა იქნება ეს თუ კონკრეტული სცენის დასურთება, აზრი ყოველთვის მკაფიოდაა გაღმოცემული. ნაწარმოებისადმი ამგვარი მიღებობა, ასეთი ხელვა გამოარჩევს "სამეცნიეროს" მიერ გაფორმებულ სპეციალურებსაც. სპეციალურებზე მუშაობის პრინციპი "სამეცნიეროს" გაღმოაქვს გრაფიკაში. მისი გრაფიკის კავშირი თეატრთან გაცილებით უფრო ძრმა საფუძველს ემყარება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. კერძოდ, ეს არც მხოლოდ თეატრალური აქმოსფეროს, განწყობილების გაღმოცემაა და არც მარტო თეატრალური პირობითობის შექმნა. თავის ილუსტრაციებში "სამეცნიერო" თითქოს ერთლიოულად მიმართავს გრაფიკულ და თეატრალურ პირობითობას და ეს ხერხი მეორები შეესპირის ნაწარმოებისათვის შექმნილი ილუსტრაციების თითქმის ყველა სერიაში. გრაფიკული პირობითობა საგანგებოდაა ხაზგასმული ილუსტრაციების ყველა ფურცელზე. მხატვარი ფერზე და იცავს წიგნის გრაფიკის სპეციულიას და თავის აზრობრივ ჩანაფიქრის წიგნის გრაფიკის თავისებურებას უმორჩილებს. თუმცა ამ სურათებს გარკვეული ავტონომიაც გააჩნიათ, ვინაიდან ეს მთლიანი გვერდის ილუსტრაციებია, მაგრამ წიგნში მათი განთავსების აღგილი ყოველთვის მკაფიოდაა განსაზღვრული. თეატრალური პირობითობის შემოტანა სურათებში, როგორც ჩანს, ნაწარმოების დრამატურგიული საწყისის ხაზგასმის სურვილითაა შეპირობებული. ამიტომაც სონეჟების და პოემა "ლუკრეციას" ილუსტრაციებში მას აღგილი არა აქვს.

სამეცნიეროს ნახატების ყველა სერიაში ერთნაირად მეორები სიუჟეტის გაღმოცემის ხერხიც. მხატვარი ყურადღების მიღმა არ ჭოვებს პიესის არც ერთ ძირითად სიუჟეტურ ხაზს, ცდილობს გაღმოსცეს ნაწარმოების დედააზრი. მის ნახატებში ასახულია ქრონიკების თითქმის ყველა მთავარი გმირი და ეს ყველაფერი მოქმედება ერთიან სტილისტურ ჩარჩოებში (გამონაკლისს წარმოადგენს სიმბოლურ-მეტაფორულად გადაწყვეტილი ჰერი VIII"-ს ილუსტრაციები). გრაფიკულ სერიები შედგება ზოგადი ხასიათის ფურცლებისა და კონკრეტული სცენის ამსახველი სურათებისაგან. კონკრეტული სცენები უფრო ხშირად პიესის კულმინაციურ მომენტს ასახავს. ზოგიერთი სურათი კრებითი ხასიათისაა და შეკუმშულად გაღმოსცემს პიესის ვრცელი მოქმედების ზოგად აზრს. ხშირად პიესის კონკრეტული მოქმედების

ამსახველი სურათი ზოგადი ულერალობისაა, განზოგადობულ აზრს გადმოსცემს. ეს მიღწეულია პირობით - დეკორაციულ ფონზე განთავსებული ფიგურებისა და ზუსტად მიგნებული კონკრეტული ფეთალის შეთავსებით. ფიგურები პოზებით, უსტებით ან სახის გამომეოყვალებით სქემატურად, პირობითად გადმოსცემენ სავსებით კონკრეტულ აზრს ან მოქმედებას. ამა თუ იმ აბსტრაქტული ფიგურის ვინაობას მხატვარი მისი კონკრეტული მოქმედებით გადმოგვცემს, ან ზუსტი ლაკონიური ფეთალით მიგვანიშნებს. ტანსაცმლის მეშვეობით აღვილად გამოიჩინა ეკლესიის მსახური, ჯარისკაცი, მეფე და ა.შ. ლილი მნიშვნელობა ერიშება ფეთალს მოქმედების აღგილის დაზუსტებაშიც. ფეთალების სიმცირე განსაკუთრებით ზრდის მათ გამომსახველ, ზოგჯერ სიმბოლურ ფუნქციას ასე იქმნება ისტორიული ეპოქის ზოგადი ხაჭი, ზოგჯერ კი მოვლენის მხატვრული მეტაფორა.

სერიები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გადაწყვეტით, ხასიათით და შესრულების მანერით. ერთიანი ჩანაფიქრის ფარგლებში სულ იცვლება მისი განხორციელების აზრობრივი საშუალებები. უცვლელია წმინდა სახვითი ფორმა, რომელიც ჭრალიციული ილუზორული ფორმის სქემატურ სტილიზაციას ემსარება. სახვით საშუალებათა მეტყველებას "სამეული" ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. მხატვრის ძიება აზრობრივი ხერხების უსაზღვრო გამომგონებლობისკენაა მიმართული. პიესის ხელვის კუთხეთა მრავალგავრობა, გადაწყვეტის სრულიად განსხვავებული ვარიანტები მათ უშრეტ ფანტაზიაზე მეტყველებს.

განზოგადებისა და გადაწყვეტის მეტი პირობითობისაკენ სწრაფვაა ის უმთავრესი, რაც აერთიანებს შექმნილის ქრონიკებისათვის შესრულებული ილუსტრაციების ყველა სერიას. ზ.ნიუარაძისა და ლ.შენგელია - აბაშიძის სურათებში ეს პირობით - სიბრტყობრივი ასახვის სისტემის ელემენტთა გაძლიერებით ხორციელდება, "სამეული" კი პირობითობის გასაძლიერებლად ილუზორული მეთოდის სქემატურ სტილიზაციას მიმართავს.

## ჰ ა ს კ ვ ნ ა

ილუსტრაციები შექსპირის ნაწარმოებებისათვის თითვების ოცნების წლის მანძილზე იქმნებოდა, 1960-იანი წლების მეორე ნახევრიდან 80-ნის შუა წლებამდე. მათში ასახულია ქართული წიგნის გრაფიკის განვითარების როგორი და გარდამავალი ეტაპი. ეს არის ჯერ დაუსრულებელი განვითარებადი პროცესი, რომელშიც იგრძნობა დუღილი, მოძრაობა და მომავლის მონახაზებიც მოჩანს. ბუნებრივია, რომ წიგნის გრაფიკაში მიმღინარე ცვლილებები განუყორელადა დაკავშირებული იმ ტენა-დენციებთან, რომელებიც ზოგადია XX ს. - ის მთელი ქართული ხელოვნებისათვის.

რენესანსის ეპოქაში, საქართველო მოწყვეტილი იყო ევროპულ სამყაროს. ამის გამო, ილუსტრაციები მეორე ჩანაწერი მხოლოდ XIX ს-ის ბოლოს მკვიდრდება. იგი ქართულ ხელოვნებაში რუსეთის გზით შემოვიდა ახალი დარგის, დაზგური ფერ-ტერის სახით და უძირველესად პორტრეტის უანრში დამკვიდრდა. აფგანისტრივ მოწუმენტურ, სიბრტყობრივ-დეკორაციულ ხელოვნებაში ხდება ილუსტრაციის მხატვრობის ელემენტთა შეღწევა. ამის შეზღად ეკლექტური ხასიათის ნამუშევრების გვერდით, ხდება ახალი მხატვრული ფორმის დაბადება. ჩრდება ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუშები (მაგ. ფიროსმანის შემოქმედება). აღსანიშნავია XX ს-ის დასაწყისში ევროპულ და ქართულ ხელოვნებაში მიმღინარე პროცესის ერთგვარად ურთიერთსაპირისპირო მსგავსება. ორივეგან ხდება ასახვის სხვადასხვა სისტემათა ელემენტების ურთიერთშეთავსება. ოდონდ ევროპულ ხელოვნებაში დაზგურ-ილუსტრაციულ საფუძველზე იჭრება სიბრტყობრივ-დეკორატული სახვითი ელემენტები, საქართველოში კი პირუკუ. ამ საუკუნის 20-იან წლებში ეს ტენა-დენციები სავსებით გააზრებულ სახეს იღებს დ.კაკაბაძის, ლ.გუდიაშვილის, შ.ქიქოძის და სხვათა შემოქმედებაში. მათ ნამუშევრებში ასახვის ორი სისტემის ელემენტები ურთიერთ-შეთავსებულია სიბრტყობრივი პროექტის აშკარა პრიმატით.

განვითარების დასაწყის ეტაპზე ქართული წიგნის ილუსტრაციაში მოლვაწე მხატვრები "რუსული სკოლის" (რუსი ეროვნების ან ქართველები, რომლებმაც

პროფესიული სამხატვო განაცლება რუსეთში მიღება) წარმომადგენლები იყვნენ, რომელებიც ასახვის ილუზორული მეორებით სარგებლობდნენ. ილუსტრაციები უფრო ხშირად სიუზაფური ქარგის ვიზუალურ გამეორებას წარმოადგენდა. ასახვის პირობით-სიბრტყობრივი სისტემა წიგნის გრაფიკაში 20-იან წლებშიც კი, ისე ვერ იკიდებს უეხს, როგორც დაზგურ მხატვრობაში, თუმცა ამ მეორების გამოყენებით შექმნილი ილუსტრაციების თვალსაჩინო ნიმუშები მაინც არის, მაგალითად, ლ. გულაშვილის მიერ მოხატული "ვეჯხისფუაოსანი", ანდა ი. გაბაშვილის "შაჲ - ნამე" [32].

30-იანი წლებიდან ხელოვნურად დანერგილმა "სოციალისტური რეალიზმის" მეორები ასახვის ილუზორული სისტემა დაამკვიდრა, როგორც სავალდებულო. ქართველი მხატვრებისთვის სიღრმე-მოცულობის (განსაკუთრებით კი, სიღრმის) ილუზორული დახატვა, როგორც ჩანს, არ იყო ორგანული. საქართველოში ილუზორულმა მეორები ვერ მიაღწია ისეთ სტილისტურ სისრულეს, როგორც ევროპაში, სადაც მას ხუთი საუკუნის ისტორია ჰქონდა, ვინაიდან ჩვენში ძლიერი იყო სიბრტყის შეგრძნება და მოწუმენტურ - დეკორაციული ხელოვნების ფრაგიცები.

ქართული წიგნის გრაფიკაში, მისი არსებობის მოელი ისტორიის მანძილზე აღსანიშნავია ლიტერატურული ნაწარმოების ზოგადი წაკითხვისაკენ შეცნაკლები სწრაფვა, რასაც ქართული ლიტერატურის ეპიკურ-პოეტური ხასიათიც განაპირობებდა [33]. "ვეჯხისფუაოსანის" და ვაჟა ფშაველას თხზულებათა ილუსტრაციების თავისებურებას განსაზღვრავდა ლიტერატურული პირველწყაროს პოეტურ-მეტაფორული, ხაჭოვანი ბუნება. ნაწარმოების შესაფერისი უდერადობის გაღმოცემას მხატვრები ხშირად სახეობა მოწუმენტური გადაწყვეტით აზორციელებდნენ, მიმართავლენ ამაღლებულ - პერიოდულ პათოსს. ილუსტრაციების ამგვარი გადაწყვეტა იმ ხანად უფრო ეროვნული ნიშნების მატარებლად წარმოსდგებოდა, ვიღრე თხრობით-ილუზორული ნახატები, რომელებიც რუსული ილუსტრაციის ფრაგიცებით იყო ნასაზრდოები.

საქართველოში შექსპირის ნაწარმოებთა პირველი ილუსტრაციებიც სახეობა ქრამატიზმით, ამაღლებული პერიოდული პათოსით ხასიათდება. ასეთი გადაწყვეტა

დამახასიათებელი იყო ქართული თეატრის სცენაზე შექმნილის პიესების დადგმათა უმრავლესობისათვისაც. შექმნილის ამგვარი წაკითხვა, გარკვეული დროის მანძილზე, ფრაღიციული გახდა საქართველოში.

კატაკლიზმებით აღსავსე მე-20 საუკუნის მძაფრი დახასიათება ხელოვნებაში ზოგჯერ შესუბუქი სახუმარი "თამაშის" სახით ხორციელდება, ზოგჯერ კი, მწარე ირონიულ გროტესკში ვლინდება; იგი ხან მისციციზმის უაჭალური შეგნებითაა გამსჭვალული, ხან კი ესთეტიზმის ამოუარებული ნიპილიზმით. პიროვნული "მეს" აღზევების, ინდივიდუალიზმის ხანაში ხელოვნებაში თავს იჩენს მეტად პირობითი, განზოგადოებული, სახოვანი მეტყველებისაკენ სწრაფვა. XX ს - ის ესთეტიკისათვის დამახასიათებელი ეს ჟენდერციები ქართულ საბჭოთა ხელოვნებაშიც ვლინდება. 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, როგორც კი ხელოვნებას შედარებით თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა მიეცა, მხატვრობა კვლავ მიუბრუნდა მეტად პირობით სიბრტყობრივ მეტყველებას. მხატვართა წინაშე დადგა ასახვის მეორებისადმი დამოკიდებულების საკითხი. მხატვრულ ფორმაში შეინიშნება სიბრტყობრივი სისტემის ელემენტების გაჩენა, რომელთა მომზადება დროთა განმავლობაში სულ უფრო ნათელი ხდება. დაზგურ ხელოვნებაში დაწყებული ეს პროცესი, ბურნებრივია, შეეხო სახვითი ხელოვნების ყველა დარგს: თეატრის მხატვრობას, გრაფიკას და წიგნის ილუსტრაციასაც. დაზგური მხატვრობა გარკვეული პერიოდის მანძილზე წამყვანი დარგი იყო და მხატვრული ფორმის ძიების ერთგვარ ლაბორატორიასაც წარმოადგენდა. საქართველოში იშვიათია მხატვარი - ილუსტრატორი, რომელიც მხოლოდ წიგნის გაფორმებაზე მუშაობს. დაზგურ ან თეატრალურ მხატვრობაში მოღვაწე შემოქმედობა წიგნის გრაფიკაში გადმოაქვთ სხვა დარგის სპეციფიკური მხატვრულ-ფორმალური ნიშნები, რაც ზოგჯერ იწვევს ილუსტრაციის მახასიათებელი ნიშნების უნებლივ ხელყოფასაც, მაგრამ ამას წიგნის ილუსტრაციის სახვითი არსენალის გამდიღებაც მოყვება.

გრაფიკაში ახალი სახვითი ფორმის ძიების პროცესი 1960-იან წლებში იწყება. მხატვრობა თითქოს კვლავ უბრუნდება 30-იან წლებში შეწყვეტილ გზას. ძლიერდება სიბრტყობრივი ჟენდერციები. დასაწყისში სიბრტყობრიობისაკენ სწრაფვა

იღუზორული ფორმის სქემატური სტილიზაციის ფარგლებში ხორციელდება. გან-  
ზოგადოებისა და ხატოვანი მეტყველებისაკენ მიზანმიმღართულება ვლინდება უკავ-  
60 - იან წლებში ვაჟა ფშაველას საიუბილეო გამოცემისათვის შესრულებულ იღუ-  
სტრაციებში, ასევე ლ. ცუცქირიძის "ვეფხისფუაოსნის" მოხატულობაში.

შექსპირის საისტორიო ქრონიკების იღუსტრაციებში აღინიშნება ამ ტენდენცი-  
ების გაღრმავება. იღუზორული ფორმის სტილიზაციით შექმნილი ნახატების გვერ-  
ჯზე ჩანარი გრაფიკული სერიები, საჭაც ახალი მხატვრული ფორმა ასახვის ორი  
მეთოდის ელემენტთა სინთეზითა შექმნილი და სიბრტყობრივ-პირობითი სისტემის  
აშკარა პრიმატით ხასიათდება. ასეთი ფორმა, ბუნებრივია უფრო მიესადაგება  
ხატოვან მეტყველებას. ამგვარი გადაწყვეტა კი ნაწარმოვების უფრო თავისუფალი  
წაკითხვის შესაძლებლობას ქმნის. ამდენად, შექსპირის იღუსტრაციები ქართული  
წიგნის გრაფიკის განვითარების გარკვეული ეტაპია. ეს არ არის წინა პერიოდის  
დამაგვირგვინებელი ეტაპი, მაგრამ იგი ერთგვარად იმ ტენდენციების შემამზა-  
დებელი წინაპირობაა, რომელიც მკაფიოდ გამოვლინდა ქართულ ხელოვნებაში  
80-იან წლებში. მხატვრული ფორმის განვითარების ფალსაზრისით ეს იღუსტრა-  
ციები ფილეტიკური განვითარების ერთ-ერთი რგოლია, რომელშიც ნათლად  
ვლინდება წინა პერიოდში შემზადებული ნიშანთვისებები და ისახება მომავალი  
ეტაპისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

შექსპირის გასაოცარი უნარი იმ კუთხით შემოუბრუნდეს მკითხველს, რომელიც  
აქტუალურია მოცემული ეპოქისათვის, მისი წაკითხვის ამოუწურავი მრავალგვარობა,  
მის შემოქმედებას მარად თანამედროვეს ხდის ყველა თაობისათვის. შექსპირის წა-  
კითხვა ფრინის შესაბამისად შეიძლება. ჩვენს სახელმწიფოში სოციალიზმის ეპოქის  
ხელოვნებისათვის ზოგადად დამახასიათებელი ცრუ პათოსი "უძრაობის ხანის" და  
"გარდაქმნის პერიოდის" ნიპილიზმით იცვლება. შექსპირის პიესების წაკითხვაშიც  
წინა პლანზე წამოიწევს მისფიციური ან ზღაპრულ-ფერიული ესთეტიზმით გამსჭვა-  
ლული გადაწყვეტა, მოძღვავრდება გროტესკი, ხუმრობა, ირონია, ცირნიზმიც კი. ეს  
ნიშნები ნათლად გამოჩენდა შექსპირის სასცენო ხორცშესხმაშიც: ა. ხორავასა და  
ა. ვასაძის მიერ შექმნილი "ოფელოს" მონუმენტური, ფრაგიცული პათოსი რ. სტურუ-

ას "რიჩარდ III" და "შეფე ლინის" სკოპისისით, უარსით, გროტესკით იცვლება. ს. ქო-ბულაძის შექსპირულ სახეთა სიღიადეს 70 - 80-იან წლებში შესრულებული ილუს-ტრაციებისათვის დამახასიათებელი ხუმრობა, უარსი, გროტესკი ენაცვლება.

საკრალურისა და სახუმაროს უცნაური ერთობა ისევე დამახასიათებელია XX საუკუნის ესთეტიკისათვის, როგორც შექსპირის შემოქმედებისათვის. ცნობილია, რომ ლ. ტოლსტოი სწორედ ამაში "სდებდა ბრალს" შექსპირის, როდესაც წერდა: "მის ყველა ნაშარმოებში ჩანს განზრახ ხელოვნურობა, ჩანს, რომ იგი არა *in cornest* (სერიოზულად), რომ იგი ხუმრობს, თამაშობს სიჭუვებით" [34]. "თამაშის", უარ-სის ეფექტები რომ ორგანული და გასაგებია ჩვენი საუკუნის ბუნებისათვის, ამაზე ნათლად მეტყველებს პიკასოს მიერ შექსპირის "ჰამლეტის" თემაზე შესრულებული ნახატები. მხატვრის თავისუფალი უანჭაზია XX საუკუნის გადასახედიდან ყოველ-გვარი ჯებირების გარეშე, თავისუფალად "ესაუბრება" შექსპირის, გასული საუკუ-ნების გენიოსს [35]. პიკასოს მიერ დახატული შექსპირი მისი სუბიექტური გუნებ-განწყობილების შეღეგია, მისი გრძნობების თავისუფალი ინტერპრეტაცია. მხატვარი არ ცდილობს გვიჩვენოს რისი თქმა სურს დრამატურგს, იგი გვიხატავს იმას, თუ რა განცდები, ემოციები აღძრა შექსპირმა მასში. ამასთან იგი ყოველივეს "თამაშის", ხუმრობის სახეს ანიჭებს. ქართული მხატვრები ჯერ შორს არიან ამგვარი თავი-სუფლებისაგან, ისინი თითქოს ძველის - ტრადიციულის და ახლის გზის გასაყარზე იმყოფებიან. მაგრამ აქეთკენა მიმართული, აქეთ გადაღებული ნაბიჯი აშკარად ჩანს. შექსპირის ინტერპრეტაციაში წინა წლების პაონი 70-80-იან წლებში სწო-რედ "თამაშის" პირობითობით იცვლება.

შექსპირის საისტორიო ქრონიკებისათვის შესრულებული ილუსტრაციები ტრა-ლიციას ეყრდნობა და ამავე ღროს უახლოვდება XX ს-ის ესთეტიკურ მიმართულე-ბას. ქართველ მხატვართა მიერ წაკითხული შექსპირი უნდსონშია მათ ეპოქასთან, ამედავნებს მათ მსოფლშეგრძნებას და იმავლოულად ავლენს თითოეული შემოქმე-დის პიროვნულ "მეს". ქართველი მხატვრების მიერ განცდილი შექსპირის შემოქმე-დება და ამის შედეგად გაჩერილი ხილულ-პლასტიკური ხაფი ამდიღებს ქართული შექსპირიანას უურცლებს.

## ვ 0 6 0 ვ 3 6 3 6 0

1. გ. კარბელაშვილი, "სერგო ქობულაძის ილუსტრაციები "მეფე ლირისათვის"  
"ქართული შექსპირიანა". ტ. I. თბილისი. 1964.
2. Н. Заалишвили,  
"Шекспир в творчестве грузинских иллюстраторов  
60 - 70 гг". Докл. на IV Международном симпозиуме  
по грузинскому искусству.
3. Аникст А, "Шекспир". Москва. 1964.
4. Б. ყიასაშვილი, "Шექსპირი". თბილისი. 1959.
5. Смирнов А, "Шекспир". Ленинград – Москва. 1963.
6. ასახვის მეთოდის შესახებ უფრო ვრცელად იხ. Рудольф Архейм, "Искусство  
и визуальное восприятие". Москва. 1974.
7. გრაფიკის სპეციფიკაზე მხჯელობისას ვიურნობი: Виппер Б. "Введение в  
историческое изучение искусства" Москва. 1985.
8. Вентури Л, "От Манэ до Лотрека". Москва. 1958.
9. ილუსტრაციის შესახებ იხ. Алексин А. "О языке изобразительного искус-  
ства". Москва. 1985.
10. Henri Matisse, "Ecrits et propos sur l'art". Paris. 1972.
11. Алпатов М, "О работе Матисса в книге". В сб. Искусство книги.  
Москва. 1962.
12. Зингер Е, "Зураб Никарадзе". Москва. 1985.
13. Аникст А, "Генрих VI". Уильям Шекспир. П. С. С. В 8-и томах,  
т. 1.
14. ყიასაშვილი ნ, "შექსპირის ცხოვრება და შემოქმედება". უთლიამ შექსპირი,  
თ. ს. კ. 5 ფორად. ტ. 1.
15. ციფატები შექსპირის პიესებიდან მოტანილია: უთლიამ შექსპირი, თ. ს. კ. 5 ფო-  
რად. თბილისი. ( ტ. 1 - 1983; ტ. 2 - 1985; ტ. 3. - 1987; )
16. "ოვერლეპინგი" – ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: Р. Архейм,  
დასახელებული ნაშრომი.
17. ქალაქელი მდაბიონი ხშირად იბრძოლენ კეთებით, რომელებზედაც სილით სავსე  
ფორები იყო გამობმული. იხ. ყიასაშვილი ნ. "შექსპირი". თბილისი. 1959.

18. ეს ეხება არა მხოლოდ ამ ფურცელს. მის სახელოსნოში შემონახულია ერთი და იგივე ილუსტრაციისათვის შესრულებული ზოგჯერ ათამდე ნახატი.
19. Вентури Л. "Художники нового времени". Москва. 1957.
20. Выгодский А. "Трагедия о Гамлете, принце датском". в кн. "Психология искусства". Москва. 1968. ავტორის აზრი შეეხება მხოლოდ "ჰამლეტს", მაგრამ იგი მართებულია შექსპირის თითვემის ყველა პიესის მიმართ.
21. Морозов Н. "Шекспир". Москва. 1956.
22. Аникст А. "Ричард II". Уильям Шекспир. П. С. С. В 8-и томах, т. 2.
23. Аникст А. "Пьесы Шекспира из истории Англии". Шекспир. Исторические хроники. Москва. 1987.
24. Аникст А. "Шекспир. Проблемы стиля". "Театр". 1987. №7.
25. Смирнов А. "Ричард III". Уильям Шекспир. П. С. С. В 8-и томах, т. 1.
26. Бачелис Т. "Шекспир и Крэг". 1983.
27. Шепелевич Л. "Король Джон". Шекспир. П. С. С. в 5-и томах. т. 3. С. Петербург. 1902.
28. კინწურაშვილი ქ. "სამეცნიერო". გამოფენის კატალოგი, თბილისი. 1986.
29. ალექსანდრეგაშვილი გ. "რიჩარდ მესამის მხატვრული გაფორმება". ქართული შესკრინიანა. 1964.
30. ბერიძე ვ. "სამეცნიერო". გამოფენის კატალოგი, თბილისი. 1986.
31. Аникст А. "Генрих VIII". Уильям Шекспир. П. С. С. в 8-и томах. т. 8.
32. ლ. მარალაძე - ანთელავა,  
"ასახვის ორი მეთოდის თანაარსებობა ქართული წიგნის გრაფიკაში". "მაცნე" (ენისა და ლიტერატურის სერია) 1991. №4.
33. Езерская Н., Беридзе В. "Искусство Советской Грузии, 1921 - 1970". Москва. 1975.
34. Толстой Л. "О Шекспире и о драме". П. С. С. в 22-х томах. т. 15. Москва. 1983.
35. Бачелис Т. "Гамлет, Крэг, Пикассо". "Театр", 1980. №12.

## გამოცენებული ლიტერატურის სია

1. ალიბეგაშვილი გ. რიჩარდ მესამის მხატვრული გაფორმება. /ქართული შესპირიანა, ტ. II თბილისი, 1964.
2. ბერიძე ვ. "სამეული". გამოცენის კატალოგი. /თბილისი, 1986.
3. კარბელაშვილი გ. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები "მეფე ლიონისათვის" /ქართული შესპირიანა, ტ. II, თბილისი, 1964.
4. კინწურაშვილი ქ. "სამეული", გამოცენის კატალოგი. /თბილისი, 1986.
5. ყიასაშვილი ნ. შეესპირი. - თბილისი, 1959.
6. ყიასაშვილი ნ. შეესპირის ცხოვრება და შემოქმედება. /უილიამ შეესპირი, თ. ს. კ. ხუთ ტომაჲ, ტ. I, თბილისი, 1989.
7. Адамов Е. Иллюстрация в художественной литературе. -Москва, 1955.
8. Алексин А. О языке изобразительного искусства.-Москва, 1973.
9. Алибегашвили Г. Оформление постановок театров им. Руставели и им. Марджанишвили (1922 – 1966). // Ars Georgica, т.7, серия Б. Тбилиси, 1974.
10. Алпатов М. О работе Матисса в книге. // Искусство книги, вып. 4, Москва, 1962.
11. Аникст А. Театр эпохи Шекспира.-Москва, 1965.
12. Аникст А. Шекспир.-Москва, 1964.
13. Аникст А. Шекспир. Проблемы стиля. //Театр, №7, 1984
14. Аникст А. Ремесло драматурга.-Москва, 1974.
15. Аникст А. Пьесы Шекспира из истории Англии. /Шекспир. Исторические хроники. Москва, 1987.
16. Аникст А. Ричард II. /Уильям Шекспир. П.С.С. в 8-и томах, т. II.
17. Аникст А. Генрих VI. /Уильям Шекспир. П.С.С. в 8-и томах, т. I Москва, 1957.
18. Аникст А. Генрих VIII. /Уильям Шекспир. П.С.С. в 6-и томах, т. VIII, Москва, 1960.

19. Апчинская Н. Марк Шагалл. (Графика).-Москва, 1990.
20. Аронов А. Корбюзье об искусстве книги. // Искусство книги, вып.6, Москва, 1965 / 66.
21. Арихейм Р. Искусство и визуальное восприятие. Москва, 1974.
22. Бачелис Т. Шекспир и Крэг.-Москва, 1983.
23. Бачелис Т. Гамлет, Крэг, Пикассо. // Театр, N12, 1980
24. Бисти Д. Андрей Дмитриевич Гончаров. // Искусство книги, вып.10 Москва, 1972/80.
25. Барташевич А. На празднестве Шекспира. // Театр, N6, 1982.
26. Варшавский А. Гюстав Доре.-Москва, 1966.
27. Ванслов В. Модернизм - кризис буржуазного искусства. /Модернизм. Москва, 1980.
28. Вентури Л. Художники нового времени.-Москва, 1956.
29. Вентури Л. От Мане до Лотрека.-Москва, 1958.
30. Верижникова Т. У истоков современной книжной графики. Уильямс Моррис. // Искусство книги, вып.9, 1970/71
31. Виппер Б. Статьи об искусстве.-Москва, 1970.
32. Виппер Б. Введение в историческое изучение искусства.-Москва, 1988.
33. Выгодский А. Психология искусства.-Москва, 1968.
34. Герчук Ю. Художественная интерпретация текста. // Искусство книги, вып.9, 1970 / 71.
35. Гончаров А. Художник и книга.-Москва, 1964.
36. Гончаров А. Об искусстве графики.-Москва, 1960.
37. Гончаров А. Стилевое единство литературного произведения и иллюстраций.-Москва, 1965.
38. Гончаров А. Художественное конструирование и оформление книги.-Москва, 1971.
39. Гочаров А. Методика иллюстрирования классической литературы.-Москва, 1973.
40. Домосфенова Г. Как иллюстрируется книга.-Москва, 1961.
41. Делакруа Э. Дневник.-Москва, 1950.

42. Дмитриева Н. Пикассо.-Москва,1971
43. Дега Э. Письма.-Москва, 1971.
44. Езерская Н., Беридзе В. Искусство Советской Грузии. 1921-1970.-  
Москва, 1975.
45. Заалишвили И. Шекспир в творчестве грузинских иллюстраторов  
60 - 70 гг. // Доклад на IV Международном сим-  
позиуме по грузинскому искусству.
46. Зингер Е. Зураб Никарадзе.-Москва, 1985.
47. Зубова М. Графика Матисса.-Москва, 1977.
48. Каминский А. Иллюстрации В. А. Серова к Крыловским басням. //  
Искусство книги, вып. 5. Москва, 1968.
49. Каминский А. Самосознание жанра. // Искусство книги, вып.10,  
Москва, 1972 / 80.
50. Кирнан В. Взаимоотношения между людьми у Шекспира. /Шек-  
спир в меняющемся мире. Москва, 1966.
51. Кузнецов Г. Цитата в оформлении книги. // Искусство книги,  
вып. 10, Москва, 1972 / 80.
52. Кузьмин Н. Штрих и слово.-Москва, 1966.
53. Кеттл А. От "Гамлета" к "Лиру". /Шекспир в меняющемся  
мире. Москва, 1986.
54. Кожухова Г. Смертельный номер чародейства. // Театр, N 4, 1986.
55. Кристеллер П. История европейской гравюры XV - XVIII вв.-Мос-  
ква, 1979.
56. Линдэй Д. Поль Сезани.-Москва, 1989.
57. Лосев А. Проблема символа и реалистическое искусство.-  
Москва, 1976.
58. Левитан Е. Гравюра Фаворского к "Маленьким трагедиям"  
А. С. Пушкина. //Искусство книги, вып. 4, Москва,  
1962.
59. Леонардо да Винчи Избранное. Москва, 1952.
60. Манн Т. Толстой. /П.С.С, в 10-и томах, т.10.
61. Манэ Э. Жизнь, письма, воспоминания.-Москва, 1965.

62. Матисс А. Сборник статей о творчестве. /Москва, 1958.
63. Морозов М. Шекспир. /Москва, 1956.
64. Мортон А. Шекспир и история. /Шекспир в меняющемся мире. Москва, 1966.
65. Мюир К. Шекспир и политика. /Шекспир в меняющемся мире. Москва, 1966
66. Мэтьюз Дж.м. "Отелло" и человеческое достоинство. /Шекспир в меняющемся мире. Москва, 1966.
67. Нессельштадт И. Альбрехт Дюрер как иллюстратор книги. // Искусство книги, вып. 9 Москва, 1970 / 71.
68. Октавио Ф. де Аруажо. Новый "Дон - Кихот". // Искусство книги, вып.10, Москва, 1972 / 80.
69. Перрюшо А. Тулуз - Лотрек.-Москва, 1965.
70. Пастернак Б. Воздушные пути.-Москва, 1982.
71. Прокофьев В. Постимпрессионизм.-Москва, 1973.
72. Подобедова О. О природе книжной иллюстрации.-Москва, 1967.
73. Пинский А. О комедии и комическое начало у Шекспира. / Шекспировский сборник. Москва, 1967.
74. Разумовская С. Иллюстрация в творчестве С. В. Герасимова. // Искусство книги, вып. 5. Москва, 1968.
75. Ревалд Дж. История импрессионизма.-Москва, 1959.
76. Ревалд Дж. Постимпрессионизм.-Москва, 1962.
77. Рейтерсверд О. Клод Моне.-Москва, 1965.
78. Рейтерсверд О. Импрессионисты перед публикой и критикой.-Москва, 1974.
79. Сборник Писатели Англии о литературе.-Москва, 1959.
80. Сегалович М. По следам Фернана Леже.-Москва, 1983.
81. Сезанн П. Переписка. Воспоминания современников.-Москва, 1972.
82. Смирнов А. Ричард III. /Уильям Шекспир. П.С.С. в 8-и томах, т. I.
83. Смирнов А. Шекспир.-Ленинград-Москва, 1963.

84. Солоухин В. Писатель и художник.-Москва,1979.
85. Тихомиров А. Экспрессионизм. /Модернизм.-Москва, 1980.
86. Тэн Ип. Развитие политической и гражданской свободы в Англии в связи с развитием литературы.-Ленинград - Москва, 1971.
87. Трамбадори А. Данте, прочитанный сегодня - иллюстрации Ренато Гуттузо к "Божественной комедии" Данте. // Искусство книги, вяп. 5. Москва, 1968.
88. Толстой Л. О Шекспире и о драме. /П.С.С. в 22-х томах, т.15, Москва, 1983.
89. Урнов М., Урнов Д. Шекспир его герой и его время.-Москва, 1966.
90. Урнов М., Урнов Д. Движение во времени.-Москва, 1968.
91. Фаворский В. О художнике, о творчестве, о книге.-Москва, 1966.
92. Фаворский В. Об искусстве, о книге, о гравюре.-Москва, 1986.
93. Фавер У. Когда мы были детьми. Два века книжной иллюстрации для детей.-Москва, 1979.
94. Холлидей Ф. Шекспир и его мир.-Москва, 1986
95. Чагодаева М. О художественной иллюстрации. // Искусство книги, вып. 10, Москва, 1972/80.
96. Чернова А. "... все краски мира, кроме желтой".-Москва, 1987.
97. Шагалл М. Все это есть в моих картинах. Литературная газета, 16.10.1985.
98. Шантыко И. Книга, художник, время.-Москва, 1962.
99. Шантыко И. Творчество советских иллюстраторов.-Москва, 1962.
100. Шепелевич Л. "Король Джон". /Шекспир. П. С. С. в 5-и томах, т. III, С. Петербург, 1902.
101. Шведов Ю. Исторические хроники Шекспира.-Москва, 1964.
102. Шмаринов Д. Советская графика.-Москва, 1981.
103. Шоу Б. Письма.-Москва, 1971.
104. Henri Matisse. Ecrits et propos sur l'art.-Paris, 1972.
105. Chastel A. Le jeu et sacre dans l'art moderne. // Critique, Paris. 1987.

## ტაბულაზის სია

ფარ.	1	-	25	-	ზ. ნიუარაძის "ჰენრი VI"
ფარ.	26	-	33	-	ზ. ნიუარაძის "რიჩარდ II"
ფარ.	34	-	41	-	ლ. შენგელია - აბაშიძის "რიჩარდ III"
ფარ.	42	-	50	-	ო. თავაძის "მეფე ჯონი"
ფარ.	51	-	58	-	"სამეული" "ჰენრი VIII"
ფარ.	59	-	63	-	"სამეული" "ჰენრი V"
ფარ.	64	-	71	-	"სამეული" "ჰენრი IV" ნაწ. I
ფარ.	72	-	79	-	"სამეული" "ჰენრი IV" ნაწ. II

ମହାକାଳ  
ଶ୍ରୀକୃତ୍ସନ୍ଧବ